

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იგანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

## 0რმა პკაშილაგა

ტრადიციული წეს-  
ჩვეულებები და  
თანამედროვეობა

**ISBN 978-9941-8-3389-2**

**UBC (უაკ) 392(=353.1)+392(=352.2)**

**Ճ-447**

**რედაქტორები:**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
სალომე ბახია-ოქროუაშვილი**

**არქიმანდრიტი პიმენი (ქარდაგა)**

**რეცენზენტი: ისტორიის დოქტორი კახა კვაშილავა**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნინო გიგანი**

## ოედაქტორისაბან

ირმა კვაშილავას ახალი წიგნი, რომლის სათაურია – „ტრადიციული წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა“, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიების კრებულს წარმოადგენს. ამ წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, ქართველებისა და აფხაზების სულიერ კულტურას ეხება. ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში კარგად შესწავლილი. ამიტომ, ავტორი ცალკეულ სტატია-ნაშრომში კონკრეტულ პრობლემებს აშენებს, რომელიც ამ ორი ხალხის ეთნიკურ ისტორიასა და რაც მთავარია, სულიერ კულტურასთან არის დაკავშირებული. ნაშრომში ჩანს, როგორც ქრისტიანობამდელი, ისე ქრისტიანული პერიოდების საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ასპექტები.

ქართველებისა და აფხაზების სულიერი კულტურის საერთო დამახასიათებელი თვისება – ქრისტიანული იდეოლოგიისა და ქრისტიანობამდელი რელიგიის შერეული ფორმები იყო. ავტორს ყურადღება რელიგიის იმ პირველ-ყოფილ ძველ ფორმებზე აქვს გადატანილი, რომელიც შემდგომში მხოლოდ აფხაზებს შემორჩათ. ამ ეთნოლოგიურ ნაშრომში ჩანს ქვეყნის ეროვნული ასპექტების თავისებურებები, რომელიც ადრეულ ხანაში ჩამოსახლებულებმა II-IV საუკუნეებში მთლიანად აითვისეს, ხოლო XIV საუკუნიდან (XVI-XIX სს-ში) ტალღობრივი შემოჭრის შემდგომ ინტეგრირდნენ. მკვლევარმა თავისი ყურადღება დაუთმო აფხაზეთის კულტურის ძეგლების – ბედის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებისა და ილორის წმიდა გიორგის ტაძრების მდგომარეობას. როგორები იყვნენ აფხაზები ძველად და როგორია მათი დამოკიდებულება ამჟამად. ქართველებისთვის დიდ პრობლემად რჩება, როდესაც შენი ხალხის მიერ შექმნილ მშვენიერებას ეპატრონებიან და თა-

ვისად მიიჩნევენ, თანაც, როგორც უნდათ, ისე წარმოაჩენენ. სამწუხაროდ, რუსებს სჩვევიათ, რომ სხვისი შექმნილი საგანძური და სიწმინდები არაფრად მიიჩნიონ. ამ წიგნის ღირსება ის არის, რომ ობიექტად ქართულ-აფხაზური ეთნოლოგიური პარალელებია სულიერი კულტურის ჭრილში შესწავლილი, რომელიც ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად მსგავსია, თუმცა, საკმაოდ თავისებური. ნაშრომში აგრეთვე დამოწმებულია პარალელური მონაცემები როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, ისე ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან. ამდენად, ავტორს ტრადიციული წეს-ჩვეულებები შემთხვევით არ აურჩევია ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის შედეგად, ლოგიკურად განისაზღვრა.

ავტორი კარგად იცნობს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც ველზე შეკრებილი მასალების განზოგადოების საფუძველზე, კვლევას საინტერესო მიმართულებას აძლევს. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, იგი საქართველოს მოსახლეობის სულიერი კულტურის სხვადასხვა პრობლემებს ეხება, როგორიც არის დღეობადღესასწაულები, წარმართული წეს-ჩვეულებები, სახელების შერჩევის რელიგიური მოტივაციები, დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებები და ა. შ. მკვლევარი სამართლიანად ასკვნის, რომ თანამედროვეობასთან ჭიდილში ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ნელ-ნელა ტრანსფორმირდა, ზოგიერთი კი, საერთოდ გაქრა. ამიტომ, ნაშრომის გამოცემა, რომელიც ხელმეორედ რედაქტირდა და შეივსო, თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, ფრიად შესაშურ საქმეს წარმოადგენს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
სალომე ბახია-ოქრუაშვილი

## რა არს სახელი შენი? (ანთოლოგიის რელიგიური ასპექტები)

ცნობილია, რომ ანთოლოგიიმ ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელია, როგორიც არის: პიროვნული სახელი, გვარ-სახელი, მეტსახელი, ზედწოდება, ფსევდონიმი, კრიპტონიმი, ფიქტონიმი და სხვა. საკუთარი სახელი ონიმი/ონიმა სიტყვა ან შესიტყვება, რომლის დანიშნულება არის სახელდებული ობიექტის გამოყოფა-გამოცალკევება მსგავს ობიექტთა სიმრავლიდან, მისი ინდივიდუალიზაცია და იდენტიფიკაცია [18: 17].

სახელს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პიროვნებისათვის, ისე საგნისა და მოვლენებისათვის. „იზრუნე სახელზე, რადგან იგი უფრო დიდხანს იქნება შენთან, ვიდრე ოქროს ათასი დიდი საგანძურო. კარგი ცხოვრების დღეები დათვლილია, კარგი სახელი კი საუკუნოდ რჩება“ (სიბრძე ზირაქისა 41: 11,12,13) ამჯერად, სახელის რელიგიურ ფუნქციასა და დანიშნულებაზე შევჩერდებით.

ბიბლიური ჭეშმარიტების მიხედვით, „ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე... მყარს ღმერთმა უწოდა ცა, ხმელეთს მიწა (დაბ. 1, 5, 8, 10). ადამსაც სახელი მან დაარქვა... შემდეგ კი, ღმერთმა მეტყველების უნარი და სახელდების უფლება, ცოცხალ არსებათა შორის თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს უბობა, როგორც შესაქმის გვირგვინს. ადამმა სახელი დაარქვა პირუტყვთ, ცის ფრინველთ და ველის ცხოველთ, ასევე, მის შემწედ შექმნილ ქალს; დაცემის შემდეგ, ადამიანმა სახელები უწოდა თავის შთამომავალთ, საგნებს, გარემო სამყაროს და ა. შ.“ [14: 6].

ბიბლიური გაგებით, ადამიანის ცხოვრება იწყება არა მისი დაბადებიდან, არამედ ჩასახვიდან, ე. ი. სახელდება ხდება ლოთისგან. „ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე, ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი, წმიდა გყავი“ (იერემია 1:5). ნიშანდობლივია, რომ მაცხოვრის – იესო ქრისტეს და მისი წინამორბედისა და წინასწარმეტყველის იოანე ნათლისმცემლის სახელებიც, დაბადებამდე იყო ცნობილი. „აპა, ქალწული მიუდგეს და შვას ძე და უწოდენ სახელი მისი ემმანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩვენ თანა ღმერთი“ (მათ. 1, 23-24). „პრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ ზაქარია, რამეთუ შეისმენს ვეძრებანნი შენნი და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძე და უწოდი სახელი მისი იოვანე“ (ლუკ. 1, 13) [3: 4,98].

სახელებს თავისი სიმბოლური დატვირთვაც აქვს, რომელიც პიროვნებასთან კავშირსა და მის ბუნებასაც გამოხატავს. სახელი „იესო“ (ებრ. ეჰსუა), „მაცხოვარს“, „ცხოვრების მომცემელს“ ნიშნავს. ქრისტე ზედწოდება კი, „ცხებულს“, „მირონცხებულს“ (ებრ. „მაშიახ“, ანუ „მესია“); ბერძნულად – ქრისტე [13: 392]. იოანე კი – გვრიფს ნიშნავს. სიტყვა, როგორც სახელი წმინდა წერილში ხშირად გვხვდება. სახელდობრ: „წმიდა იყავნ სახელი შენი“ (მთ. 6, 9). „ადიდე სახელი შენი“ (იოან. 12, 28). „გამოუცხადე სახელი შენი კაცთა“ (იოან. 17, 16). „მრავალთა პრწმენა სახელისა მისისა“ (იოან. 2, 23). „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“ (მათ. 21, 9). „მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა“ (მათ. 24, 5). „მე მოვედ სახელითა მამისა ჩემისათა“ (იოან. 5, 43). „დაიცვენ ესენი სახელითა შენითა“ (იოან. 17, 11). „სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა“ (ლუკ. 10, 20) [9: 526-527].

წმიდა წერილი უსახელოდ, უმნიშვნელოდ იხსენებს პიროვნებებს სიტყვით „ვინმე“, იგივეა ვიღაცა. მაგალითად: „მთავარი ვინმე მოუხდა“ (მათ, 9, 18). „მდიდარი ვინმე მორბიოდა მისა“ (მარკ. 9, 49). „იყო ვინმე ბარაბა“ (მარკ. 15, 7). „უკუეთუ ვინმე არა შეგიწყნარნეს თქუენ“ (მარკ. 10, 14). „ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ“ (მარკ. 24, 4) და სხვა [9: 201].

პიროვნების სახელით ვლინდება მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასება, ანუ ნათელი და ბნელი მხარები, ასეთია: სახელხენეში – სახელგატეხილი, ცუდ-სახელიანი. საპირისპირო – სახელვანი, სახელგანთქმული. სახელმტყუვარი – ცრუსახელიანი შეად. სახელ-ტკბილი, სახელშუნიერი [17: 313]. სახელხენეში – ავადსახსენებელი [15: 186]. სახელბოროტი – სახელბოროტმან სირცხვილი და კდემა დაიმკვიდროს (ზირ. 6, 1). გვაქვს აგრეთვე, სახელდიდო – „სახელდიდო უფალო“ [1: 383].

სახელს უკავშირდება წყევლის ერთგვარი ფორმა, როგორიც არის სახელგასაქრობი, სახელგასაწყვეტი [16: 954], ან კიდევ, „გაი თქუენდა რაჟამს კეთილს გეტყოდიან თქუენ კაცნი“ (ლუკა 6, 20). ვაი იმას, ვისი სახელიც საქმეზე მეტია და ა. შ.

არქაულ საზოგადოებაში, წარმართულ სამყაროში სახელის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სახელის ცოდნით ადამიანი პიროვნებაზე გარკვეულ ძალაუფლებას იძენდა. გავრცელებული იყო „სახელის მოჯადოების“ პრაქტიკა, რომელიც მაინცდამაინც მხოლოდ მითიურ და მაგიურ წარმოდგენებთან არ იყო დაკავშირებული. ყოველ-დღიურ ურთიერთობებშიც სახელით მიმართვა სრულიად სხვა ხარისხობრივ კავშირებს განსაზღვრავდა. რადგან ითვლებოდა, რომ სახელის ბოროტად გამოყენებას ცუდი შედეგების მოტანა შეეძლო, ქრისტეს მოსვლის წინა პერი-

ოდში, ებრაელ ერში ღმერთის სახელის გამოთქმა აიკრძალა [7: 72]. მაგიური კანონის თანახმად, სახელის მოსპობა ნიშნავს ამ სახელის მატარებელი ადამიანის მოსპობას. ფარაონმა ეგვიპტეში, წინა ფარაონის სახელის დასავიწყებლად, დაანგრია ყველა ტაძარი, თვით მამამისის აგებული ტაძრებიც კი [6: 15].

დღესაც, რაიმე სერიოზული უთანხმოებისას, ადამიანები ერთმანეთს უკრძალავენ სახელით მიმართვას, მოხსენიებას – არ ახსენო, დაივიწყე ჩემი სახელი. ეს ერთგვარი განკანონება – დასჯის უწყინარი ფორმაა, რომელიც ღრმად დაგაფიქრებს ახლობელი ადამიანის დაკარგვის საშიშროებაზე.

ძვირფასი ადამიანის სახელის ხსენება ხშირად ნეტარებას გვანიჭებს; ვცდილობთ, დავარქვათ ჩვენთვის საყვარელ ადამიანებს. ხდება პირიქითაც: შემაწუხებელი, მაჭირვებელი ადამიანის სახელის გაგონება უსიამოვნო განცდებს იწვევს, ხელმეორედ მოსმენას აღარც კი ვისურვებთ. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ასეთ განსხვავებულ ემოციებს, გულისთქმებს, აზრებს, სულ ერთი სიტყვა განაპირობებს, – პიროვნების სახელი, იდუმალებით მოცული საკუთარი სახელი.

ამდენად, სახელს უკავშირდება როგორც შესახელება, დაფასება და პატივისცემა, ისე სახელდაუდებლობა – უსახელობა, ავადსახსენებლობა. მაინც როგორ უნდა მოვიქცეთ ახალშობილისათვის სახელის შერჩევისას? ამ შემთხვევაში, უფრო მეტად რელიგიური მიდგომა გვმართებს. ადრე სახელებს თვითნებურად, უცნაურად, უწესრიგოდ, არასათნოდ არჩევდნენ. „ღვთიურად კი ასე უნდა მოხდეს. სახელი იმ წმიდანის ხსენების დღეების მიხედვით უნდა შეირჩეს, რომელიც ბავშვის დაბადებას, ნათლობას ან მათ შორის დღეებს ემთხვევა... ასეთ შემთხვევაში, ყოველივე ადამიანური

მოსაზრება გამოირიცხება და ისე იქნება, როგორც ღმერთი მოგვცემს, რამეთუ დაბადების დღენი უფლის ხელთაა“ [2: 247]. წმიდათა ცხოვრებაში არაერთი შემთხვევაა, როდესაც გარკვეული მოსაზრებით ერთადერთ მემკვიდრესაც კი, ღმერთს სწირავდნენ. მაგალითად, ღირსი დანიელ მესვეტე, რომლის მშობლებს შვილი დიდხანს არ ეძლეოდათ და აღთქმისამებრ, ღმერთს მიუძღვნეს. უჩვეულოა ისიც, რომ მისთვის მშობლებს 5 წლის ასაკამდე სახელიც კი არ დაურქმევიათ. მათ სურდათ, უფლის კურთხევით შობილს სახელიც უფლისგან მიეღო. საამისოდ, მახლობელი მონასტრის იღუმენმა, საღვთისმსახურო ერთ-ერთი წიგნი გახსნა, წინასწარმეტყველი დანიელის სიტყვები ამოიკითხა და დანიელი უწოდა. ასე დაერქვა სახელი მომავალ წმიდანს [20: 522]. ნიშანდობლივია, რომ დანიელ წინასწარმეტყველის ხსენება 17 დეკემბერს არის, ხოლო ღირსი დანიელ მესვეტისა – 11 (24) დეკემბერს.

თუ სახელი ერთდროულად რამდენიმე წმიდანს ჰქვია, ანგელოზის დღედ ითვლება, ამ ადამიანის დაბადების დღის მომდევნო, ყველაზე ახლო დღე, როცა თანამოსახელე წმიდანის ხსენებაა. სწორედ ეს წმიდანია მისი ზეციური მფარველი და სადღესასწაულო ტრაპეზიც კი, ამ დღეს უნდა იმართებოდეს.

წმიდანთა სახელებს კალენდარულ სახელებს უწოდებენ, რომელიც ბიზანტიაში შედგენილი კალენდრის საშუალებით, საქართველოშიც გავრცელდა. „თითოეულ კალენდარულ სახელს თავის ენაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ როცა ეს სახელი გადადიოდა სხვა ხალხში, იქ იგი კარგავდა თავის ზოგად ლექსიკურ მნიშვნელობას და გამოიყენებოდა მხოლოდ, როგორც საკუთარი სახელი. თავდაპირველად ხალხი ვერ უგუებოდა ასეთ სახელებს, რადგან ის უცხო, უშინაარსო და ძნელი დასა-

მახსოვრებელი იყო. ამიტომ, ხშირად მშობლები არ ემორჩილებოდნენ ეკლესის მოთხოვნას და სურდათ შვილისთვის დაურქმიათ თავიანთი შერჩეული, მათთვის ახლობელი და ნაცნობი სახელი. ამ უთანხმოებას ხშირად ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ ახლობლები ბავშვს ეძახდნენ. არაკალენდარულ სახელს, საეკლესიო წიგნსა და საბუთებში კი ის გატარებული იყო სულ სხვა სახელით. ხშირად ეს სახელები ისე განსხვავდებოდნენ, როგორც ცა და დედამიწა“ [19: 15].

ერთი პირისათვის რამდენიმე სახელის დარქმევის ჩვეულება, მრავალი ხალხის ანთროპონიმიაში მიღებულია და მას სხვადასხვა მიზეზები აქვს. ქართულ ანთროპონიმიაში მრავალსახელიანობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ხევსურეთში, ვინმე ბალიაურისთვის ხუთი სახელის დარქმევა. კალენდარული – პეტრე, სულისა – დავითი, ხატისა – გიორგი, რძლისა – ხირჩლა, ბიცოლასი – ბეწიკუა [10: 193]. აღნიშნულთაგან, აპოტროპეულის სახელის სახეობებია ხატისა და სულის სახელები. საქართველოს მთიანეთში სცოდნიათ ე. წ. სულის სახელი, ანუ მიცვალებული წინაპრის სახელის დარქმევა, რასაც ქრისტიანობა მაინცდამაინც არ ამართლებს. ქრისტიანული მსოფლმხედველობა მხარს უჭერს სულთა კავშირის საიდუმლოებას, წინაპრების ამაგს და შესაბამის პატივს მიაგებს ხოლმე. მაგალითად, ფშავში მეორე სულის სახელის დარქმევა, დაკავშირებულია მიცვალებულის სულის „შემომბრუნავის“ რწმენასთან. „ბავშვი თუ ჭირვეულია და მტირალა, ფშავლები იტყვიან, ბავშვს მიცვალებულის სული „ენუკვის“, რომ მისი სახელი დაარქვანო... ხალხის რწმენით, მიცვალებულის სული საიქიოდან „მოსახელეს სწყალობს“, პატრონობს. მოსახელე კი, – ვისი ადგილი დაიჭირა სააქაოს, იმის მამგონე და პატივისმცემელი უნდა იყოს, რო-

მელიც მას მუდამ სუფრასა და „სახელსაც შასდებს“ [11: 160].

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (მაგალითად, სამეგრელოში), რძალი, ბიცოლა სახელებს უცვლიან მაზლს, ან მაზლის შვილს, რაც მათდამი პატივისცემის გამოხატულებაა.

არსებობს მეტსახელი, იგივე თიკუნი, რომელიც ადამიანის განსაკუთრებულ უნარს, ან მისდამი ჩვენ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ასახავს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვალსაზრისით.

ყველა სახელი გარკვეულ მიზეზთა გამო წარმოიქმნა, მაგრამ მათ შორის, ძირითადი ის სახელია, რომელიც ნათლობისას გვეძლევა. „ამ სახელით ღმერთი ადამიანს იძენს, ნათლობის სახელი ადამიანს ღმერთთან აკავშირებს, იმიტომ რომ მისი მიღებისას ადამიანი ქრისტესთან ერთად კვდება და აღდგება. მაგრამ ეს სახელი უამრავ სხვა ადამიანთანაც გვაკავშირებს. იმათ, ვინც ამ სახელს ატარებდა და განსაკუთრებით იმ ადამიანთგან, ვინც ეს წარმართული (ქრისტიანობამდელი, ი. კ.) სახელი ქრისტიანულად აქცია – პირველ წმიდანთან, რომელმაც ეს სახელიც ეკლესიაში შემოიტანა“ [12: 18]. ნიშანდობლივია, რომ ზეცაში ადამიანები სწორედ ნათლობის სახელით მოიხსენებიან და სასურველია, მივმართოთ ოფიციალური სახელდებით. ამავდროულად, ნათლობის სახელით მიმართვისას, მის ზეციურ მფარველ წმიდანს მოვიხსენიებთ. ამიტომაც, ქრისტიანმა დაბადების დღის აღნიშვნისას, მისი მფარველი წმიდანის ხსენების დღეს უნდა მიანიჭოს უპირატესობა. მას ანგელოზის დღეს უწოდებენ და სათანადო საზეიმო ჭრაპეზით აღნიშნავენ.

სახელებისადმი მისტიკური მიდგომა არქაული ხანის საზოგადოებაშიც ახასიათებდათ, ვინაიდან სახელებს ღვთა-

ებრივი ძალა მიეწერებოდა. „არაერთი რწმენა-წარმოდგენა სახელსა და სულს ერთმანეთთან აიგივებდა. ამით იყო განპირობებული პიროვნული სახელების ტაბუირება. ნამდვილ სახელს მტრისგან, ავი ადამიანებისგან, ავი სულებისგან საიდუმლოდ იცავდნენ“ [8: 18].

რასაკვირველია, თითოეულ რწმენა-წარმოდგენას არსებობის უფლება და გამართლება აქვს, მაგრამ სახელბი, უდაოდ დიდ საიდუმლოს ინახავენ. მაგალითად, ნათლისლებისას, სახელებს ღვთის შთაგონებით არქმევენ, ხოლო ახალი სახელი ყოველთვის ნიშნავს ადამიანის ახალ დაბადებას. მაგალითად, მოწესედ აღკვეცისას პიროვნებას სახელს უცვლიან, რასაც მისტიკური ძალა აქვს. ასე რომ არ იყოს, ადვილი გასაგები იქნებოდა მოციქულთა ცხოვრებიდან ერთ-ერთი ეპიზოდი: რატომ ეწოდა წმიდა მათე მოციქულისა და მახარებლის (ხსენება 16 (29) ნოემბერი) სასტიკ მდევნელს, მტანჯველს, ქვეყნის მმართველს ფულბიანეს ნათლობისას მაინცდამაინც მათე წმიდანის სახელი? [20: 438], ან კიდევ პირველი საუკუნის წმიდანი დიდმოწამე ირინე, რომელიც პენელოპედ იყო სახელდებული, რატომ მიმართავდა მშობელ მამას, რომელიც მრავალგზის აიძულებდა კერპებისაღმი თაყვანისცემას: „მე ირინე ვარ, ესრეთ მიხმობდა ხილვასა შინა ანგელოზი და ჟამსა წმიდისა ნათლისლებისასა ასე მიწოდეს. ამისთვისცა მსახურ არ ვექმნები ეშმაკსა, რომელსა შენ ღმერთად რაცხ. ერთია ღმერთი ჩემი და მას ეკუთვნის თაყვანისცემა ჩემი და სასიძო ჩემი საყვარელი, უფალი იესო ქრისტე“ [4: 10]. განა ქრისტიანები ქრისტეს უსპეტაკესი სახელისათვის არ იტანჯებოდნენ? ვინ შეძლებს მათი სახელების ჩამოთვლას და მით უმეტეს, შეუძლებელია მათი ღვაწლის აღწერა, რომლებმაც ქრისტეს სახელის საღიღებლად მრავალმხრივი სატანჯველი დაითმინეს და საბოლოოდ, სიცოცხლეც მასვე

მიუძღვნეს. გასაოცარია, სისხლმდინარე ქართველი მოწამის სიმტკიცე, რომელიც ამირა აბულკასიმს (სარკინოზს) მოუგებს: „იქმოდე რაიცა გნებავს. მე ქრისტეანე ვარ და არასადა უარყო სახელი მისი“ [20: 440].

სახელებისადმი ასეთი ინტერესი იმითაც არის გამოწვეული, რომ ლოცვისას ჩვენ ღმერთთან სახელები მიგვაქვს და სხვა არაფერი, თუმცა, ეს სახელები აზრით არის დამუხტული, მაგალითად: მოსახსენებელი, რომელიც საღვთო ლიტურგიის დროს ცოცხალთა და გარდაცვლილთათვის საკურთხეველში იგზავნება. ნიშანდობლივია, სახელოვანი მწიგნობრის, იოანე ხელაშვილის (1770-1835 წწ.) „მოსახსენებელი წიგნი“, რომელშიც ღვთის წინაშე შესაწყალებელი ადამიანების ვრცელი სია არის მოცემული. საყურადღებოა, რომ ჯერ სახელია ნახსენები და მერე – პატრონის ვინაობა. მაგალითად: ალექსი დეკანოზი, ზაქარია მლოდელი, ანნა დედოფალი, დავით რექტორი, ესტატი თავადი, სვიმეონ ომში მოკლული, იროდიონ ტყვეობაში მომკვდარი და ა. შ. [5: 174].

უმთავრეს საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, რომელია სახელის ძირითადი ფუნქცია: სოციალურ-განმასხვავებელი, თუ რიტუალურ-ქარიზმული? სახელის ძირითადი ფუნქცია საზოგადოებაში ადამიანითა, პირთა იდენტიფიკაციაა. მის გარეშე სახელი აზრს დაკარგავდა და დაკარგავს [8: 42]. სახელის რიტუალურ-ქარიზმულ ფუნქციას ზრდის კიდევ ერთი სახელი, რომელიც ჩვენ არ ვიცით. გაიხსენეთ ნაწყვეტი გამოცხადებიდან („გამოცხადება წმიდისა მახარებელისა და ღმრთისმეტყველისა იოვანესი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან“), „რომელსა ჰქონიან ყურნი, ისმინენ რასა ეტყვის სული ეკლესიათა, ვითარმედ: რომელმან სძლოს, მივსცე მას მანანა და მისგან დაფარულისა და მივცე რიცხ სპეტაკი და რიცხუსა მას თანა სახელი ახა-

ლი დაწერილი, რომელი არავინ უწყის, გარნა რომელმან მიიღოს (იოან. 2, 17) [3: 437]. ე. ი. მომავალ სამეფოში თითოეული ადამიანი თეთრ ქვას მიიღებს და ამ ქვაზე მისი სახელი იქნება დაწერილი, რომელიც მხოლოდ ღვთისთვის და მისთვის იქნება ცნობილი, ვინც მას მიიღებს. ეს არც მეტსახელია, არც გვარი და არც ნათლობისას მიღებული სახელი, არამედ ის, რაც სრულად აგვსახავს და ჩვენი იდენტურია, ის არის – ჩვენ... შეიძლება ითქვას, რომ ეს ის სიტყვაა, რომელიც ღმერთმა მაშინ წარმოთქვა, როდესაც ჩვენი ყოფიერებაში მოსვლა ინება. ის არის ჩვენ და ჩვენ ვართ – ის. ეს სახელი ღმერთან ჩვენ აბსოლუტურ, განუმეორებელ მიმართებას განსაზღვრავს. არავის შეუძლია ამ სახელის ცოდნა, ისევე როგორც არავის შეუძლია გვიცნობდეს ისე, როგორც ღმერთი გვიცნობს. ამასთან, ამ სახელიდან მოედინება ყოველივე დანარჩენი, რაც შეიძლება ჩვენ შესახებ იყოს შეცნობილი [12: 19].

ამრიგად, ყოვლისმომცველი სახელი, რომელიც მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულისას გვეძლევა და ერთგვარი შეფასებაა იმ დანიშნულებისა, რის გამოც ადამიანად მოვევლინეთ ამ სამყაროს, შესაძლებელია იყოს „კეთილი“, ან „ბრძენი“, ან „ავი“, ან „ნეტარი“, „ღირსი“, „ღვთისმოყვარე“ და მისთანა.

არსებობს ფრიად საგულისხმო საკუთარი სახელი, რომელიც ბუნებრივი ენობრივი კანონებისა და ტრადიციების შესაბამისად წარმოიქმნება. ასეთია: ღვთისავარი, ქრისტესია, მზევინარი, მზექალა, მზისადარი, ციური, ცისკარა, ქრისტინე, ხატია და ა. შ. ისინი ტრადიციულ პიროვნულ სახელებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. იდუმალებით მოცული პიროვნების სახელის განუსაზღვრელი მნიშვნელობა პერსონაჟების, ლიტერატურული გმირების სახელდე-

ბაშიც ჩანს. „პერსონაჟისათვის, ლიტერატურული გმირები-სათვის სახელის შერჩევა მარტივად არ ხდება. იგი თავისი ბუნებით, ხასიათით თავად ირჩევს სახელს. სახელ-გვარი ნათხოვარივით არ უნდა ჩანდეს“ (დავით კლდიაშვილი).

ქართული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მასულდგმულებელი ქრისტიანობამდელი, უფრო მეტად ქრისტიანული მართლმადიდებელი რელიგია ითვლება და ის თავის მონოპოლიას ანთროპონიმულ სისტემაშიც ავლენს.

## **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1937.
2. ათასი კითხვა დედა ეკლესიას, თბ., 2006.
3. ახალი აღთქუმა, თბ., 2005.
4. დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა დიდმოწამისა ირინესი, თბ., 2002.
5. ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, თბ., 1985.
6. ა. დონინი, ადამიანები, კერპები და ლერთები, თბ., 1965.
7. ვ. ვარდიძე, ფუნდამენტური თეოლოგია, თბ., 2011.
8. რ. თოფჩიშვილი, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010.
9. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია – ლექსიკონი, თბ., 1986.
10. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1990.
11. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985.
12. მიტროპოლიტი ანტონი, ლოცვა მაშინ ცოცხლდება, როდესაც მასზე, როგორც შორეულზე კი არა, ახლო-ბელზე ვფიქრობთ, ჟურნ. „კარიბჭე“ №14, თბ., 2014.
13. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლო-პედიური ლექსიკონი, თბ., 2008.
14. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, თბ., 2016.
15. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1988.
16. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2008.
17. ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, თბ., 2008.
18. პ. ცხადათა, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.

19. ბ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982.
- 20.წმიდათა ცხოვრებანი, წ. 2, თბ., 2008.

## **WHAT IS THY NAME? (ANTHROPONIMS RELIGIOUS ASPECTS)**

### **Summary**

The development of individual names is traced since ancient times, which on the background of public and social relations, was gradually changing. Names importance is so great that it becomes the research subject of a number of scientific fields. A summing, manual work has been published on the ethnology and history of names. Our attention was drawn to the religious aspects of the names and to its religious importance. This article is an attempt, while determining the main functions of the name, to give a special place to its religious-mystical significance. Obviously, a certain religious beliefs are reflected in Anthroponims, but in this case biblical truth appears to be starting point again and again. The work reflects the scriptures and theological outlook towards the function and purpose of personal names.

## ქართულ-აზხაზური მითოლოგიური კარალელები

ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები – მითი, ლე-  
გენდა, თქმულება, ზღაპარი და მისთანა, მრავალმხრივ  
საინტერესო ფენომენს წარმოადგენს, ვინაიდან არა მარტო  
ისტორიასა და რელიგიას, არამედ მხატვრულ აზროვნებასა  
და ხელოვნებასაც მოიცავს. შესაბამისად, საზოგადოების  
ცნობიერებაში მრავალგვარ ფუნქციას ასრულებს. მაგა-  
ლითად: მითი კოლექტიური შემოქმედება არის და დაფუძ-  
ნებულია მხატვრულ მსოფლმხედველობაზე, საზოგადოებ-  
რივ ილუზიებზე. მათში პოზიტიურ ცოდნასთან ერთად,  
სხვადასხვა სახის ფანტასტიკური წარმოსახვებიც გვხვდე-  
ბა, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს მითი, ყოველთვის და-  
კავშირებულია მისი შემქმნელი ხალხის ინტერესებთან,  
გრძნობებთან, განცდებთან, მისწრაფებებთან, რწმენა-წარ-  
მოდგენებთან, რომლებიც მათ განვითარების ადრეულ ეტაპ-  
ზე ახასიათებდათ. სწორედ ამაშია მითებისა და სხვა ზე-  
პირსიტყვიერი მასალების სოციალური მნიშვნელობა.

ამდენად, მითი არის ახალი გამოგონილი რეალობა, რომელშიც არქაული საზოგადოება ცხოვრობს და რომე-  
ლიც მისი „კომფორტული“ არსებობის აუცილებელი პი-  
რობაა... მითის ქსოვილში უცნაურად არის შეკრული რეა-  
ლური და ირეალური, ბუნებრივი და ზებუნებრივი, აზრი  
და გრძნობა, ცოდნა და რწმენა [ანთელავა 2017:13].

გამოჩენილი ფრანგი მწერალი პოლ ვალერი წერდა:  
„რანი ვიქებოდით ჩვენ არარსებულის თანადგომის გარე-  
შე? უბადრუკნი და საწყალობელი, ხოლო ჩვენს უქნარა  
სულებს ჟანგი მოედებოდა უსაქმურობისაგან. ეს აჩრდი-  
ლები, მირაჟები, აბსტრაქციები, ცრურწმენები, ურჩეულები,  
პიპოთეზები... რომ არ ავსებდნენ უსხივო სიღრმეს, მითები

ჩვენი მოქმედების, ჩვენი ვნებების სულია. ჩვენ არ შეგვიძლია ვიმოქმედოთ სხვაგვარად, თუ რომელიმე აჩრდილისკენ არ ავიღეთ გეზი. ჩვენ არ შეგვიძლია გვიყვარდეს სხვა რამე, გარდა იმისა, რასაც თვითონვე ვქმნით“ [ვალერი 1983:180]. მითებზე იგივე ითქმის, რასაც ვაჟა-ფშაველა ამბობდა ხალხური შემოქმედების ნიმუშების ლიტერატურულ დამუშავებაზე: ხალხის თქმული, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსის იყოს, აზრიანი და ხელოვნური – თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გაატარა, გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა, ისე არაფერი გამოვა, ხოლო საღი ფანტაზია ისეთს არაფერს შექმნის, რომ სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს და არ შეეფერებოდეს [გელოვანი 1983:15]. ამიტომ, მკვლევარ-მეცნიერის უმთავრეს საქმეს მითების წარმოშობის რეალური საფუძვლის მიგნება და მის ირგვლივ ისტორიული ფაქტების გამოკვლევა წარმოადგენს [მითოლოგიური 1972:4]. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მითების წარმოშობა ძალიან ადრეულ პერიოდს ეკუთვნის და უფრო ხშირად, ისტორიული ხანის მიღმა დგას [ჩიქოვანი 1971:5].

ყველაზე რთული საქმეა მითებში ისტორიული სინამდვილის გარკვევა, განსაკუთრებით დამწერლობის არმქონე ხალხებში, მაგალითად, აფხაზებში. აფხაზმა მკვლევრებმა, ნართული ეპონის მიხედვით, დიდი ხნის წინ მოკიდეს ხელი აფხაზურ-ადილეური მითოლოგიური პარალელების კვლევას, რომელიც ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი ვარაუდით, მათ მთიელობაზე მიანიშნებს. კერძოდ, ნართების ეპონი აფხაზების მთიელობაზე მიუთითებს, მაგრამ აფხაზები ეგრისის ჩამომავალნი არიან (ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით) [ბერძენიშვილი 1990:620]. რასაკვირველია, აფხაზები ეთნიკურად აფხაზურ-ადილეური მოდ-

გმის ხალხია, მაგრამ ისტორიულ-კულტურულად დანარჩენი ქართველებისაგან დიდად არ განსხვავდებიან. „ამიტომ არცერთი წყარო ან ეპოსი არ უნდა იყოს ტენდენციურად განხილული. მით უმეტეს, კვლევის შედეგები ქართველებისა და აფხაზების გასამიჯნად გამოყენებული“ [ბახია-ოქრუაშვილი 2010:11]. ქართველი მკვლევრებიდან პირველად ს. ბახია-ოქრუაშვილმა დაადგინა, რომ აფხაზთა ეთნოგენეტიკური და გენეალოგიური გადმოცემები ადასტურებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე აფხაზური ეთნიკური ერთობის დამკვიდრების მიგრაციულ ბუნებას, ხასიათს [ბახია-ოქრუაშვილი 2010:57].

მითებს ისეთივე მიგრაცია ახასიათებს, როგორც თვით მათ შემქმნელ ხალხს; ამიტომ, კავკასიელ ხალხთა მითოლოგიური კავშირის გარდა, ქართულ მითოლოგიაში ბერძნული მითის მოტივები უფრო მტკიცედ შემორჩა. ასეთია მაგალითად, მეგრული ლოცვა „სამგარიო“, როდესაც კერის ღვთაებას, გოჭს ან ღორს მსხვერპლად სწირავდნენ. ამ წესს კერიასთან ასრულებდნენ ისევე, როგორც ძველი საბერძნეთის „მეგარონში“ (ვრცელი ოთახი, სადაც ჩაუქრობელი საღმრთო ცეცხლი ენთო). მეგრული სამგარიო ბერძნული მეგარონისაგან უნდა მიმდინარეობდეს [ბერულავა 1951:4]. ბერძნული მითების საყოველთაოდ ცნობილი მაღალმხატვრული სახეები, არაერთი ძველი, თუ ახალი საზოგადოების სულიერ საზრდოდ გვევლინება. ურიგო არ იქნება აქვე გავიხსნოთ დღევანდელი სოხუმის უძველესი სახელწოდების, — დიოსკურიის ეტიმოლოგია, რომელიც იმ ღმერთთა სადიდებლად დაურქემევიათ, რომლებიც ზღვაზე მიმოსვლის, სახელმწიფოს დაცვისა და მეომართა მფარველებად ითვლებოდნენ. მათი გმირობიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითია არგონავტთა ლაშქრობაში მონაწილეობა [მითოლოგიური 1971:84]. ესენი იყვნენ დი-

ოსკურები – კასტორი და პოლიდევკე, ზევსისა და ლე-დას ტყეუბი ვაჟები.

მითის ისტორიზაციასა და ისტორიის მითიზაციას შავი ზღვისპირეთის კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობა წარმოადგენს, რომლის ძლიერების ხანა ძველ ბერძნულ თქმულებაში, კერძოდ, არგონავტთა ლაშქრობაში აისახა. რაც შეეხება ცნობილ კოლხურ კულტურას, მისი გავრცელების არეალში აფხაზეთი მთლიანად შედიოდა [ინალ-იფა 1965:82]. საერთოდ, დასავლეთ საქართველოს რეგიონები (ამ შემთხვევაში, აფხაზეთი და სამეგრელო), თავისი ბუნებრივი პირობებითა და გეოგრაფიული მდგომარეობით, უძველესი დროიდან იზიდავდა ადამიანს. ამიტომ, რას აღარ ნახავთ აქ, მიწისზედა, თუ მიწისქვეშა საცხოვრებლებს, რომლებიც საარაკო თქმულებებში არიან გახვეული. „სინამდვილე მითის ნისლებშია გახვეული, მითი კი ისე იკითხება, როგორც სინამდვილე“ [გელოვანი 1983:15]. ამდენად, ხალხის მეხსიერებაში დარჩენილ მითებს, თუ საარაკო თქმულებებს თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგული აქვს, მაგრამ მაინც ხალხის ისტორიულ გამოცდილებას, მიღრეკილებას, მიზანს ასახავს და არანაკლებად საგულისხმოა, ვიდრე რიტუალი, ან ტრადიცია, ვინაიდან ეროვნული კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. შ. ინალ-იფას მოსაზრებით, აფხაზებს პოლიტეზმის მთელი სისტემა გააჩნიათ აგრარული და მესაქონლეობის კულტების გათვალისწინებით [ინალ-იფა 1974:159], რაც მხოლოდ მაღალგანვითარებულ ხალხთა კუთვნილებაა. სანამ ამ საკითხს შევეხებოდე, კოსმიურ ღვთაებებს გვერდს ვერ ავუგლი. კოსმიურ სხეულთა შესახებ დიფერენცირებული წარმოდგენის შემუშავება და მხატვრულ სახეებში გადმოცემა, ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის შედეგია. მსგავსი სახეები და რიტუალი

ერთ დღესა და საუკუნეში არ იქმნება... ამჟამად, თითო-ეული კოსმოსური სხეული სხვადასხვა კუთხის მასალაში დიფერენცირებულად იჩენს თავს. ერთსა და იმავე კოსმო-ლოგიურ სურათს ყველა თავისებურად გადმოსცემს. უნი-ფიცირებული გაგება უფრო ძველია და თავდაპირველი, ვიდრე დიფერენცირებული, ერთმანეთისაგან დაშორებული ვარიანტები [ჩიქოვანი 1971:129]. კოსმოსურ ღვთაებათა კულტი მსოფლიო მითოლოგიაში მრავალი ასპექტით არის წარმოდგენილი. წარმართობის დროს, ქართველებში მათი თაყვანისცემა თითქმის ერთნაირად გავრცელდა. საგულის-ხმოა ის ფაქტიც, რომ კოლხურ-ელინური ეპოქის მითიური წარმომადგენელი კოლხი აიეტი — მზის ღმერთის, ჰელიოსის ვაჟიშვილია. ამდენად, მზე ქართველ ხალხს ცოცხალ, სულიერ არსებად ყავს წარმოდგენილი [ალი-ბეგაშვილი 1992:4].

ნიშანდობლივია, რომ ქართველების კვალდაკვალ, აფხაზებსაც სწამდათ, რომ მზე მდედრობითი სქესის ცოცხალი არსება იყო და მას ქალების მფარველად თვლილნენ. ე. წ. „მზის ლოცვას“ — „ამრანპვას“ დიდმარხვის პირველ ორშაბათს ასრულებდნენ და ქალების ჯანმრთელობას შეავედრებდნენ, არც საქონლის გამრავლებასა და ბარაქას ივიწყებდნენ. მსგავსად ამისა, აფხაზები „მთვარის ლოცვას“ — ამზანპვას ლოცულობდნენ, ოღონდ ამჯერად, მას მამაკაცების კეთილდღეობას შეთხოვდნენ, ვინაიდან მათ მთვარე მამრობითი სქესის ცოცხალ არსებად ჰყავდათ წარმოდგენილი [ჯანაშია 1960:29-31]. გარდა იმისა, რომ მთვარე ქართულ მითოლოგიაში მამაკაცად აღიქმება, მას წმიდა გიორგის არქეტიპადაც მოიაზრებენ. მზე ისე ტაბუირებული და მაგიური მოქმედებებით შეზღუდული არ არის, როგორც მთვარე. მთვარის გუნება ცვალებადია. ხალხური გაგებით, განვითარების ფაზების კვალობაზე, სხვადასხვა თვისებას

ამჟაღავნებს. ამის გამო, საჭიროა სამურნეო და სარწმუნოებრივი მოქმედებების რეგლამენტირება, ტაბუირება. მართლაც, საქართველოში, სხვა ქვეყნებზე არაფერს ვამბობთ, მთვარის მსახურების მთელი კოდექსი არსებობს. ახალ, სავსე ან გადაბრუნებულ მთვარეზე, ბევრი რამ არის აკრძალური [ჩიქოვანი 1971:128]. მაგალითად, ახალი მთვარის დროს, როდესაც მას ნამგლის ფორმა აქვს, იკრძალება მრავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რაც შეიძლება მართლაც იყოს დაკავშირებული ატმოსფეროში მთვარის ფაზებისა და ამდენად, განათების ცვალებადობაზე [მითოლოგიური 1972:272].

აფხაზებსა და ქართველებს (მეგრელებს) ახალი მთვარის გამოჩენისთანავე, აუცილებლად უნდა ელოცათ. ეს კარგად ჩანს ხალხური პოეზიდან: „თუთა ახალი ღორონთი გამახარი ან გამახალი“ (მეგრული ნიმუში) – „მთვარე ახალო, ღმერთო შენ გამახარე ან განმახლე“. როცა აფხაზები ახალ მთვარეს დაინახავდნენ, – წმიდა ოქროს ბეჭედს, ფოლადის ნაჭერს, სარკეს ან მინის ნატეს, თუ ვერცხლის ფულს აჩვენებდნენ. ამ მოქმედებას მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ამის შემდეგ, ახალი მთვარის მიღევამდე მათი ცხოვრება წმიდა და უგანსაცდელო იქნებოდა. ამ დროს, მთავარეს ასე მიმართავდნენ: „ახალო მთვარევ, ახალო მთვარევ, შენი თვალის დანახვას ვეხარებინოთ“ [ზუბა 1988:147].

აფხაზებში, ბავშვთა დავადებას, როგორიც არის ბნელა, ავი ზნე – „ამზაკრა“ ეწოდება და ე. წ. მთვარის დაჭერილს ნიშნავს. ამიტომ, ახალი მთავარის დანახვაზე, ბავშვს შეხედავდნენ და ამბობდნენ: მთვარესავით ნათელი ყოფილიყავით [ჩურსინი 1957:149]. მეგრელების ანიმის-ტურმა შეხედულებებმა ორშაბათი მთვარის დღედ (მეგრ. თუთაშხა, თუთა – მთვარე) დაადგინა და თავისებური აკ-

რძალვებიც დაუწესა. მაგალითად, მოგზაურობა, ექიმთან წასვლა, ან საფლავზე გასვლა ამ დღეს მიზანშეწონილი არ არის. უფრო მეტი, კათოლიკე მისიონერის ცნობით, მეგრელებს ისე ეშინიათ მთვარის, რომ არც ეშმაკის, არც წმიდანების... არც თვით ღმერთის იმდენად არ ეშინიათ. სწამთ, როგორც სარწმუნოების სიმბოლო. მთვარისაგან არის დამოკიდებული ყოველივე, მათი ბედი და უბედობა. ერთი სიტყვით, ყველა სახის გაჭირვებისაგან შველას და დახმარებას მთვარეს შესთხოვდნენ [ლამბერტი 1938:147]. მოგვიანებით, მთვარეს წმიდა გიორგი ჩაენაცვლა და მისი მრავალფუნქციური დანიშნულება იტვირთა.

ხალხურ ცნობიერებას არც ვარსკვლავები დაუტოვებია უფუნქციოდ. ცხადია, მნათობებზე სხვადასხვა ხალხთა წარმოდგენები ძლიერ მსგავსებას ამჟაღანებებს ერთმანეთთან. არც აფხაზების და ქართველების მსოფლმხედველობა არის გამონაკლისი. მათი მითოლოგიური შეხედულებით, ადამიანი, როგორც კი დაიბადება, ცაზე მისი სახელობის ვარსკვლავი გაჩნდება. ყველას ყავს ასეთი ვარსკვლავი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ იშლება, ქრება. აქედან მოდის მეგრული წყევლის სტერეოტიპი – „სი სახელი მოლასირი“ (შენ სახელწამლილო). აფხაზის რწმენით, ადამიანის სიკვდილისას, მისი კუთვნილი ვარსკვლავი ჩამოვარდება. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, აფხაზი იტყოდა ხოლმე: ჩემი ვარსკვლავი იქ არის, არ ჩამოვარდილა, მე არ მოვკვდებიო. ხოლო კახელებს სწამდათ, რომ ვარსკვლავის ჩამოვარდნისას, სამჯერ უნდა თქვა: შენ წადი, მე კი დავრჩებიო [ჩურსინი 1957:155]. ნიშანდობლივია იმაზე შეჩერება, რომ ირმის ნახტომის თანავარსკვლავედს, რუსები „მლეჩნიი პუტს“ ეძახიან, აფხაზები – „ბატქნის გზას“, „საქონლის გზას“, „მთაში სავალ გზას“ უწოდებენ. ძველად თურმე, აფხაზები იმის მიხედვით

არკვევდნენ საქონლის მთაში გარეკვისა და მთიდან დაბრუნების დროის დადგომას, თუ საით ჰქონდა მიმართული „თავი“ ირმის ნახტომს [ზუხბა 1988:150].

არანაკლებ საინტერესოა მითოლოგიური წარმოდგენა, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანს დაბადებიდან შუბლზე ეწერება, თუ რამდენ ხანს როგორი ცხოვრებით იცხოვრებს და რა სახის ავადმყოფობით გარდაიცვალება. ამასაც თავისი სტერეოტიპი გააჩნია: მეგრულად – „სივაჭარე“ (შენ შუბლნაწერიანო). ასეთი შუბლნაწერიანი ადამიანი ამ ქვეყნად თავისი კუთვნილი ცხოვრებით იცხოვრებს, ე. ი. ზიფათისა და ფათერაკისგან დაზღვეულია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ შუბლზე ნაწერი. ასეთ ადამიანებს „უვაიჭარეს“ (ქართულად – შუბლუწარწეროს) უწოდებს და ისინი თავისი დღით არ კვდებიან [ცანავა 1990:41]. გვაგონდება ბედისმწერალი – ზებუნებრივი ძალა, რომელიც ბედს, იღბალს, ხვედრს თითქოს წინასწარ განსაზღვრავს. ამიტომ, ქართული ენის ლექსიკაში უხვად გვაქვს ფრაზები, როგორიც არის ბედშავი, ბედკრული, ბედუკულმართი, ბედნიერი. აგრეთვე, რიტუალი, თუ სარიტუალო სიმბოლოები: ბედობა, ბედისკვერი, ებედება და მისთანა. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ადამიანებისა და ღმერთების ხვედრიც კი დამოკიდებულია ბედის ქალღმერთებზე – მოიარებზე. შეხედულება ბედის, როგორც ღვთაებრივი წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ დამახასიათებელია ყველა თანამედროვე რელიგიისათვის (ფატალიზმი) [ფილოსოფიური 1987:65]. ისლამში ბედის იდენტური დატვირთვა აქვს იღბალს, ყისმათს. ქრისტიანობაში კი, ბედი გამოდის ღვთაებრივი განგების, გამჩნის, დამბადებლის უმაღლესი ძალის სახით. წარმართული შეხედულებებით, ბედი გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევის გამოხატვა კი არ არის, არამედ წინასწარ განსაზღვრული

კანონზომიერებაა, რომელსაც ზებუნებრივი ძალა მართავს. ასეთი მსოფლმხედველობა პქონდათ ჩვენ წინაპრებსაც.

სახელდობრ, როდესაც საქართველოს პირველმა მეფემ, ფარნაოზმა ისიძა ეგრისის მმართველი ქუჯი, თავისი და მიათხოვა რა, ეგრისის სატახტო ქალაქს სახელად ბედია დაერქვა. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, თვით ქუჯმა დაარქვა ბედია, თითქოს იმისათვის, რომ მან აქ თავისი ბედი პპოვა, ე. ი. ფარნაოზ მეფის სიძობით გაბეჭინერდა... „ამას შემდგომ უწოდეს ბედია; რომელი დასუა მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთსა; ვინაითგან პპოვა ბედი“ [ბატონიშვილი 1973:780]. მოგვიანებით, ბედია პოლიტიკურ ერთეულად, – საბედიანოდ იქცა. სახელწოდება აქამდე შემორჩა სოფელ ბედიას და უკვე ნანგრევებად ქცეულ ბედის ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს, რომელიც თანამედროვე აფხაზეთში, გალის რაიონში მდებარეობს. ბედის მცნება არაერთხელ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“. მაგალითად, „გამოუჩნდეთ ჩვენ მტრად აზონ ერისთავს და ჩვენმა ბედმა მოგვცეს ჩვენ კარგი გამარჯვება... ვმადლობთ ჩვენს ბედს, რომ მოგვცა ჩვენ მეფე ჩვენი მამების ჩამომავალთაგან (იგულისხმება ფარნაოზ მეფე) და მოგვიხსნა უცხო ხალხებისაგან ხარკი და ჭირი“... „ფარსმან ქველი გავიდა საომრად სპარსელების წინააღმდეგ და მისცა მისმა ბედმა ძლევა: გააქცია მათი რაზმი და ამოწყვიტა ურიცხვი“ [ქართლის 2011:22; 47]. „სვებედნიერ თამარს თავის ზენაარ ბედს მინდობილი სული პქონდა“ და ა. შ. [ქართლის 2012:32]. ბედი, იღბალი დღესაც აქტუალურია ჩვენ სინამდვილეში, განსაკუთრებით საბედისწერო, ტრაგიკულ შემთხვევებს ხალხური მსოფლმხედველობა ბედით, თუ უბედობით უძებნის ახსნას. ადამიანის მიწიერი ცხოვრება სავსეა ფათერაკებით, განსაცდელებით, სნეულებებით და გარდაცვალების გარდაუვა-

ლი კანონზომიერებით... ამიტომ, მათ ასაცილებლად, ან მიყენებული ზარალის შესამსუბუქებლად, ხალხური მითო-შემოქმედება ზეციდან ელოდა ხსნასა და წყალობას, რო-მელმაც მდიდარი რწმენა-წარმოდგენათა სისტემა შექმნა. მათ შორის, აფხაზთა ზოგიერთი გვარის ყოველწლიური ცისარტყელას სალოცავი იქცევს ყურადღებას. ასე, მაგა-ლითად, თუ კაცი დიდხანს მოყვითალო ფერის არის, ძალა და სასიათი აკლია, ეს აფხაზის აზრით, „ზეცას რომ აკრავს“ ცისარტყელას ბრალია, ვინაიდან ავადმყოფი კაცი წყალში ჩასულა იმ დროს, როდესაც ცისარტყელა წყალს სვამდა და მაშინ გამწიკვლოვანებულა. სალოცავს წყალთან ასრულებენ და წყლის სალოცავსაც აერთიანებს [გიორგაძე (ჭარაა) 2011:74]. ამავე მნიშვნელობის არის, ერთი შე-ხედვით უჩვეულო, მარტივი ქმედება, რომელსაც საკრა-ლური ფუნქცია აქვს. კერძოდ, აფხაზები, მეტადრე ქალები, ამბობენ: „შენ შემოგევლოს ჩემი თავი, რა ადგილზედაც დგახარ, იმ ადგილს შემოვევლე (შეად. იდენტური მეგრუ-ლი სტერეოტიპი – სოდე გერექნ თექი ქუგორლუაფუდა). აფხაზი ქალი დიდი ხნის უნახავს, ან ავადმყოფ გაზ-რდილს, გარს უვლის სამჯერ ამ სიტყვებით: შენი ავი, შენი ფათერაკი მე წამეღოს“. აფხაზის რწმენით, ამ გარ-შემოვლის დროს, ნამდვილად გადაედება კაცს მისი ავი და ფათერაკი, რასაც გარს უვლის [გიორგაძე (ჭარაა) 2011:21]. ამავე მიზნით, თავზე ხელის შემოვლება სამეგრე-ლოშიც მიღებულ ქმედებას წარმოადგენს, რომელსაც დღე-საც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ასეთივე ფუნქციური და ტიპოლოგიური მსგავსება არის მეგრული „გალენიში ორთა“-სა – გარეთ მყოფთა ორთასა და აფხაზურ „ად-ვინიქოუს“ (სახლს, ოჯახს, გარეთ მყოფთა), ანუ წინა-პართა, ან ახალგარდაცვლილ ნათესავთა სულებთან დაკავ-შირებულ მსხვერპლშეწირვას შორის. სულებზე მზრუნვე-

ლობას მორალური ზემოქმედების ფუნქცია ჰქონდა. ისინი, თითქოს რაიმე უკამაყოფილების გამო უწყრებიან ცოცხლებს, ამიტომ შეიძლება ადამიანი, ან საქონელი დაავადონ. თუ გამწყრალი სული საკლავით არ დაკმაყოფილდა, სნეულ ადამიანს სიცოცხლე არ უწერია. წინაპართა რწმენაში ყურადღებას იქცევს საკლავის, ან ყვერულის ავადმყოფის თავზე შემოვლება, რომელიც ავადმყოფის ნაცვლად უნდა მომკვდარიყო, ყოველ შემთხვევაში, მისი ხორცის ჭამა იკრძალებოდა [ანთელავა 2012:50]. უძველეს ეპოქაში გამუდავნებული ანიმისტური და მაგიური შეხედულებები სახეშეცვლილი ფორმით დღესაც განაგრძობენ არსებობას და მათ ყოველთვის ეყოლება მიმდევარი, ვინაიდან უკვე ტრადიციის ძალა ამოძრავებთ. სახელდობრ, ჩვენ დრომდე განაგრძობს არსებობას უჩვეულო მსოფლმხედველობა იმის თაობაზე, რომ წყალში დამხრჩვალი, ან ტრაგიკული მიზეზებით უცხო მხარეში გარდაცვლილის სული, აფხაზთა რწმენით, მის ცხედარს უნდა „შეუერთდეს“ [ანთელავა 2012:142-143]. მსგავსი დამოკიდებულება სვანებმაც შემოინახეს. წყალში დამხრჩვალის სულის ცხედართან ერთად საფლავში ჩაშვება, თითქოს მხოლოდ XIX საუკუნეში მოქმედებდა [ჩურსინი 1957:194], თუმცა, ჩვენ რეალობაში ცალკეულ შემთხვევებს (განსაკუთრებით, აფხაზეთის ომის შემდეგ) ჰქონდა ადგილი, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორიც შესწრებია. სამყაროს ცვალებადობის სწორუპოვარმა კანონზომიერებამ ზოგი რამ დავიწყებას მისცა, მაგრამ ყოველი ერის რელიგიის ორი უმთავრესი და უდიდებულესი მუხლი იმაში მდგომარეობს, რომ სულის უკვდავების სწამს, როგორც ხორცისგან განსხვავებული არსებისა და შესაბამისად, ღვთის ყოფნა-არსებობისაც [გიორგიძე (ჭარაია) 2011:56]. გარდა ამისა, ძველად ადამიანები თავს სამყაროს განუყოფელ ნაწილად შეიგ-

რძნობდნენ და მათი ცხოვრებაც უშუალოდ უკავშირდებოდა მთელი სამყაროს წრე-ბრუნვას. რაც კი ამქვეყნად გააჩნდათ, ყველაფერი ღვთაებების ბოძებულად წარმოედგინათ და ღვთაებათა სურვილით ეძლეოდათ როგორც სიკეთე, ისე სიძნელეები. მათი წარმოდგენით, სამყაროში ყველაფერს თავისი გამრიგე ღვთაება ყავდა, მათ შორის ავადმყოფებსაც [სიხარულიძე 2006:59]. ავადმყოფობის გამომწვევი მიზანების გარკვევისა და მოსალოდნელი სიკვდილის აცილების მიზნით, მათი მფარველი ღვთაებების გულის მოგებას ცდილობდნენ და ხშირ შემთხვევაში, მიზანსაც აღწევდნენ, რაც მათი რწმენისათვის ჯილდოს წარმოადგენდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ავადმყოფს არ წამლობდნენ, ისინი ფიქრობდნენ, რომ სამკურნალო საშუალებები ეფუქტური არ იქნებოდა, თუ ღვთაებას არ მოიმადლიერებდნენ... ამიტომ, ინფუქციურ დაავადებებს ფშავხევსურეთში „ღვთის ვალი“ დაერქვა [სიხარულიძე 2006:60-61]. ყველანაირ დაავადებას აფხაზები ზებუნებრივ ძალას – ღვთაებას მიაწერდნენ. ზოგიერთ დაავადებას როგორლაც თავისი საგანგებო ღვთაება ჰყავდა. ასეთ ინფუქციურ დაავადებათა მფარველი ღვთაება „ზოსხანი/ახილ ზოსხანი“ და მისი მეუღლე თეთრი ხანია; დროდადრო ისინი სოფელში სახედრით მოგზაურობდნენ და ადამიანებს ყვავილებს აყრიდნენ [ანთელავა 2012:65]. ამ დროს, წამლის მიღებას ერიდებოდნენ, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ეს ღვთაებებს განარისხებდა და სნეულებასაც გაართულებდა. გ. ჩურსინი მართალია იმაში, რომ აფხაზები, მათ თურქეთში გადასახლებამდე, „წმიდა სნეულებას“ არ იცნობდნენ [ჩურსინი 1957:209-210]. ე. წ. „ბატონების“ (წითელა და მისთანა) ეპიდემია უფრო ხშირად, საქართველოში ოსმალეთიდან შემოდიოდა მეზღვაურთა საშუალებით, რომლებიც ადგილობრივებთან ვაჭრობას აწარმოებდნენ. საქარ-

თველოს დასავლეთი პროვინციებიდან, სამეგრელო ყვავილების მსხვერპლად და „ბატონების“ გავრცელების კერად იქცა. ამიტომ, ამ სწორების მოვლისა და განკურნების წესები, ყველაზე სრულყოფილად ამ მხარემ შემოინახა [სახოკია 1956:26]. ასევე, გვაგონდება ყვავილბატონიანი ავადმყოფის საშეღავათოდ შექმნილი გურული ხალხური სიმღერა – „მოუოხეთ ბატონებო“ [ქართული 1991:551]. ძველად ყვავილის გამოჩენა შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას, ვინაიდან ავადმყოფობა სწრაფად ვრცელდებოდა და აცარიელებდა სოფლებს. „რჩევით ხოცავს ხალხსაო არის ნათქეამი ახალ კახურ ჩანაწერში. თუშეთის მასალის მიხედვითაც, წარმართული რწმენის თანახმად, ყვავილთბატონი ცაში ცხოვრობს „ღვთის იასაული“ არის და ნარჩევ ახალგაზრდობას ეტანება [ქართული 1973:360]. ყვავილის სახადი სამკურნალო რიტუალები უხვად მოიძებნება ქართულ ფოლკლორში. ამის შესახებ 1903 წ. თედო სახოკიამ პარიზის საანთროპოლოგო საზოგადოების წინაშე მოხსენება – „ყვავილ-ბატონები საქართველოში,“ წაიკითხა, რომელმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. კერძოდ, ქართველებსაც ავადმყოფობანი წარმოდგენილი ჰქონიათ როგორც სულები. ასე იყო შუა საუკუნეების ევროპაში და დარჩა კიდეც ზოგიერთ მხარეში, სახელდობრ, სლავიანებში. ადრე, ასეთი წარმოდგენა მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული, მაგრამ ჩვენ არ ვიცით სხვა მაგალითი ეპიდემიურ სენთა, რომელიც ადამიანის არა მარტო სახედ, არამედ ღვთაებადაც ჰყავდათ წარმოდგენილი; რომელსაც ეფერებიან და მათი გულის მოგებას ცდილობენ [სახოკია 1956:23].

ხევსურების მსგავსად, რომლებიც ინფექციურ დაავადებას „ღვთის ვალად“ მიიჩნევდნენ, აფხაზებისთვისაც დაავადება ზოგადად, ღვთაების ან წინაპართა სულების წინაშე

ჩადენილი ბრალის, დანაშაულის გამოსყიდვას ნიშნავდა, რომელსაც სიწმინდის წესების დაცვით, აკრძალვებით ცდილობდნენ [ჯანაშია 1960:76]. ამ მისტიკური აკრძალვების დარღვევას სნეულის დასჯა, ე. ი. მისი მდგომარეობის გაუარესება, ზოგიერთ შემთხვევაში, სიკვდილიც მოყვებოდა. რაოდენ საკირველიც არ უნდა იყოს, დღესაც არიან ისეთები, რომლებიც ამა თუ იმ რჩეული ადამიანის ტრაგიკულ აღსასრულს სწორედ ზებუნებრივი ძალის რის-ხვას მიაწერენ და სხვებსაც შთააგონებენ ტრადიციის განუხრელ მიღევნებას. შავი ბატონები (წითელი – წითელა, თეთრი – ყვავილი – ბატონები) განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. აფხაზეთში ჩაწერილი ახალი მასალის მიხედვით, გზაზე შეხვედრილმა ბატონებმა ერთ-ერთ გამორჩეულ ახალგაზრდას, წელიწადნახევრის მანძილზე მკაცრად მოჰკიდა ხელი. დიდი მონდომებით გააცილა ბატონები და ამ პირმა თავის საქმეებზე შორეულ მხარეში იმოგზაურა. როგორც მკითხავებისგან გაარკვიეს, თურმე, სამი წლის მანძილზე ნება არ ჰქონდა სახლიდან შორს წასულიყო. ასეთ ოვითნებობას მისი უგზო-უკვლოდ გადაკარგვა მოჰკვდა. მკითხავები ახლობლებს არწმუნებდნენ ცოცხალია, დაბრუნდებაო, ბატონებს ჰყავთ შეჩერებული, სასჯელს იხდისო. ამაო ლოდინსა და იმედგაცრუებაში ოცდათი წელი მიიწურა. მას კეთილსინდისიერ და უკეთილშობილეს ადამიანად იცნობდნენ. მნელია რამე სანუგეშო ითქვას, გარდა იმისა, რომ თავდაპირველად ბატონებისგან იყო ავად, განიკურნა და ჩვეულებრივ მოგზაურობაში წასული შინ აღარ დაბრუნებულა [კვაშილავა 2000:4].

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ქვეყნად უწმინდური, უხილავი, უჩინარი ძალები არსებობენ. ჩვენ წინაპრებს ისინი ტყის კაცებად, წყლის ალად, ჭინკად, მაცდუ-

რად და სხვა მავნე სულებად დაუდგენიათ. მაგალითად, ე.წ. ტყის კაცი (აფხაზურად აბნაყაიუ) ძველად მრავლად ბინადრობდა აფხაზეთის ტყებში და ისინი ადამიანებმა გაწყვიტესო. ტყის კაცი (ოჩოკოჩი მეგრულად), ყველაზე ავი და მოსარიდებელი სული ყოფილა. ამგვარ მითოლოგიურ პერსონაჟად გვევლინება წყლის მფარველი ავსული (მეგრულად, წყარიშ დიდა – წყლის დედა). სამეგრელოში ჩაწერილი მასალების მიხედვით, წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში დღესაც ცოცხალია ქალი, რომელიც ხალხის ვარაუდით, წყლის დედის მიერ არის შეშლილი. ქალი გრძელობიანი ყოფილა და ღელის ნაპირზე თავს იბანდა. შემოაღამდა და სიავის მოლოდინში აჩქარებულს, ზოგიერთი პირადი ნივთი, აგრეთვე, ჩამოვარცხნილი თმები მდინარის ნაპირას დარჩა. დილით, რომ მიაკითხეს, აღნიშნულ ადგილზე არაფერი აღმოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ, ქალი ჭკუიდან შეიშალა. ასევე, მიანიშნებენ ახალგაზრდა მამაკაცზე, რომელიც მარტოდმარტო, მთვარიან ღამეს გვიანობამდე იღებდა სიმინდის მოსავალს. ნაკვეთი ტყესთან ახლოს, მდინარის პირას მდებარეობდა. მეორე დღეს, აღნიშნული პირი უჩვეულოდ იქცეოდა, ხმას არავის სცემდა. მოგვიანებით, კიდევაც გაგიჟდა. თანასოფლელები ირწმუნებიან, ასეთ უცნაურ შემთხვევებს, წყლის დედის ავი საქმიანობა განაპირობებსო [კვაშილავა 2000:7]. წყალი, წყაროები, როგორც მაცოცხლებელი საშუალება, სათუთ მოვლას იმსახურებს, მაგრამ ზოგჯერ მითებისა და ლეგენდების ობიექტიც ხდება. ბოლო დრომდე აფხაზებს ალის – ძინძლანის არსებობა იმდენად სწამდათ, რომ მის სახელზე ლოცულობდნენ, ხელს ნუ შეგვიშლი, წყალობა მოგვეციო. განსაკუთრებით ახალ პატარძლებს ალოცინებდნენ, რომ ალი მათ არ გადაჰკიდებოდა. ამ ლოცვას „პატარძლის წყალზე გაყვანა“ („წყალში მყოფის ლოცვა“)

ეწოდებოდა [ზუხბა 1988:193]. წყლის კულტი გავრცელებულია სვანეთშიც. აქ წყლის დედა არ იციან, მაგრამ არის წყლის შელოცვა, კურთხევა [გელოვანი 1983:645; 553].

აფხაზთა რწმენით, წყლის დედა განსაკუთრებით ქალებს ემტერებოდა და ხშირად ფსიქიკურ შეშლილობამდე მიჰყავდა მსხვერპლი. ადამიანის ჭკუიდან გადაყვანა, ჭინკებსაც ეხერხებათ, რომელსაც თ. სახოკია მესამე სახის ავსულებად მიიჩნევდა [სახოკია 1959:11]. მასხარა ჭინკა თუ ადამიანს შეეფეთებოდა, სახელის დაძახებით და გამასხარავებით მანამ არ მოეშვებოდა, სანამ არ შეიშლებოდა. მთხრობელთა თქმით, საგანგებოდ იყო ცნობილი ისეთი (ჭაობები, მღვიმები), ხშირად ყრუ და დაუსახლებელი ადგილები, რომელიც ჭინკების სამყოფელად ითვლებოდა.

გადმოცემები მათ შესახებ რეალობის პრეტენზიულობით არის გაჯერებული. მაგალითად, აფხაზეთის სოფელ ილორის მცხოვრებლებმა გადმოცემით იციან, თუ მდინარე ლალიძგის სანაპიროებზე ჭინკები ღამით როგორ აჭერებდნენ ცხენებს. ფაფარდაწნული ცხენების პატრონები მათ თანასოფლელებს თამამად უჩვენებდნენ ჭინკების ხელში ჩავარდნილი ცხოველის უჩვეულო ფაფარს [კვაშილავა 2000:3] და ა. შ. ჭინკა აცლუნებს და ახრჩობს ადამიანებს, უპირატესად ბავშვებს, ამიტომ სულხან-საბას ლექსიკონში განმარტებულია – როგორც (ჭიმკა) – მაცდური, ქაჯი, ჰაერის მცველი [ორბელიანი 1993:466]. „ესე არიან ეშ-მაკნი, ოდეს მოითხოვეს უბოროტესნი ჯოჯოხეთად შთახდენ და უდარესნი ჰაერთა შინა დაშთენ, რომელნი მუნცა იტანჯებიან. მათგან არს საოცრებათა ჩვენება და ფეთება, ღამე კაცთა მრავალსახედ ჩვენება, სახლთა და ცხენთა დაუფლება, ქვათა სროლა, ნაკლულის ჭურის აღვსება და ეგევითარნი“ [ორბელიანი 1993:466].

თ. სახოკიას მოსწრებულ ფრაზას თუ მოვიშველი-ებთ, მეგრელს თითქოს არ ჰყოფნის ჩამოთვლილი ავსულები და მათ მიყენებული ზარალი. მან ბოროტმოქმედების იარაღით აღჭურვა თავისივე მსაგავსი ადამიანი, რომელსაც თვალცემულობის ძალით შეუძლია გააქროს ყველა და ყოველივე, რასაც სილამაზე და ბედნიერება უკავშირდება [სახოკია 1956:18]. მზაკვარი, გრძნეული, ჯადოქარი არა მხოლოდ მეგრელების, არამედ მრავალი ხალხის მითოლოგის განუყრელი პერსონაჟია. მავნე თვალის, შურიანი კაცი ან ქალი, რომელსაც ეშმაკად, მაცილად, ან ავსულად მიიჩნევდნენ, უკანასკნელ ხანებამდე, თითქმის ყველა აფხაზურ სოფელში ცხოვრობდა. მათ შესახებ გავრცელებული იყო სხვადასხვაგვარი მითები, რომელთა მიხედვით მათ მხოლოდ ზიანის მიყენება შეეძლოთ და ამიტომ ავსული უნდა გაეძევებინათ. საამისოდ, ყოველი წლის 12 აგვისტოს ჭიაკოკონობას (აფხაზურად, აბარბანჯიას) აწყობდნენ. ეზოში ცეცხლს ანთებდნენ, ზედ ახტებოდნენ, აქაოდა, ჩვენ ეშმაკებს ამ ცეცხლში ვწვავთო [ზუხბა 1988:197].

ძველად ადამიანები ყოველგვარ ბუნებრივ მოვლენას, რომლის ახსნა მათ არ შეეძლოთ, ავსულებს მიაწერდნენ. მართლაც, ადამიანთა ცხოვრება და სამყარო აღსავსეა ბოროტი არსებებით. თუმცა, მითების წარმოშობას სხვადასხვა საფუძველი ჰქონდა. მაგალითად, მზაკვართა შესახებ სამეგრელოში ველზე ჩაწერილი მასალა ასეთია: ოჯახის დიასახლისმა ადრე გაზაფხულზე, საუკეთესო ჯიშის ნასათუთები წიწილები, ეზოში გაუშვა. ამ დროს, მეზობელი სოფლის ნაცნობმა ქალმა გამოიარა და გაკვირვებით იკითხა ეს ამდენი წიწილა ვისიაო. დიასახლისს არ ესია-მოვნა და მკვახედ მიუგო – სხვისას ჩემს ეზოში რა უნდა, ჩვენიაო. ასე დაშორდნენ ერთმანეთს. იმ დამესვე სად იყო

და სად არა, ვირთხამ ყველა მიახრჩო, ზოგი მიირთვა და მეორე დილით არც ერთი წიწილა ცოცხალი აღარ იყო. ის ქალი მზაკვარია, ასე უნდა გაიცნოს სოფელშა, ამბობდა გაბრაზებული დიასახლისი [კვაშილავა 2000:6]. არ არის ისეთი აფხაზური სოფელი, სადაც ერთი-ორი ასეთი, ან სხვაგვარი მითი (აფხაზურად, აუვაბაჟ) არ გიამბონ. როგორც ს. ზუხბა სამართლიანად აღნიშნავდა, იშვიათად თუ შეგხვდება კაცი ისეთ მთქმელს, ვისაც ასეთი მითების ნამდვილად სჯერა. მას ხუმრობით, ან სხვა მიზნით ჰყვებიან... არც ერთი მთქმელი არ იტყვის აღს, ეშმაკს, ან სხვა ზებუნებრივ არსებას გადავეყარეო, პირადად ვნახეო. ისინი ასეთ არსებათა მნახველად მუდამ სხვას (მთქმელის მამას, ბიძას, მეზობელს, ან ნაცნობს) ასახელებენ. თუმცა, გარკვევით და კონკრეტულად მიუთითებენ ზებუნებრივ არსებათა მნახველის გვარს, სახელსა და სადაურობას [ზუხბა 1988:192]. მეცნიერება მითებს მხოლოდ რეალობის დადგენის მიზნით აკრიტიკებს, თუ არა, როგორც ზ. კიპნაძე წერს, ტრადიციულ საზოგადოებაში მითოლოგიური გადმოცემა, რაც არ უნდა ფანტასტიკური იყოს მისი შინაარსი, ნამდვილად მომხდარ ამბად არის აღქმული. ეს ასეა არა ამ საზოგადოების პრიმიტიული შეგნების გამო, თითქოს ადამიანი ვერ ასხვავებდეს ერთმანეთისაგან რეალურსა და არარეალურს, არამედ იმ მნიშვნელოვანი ვითარების გამო, რომ ერთხელ მას „უამთა“ შექმნილი და თაობათა მეხსიერებაში შენახული, გამოტარებული სიტყვიერი ტექსტი უტყუარობის ნიშანს აღიბეჭდავს და საკრალური ავტორიტეტით იმოსება, რაკი მას რჯულის, ამ ცნების ფართო გაგებით, დამაფუძნებელი ფუნქცია დაეკისრება... „ტრადიციული საზოგადოების შეგნებაში, მითოლოგიური გადმოცემა, საზოგადოდ მითოსი, არა უბრალო თავშესაქცევ ამბავს, რასმე ან რაიმე მოვლენის მხატვრულ წარ-

მოსახვას, თუ ინტელექტუალურ ახსნას წარმოადგენს, არამედ მამა-პაპური რწმენისა და ზნეობრივი სიბრძნის სახელმძღვანელო წეს-დებულებას, რომელიც აწესრიგებს და წარმართავს საზოგადოების ყოფა-ცხოვრების ყოველ სფეროს“ [კივნაძე 1985:3-4].

ნაშრომის მიზანს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განუყოფლობა შეადგენს, რომელიც ცხადია, მითი არ არის. არაკეთილი ნების ადამიანებმა შესაძლოა, იგი მითოლო-გემადაც მიიჩნიონ, ამას ხელს უეჭველად იმ მამა-პაპური ერთობლივი რწმენის წესდებულება შეუშლის, რომელიც სამყაროს წრე-ბრუნვას მუდამ უხმაუროდ აწესრიგებს და სასიკეთოდ წარმართავს.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

ანთელავა 2017 – ანთელავა ნ., კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბ., 2017.

ვალერი 1983 – ვალერი პ., რჩეული პროზა, თბ., 1983.

გელოვანი 1983 – გელოვანი აკ., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.

ჩიქოვანი 1971 – ჩიქოვანი მ., ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.

ბერძნიშვილი 1990 – ბერძნიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

ბახია-ოქრუაშვილი 2010 – ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010.

ბერულავა 1951 – ბერულავა კ., აფხაზთა ისტორიული ადგილები, თბ., 1951.

მითოლოგიური 1971 – მითოლოგიური ლექსიკონი (შეადგინა ნ. გაფრინდაშვილმა), თბ., 1971.

ინალ-იფა 1965 – - .. , , 1965.

ინალ-იფა 1974 – - ..

« » - , დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები., სოხ, 1974.

ალიბეგაშვილი 1992 – ალიბეგაშვილი გ., ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, თბ., 1992.

ჯანაშია 1960 – ..  
, .., 1960.

ზუბბა 1988 – ზუბბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988.

ჩურსინი 1957 – ..  
, .., 1957.

ლამბერტი 1938 – ლამბერტი არქ., სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.

ცანავა 1990 – ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1987.

ფილოსოფიური 1987 – ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987.

ბატონიშვილი 1973 ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

ქართლის 2011 – ქართლის ცხოვრება, ლეონტი მროველი (რედაქტორი დეკანოზი მ. ჭანტურია), ტ. I, თბ., 2011.

ქართლის 2012 – ქართლის ცხოვრება, ცხოვრება წმინდა მეფე თამარისი, (რედაქტორი დეკანოზი მ. ჭანტურია), ტ. III, თბ., 2012.

გიორგაძე (ჭარაია) 2011 – გიორგაძე (ჭარაია) პ., აფხაზეთი და აფხაზნი, თბ., 2011.

ანთელავა – 2012 – ანთელავა ნ., აფხაზური მითები და რიტუალები, თბ., 2012.

სიხარულიძე 2006 – სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006.

სახოკია 1956 – სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.

ქართული 1991 – ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), ტ. II, 1992.

ქართული 1973 – ქართული ხალხური პოეზია, წ. II, თბ., 1973.

კვაშილავა 2000 – კვაშილავა ი., საველე მასალები, 1996-2000.

ორბელიანი 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.

კიკნაძე 1985 – კიკნაძე ზ., მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985.

# **PARALLELS BETWEEN THE MYTHOLOGY OF GEORGIA AND ABKHAZIA**

## **Summary**

Myths are closely connected to the interests, feelings, experience and beliefs that were characterized in the earlier stage of development of these two nations. The thesis describes mythological characters, types and rituals which reflects cohabitation and mutual creative development process of these two brotherly nations. These includes: cosmological beliefs, cattle worshipping, demonic characters, beliefs about the kingdom come, secral abstractions and old traditional rules which arranged the everyday life of the society.

## ფარმართული ფესტივალები სამურზაყანოში

წარმართობა – ბუნებითი რელიგია,  
ბუნებითი რჯული (რომ. 2,14)

წარმართული რწმენა-წარმოდგენები ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამურზაყანოში, რაც განსაკუთრებით XIX ს. პერიოდულ პრესაში აისახა. სხვადასხვა მნიშვნელობის სალოცავების არსებობას ხალხი დღესაც არ ივიწყებს, ვინაიდან წეს-ჩვეულებას ხალხი ქმნის, დროის მოთხოვნილების მიხედვით, მასში ცვლილებები შეაქვს და მანამ ინახავს, სანამ მას საზოგადოებრივი ფუნქცია აქვს, ხოლო როცა წეს-ჩვეულება ამ ფუნქციას დაკარგავს, იგი ზედმეტი და მიუღებელი ხდება და დავიწყებას ეძლევა [2, გვ. 31].

ეთნოლოგი კ. რუხაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ერის სულიერი კულტურის შესწავლა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით ხერხდება... მიუხედავად ამისა, საუკუნეების წინ შექმნილი დღესასწაულები და ყოფის სხვა რეალიები, რაც ერის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია, ჩვენ თვალწინ ქრება, ჩვენ კი, არ გვაქვს მათი დაცვის სათანადო სრულყოფილი შესაძლებლობა“ [32, გვ. 3].

„მაგრამ იქნებ გეგონოთ, რომ ჩვენ გვსურს ყველა ჩვეულების დაცვა“, – აღნიშნავდა ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი). „არა, ჩვეულებასაც თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს და თუ იგი ხალხის ვინაობის გამომხატველია, და ამასთან, ზნეობით კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოვლად საჭიროა“ [40, გვ. 3]. მ. გორგოშაძის დაკვირვებით, უპირველესად, ამა თუ იმ ხალხის ჩვეულება იძლევა ვინაობას და არა ტრადიცია, რომელიც ადამიანის თავშია მოცემული. ჩვეულება კი, „კაცის გულში იდგამს

ხოლმე ფესვებს“ [15, გვ. 20]. სხვათაშორის, სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებულ ფერს, პიროვნულ ხასიათს, როგორც ყველასათვის საჭიროა მისი პიროვნული თავისებურება, ვინაობა, ისე ხალხისათვის საჭიროა გონივრული ხალხური ჩვეულება. სადაც ასე არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ არც პროგრესია შესაძლებელი [40, გვ. 4]. ქართველთა სარწმუნოების მკვლევრის, ვ. ბარდაველიძის დაკვირვებით, ქართველების მსოფლმხედველობის შემცველი სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთები ეთნოგრაფიულ ყოფასა და ამ ყოფის ამსახველ წერილობით წყაროებში, უმთავრესად რელიგიური სინკრეტიზმის სახით ვლინდება. უნდა ითქვას, რომ ეს გადმონაშთები ყველაზე მეტად ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული. ეს გარემოება უთუოდ იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობა ჩვენში ძლიერ ფეხმოკიდებული რელიგია იყო... ქრისტიანობა და საზოგადოდ, უცხო მხრიდან შემოსული რელიგიები, ხალხურ სარწმუნოებას შედარებით ნაკლებად შეეხო. იგი უფრო ხალხური სარწმუნოების გარეგნულ, სადემონსტრაციო, ყველასათვის თვალსაჩინო მხარეში აისახა [3, გვ. 1]. საქმე იმაშია, რომ საქართველოში ქრისტიანობამ ბოლომდე ვერ დაძლია ხალხური დღესასწაულები, ზოგიერთი წეს-ჩვეულება, ამიტომ სხვა გზა აირჩია — მათთვის ქრისტიანული ელფერის მინიჭება, რაც ბუნებრივი პროცესის შედეგად მოხდა.

სერგი მაკალათიამ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესწავლის საფუძველზე განსაზღვრა, რომ ხალხური ცრუმორწმუნებობა გენეტიკურად დაკავშირებულია ამა თუ იმ სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან... რელიგიის განყენებული დოგმატიკა მდაბიო ხალხისათვის მუდამ გაუგებარი იყო, მხოლოდ მისი გამოსახულების რიტუალი კი, — უფრო თვალსაჩინო და მისაწვდომი [23, გვ. 292]. მისივე

დაკვირვებით, ხალხური რწმენის გასარკვევად საჭიროა ამ რწმენის გამომსახველი კულტისა და რიტუალის გაცნობა, რომელსაც ხალხი ერთგვარი სასოებით ასრულებს. თვით ამ რიტუალს გამოყენებითი დანიშნულება ეძლევა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანისა და მისი მეურნეობის კეთილდღეობას... რწმენის პრიმიტივობა მთის რაჭველებსაც ახასიათებთ და მათი ოჯახები ჯერ კიდევ გარემოცულია კეთილი და ბოროტი სულებით, რომელსაც რაჭველი გლეხი დღესაც ლოცვით მიმართავს [24, გვ. 71].

ნიშანდობლივია რიტუალის, როგორც სიმბოლური მოქმედების დეფინიცია. კერძოდ, რიტუალი, თავისი არსით, ღვთაებრივ ყოფიერებასთან ერთიანობის, მასში თანამონაწილეობის გამომხატველი სიმბოლური მოქმედებაა; საკრალური პირველსახის, ანუ ღვთაებრივი განმეორება და, ამდენად, მრავალშრიანი კულტურული მოვლენა, „შინაგანის“ (უხილავის) და „მიწიერის“, ანუ სოციალური და ბუნებრივი „კოსმოსის“ ერთდღროულად აღმნიშვნელი. სწორედ რწმენა, ანუ ადამიანის სულიერი კავშირი თავის შემქმნელთან, ღმერთთან შინაგანი აუცილებლობის ძალით განაპირობებს ხალხის მიერ გარკვეული ჩვეულებების რეგულარულ და უცვლელ, სტერეოტიპულ განმეორებადობას, მათ თაობიდან თაობაში გადაცემას [37, გვ. 5-6].

საერო ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენციებში ხალხური წეს-ჩვეულებები გამართლებულია. „ბევრი ისეთი ჩვეულებაა დარჩენილი ხალხის ცხოვრებაში, რომლის უწინდელი აზრი და მნიშვნელობა ახლანდელ დროში ჩვენ არ გვესმის, რომელიც თითქმის სასაცილოდ და სამასხროდ მიგვაჩნია, მაგრამ ცოტა რომ დაუკვირდეს კაცი ნახავს, რომ ამ ჩვეულებებს თავის დროში ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ნახავს რომ მათში გამოხატულია ხალხის ცხოვრების პირობები, რომლის ქვეშ და-

უწყია მას თავისი ცხოვრება“ [6]. იდეოლოგიური თვალ-საზრისით, მეტად განსხვავებულია უურნალ „მწყემსის“ კორესპონდენცია. „ჩვენს ხალხში ბევრ ამაოდ მორწმუნეობას და ცუდ ჩვეულებას აქვს ფესვი გადგმული. მდაბიო ხალხი მტკიცედ ასრულებს რომელთაც ცუდი ზემოქმედება აქვთ მათ სარწმუნოებასა და ზნეზე. ამ ამაოდ მორწმუნეობათა შორის, ზოგი ისეთია, რომ კიდეც ვერ წარმოგიდგნია, თუ საიდან შემოიღო ისინი ხალხმა და ან რა მიზნით ასრულებენ, ასეთია გურიაში არაქრისტიანული ჩვეულება, როგორიცაა ყანის მოძახილი“ [26, გვ. 9].

სამეგრელო-სამურზაყანოს მოსახლეობის წეს-ჩვეულებები ახლო ურთიერთობიდან გამომდინარე აფხაზურთან გარკვეული მსგავსებას ავლენენ. სწორედ ამას გულისხმობდა მკვლევარი, როდესაც წერდა, „ჩვეულება არის ისტორიულად ჩამოყალიბებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული, ცხოვრებისეული ვითარებით (სიტუაციით) ნაკარნახევი ქცევათა ისეთი ნორმები და წესები, რომელიც ძირითადად ოჯახში, ყოფა-ცხოვრებაში, თუ ადამიანთა ისეთ ჯგუფებშია გაბატონებული, რომელიც ტერიტორიული მდებარეობით, ისტორიული წარსულით, ენითა და კულტურით ახლოს დგანან ერთმანეთან“ [21, გვ. 6].

სამეგრელოში, ავადმყოფობის დროს, შემწეობას თვით მათგან შექმნილ ღვთაებებში ეძებდნენ, – ანუ დიდ ქვერებში, რომელსაც ხალხის ფიქრით, აქვს ზებუნებრივი ძალა. ასეთ ქვერებს ღვინით აავსებენ და სახელებს უწოდებენ: „საკაპუნო“, „საუცოდნო“, „სახორო“, „სამიქელგაბრიო“, „ოდაბადე“, „საღორონო“, „საწაჩხურო“ და სხვა. შემდგომ, ოჯახის უფროსი ამ ქვერების მოსახდელად მოწიწებით და მეტანით მიდის და ლოცულობს; ლოცვაში იხსენიებს მთელ ოჯახს და სთხოვს მას (ქვერს) მოურჩინოს ავადმყოფი, ჯანმრთელებს სიმრთელე არ დააკლოს.

და შინაური პირუტყვი გაუმრავლოს. საზოგადოდ, ამ ქვევრებს მიაწერენ ყოველ მათ თავგადასავალს! ამიტომ, ამ ქვევრებისადმი მსხვერპლის შეწირვა და ლოცვა, „მოუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ... მაგრამ ეს ამაოდ მორწმუნეობა მეუფის, ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მოძღვრებისა და დარიგების შემდეგ და, ცოტა არ იყოს ღვინის მოსავლის შემცირების მიზეზითაც, შესამჩნევად მოისპო“ [27, გვ. 9].

აფხაზების რელიგიურ შეხედულებათა შესახებ პ. ჭარაია წერდა: „ყველა ავადმყოფობათა შორის, რომელიც აფხაზის აზრით გამოწვეული არიან სხვადასხვა ზეგარდმო მიზეზითა და ბრალით, ანუ სხვადასხვა კეთილ და მავნე მოქმედ არსებათა მიერ, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ის ავადმყოფობა, რომელსაც აფხაზი ღვთის „მიზეზისა“ ან ბრალის შედეგად მიიჩნევს, ხოლო ავადმყოფობის გამომწვევად აღიარება ღვთის ბრალისა ხდება მკითხავის ანუ უკეთ „მელობიეს“ მიერ ლობიოს მარცვლების გადაყრა-გადმოყრის შემდეგ, რომელიც კვერს უკრავს და უხსნის ჭირისუფლებს, თუ რის გამო შებრძანებულა ღმერთი და რა გვარის ლოცვით შეუძლია, თავი გამოიხსნას სიკვდილისაგან... ამ „ბრალის“ გამო აფხაზი ვალად იღებს რომელიმე დღის წმიდად დაცვას, ანუ უქმებას... მეხის დაცემის დროსაც ყოველ წლობით ამგვარ სალოცავს კისრულობს აფხაზი და ყოველ კვირა თითო დღის უქმობას“ [8].

ზეციური ბრალის, ანუ ზენა დიდებულის, მაგალითად: ქუხილის, ელვისა და მეხის ასაცილებლად, ყოველწლიურად, განსაზღვრულ დროს, სამეგრელოს ზოგიერთ სამრევლოში ლოცვა იმართებოდა. უურნალ „მწყემსის“ ფურცლებიდან სამრევლოებს მიმართავდნენ, რათა ხალხი დაეხსნათ ასეთი კერპთაყვანისმცემლობისაგან და უმეცრებისაგან. „სამწყსომ უნდა იცოდეს, რომ ქუხილი, ელვა და

მეხი არის ბუნებრივი მოვლენები და მათი თაყვანისცემა და მსხვერპლის შეწირვა წინააღმდეგია ღვთის მცნებისა“ [31, გვ. 6]. ღვთის საწინააღმდეგო საქმე იყო აგრეთვე, მკითხავების მრავლად არსებობა სამეგრელოში. ძნელად ნახავთ რომელიმე სოფელს, ანუ სოფლის ისეთ საზოგადოებას, რომელშიც არ იყოს მკითხავი და სოფლის ცრუ ექიმი. გაუნათლებელი ხალხი რამე ავადმყოფობის დროს მათ მიმართავდა ხოლმე [30, გვ. 8]. ლოცვის აღსრულების შემდეგ, თუ მორჩა ავადმყოფი, ხომ კარგი, თუ არა, ისევ გარბის ავადმყოფის პატრონი მარჩიელთან, რომელიც აიმედებს, რომ შემცდარა, წმინდა გულით არ შეუწირავს მსხვერპლი და ამიტომ ხელახლა უნდა ხოზოთი ილოცოს (ხოზოს რძით მოხარშულ ყველიან მჭადს ეძახიან). თუ ავადმყოფი მორჩა, ხომ კარგი და თუ გარდაიცვალა, მაშინ დაწესებულ დღემდე არ გაამხელენ და არც იტირებენ [28, გვ. 10].

ასე იქცევიან „ჟინის“ სალოცავის დროს. ჟინი მეგრული სიტყვაა და ქართულად ჰეციურს ნიშნავს.

სამურზაყანოში წარმართულ წეს-ჩვეულებებსა და კულტებს ნაწილობრივი ცვლილება განუცდია. აქ წმიდა გიორგის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რასაც ქრისტიანული რწმენა განაპირობებს. სამურზაყანოში, ხალხის რწმენით, ელვისა და ქუხილის განმკარგულებელი არის წმიდა გიორგი. უზენაესი ღვთაების ჟინის ბრძანებით, ილორის წმიდა გიორგი ამარცხებს ეშმაკს თავისი გაორებული ისრით; სადაც ელვამ დაარტყა, იქ პოულობენ გაორებულ რკინის ისარს. ელვა თუ შინაურ ცხოველს მოკლავს, იგი ფიცარნაგზე უნდა მოათავსონ, თუ ხრამში არ გადაისვრიან, მაშინ ოჯახის წევრი დაავადდება [17, გვ. 115].

სამურზაყანოს მოსახლეობაში გავრცელებული სალო-ცავების შესახებ, თედო სახოკია აღნიშნავდა, „აქაური საქონელი დასაკლავადაც იყოდება კარგი ძალი, განსაკუთ-რებით სალოცავებისათვის. სამურზაყანოში იშვიათად ნა-ხავთ ოჯახსა, რომ წელიწადში სამნაირი სალოცავის სამ-სახური არ ემართოს. თითოეულ მათგანს თითო თავი საკ-ლავი სჭირდება, ახლა ამას მიუმატეთ მკითხავის რჩევით შეწირული საქონელი. ზოგი მოსახლე-მწყემსი წელიწადში 200 მანეთის საკლავს გაჰყიდის“ [33, გვ. 369].

ვალერიან ზუხბაიას ცნობით, ძველად სამურზაყანოში ძირითადი სალოცავები იყო: საღორონთო, საჯვეგო, (წმიდა გიორგის), ოჭკადირე (გაზითა და ჩაქუჩით ლოცულობ-დნენ); წკელი – ვაცით ლოცულობდნენ, ვაცს დაკლავდნენ; სამიქანგარიოს – მამლითა და გოჭით ლოცულობდნენ, იქ-ვე უნდა მდგარიყო ძროხა. ლოცვა ჟინიში – თიკანითა და მოხარშული კვერით (ხოზოკვერი). მთიდან საქონლის ჩა-მოსკლამდე საკლავს დაკლავდნენ, ელარჯსა და ჩემქვას აკეთებდნენ. გვალვისა და წვიმების („ჭოროფას“), შელოც-ვა იცოდნენ „ციმუა“ ხარის დაკვლით და სხვა. იცოდნენ სხვადასხვა შელოცვები... მთელ რიგ სალოცავებში (მაგა-ლითად, ჟინიში, ოჭკადირეში, ოხვამერიში და სხვა) ქა-ლებს უფლება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ [17, გვ. 113].

ხალხურ წარმოდგენაში, მჭედლობასთან დაკავშირე-ბულ წეს-ჩვეულებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აფხაზეთში სამჭედლოსა და მჭედელს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მორწმუნე ქრისტიანებისათვის საყდარსა და მღვდელს – წერდა პ. ჭარაია – და კიდევ მეტი... ვისაც თავის გასამართლებლად ფიცს გაუჩნდნენ, ის სამჭედლო-ში ფიცულობდა (ფიცის მიღების დროს იტყოდა; „ამ ხატის მადლმაო“ და კვერს დაკრავდა გრდემლზე). თუმცა,

კანონით დღეს აკრძალულია, აფხაზი შინაურულად ახლაც ხშირად ლოცულობს სამჭედლოში [10]. მეგრელთა წარმოდგენით, მჭედლი სოფელში საპატიო და ამავე დროს, ისეთ პირად იყო მიჩნეული, რომელიც განგებასთან იყო დაკავშირებული... მას და მის სამჭედლოს ავი ძალები ვერაფერს აკლებდნენ, მჭედლს შეეძლო ურჩები და ავაზაკები გრდემლზე დაერისხა და მათთვის დიდი უბედურება დაეტეხა [20, გვ. 88]. ს. მაკალათიას ცნობით, სამჭედლოში ფიცი და ხატზე გადაცემა იცოდნენ... სამჭედლოს ძველ სამეგრელოში ერთგვარი პატივისცემით ეკიდებოდნენ. „სახეზუჯო მხარის სალოცავია და მას 31 დეკემბერს ასრულებდნენ, განსაკუთრებით მჭედლები, იმ ღამით ისინი „ოჭკადირეშიშ ოხვამერს“ (სამჭედლოს ლოცვას) იხდიდნენ [23, გვ. 322].

საველე მასალების მიხედვით, სამურზაყანოში, ძველი სტილით ახალი წლის პირველ ღამეს ბაბუა ლოცულობდა ლანგარზე დადებული მოხარშული ღორის თავით, ან შემწვარი გოჭით, აგრეთვე, სანთლითა და ღვინით, რაც შემდგომ მიჰქონდა სამჭედლოში, სადაც ინახებოდა გრდემლი, ჩაქუჩი და სხვა ხელსაწყოები. ლოცულობდა ჯანმრთელობისთვის, ადამიანის გამრავლებისათვის. ამ ლოცვას „ხერხუნჯი“ ერქვა. [22, გვ. 10]. სამურზაყანოში მჭედლები თავიანთ მფარველად სამასსამოცდახუთი (წლის დღეების ტოლი) ხელობის ოსტატს, სოლომონს თვლიდნენ. გ. ჩიქოვანის ცნობით, ოდიშში, გადმოცემით, მჭედლობის ხელობის დამაარსებლად წმიდა სოლომონია მიჩნეული [39, გვ. 309]. ხალხში გრდემლს ყოველთვის დიდი მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობიან. მაგალითად, სამურზაყანოში გრდემლს მიიჩნევენ წმიდანად, მას თაყვანს სცემდნენ, ევედრებოდნენ გადარჩენას, ფიცს სდებდნენ, მტერს სწყევლიდნენ [17, გვ. 11].

სამჭედლოს ამ უმნიშვნელოვანესი ნაწილის – გრძემლის აუგად ხსენება აკრძალულია. ლეჩეუმში, სოფელ ცხეპუშერელი ოსტატების გადმოცემით, მას ყოველთვის სუფთად ინახავდნენ. ღამით ტილოს გადააფარებდნენ და ბრძნობის დღეს ხმიადს მიართმევდნენ. როგორც კარის ზღურბლზე, ისე გრძემლზე ჩამოჯდომა არ შეიძლებოდა [39, გვ. 309].

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, აფხაზ-ქართველთა იმ სულიერ ერთობას, რომელსაც წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენებიც თვალსაჩინოდ ამჟღავნებენ. ლაზებისა და ჭანების ენობრივი მასალების მიხედვით, ქართული ტერმინი „რკინა“ (კინა) ნიშნავს ცას, სამშაბათს ჭანურ ენაზე ცის დღე (ერკინაშხა) ეწოდება... აფხაზურ ენაზე სამჭედლოს ეწოდება – აურა, მჭედელს – აურუ, სიტყვა აუან კი, – ცას ნიშნავს. ამ მაგალითიდან, ნათლად ჩანს ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ქართველებისა და მათი მონათესავე ხალხის წარმოდგენაში რკინისა და ცის ცნებათა შორის არსებობდა [1, გვ. 41–42].

სამეგრელოში საქონლის გამრავლება-მფარველობას მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზს, ჟინიში ორთას (წმიდა გიორგის) გალენიში ორთას, კაპუნიას და ჟინი ანთარს შესთხოვდნენ [25, გვ. 63]. კ. ბერულავას ცნობით, აფხაზეთში „სამგარიოს“ ლოცვისას, ქრისტიანული სარწმუნოების ზეგავლენით, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისათვის გოჭს კლავდინენ. წესს ასრულებდნენ კერასთან, როგორც ძველი საბერძნეთის „მეგარონში“ (ვრცელი ოთახი, სადაც ენთო ჩაუქრობელი საღმრთო ცეცხლი). კერის ღვთაებას მსხვერპლად გოჭს ან ღორს სწირავდნენ ხოლმე. მეგრული „სამგარიო“ ძველ ბერძნულ მეგარონისაგან უნდა მომდინარეობდეს [4, გვ. 4].

დიდი ივანე ჯავახიშვილი, ხალხში შემორჩენილი წარმართობის დროინდელი მრავალი ზნე-ჩვეულებისა და თქმულების შესწავლისას, სიფრთხილისკენ მოუწოდებდა მკვლევრებს. „თვით საგანი მეტად რთულია და დიდი სიფრთხილე და კრიტიკული წინდახედულება არის საჭირო, რომ უცხო ქართულად არ ვიცნოთ, ახალი ძველად არ გვეჩვენოს. ამიტომ, ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც შემდეგ, ისტორიულად კარგად ცნობილ დროში, ასევე წინათაც, უძველეს ხანაში, ქართველებს სხვადასხვა უცხო ერთან, მაგალითად, ასურელებთან, სპარსელებთან, ბერძნებთან, სომხებთან და მრავალ სხვასთან მეგობრული, ან მტრული მეზობლობა ქონდათ და რომ ქართულ წარმართობას, ზნე-ჩვეულებასა და თქმულებებს ამ მეზობლობის კვალი უნდა ემჩნეოდეს“ [41, გვ. 38]

საველე მასალების მიხედვით, სამურზაყანოში „სამგარიოს“ ხუთშაბათს სანთლითა და ღვინით ლოცულობდნენ, შეიძლებოდა ხოზოთი (რძეში მოხარშული ყველიანი კვერი). ძირითადად, ოჯახის უფროსი შესთხოვდა საქონლის გამრავლებას, ზარალისაგან დაცვას. ძროხა რომ პირველად ხბოს მოიგებდა, მისი რძის ნაწარმს მანამ არ გასინჯავდნენ, სანამ არ შეულოცავდნენ. ამ ლოცვასაც, საქონლის გამრავლების მიზნით ასრულებდნენ [22, გვ. 6].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეგრული ოქვამერი ორგვარი მნიშვნელობით იხმარება. ერთი მხრივ, ის ადგილია, სადაც ლოცვა-რიტუალი სრულდება, ხოლო მეორე მხრივ, ის სალოცავისათვის განკუთვნილი შესაწირავია. იგი შეიძლება იყოს ღვინო, პური, სანთელი, თაფლი და სხვა, რომელიც ღვთაებისათვის არის მიძღვნილი. ასეთივე მნიშვნელობის არის იმერულ-რაჭული „სალოცვილი“ [19, გვ. 120].

ენობრივ მასალებს თუ დავეყრდნობით, რასაკვირველია, ოხვამე უნდა იყოს წარმართობის დროინდელი ტერმინი [38, გვ. 153].

ცნობილია, რომ ზოგიერთი სალოცავი გაქრისტიანებული იყო, ხოლო ქრისტიანული საწესო პრაქტიკა ქმნიდა ჩვენი ხალხის სულის ისტორიულ ერთობას, ერთიან, ზოგად ქართულ კულტურას, ასეთი ერთიანობის გამომხატველად, ლ. ჩინჩალაძე სამართლიანად მიიჩნევს მარანს, ზედაშესთან გამართულ რიტუალურ პურობებს, რომელიც გავრცელებული იყო სრულიად აფხაზეთის ჩათვლით. თითოეულ ოჯახში ინახებოდა ღვთისადმი და რომელიმე წმიდანისადმი შესაწირავი წითელი ღვინო – ზედაშე, რომელსაც ამ წმიდანის მოსახსენებელ დღეზე გახსნიდნენ [37, გვ. 74-75].

სამურზაყანოში მაგიზმიც იყო გავრცელებული, რომელიც ადრე, XVII ს-ის უცხოელ მოგზაურებს სამეგრელოში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. „აქ მიხვალთ თუ არა ვინმეს ოჯახში, ნახავთ მწარე ტყავიანი ხეების დიდ ჯოხს, საჟენზედ უმაღლესს, სახლის წინ დასობილს. თავი აქვს ზევით ჯვარის სახით გაპობილი და იმაში არის ჩაწყობილი პატარა ქვები, მასთან წამოცმულია მწარე გოგრა, მისთვის რომ ეშმაკები ყოველ ღამე დადიანო და როცა მოვლენ, წინ პირველად ამას ეტაკებიანო. მწარე გოგრას და ქვას ვერაფერს უზამენ და უკან დაბრუნდებიან“, – ასეთი აზრის არიან აქაურები [7]. გათვალვასთან დაკავშირებით, თედო სახოკია თავის მოგონებებში წერდა: „სამეგრელოში მზაკვრების, კუდიანების, მღალავების, ავი თვალის პატრონ ადამიანთა წინააღმდეგ, სახლის კარს ზემოდან გვეკიდა გახვრეტილ ქვა, კარის ზღურბლზე დაჭედილი გვქონდა ცხენის გაცვეთილი ნალი, ღობის სარზე, საჩინო აღგილას ჭიშკრის ახლო წამოც-

მული გვქონდა ცხენის ან ზარის თავის ქალა, მეორე სარზე – განვრეტილი ქვა, მხოლოდ ცოტა დიდი ზომის, რომ გარედან კაცს ადგილად დაეწახა. ყველა ესენი ეზოს შიგნით მყოფთ გვიფარავდნენ სიავისა და ბოროტისაგან, რადგან ყველას სწამდა, რომ ავი თვალის ადამიანი თვალს მოავლებდნენ თუ არა სარზე წამოცმულ განვრეტილ ქვას და ცხენის თავის ქალას, მის მისნობას, მის მღალაობას ყოველივე ძალა ეკარგებოდა“ [34, გვ. 17]. გასაოცარია, მაგრამ ამგვარი რწმენის მატარებელ ადამიანებს დღესაც შეხვდებით სამეგრელოსა და სამურზაყანოში. ამ მხრივ, აღსანიშნავია კ. ბოროზდინის ცნობა, რომ მეგრელები მეტად ცრუმორწმუნენი არიან. მაგალითად, ყველა დარწმუნებულია, რომ კუდიანები და ტარტაროზები არსებობენ და ხანდახან მეტად დრამატული ამბებიც ხდება [5, გვ. 36].

მაგიზმის ელემენტებს შეიცავს სამურზაყანოში მავნებელი სულდგმულისათვის ორნაირი სახელის დარქმევა; ერთი – ნამდვილი და მეორე – მოგონილი. როგორც თ. სახოცია აღნიშნავდა, „ამგვარ სულდგმულთ, ყოველთვის ცდილობენ მოგონილი სახელი დაუმახონ. ამბობენ, ნამდვილი სახელი რომ დავუძახოთ, ეგონებათ გვეძახიან; მოვლენ და დაგვაზიანებენო... თაგვსა და ჭიანჭველას გამოცვლილ სახელებს განსაკუთრებით მაშინ ეძახიან, როცა აბრეშუმის ჭია უსხედთ და თანაც დაატანებ: „ოშ გელოშ ვიშო“ – ას მთის იქით. ე. ი. ასი მთის იქით მისი (ცხოველის სახელი) თავიო!.. გარდა ამისა, თუ ნადირმა რაიმე ზიანი მოგაყენათ, ან აბრეშუშის ჭიას თაგვი და ჭიანჭველა დაეხვია, ანდა ქათმები და საქონელი ჭირმა გაგიწყვიტათ, სხვის სახლში თქვენ გაჭირვებას ვერ იტყვით. ვითომ, რაც თქვენ გადაგხდათ თავს, ვისაც უთხარით, იმათაც გადაედებაო. თქვენი ლაპარაკის შემდეგ თუ რამე მოუვიდათ, იტ-

ყვიან (თქვენზე): „მხარით მოიტანა (მარცხი) და და-  
მისვაო“ [33, გვ. 361].

წარმართულ წეს-ჩვეულებათაგან სამეგრელოსა და  
სამურზაყანოში დღესაც გავრცელებულია თავზე ხელის  
შემოვლება (მეგრულად ხეშ გოლუაფა), რომელიც ითვლე-  
ბა განუსაზღვრელი სიყვარულის ნიშნად. თედო სახოკიას  
ცნობით, იგივე ნიშანია იმისა, რომ ხელის შემომვლები  
მზად არის მოკვდეს იმის მაგიერ, ვისაც ხელს შემოავლე-  
ბენ. ეს ჩვეულება წარმოშობილია მეგრელის იმ რწმე-  
ნისაგან, რომ ერთს შეუძლია მეორის მაგივრად მოკვდეს,  
ერთს შეუძლია თავისი სიცოცხლე მეორის კარგად ყოფნას  
შესწიროს მსხვერპლად. ამ ჩვეულებას, განსაკუთრებით  
მაშინ მიმართავენ, როცა საყვარელი არსება, მძიმედ ავად  
გახდება... შეიძლება, ადამიანის მაგივრად სიკვდილმა  
მსხვერპლად ცხოველიც შეიწიროს. ამ შემთხვევაში, შესა-  
წირავ საქონელს სამჯერ შემოატარებენ ავადმყოფის გარ-  
შემო [35, გვ. 95]. მსგავსი ჩვეულება გავრცელებული იყო  
აფხაზეთში. აფხაზი, მეტადრე ქალი ამბობს: „შენ შე-  
მოგევლოს ჩემი თავი,“ „რა ადგილზედაც დგეხარ იმ ადგი-  
ლას შემოგევლე“ და მართლა, აფხაზი ქალი დიდი ხნის  
უნახავ ნათესავს, ან ავადმყოფს, ან გაზრდილს ამ სიტ-  
ყვებთ გარს სამჯერ უვლის: „შენი ავი, შენი ფათერაკი მე  
წამედოს...“ აფხაზის რწმენით, ამ გარშემოვლების დროს,  
ნამდვილად გადაედება კაცს იმისი ავი და ფათერაკი, ვისაც  
გარს უვლის [9]. აქ ნათლად ჩანს სიტყვის მისტიკური  
ძალა, რომელიც რიტუალით არის ძალმოსილი, მაგრამ  
გულწრფელ დალოცვას რომ კიდევ უფრო მეტი ძალა  
აქვს, თქმა არ სჭირდება.

საინტერესოა, ზოგიერთი ქართულ-აფხაზური ეთნო-  
გრაფიული პარალელების სულიერი კულტურის ხაზით  
გაშუქება. სულიერ კულტურაზე მხოლოდ იმის თქმა ძალ-

გვიძს, რომ „ის რაც ჩვენ ვიცით, მეტად უმნიშვნელოა, ხოლო ის, რაც არ ვიცით, უზარმაზარი რამ არის“, ვინაიდან ვიღებთ იმას, რასაც ვეთანხმებით და გვესმის, მაგრამ უარვყოფთ იმას, რაც არ გვესმის. სახელდობრ, თ. სახოკის ცნობით, სამეგრელოში კერის პირას მსხდარ-თათვის ვინმე უმცროსს წინ რომ გადაერბინა, ხელს მოჰკიდებდნენ და უკანვე გააბრუნებდნენ. იგივე დას-ტურდება სამურზაყანოში. მკვლევარი ვინმეს წინ გა-დასვლის საქციელს ცუდის მომასწავებლად, აკრძალულად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ, წინ გადამსვლელის უკან დაბრუნებით ცდილობენ შეანელონ საქციელის მავნებლობა, ძალა დაუკარგონ მას. შემდეგში ასეთ საქციელს კადნიერე-ბის, ურჩობის, არაფრად ჩაგდების ხასიათი მიეცა [35, გვ. 161].

უმთავრესი ის იყო, რომ სამურზაყანოში, „ამ საბლა-ლოჩინო“ ოლქის ყველა მცხოვრებნი მართლმადიდებელნი არიან, მათში მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელი არ მოიპოვება, ქრისტიანობას აქ მტკიცედ აქვს ფესვი გად-გმული.... სარწმუნოების მხრივ, აქაურებზე დიდი გავლენა აქვს სამეგრელოს, ოქუმელები (სამურზაყანოს ცენტრი – ი. კ.) მეგრელების მოსახლეობის და მეზობლები არიან. ოქუმელები მეგრელებისაგან იღებენ ზნე-ჩვეულებას და ამ ორივე ხალხს ხშირი მისვლა-მოსვლა აქვს ერთმანეთში, მათში გახშირებულია ხორციელი და სულიერი ნათესაობა [29, გვ. 5].

სამურზაყანოში აბრეშუმის მოყვანაზე საოცარი ცრუ-რწმენა არსებობდა. „იქ ხალხი დარწმუნებულია, რომ აბრეშუმის ჭია თუ დავისვით, წმ. გიორგი გაგვირისხდება და დაგვხოცავს“ [11]. სოფელ გალის მცხოვრებლები აბრეშუმის მოყვანას სრულიად არ მისდევენ, რადგანაც მათი ფიქრით, აბრეშუმის მიზეზია, რომ სიმინდს პეპელა

გაუჩნდა [12]. აბრეშუმის მოყვანა სააფხაზოში იშვიათია. გლეხები ფიქრობენ, ვითომ ყაჭის ჭიას დამოკიდებულება აქვს ჩვენ სალოცავზე, რომელსაც უინის ვეძახითო... (ზენა-სი) ეს ლოცვა ვისაც მართებს, აბრეშუმის მოყვანა არ შეუძლიაო [13].

ასეთი დამოკიდებულება ისე იყო გამჯდარი ხალხის ცნობიერებაში, რომ ინფორმატორი დარწმუნებულია, სოფელ გუდავის მცხოვრების მ. კოტუას ახალგაზრდა მეუღლის სიცოცხლე, მათ ოჯახში აბრეშუმის ჭიის გაჩენას ემსხვერპლაო [22, გვ. 9].

მნათობთა თაყვანისცემის გადმონაშთი სამურზაყანოშიც შემორჩენილა. როდესაც გამოჩნდება ახალი მთვარე, პირველად უნდა შეხედონ წმინდა ვერცხლს, ან რკინას, ან სუფთა მინას, ამას აკეთებენ იმისათვის, რომ ადამიანი თვითონ განახლდეს (გადახალისდეს) ისე, როგორც მთვარე და იყოს ისეთივე წმინდა (სუფთა) როგორც ის საგნები, რომელიც მან ნახა. მაგრამ ახალი მთვარის ნახვისას თუ შეხედა არაწესიერ (არაწმინდა) კაცს, მისი არაწესიერება მას გადაეცემა [17, გვ. 116].

ამრიგად, წარმართული წეს-ჩვეულებების აღმოფხვრა და უმეტესად, შეცვლა, ქრისტიანულმა რელიგიამ ვერ შეძლო. წარმართული რელიგიის კვალი დღესაც ძალუმად არის წარმოდგენილი მაგალითად, შელოცვებში. „ზოგიერთმა შელოცვამ დღემდე შეინარჩუნა თავისი წარმართული სახე... ხოლო შელოცვების გარკვეული ჯგუფი ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ასახავს“ [41, გვ. 133]. შელოცვებს ადრე ინტენსიურად მიმართავდნენ და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. მოსახლეობაში დღესაც საკმაოდ ძლიერია სამკურნალო შელოცვებისადმი რწმენა. მაგალითად, სოფელში ცნობილ შემლოცველს ასახელებენ, მაინც სწამთ მისი. ვინაიდან შელოცვა მაგის ელემენტებს შეი-

ცავს, ეშინიათ კიდევაც. ო. გაგულაშვილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ შელოცვა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შემოინახა არა როგორც მხატვრული ღირებულების სიტყვიერი მოვლენა, არამედ როგორც პრაქტიკული მნიშვნელობის საშუალება. ე. ო. შელოცვის შემონახვის ერთ-ერთი მთავარი და განმსაზღვრული მხარე მისდამი რწმენის აქტში ვლინდება [14, გვ. 9]. მაგალითად, როდესაც საქონელი ღამე ტყეში, ან მინდორში დარჩება, შეულოცავენ... მერე შეკრავენ კანაფით სავარცხელსა და მაკრატელს, რომ ასე შეეკრას ნადირს კბილიო და სკამის ქვეშ შედებენ [24, გვ. 85]. სამურზაყანოში კი, თუ ღამით პირუტყვი ტყეში დარჩებოდა, იმისათვის რომ იგი მგელს არ შეეჭამა, ასეთ წესს ასრულებდნენ: მაკრატელს აიღებდნენ და პირს ნაჭრით ან თოკით შეუკრავდნენ. მიაჩნდათ, რომ ამით მგელზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ, რომელსაც თითქოს პირი შეეკრებოდა და პირუტყვს ვერ ავნებდა [18, გვ. 92].

ამასთან დაკავშირებით, უთუოდ საყურადღებოა ისიც, რომ აფხაზებისა და ქართველების (მეგრულების) ახლო ურთიერთობა ფოლკლორულ მასალაშიც სათანადოდ აისახა. მაგალითად, მკვლევრის დაკვირვებით, „ქართულიზმების“ გარკვეული ნაწილი აფხაზურ შელოცვებში მეგრული, ან ქართული ენის წილად მოდის, რომელიც მეგრული მთქმელის საშუალებით უნდა ჰქონოდა აფხაზს შეთვისებული [14, გვ. 188].

ამგვარად, საკმაოდ ხელშესახებად არის წარმოდგენილი ქართველ მორწმუნეთა ყოფაში წარმართული რწმენის გადმონაშთები, რომლებიც ვლინდება მორწმუნეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც ა. სოხაძე აღნიშნავს, მათგან ერთი ნაწილი, პირველყოფილი რელიგიის ფორმების (ფეტიშიზმი, მაგია, ანიმიზმი, ტოტემიზმი), ხოლო მეორე

— პოლითეიზმის გადმონაშთების ჯგუფს განეკუთვნება [36, გვ. 130].

არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ საზოგადოებრივ ცხორებაში ერთგვაროვანი ურთიერთობის, იდების, ქცევის ნორმებისა და სხვათა მუდმივი განმეორება, წარმოქმნის მყარ კოლექტიურ ჩვევებს, რომელიც დროთა განმავლობაში იძენს გარკვეული სისტემის სახეს. ჩვევათა ეს მზა ფორმები გადაეცემა მომდევნო თაობას, რომელიც კრიტიკის გარეშე, ინერციით იყენებს მათ, რითიც ხელს უწყობს ჩვევების ტრადიციად გარდაქმნის პროცესს და მათ შემდგომ კონსერვაციას [16, გვ. 9].

მორწმუნები დღესაც თაყვანს სცემენ წარმართულ სალოცავებს, მაგრამ არა ისეთი სიცხოველით. მათი დაცვა საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებითაც არის უზრუნველყოფილი, ე. ი. თუ ხალხს არ უკერებ, ღმერთს არ უკერებ, კინაიდან წეს-ჩვეულებები ზეციდან გვეწყალობება.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოგნების ისტორია, თბ., 1961.
2. ახვლედიანი გ., ტრადიციების პრობლემა XIX-XX სს. ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში, თბ., 1984.
3. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941.
4. ბერულავა კ., აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1938.
5. ბოროზდინი კ., ბატონყმობა სამეცნიელოში, ტფ., 1927.
6. გაზეთი „დროება“, №30, 1872.
7. გაზეთი „დროება“, №181, 1878.
8. გაზეთი „ივერია“, №185, 1888.
9. გაზეთი „ივერია“, №167, 1988.
10. გაზეთი „ივერია“, №186, 1888.
11. გაზეთი „ივერია“, №216, 1898.
12. გაზეთი „ივერია“, №158, 1904.
13. გაზეთი „ივერია“, №19, 1894.
14. გაგულაშვილი ი., ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986.
15. გორგოშაძე მ., ტრადიციების არსი, ფუნქციები, მომავალი, ბათუმი, 1990.
16. გუგუტიშვილი მ., ახალი ტრადიციები საქართველოში, თბ., 1976.
17. ზუბაძა ვ., ზანთარაია ს., გალი, სოხუმი, 1988.
18. ზუბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988.
19. თოფურია ნ., საკულტო ნაგებობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, 1985.

20. კაკაბაძე ც., ჯალაბაძე გ., მჭედლობა სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლი-სათვის, თბ., 1979.
21. ქეყელია მ., ეროვნულ ჩეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის, თბ., 1982.
22. კვაშილავა ი., საველე მასალა, რვეული 2, 1999.
23. მაკალათა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941.
24. მაკალათია ს., მთის რაჭა, თბ., 1987.
25. მაკალათია ს., მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის თბ., 1979.
26. ურნალი „მწყემსი“, №21, 1887.
27. ურნალი „მწყემსი“. №19, 1892.
28. ურნალი „მწყემსი“, №16, 1885.
29. ურნალი „მწყემსი“, №12, 1889.
30. ურნალი „მწყემსი“, №10, 1885.
31. ურნალი „მწყემსი“, №32, 1886.
32. რუხაძე ჯ., ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა, თბ., 1980.
33. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1950.
34. სახოკია თ., როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955.
35. სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
36. სოხაძე ა., ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებითან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964.
37. ჩინჩალაძე ლ., ზოგიერთი ქართული; ხალხური წეს-ჩვეულებების ინტერპრეტაციი-სათვის, თბ., 2000.
38. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
39. ჩიქოვანი მ., ქართული ეპოსი, წ. 1, თბ., 1959.

40. ხიზანაშვილი ნ., (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები,  
თბ., 1940.
41. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. 1, თბ.,  
1960.

## **PAGAN RULES-CUSTOMS IN SAMURZAKANO**

### **Summary**

Through appropriate sources, literary and field evidences, this piece of work represents beliefs-imaginings, cults and rituals of population of Samurzakano. People strongly adhered to these above-mentioned things due to the rules and customs. Welfare of people and development of labor-activities were depended on them. Rules and customs caused by life situation were mainly revealed as religious syncretism, which is more combined with Christian elements. Christianity created the historical unity of our people. That's why religious closeness of Georgian-Abkhazian people, revealed in historical Samurzakano, is interestingly discussed.

## საბზაო მშენებლობა სამურზაყანოში (XIX-XX საუკუნეებში)

საქართველოში გზებსა და ხიდებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძველთაგანვე, არსებითი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც, მრავალრიცხოვანი ფაქტობრივი მასალისა და ზოგიერთი შემონახული, განსაკუთრებით დამახასიათებელი, ნიმუშის გაშუქებით, ჩვენ თვალწინ იშლება ნათელი სურათი იმ მძლავრი და მოწესრიგებული საგზაო-სახიდე მეურნეობისა, რომელიც საქართველოს ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე ფართოდ იყო განვითარებული [17, გვ. 3].

„ყოველი ქვეყანა „გზეთი“ როდია“, – აღნიშნავდა რუსთაველის ეპოქაში გზების შესწავლისას ნ. ბერძენიშვილი, – თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მოიპოვება „უცხონი რამე არენი“, რომელნიც „უდაბურნი და უგზონი“ არიან. მისივე დაკვირვებით, პოემაში „გზა და ხიდი“ ბედნიერების გზით წარმატების სიმბოლოა. ამიტომაც, მოყვრისათვის „გზად და ხიდად“ სამსახური „იდეალური“ მოყვრობაა, ხოლო უკიდურეს უბედურებას, სასოწარკვეთას ტარიელი ასმათთან ასე გამოხატავს: „დაო ასმათ, ხიდი ზღვასა ჩაგვიცვიდეს“ [3, გვ. 7].

აფხაზეთის ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლეოდა გზების სათანადოდ განვითარებისათვის. ეჭვი არ არის, რომ უძველეს ხანაში აფხაზეთის ტერიტორია სხვადასხვა სახის მრავალი შარაგზით იყო დაქსელილი. მაღალთაღოვანი ქვითკირის და მორულ-ძელური კონსტრუქციის უძველესი ტიპიური ხის ხიდების დღემდე უხვად მოღწეული ნაშთები, მრავალმხრივი შარაგზების არსებობაზე მეტყველებენ [1, გვ. 45].

ბუნებრივია, გზების განვითარება და კეთილმოწყობა ქვეყნის სხვადასხვა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებას უკავშირდება.

მკვლევართა ვარაუდით, გვიან შეა საუკუნეებში და XIX ს-ის დასაწყისისათვის, ზუგდიდსა და ოჩამჩირეს შორის გზა ასე გადიოდა: ზუგდიდი – რუხი, ოცარცე – ოქუმი, ბედია – ოჩამჩირე. ეს გზა, მიუყვებოდა რა მთის ძირს, ოცარცეს, ჭუბურხინჯს, ცხიროვალს, II გალს, (თანამედროვე ქალაქი გალი), I გალს, ოქუმს, ჩხორთოლს, ბედიას, ოჩამჩირეს გაივლიდა [15, გვ. 171], ხოლო ადრეფეოდალურ ხანაში ჩხორთოლიდან მიმავალი გზა-გადასასვლელი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დამაკავშირებელი იმ დიდი სავაჭრო მაგისტრალის ერთ-ერთი განშტოება უნდა ყოფილიყო, რომელიც „დარინის გზითაა“ ცნობილი [29, გვ. 57]. არქეოლოგი რ. ხვისტანი ოქუმის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიურ გამოკვლევაში აღნიშნული გზის მარშრუტს აღადგენს: ჩხორთოლიდან მიმავალი სამთო გადასასვლელი მიჰყება ბუნებრივად დაცულ წყალგამყოფ ქედებს – დადალძიხს, უებიშხას, აფშარას, აკიბოს და ხოჯალს. აქ ერთი გზა მა-რჯვნივ უხვევს და დარჩვის ხეობით, ზემო სვანეთში, ჩუბეზევში მიდის. საქონელი აღპურ საძოვრებზე ამ გზით დღესაც გადაჰყავთ. მეორე გზა, მარცხნივ მიდის და ძველი მისიმიანეთის (დღევანდელი აფხაზეთის სვანეთი) გავლით, კოდორის სათავეებისაკენ მიუყვება და ნაჰარის უღელტეხილით (კარებით) ჩრდილო კავკასიაში, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მხარეში, უჩკულანის ხეობაში ჩადის [29, გვ. 57]. სწორედ, დასავლეთ საქართველოზე გამავალ სავაჭრო-საქარავნო გზაზე გაბატონება გახდა მიზეზი (552-575 წლებში), ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოქმნილი მწვავე დიპლომატიური დაპი-

რისპირებისა, რაც ბიზანტიულთა სასარგებლოდ გადაწყდა [19, გვ. 298].

XIX საუკუნეში ადგილობრივი მნიშვნელობის იყო სამურზაყანოს სოფელ ჩხორთოლიდან და სოფელ ოქუმიდან გამომავალი გზები. ბარიდან ანარიის მთისკენ ორი საცალფეხო ბილიკი მიდიოდა. ერთი იწყებოდა სოფელ ჩხორთოლიდან. მას აფხაზეთის გზას უწოდებდნენ, რადგან აფხაზ მწყემსებს საქონელი სამურზაყანოს მთებში ამ გზით დაჰყავდათ. ოქუმიდან მიმავალი მეორე გზით კი, — მხოლოდ სამურზაყანოელი მწყემსები დადიოდნენ [28, გვ. 352].

გზათა მშენებლობაში ერთგვარი გარდატეხა და წინსკლა, როგორც საერთოდ კავკასიაში, ისე კერძოდ საქართველოში, XIX ს-ის II ნახევრიდან შეინიშნება, თუმცა, უსახსრობა კვლავ დიდად აფერხებდა გზათა მშენებლობის ტემპების დაჩქარებას [18, გვ. 11]. ამის მიზეზი, ერთგვარად, ნათელია. მეფის მთავრობას ამიერკავკასიაში, უმთავრესად სტრატეგიული გზების მოწყობა აინტერესებდა. „საქართველოს, რომელიც კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდა, არ შეიძლებოდა ჰქონოდა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი გზები“ [25, გვ. 6].

XIX ს. I ნახევარში, აფხაზეთში უგზონობას მოგზაურებიც ამჩნევენ. 1813-1819 წწ. პ. გიბალი, ამ მხარეში მოგზაურობისას აღნიშნავს, რომ ვაჭრობის განვითარებას აფხაზეთში ხელს უმლის უგზონობაც. ეს რომ არა, შესაძლებელი იქნებოდა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ქუთაისთან. „აფხაზეთის სიღრმეში მხოლოდ ფეხით, ცხენით, და ზოგან, ურმით შეიძლება მგზავრობა. რაც შეეხება სანაპირო ზოლს, როგორც ხმელეთით, ისე ზღვითაც, ბარკასებითა და ტივებით წარმოებს მიმოსვლა“ [14, გვ. 150].

ჩანს, არც XIX-ის დასასრულისთვის შეცვლილა მდგომარეობა. „ტყეებს მთელი ქუთაისის გუბერნიის ნახევარი სივრცე უჭირავს. რა თქმა უნდა, ასეთი ტყე იქაურ მკვიდრთ დიდ შემოსავალს და სარგებლობას უნდა აძლევდეს, მაგრამ შეძლების უქონლობა, მოუმზადებლობა და გზების უვარგისობა განსაკუთრებით ძლიერ აფერხებს ამ საქმესაც და თუ იგებს ვინმე, ისევ უცხოეთიდან ჩამოსული ვაჭრები და პატრონები“ [26, გვ. 231]. 1895 წლის ქუთაისის გუბერნიის საანგარიშო მიმოხილვა, გვარწმუნებს იმაში, რომ ზუგდიდსა და სოხუმს შორის გზის მშენებლობა ადგილობრივი ხარჯებით გაგრძელდა, რომელსაც არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდა [27].

მართლაც, მეფის რუსეთის ხელისუფლება ამ ხანებში სოხუმსა და ზუგდიდს შორის გზების კეთილმოწყობას, პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა. ასე, მაგალითად, ვორონცოვის სურვილი იყო ბზის გატანაზე საბაჟო საფასური საერთოდ არ დაეწესებინათ. ამიტომ, მას უნდა ეშუამდგომლა კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის წინაშე, რომ ამ უკანასკნელს იმპერატორისაგან ნებართვა გამოეთხოვა: მსგავსად კაკლის ხის გატანაზე აღებული ბაჟისა, ბზის ექსპორტიდან მიღებული საბაჟო საფასურიც, დასავლეთ საქართველოში გზების კეთილმოწყობაზე გამოეყენებინათ [13, გვ. 167]. მიუხედავად ასეთი მცდელობისა, XIX ს-ის 90-იან წლებამდე, სოხუმსა და ზუგდიდს შორის გზატკაცილი თანამედროვე გაგებით, ფაქტობრივად, არ არსებობდა.

ადგილი წარმოსადგენია სამურზაყანოს სასოფლო გზები, ამ პერიოდში, რა მდგომარეობაში იქნებოდა. „გზები აქაური? მარტო სამურზაყანოს საიდუმლოებას შეადგენს, თუ როგორ უნდა იაროს, ე. წ. გზებზე ადამიანმა... რო-

გორ-და ახერხებს აქაური გლეხი ცხოვრებას იქ, სადაც მთელი ნახევარი წელიწადი, ალაფებულ სოფლებში მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია და სადაც სხვა შიმშილით მოკვდებოდა?! ცხადია, აქაურ კაცს უგზოობა წელში წყვეტს, მის ეკონომიკურ ყოფას მიწასთან ასწორებს. მას ესმის, რომ კარგი გზა ერთბაშად წამოაყენებს ფეხზე, მაგრამ სანამ თავის პატრონისაგან აქაური მეურნე რამე ხეირს ეღირსებოდეს, მის ყველაფრის ამტან ზურგს, კიდევ ცხრა პირი ტყავი ასძვრება“ [28, გვ. 339].

გზათა მშენებლობის პრაქტიკაში (XIX საუკუნეში), საქართველოში, ადგილობრივი მოსახლეობა გზათა მშენებლობაზე სხვათა დასაქირავებლად ფულად თვითდაბეგვრას ეწეოდა. მაგალითად, 1892-1895 წლებში ასე იყო აფხაზეთში, კოდორსა და სამურზაყანოს უბნებში, მაგრამ ორგანიზატორობა ხელთ იგდეს ადგილობრივმა მოიჯარებმა, რომლებმაც საკუთარი ჯიბის გასქელების მიზნით, სამუშაოები უხარისხოდ, აჩქარებულად შეასრულეს და ამით ფულის გამღებ მოსახლეობას ზარალი მიაყენეს [18, გვ. 37-38], მაგალითად, 1894 წლის გაზეთი „ივერია“ ამის შესახებ წერდა: „ოქუმიდან ჩვენ ოჩამჩირისკენ გავემგზავროთ. გზა ოქუმიდან ოჩამჩირემდის ჯოჯოხეთია. ხიდები აყრილია. გზაზედ საშინელი ტალახია. ეხლა გაჰყავთ გზა მხოლოდ. ჯერ მოთავებული არ არის“ [4]. ამავე გაზეთის 1895 წლის გამოცემაში აღნიშნულია, რომ „სამურზაყანოში რამდენი ხანია კომლზედ ცხრა-ცხრა მანეთი მობოჭეს გზის გასაკეთებლად, მაგრამ გათავებას არა ეშველარა. ხრეში სანახევროდ არ არის მოყრილი გზაზედ“ [5].

თედო სახოკიას ცნობით, სოხუმიდან მდინარე კოდორამდე (20 კმ.) უკვე არსებობდა გზა. გასაკეთებელი რჩებოდა მდინარე კოდორიდან ოჩამჩირემდე და აქედან – ზუგდიდამდე, სულ 60 კმ. 1895 წ. კომისიამ ნამუშევარი

შეამოწმა და შარაგზა დამთავრებულად მიიჩნია, მაგრამ ერთი თვის მერე მდინარე ღალიძეაზე გადებულ ხიდს წყალმა აქეთ-იქით ნაპირები გამოურეცხა, ხიდი შუაში დარჩა. ამიტომ, ამ ადგილას ისევ ფონზე გადიოდნენ. წყალდიდობის დროს კი, ოჩამჩირე, სამურზაყანო და ზუგ-დიდის მაზრა, საერთოდ მოწყვეტილი იყო ერთმანეთს [28, გვ. 328]. 1898 წლის გაზეთი „ივერია“ ამ გზის უვარგისობას ადასტურებს: „ვერც სამურზაყანო დაიქადებს კარგი გზებით. მოიჯარადრეების წყალობით იქაურ მდინარებზედ ხიდებს ერთობ მოკლევადიანი სიცოცხლე აქვს და შემდეგ მიმსვლელ-მომსვლელი დიდ გასაჭირში არიან. მდინარე ღალიძეაზედ აგერ ხუთი წელიწადია ხიდს ორივე თავი მომპალი აქვს და იმის გაკეთება არ იქნა, რის გამოც ბევრი დატვირთული ურემი ამ მდინარემ ზღვისკენ ჩაატარა“ [6].

ნიკო ჯანაშია (ჰამუთ-ბეგი) ჩეგეული სამართლიანობით აღნიშნავდა, რომ გზების მხრივ, საქართველოს არც ერთი კუთხე ისე დავიწყებული არ არის, როგორც სოხუმის ოლქი. აქ არავის მოვალეობად არ მიაჩნია, რომ სასოფლო გზას ყურადღება მიაქციოს. არავინ ამისთვის თავს არ იწუხებს. ამიტომ, აფხაზეთში, უფრო ზამთარში, ყოვლად შეუძლებელია გზად წოდებულ ვიწრო საცალფეხო ბილიკებზე სიარული. „სოფლის გზების შესახებ ვინ რას იტყოდა, რომ უმთავრესი გზა, რომელიც აერთებს აფხაზეთს ერთი მხრივ, რუსეთთან და მეორე მხრივ, — ამიერკავკასიასთან, ვარგოდეს. ერთი ნაწილი ამ გზისა, რომელიც ანნეკოვმა გაიყვანა, ე. ი. სოხუმიდან გაგრამდის გვარიანია და ყოველწლივ ასე თუ ისე შეაკეთებენ. მდინარე კოდორიდან დაწყებული, ენგურამდე კი — გზა გზის გარდა, ყველაფერს ჰგავს. დღეს არამც თუ ეტლით, ცხენითაც შეუძლებელია ამ გზაზე სიარული. ამდენი ფული, ბეჩავ

გლეხთა სისხლით და ოფლით ნაშოვნი, ფუჭად წავიდა“ [12].

აფხაზეთის საგზაო მშენებლობის გადაუჭრელ საკითხს უკრნალი „კვალი“ (1903 წ.) გამოეხმაურა. „ამ ხანებში უგზოობით შეწუხებულმა მთელმა ზემო აფხაზეთმა მოიყარა თავი და განაჩენი დაადგინა – გაიღოს ფული და ყოველ სოფელში თითო გზატკეცილი გაიყვანოს, რომელიც დასამტკიცებლად მთავრობას წარედგინა. მთავრობამ გზების გაყვანა საჭიროდ ცნო, მხოლოდ ფულის გაღებაზე და იჯარით გაცემაზე, უარი უთხრა საზოგადოებას: თვითონ თქვენ გააკეთეთო, ამით კი საქმე შეფერხდა – აფხაზს თავის საქმეც ვერ გაუკეთებია, არა თუ საზოგადო-სასოფლო საქმე! თავისი ხასიათი იცოდნენ აფხაზებმა, რომ დაადგინეს ფული გავიღოთო...“ [22, გვ. 176].

ადგილობრივ მოსახლეობასა და საბრძოლველად გამზადებულ მეომრებს, უგზოობის გამო, რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომმა, ათასი ხითათი და გაჭირვება გადაატანინა. საკმარისია, გავიჩხენოთ 1855 წლის ოქტომბერი, როდესაც ომერ-ფაშას კორპუსი აფხაზეთიდან სამეგრელო-საკენ დაიძრა. უგზოობისა და მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, 16 დღეში მხოლოდ 80 კმ. გაიარა და მდინარე ენგურს მიადგა [2]. „ომის დროს, განა ცოტა ზარალი მოგვცეს. ეს კი არ დაგვემართებოდა, ჩვენ რომ აქ სიმაგრე გვქონოდა და გზები გაგვეკეთებინა... ამას გარდა, სამურზაყანოში განა ცოტა ჯარისკაცი დაიხოცა? არც ერთი ეს არ მოხდებოდა, რომ სენაკიდან სოხუმამდის რკინისგზა ყოფილიყო, მაგრამ რკინისგზა კი არა, უბრალო გზატკეცილი არ იყო. მდინარეებზე ხიდი არ მოიძებნებოდა. ომის შემდეგ აგრ 12 წელიწადზე მეტია და არც კოდორზე, არც ღალიძგაზე, არც ენგურზე და არც სხვა პატარა

მდინარეებზე, ხიდი არ მოიძებნება. გზა ხომ არ არის და არ არის“ [7].

„ენგურზე გასვლა ბორნით შეიძლება, ხიდი და მისი მსგავსი რამ, აქ არასდროს არ ყოფილა“, – ირწმუნებოდა გაზეთი „საქართველო“ (1918წ.) [11]. 6. ჯომიდავას მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, კოლხური გვარი მებონია, ბორნის (ბორანის) მმართველს, მებორნეს ნიშნავს [30, გვ. 116]. არც ისე დიდ მდინარეზე, როგორც ერისწყალია, ხიდი არ იყო, ბორანზე კი, განუწყვეტელი რიგი იდგა, თან მგზავრებს ბაჟიც უნდა გადაეხადათ. რევოლუციამდელი გალის ქუჩების კეთილმოწყობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ვინაიდან ქუჩები არ არსებოდა. იყო მხოლოდ მეზობელი სოფლებისაკენ მიმავალი საურმე გზები. არ იყო კეთილმოწყობილი სოხუმ-ქუთაისის გზაც, რომელიც გალში გადიოდა. ამ დროს, მეზობელ რაიონებში წასასვლელად ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებას დილიუანი წარმოადგენდა.

საქართველოს საგზაო მშენებლობის მკვლევარმა, 6. კვეზერელი-კოპაძემ დაადგინა, რომ აღნიშნულ კუთხეში, ჯერ კიდევ 1834 წლიდან მოყოლებული, საექსპლოატაციო გზების გასაყვანად არაერთი გეგმა, თუ პროექტი შეიმუშავეს, მაგრამ უსახსრობის გამო, შეუძლებელი გახდა მათი რეალიზაცია. „1836-1841 წლებში, ენგურზე, ოცარცესთან აგებული იქნა ხის დიდი ხიდი, რომელიც მალე დაინგრა. ისე, რომ 1841 წელს ამ ცარიელ სივრცეში 150 ნაბიჯზე გაკეთებული იქნა ვიწრო ხიდი... ხიდმა ვერ გაუძლო ენგურის ტალღებს და ამავე წლიდან აღარ არსებობდა“ [16, გვ. 2]. მიუხედავად ამისა, ნაწილობრივ ურმებით, დილიუნებით და უმთავრესად, ცხენებით ამ გზაზე მაინც დადიოდნენ. პატარა მდინარეებზე ფონებით გადადიოდნენ.

ენგურზე ხიდის აგების პროცესი XX ს-ში განახლდა, 1924 წელს გამოიყო მცირე თანხა, მაგრამ მისი აგება კარგა ხანს მაინც ვერ მოხერხდა. მდინარე ენგურის ორ ტოტზე გზატკეცილის სამმართველომ მოაწყო ბორნები, რომლითაც ხდებოდა მგზავრებისა და მანქანების გადაყვანა. ხოლო 1939 წლის მიწურულს დაწყებული ხიდის შენებლობა, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ დააკონსერვა; მაგრამ, ომის პირველ წელსვე, როდესაც მტერი კავკასიონის ქედს მოადგა, ხის დროებითი ხიდის აგება ვადაზე ადრე დამთავრდა და მასზე მოძრაობა გაიხსნა. „უკანასკნელი ფიცრის მილურსმასთან ერთად, ხიდზე უკვე სამხედრო ნაწილები გადადიოდნენ, რომ კავკასიონზე მომდგარი მტრი-სათვის გზა ჩაეკეტათ“ [25, გვ. 80].

რაც შეეხება რკინიგზას, XIX ს-ის დასასრული-სათვის გაზეთ „ივერიაში“ მის შესახებ შემდეგი ცნობა გამოჩნდა: „სოხუმის მხარე ახლა იღვიძებს, მალე რკინიგზა გაივლის ამ ადგილებზე“ [8]. იმავე გაზეთის ცნობით, „ოჩამჩირლებს ძლიერ ეშინიათ, სოხუმ-სენაკის რკინისგზამ შორს არ გაგვიაროსო, მაგრამ ეს შიში უსაფუძლოა. რა მოსახრებით უნდა დასტოვოს რკინიგზამ ოჩამჩირე?“ [9]. „არც ისე მალე, მაგრამ 1931 წელს სარკინიგზო მოძრაობა დამყარდა ქალაქ გალამდე და აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველი ორთქმავალი შემოვიდა, ხოლო 1932 წ. სარკინიგზო ხაზი ქალაქ ოჩამჩირემდე გაგრძელდა“ და ა. შ. [21, გვ. 10].

საზოგადოდ, რკინიგზა მრავალი განსაკუთრებული თვისებით ხასიათდება, რომელიც გვაძლევს საშუალებას „სანოვაგისა და მასალის მთელი წელი, სავსებით მცირე ენერგიის დახარჯვით, გადავიტანოთ იქიდან, სადაც ისინი მზადდებიან, იქ სადაც ისინი არ იშოვებიან და მათზე არის დიდი მოთხოვნილება... ყველა ამის შედეგად კი მასალა-

სანოვაგის ფასები უსწორდება ერთი მეორეს, როგორც სხვადასხვა ადგილას, ისე სხვადასხვა დროს. თავისთავად ხდება სპეციალიზაცია: სხვადასხვა მხარე ამზადებს იმას კი არა, რაც მას ესაჭიროება, არამედ იმას, რაზეც მიუთითებს მას ადგილობრივი ბუნებრივი პირობები“ [24, გვ. 11-12].

გაზეთ „საქართველოს“ ცნობით, „1903 წელს, ქუთაისის გუბერნიაში 321, 17 ვერსი რკინის გზის ლიანდაგი ითვლებოდა, გარდა რკინისგზისა, მიმოსვლა და საქონლის გადაზიდვა წარმოებდა აგრეთვე იმ გზატკეცილებით, რომელიც სამრეწველო, თუ სავაჭრო რაიონებს ერთიმეორეს უკავშირებდა. ზუგდიდიდან ერთი გზა მიდის დასავლეთით დაბა ანაკლიისაკენ (23 ვერსი), მეორე გზა კი – ჩრდილოეთით სოხუმამდე (105, 5 ვერსი); მიმოსვლის საქმე დასავლეთ საქართველოში ფრიად მოუწყობელია. საქმე იმაშია, რომ რაჭის, ლეჩხუმის და აფხაზეთისაკენ მიმავალი გზები ხშირად ავდრების გამო სრულებით იკეტება“ [10]. ეს იყო 1916 წელს, ე. ი. რევოლუციამდე და საბჭოთა წყობილების პირველ წლებში აფხაზეთს საავტომობილო, სარკინიგზო და საავიაციო მარშრუტები ფოსტის მისატანად არ ჰქონდა [21, გვ. 11], ხოლო 1951 წლისათვის აფხაზეთის გზების ტექნიკური მდგომარეობის დონე, საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, მაღალია. რკინიგზა, როგორც ტრანსპორტი, ძირითადია. მასზე ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონის სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის (1953 წ.) დაახლოებით 75% მოდის [20, გვ. 177-178].

ცნობილია, რომ აფხაზეთი საზღვაო მხარედ ითვლება. პირველი საზღვაო სადგური აქ 1857 წელს, ქალაქ სოხუმში გაიხსნა [21, გვ. 10]. აფხაზეთზე მოდის საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ხაზის (310 კმ) დაახლოებით ორი

მესამედი ნაწილი. მაშინაც კი, როდესაც XIX ს-ის ბოლოს, სოხუმსა და ზუგდიდს შორის გზა გაიყვანეს, ტვირთის გადაზიდვა, ერთი მხრივ, სოხუმსა და მეორე მხრივ, მის სამხრეთით მდებარე სხვა საზღვაო პუნქტებსა და ზღვის სანაპირო ქალაქებს შორის, ზღვით ხდებოდა. სახმელეთო გზების უვარვისობის გამო, საზღვაო ტრანსპორტის უპირატესობას გადაზიდვის სიიაფე აძლიერებდა [20, გვ. 183-184].

ზოგჯერ, გზათა ქსელს სისხლძარღვოვან სისტემას ადარებენ, რადგან ისიც კვებავს, ასაზრდოებს სახელმწიფოს; „რა, მნიშვნელობაც ძარღვებს აქვს კაცის აგებულებისათვის, სწორედ ის მნიშვნელობა აქვს გზებს საზოგადოებისათვის – საზოგადო აგებულებისათვის; ჩვენს სხეულში სისხლს ერთი ადგილიდან მეორეში მიაქვს საჭირო ნივთები – საზოგადოებას, ხალხსაც ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს სხვადასხვა ნივთები, ურომლისოდაც საზოგადოების ცხოვრება, კეთილდღეობა, წარმატება შეუძლებელ არს“ [23, გვ. 64].

ამჟამად, აფხაზეთს მეტად მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები აქ თითქმის არ არის. ეს იმიტომ, რომ ყველა კეთილმოწყობილი გზატკეცილი სახელმწიფო მნიშვნელობისაა, მაგრამ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის შემდეგ, კომუნიკაციები არასრულად ფუნქციონირებს.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ადამია ი., ქართული ხალხურ ხუროთმოძღვრება, წ. 2, თბ., 1968.
2. აქირთავა ვ., მშობლიური მხარის ისტორიის ერთი ფურცელი, გაზეთი „ლენინელი“, 3 თებერვალი, 1981.
3. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.
4. გაზეთ „ივერია“, №12, 1894.
5. გაზეთი „ივერია“, №53, 1895.
6. გაზეთი „ივერია“, №216, 1898.
7. გაზეთი „ივერია“, №263, 1989.
8. გაზეთი „ივერია“, №181, 1885.
9. გაზეთი „ივერია“, №189, 1899.
10. გაზეთი „საქართველო“, №65, 1916.
11. გაზეთი „საქართველო“, 13 იანვარი, 1918.
12. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №1729, 1902.
13. გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, XIX-XX საუკუნეებში., ტ. VI, თბ., 1979.
14. ეფრემიძე მ., გიბალის მოგზაურობა აფხაზეთში (1818-1819წწ.), დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სოხუმი, 1963.
15. ზუბაძა ვ., ზანთარაია ს., გალი, სოხუმი, 1988.
16. ზუბაძა ვ., გალი წინათ და ახლა, გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 19 ოქტომბერი, 1967.
17. კვეჩერელი-კოპაძე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972.
18. კვეჩერელი-კოპაძე ნ., საქართველოს საგზაო მშენებლობა, თბ., 1978.

19. კვიციანი ტ., ადრეული შუა საუკუნეების V-VII საუკუნეებში აბრეშუმის დეკორატიული ქსოვილები კავკასიონიდან, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, V, თბ., 2002.
20. კვერენჩხილაძე ნ., აფხაზეთის ტრანსპორტი და სარაიონთაშორისო ეკონომიკური კავშირი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVI, თბ., 1961.
21. , , 1967.
22. ჟურნალი „კვალი“, №11, 1903.
23. ჟურნალი „მნათობი“, მარტი, 1870.
24. რკინის გზები, ტფ., 1932.
25. რობიტაშვილი გ., საქართველოს საავტომობილო გზები, თბ., 1968.
26. საქართველოს კალენდარი, 1897.
27. საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფონდი 12, აღწ. №1, საქმე 1636, ფურც. 9.
28. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
29. ხვისტანი რ., ოქუმის ხეობა (ენგურ-დალიძების აუზი) შუა საუკუნეებში, თბ., 1998 (საკანდიდატო დისერტაცია).
30. ჯომიდავა ნ., კოლხური გვარ-სახელები, თბ., 1996.

# **ROAD CONSTRUCTION IN SAMURZAKANO (IN XIX – XX CENTURIES)**

## **Summary**

Natural conditions and convenient transport location of Abkhazia allows appropriate development of roads, that's why it was organized during whole period of historical life. Improvement and construction of roads are depended on internal and foreign condition of the country. Due to different reasons, its hastening was not possible until II part of XIX century. Railway traffic accelerated development of national economy since 30s of XX century. Maritime stations were opened comparatively early.

This piece of work analyses construction phases of automobile, railway or airways of Abkhazia and various problems of the functioning of communications.

## სარიტუალო დღესასწაული სამებრელოში (ჰიაპოგონობა)

წარმართობა, მრავალღმერთიანობა  
გრძნობდა სამყაროს ღვთაებრივ წყაროს,  
მაგრამ არ იცოდა ღმერთი

ალ. შმეგანი

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჭიაკოკონობა კა-  
ლენდარული განრიგების წარმართული დღესასწაულია,  
რომელიც დიდ მარხვაში, ვნების კვირის რომელიმე დღეს  
ინიშნება და უფრო ხშირად, დიდ ოთხშაბათს სრულდება.  
სამეგრელოში ჭიაკოკონობა (მეგრულად, ჭეჭეთობა) ელია-  
ობის (ძვ. სტ. 20 ივლისი) წინაღამეს, ხოლო სამეგრელოს  
ზოგიერთ რაიონში — მარიამობის (ძვ. სტ. 15 აგვისტო)  
წინაღამეს ემთხვევა.

ცნობილია, რომ საქართველოში ელიაობას ამინდის  
ღვთაების, ელიას სახელობის დღესასწაული იმართებოდა,  
რომელიც წარმართული რწმენით, 20 ივლისს მოდიოდა  
და მას სხვადასხვაგვარად აღნიშნავდნენ. დიდი გვალვის  
დროს, სამეგრელოში წვიმის გამოსათხოვად სხვა ჩვეუ-  
ლება ჰქონდათ, ხოლო როდესაც სურდათ წვიმას გადაეღო,  
მაშინ წმიდა ელიას მიმართავდნენ, რომელსაც „შესწირავენ  
ხოლმე თხას“ (1, გვ. 141). სხვა ცნობით, კარგი მოსავლის  
მისაღებად, „წვიმას შესთხოვენ და ამ დღეს უქმობენ, რო-  
გორც იღია წინასწარმეტყველის დღესასწაულს“ (2, გვ.  
195). ამდენად, სამეგრელოში ელიაობა ამინდის რეგული-  
რების დღესასწაულია, მაგრამ წინასწარმეტყველისა და  
წარმართული ტაროსის ღვთაების კულტი შერწყმულია.  
ამიტომაც, ძვ. სტ. 30 ივლისი, ახ. სტ. 2 აგვისტო, ქრის-  
ტიანული კალენდრით, წინასასწარმეტყველ იღია თებბი-

ტელის ხსენების დღეა, რომელსაც ამინდის შეცვლას შესთხოვენ ხოლმე.

საინტერესოა მოსაზრება, რომ ილიაობა ავი სულების, – კუდიანების დღესასწაულია. ჭეჭეთობისა და ილიაობის რიტუალთა და ფუნქციათა მსგავსების შედეგად, მათი ქრონოლოგიური საზღვრები ერთმანეთში გადადის (3, გვ. 70) დემონურ ძალებთან, სეტყვის, ჭექა-ქუხილის, თუ ბუნების სხვა მოვლენების დაკავშირება, მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული. „შესაძლოა, მსგავსი წარმოდგენების გამო დაუკავშირდა წინასწარმეტყველ ილიას დღეობას საქართველოში რწმენა იმის შესახებ, რომ ამ დღეს ავსულები, მზაკვარნი, ეშმაკნი მოედებიან ქვეყანას და მზიარულ თავყრილობას მართავენ“ (4, გვ. 124). დასაშვებია ისიც, რომ ელიაობას ჭიაკოკონობასთან ცეცხლი აკავშირებდეს. ილია წინასწარმეტყველი ზეცაში „ცეცხლის ეტლით“ დაჰქრის; როდესაც ილიას საწინასწარმეტყველო მსახურება დასრულდა, სასწაულებრივმა „ცეცხლმა აიტაცა ცაში“ (5, გვ. 336). სამეგრელოში, ელიაობას დიასახლისი წმიდანის სახელზე მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებდა იმისთვის, რომ ფეტვის სამრობს ცეცხლი არ გასჩენოდა (49, გვ. 108). გარდა ამისა, ელიაობის მეორე დღეს სამეგრელოში, ოჯახში მოზრდილ ზაჭაპურს გამოაცხობდნენ, ხონჩაზე დადებდნენ და ზედ ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ. ამ ზაჭაპურიან ხონჩას კერის ცეცხლთან მიიტანდნენ. დიასახლისი ამ ხონჩის ქვეშ ნამგალს სამჯერ გამოატარებდა და იტყოდა: „წმინდა ილია, შენ დაგვიფარე ცეცხლისაგან, მარცხისა და ზიანისაგან, შენ ნუ მისცემ ამაზე ზევით ცეცხლს ძალასო“ (6, გვ. 319).

ჭიაკოკონობა სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში და განსაკუთრებით, აფხაზეთში, მარიამობის წინა ღამეს აღინიშნებოდა. ძველად, მარიამობას, ანუ ღვთისმშობლის მიძი-

ნების დღეს, სამეგრელოში მინდორ-ველს აკურთხებდნენ. სხვადასხვა მცენარისგან კონას შეკრავდნენ, მღვდელს ეპლესიაში აკურთხებინებდნენ, შემდეგ დათუსილ მინდორში მიჰქონდათ და შუა ადგილას რგავდნენ. „სწამთ, რომ ეს დაიცავს მინდორს ელჭექის, სეტყვისა და სხვა ამგვარი უბედურებისაგან“ (2, გვ. 194). იტალიელი მისიონერები, რომლებმაც სამეგრელოში მრავალი წელი გაატარეს და მოსახლეობის რელიგიასა და რწმენა-წარმოდგენებს ჯეროვანი ყურადღება დაუთმეს, არაფერს ამბობენ ჭიაკოკონობის რიტუალზე. დამაფიქრებელია დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ცნობა მარიამობასთან დაკავშირებით: „თავს ვეღარ იკავებენ უცნაურობანი რომ არ ჩაიდინონ“ (7, გვ. 96).

ჭიაკოკონობის სიძველეზე მეტყველებს ხალხური გადმოცემა, რომელიც ფანტასტიკური შინაარსის მიუხედავად, ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს შეიცავს. თითქოს, ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, მდაბიო ხალხი დანიშნულ დროს, კარის წინ შეჩვეულ ცეცხლს ანთებდა. ხალხი ისევ ძველ სარწმუნოებას რომ არ მიბრუნებოდა, წმიდა ნინო თვითონ სამგზის გადახტა ცეცხლზე (8). ამ გადმოცემაზე რუსი ეთნოლოგი მ. კოვალევსკიც ამახვილებს ყურადღებას. წმიდა ნინომ იხილა, რომ ახლადმოქცეული ქართველები ძველებურად განაგრძობდნენ ცეცხლის დანთებას და გადაწყვიტა ისინი ახალ სარწმუნოებაში, სასწაულით დაერწმუნებინა. თვითონ დაანთო დიდი კოცონი და უვნებლად გადახტა მასზე. ამის შემდგომ, წარმართული ჩვეულება ქრისტიანული გახდა (50, გვ. 101). ტრადიციული წარმოდგენებით, მისთვის დამახასიათებელი რიტუალითა და მაგიური მოქმედებებით, ჭიაკოკონობა წარმართული დღესასწაულია.

მეგრელთა წარმოდგენით, ამ დღეს ადამიანებში გამჯდარი იყო ჯადოქრობის ძალა, რაც მათ ცხოველთა სა-

ხეს აძლევდა, ან მხეცების ტარების საშუალებას ანიჭებდა. ასეთია მზაკვარი, ანუ კუდიანი, რომელიც უმეტესად კატის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ამიტომ, ღამით, თუ უცნობ კატას სადმე დაინახავდნენ, ცდილობდნენ სახის რომელიმე ნაწილი მუგუზლით დაეწვათ. „სწამდათ, რომ მზაკვარი მეორე დღეს ისევ თავის ჩვეულებრივ სახეს ღებულობდა, მხოლოდ წინაღამეს მუგუზლით დამწვარი კვალი ზედ რჩება“ (9, გვ. 18). ჭიაკოკონბის აღნიშვნის ქალაქური ვარიანტის მიხედვით, კუდიანები კატებს იტაცებენ იმ სახლებიდან, რომელთა პატრონებმა გაუფრთხილებლობით არ დაანთეს მათგან თავდასაცავი კოცონები (51). კატაზე ამზედრებული კუდიანები მეთაურთან მიდიან, ამიტომ კატებს სარდაფებში ამწყვდევენ (52). კუდიანებისთვის განკუთვნილი ცხოველებია აგრეთვე, მგელი და ტურა. ამიტომაც, კუდიან ქალს – ტურაქალს ეძახიან (10, გვ. 54). მგელთან დაკავშირებულია მზაკვრის მეორე სახელი – „გერიში გიმაზვენჯი“, ე. ი. ვინც მგელზე ზის, ანუ მგელზე მჯდომი. დღესაც, შეუძლებლის შემძლეს სიმბოლურად „გერიში გიმაზვენჯის“ ეძახიან. მგლის, როგორც ძლიერი ცხოველის ყოვლისშემძლეობაზე ქართული ანდაზაც მეტყველებს: „მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელიაო“, ან კიდევ, „მგელმა, რომ ძაღლსავით სუნი იცოდეს, ქვეყანას ამოაგდებსო“ (11, გვ. 31). მგელს ზებუნებრივი ფიზიკური და მაგიური ძალა მიეწერებოდა. ადრე, აფხაზები მგლის სახელს (აქუჯმა) არ წარმოსთქვამდნენ, იგი ტაბუირებული იყო (12, გვ. 165). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დიდმარხვის პირველ შაბათი უქმე იყო. ძველი რწმენით, უქმეს გამტეხის საქონელს მგელი დააზიანებდა. ამ ჩვეულებას „მგელთუქმეს“ უწოდებდნენ (13, გვ. 13). მგელს მითოლოგიასა და ცხოველთა სიმბოლიკაში ცვალებადი მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთი მხრივ, ავსულებთან და კუდიანებთან გაიგივებულ მგლის ტყავს, იმავე დემონური ძალებისაგან თავის დასაცავად აცმევდნენ ავადმყოფს (53, გვ. 172); მგლის კბილს ავგაროზად ატარებდნენ (54, გვ. 136); სვანები ავადმყოფის ცხვირ-პირთან მგლის ბალანს ახრჩოლებდნენ (14) და ა.შ.

ამდენად, მეგრელთა რწმენით, კუდიანები დანიშნულების ადგილზე საწნახელებით მიემგზავრებოდნენ, რომელშიც „თეთრი მგლები“ იყო შებმული (6, გვ. 318). კუდიანების მგელთან კავშირი კარგად არის ნაჩვენები მეგრულ (ქართულ) ზეპირსიტყვიერებაში: „დიდი მგლები დაბმული ჰყავთ მოჯირითე ცხენივით, დღისით თავმდაბლად არიან/ღამით არიან მგლებივით“ (15, გვ. 103).

ჭიაკოკონობის საღამოს მთელი სოფელი მზადებაში იყო. ადრე, სოფლის მოსახლეობა სასოფლო მოედანზე იკრიბებოდა. მთელი ღამე ფხიზლობდნენ, „ბუკს უკრავდნენ, ისროდნენ თოფებს, სიმღერითა და ფერხულებით ერთობოდნენ“ (16, გვ. 231). ცეცხლს ანთებდნენ ჩალისა და თივისაგან, სიმინდის ღეროებისაგან, ზოგჯერ, ხმელ გვიმრასაც, ან ფიჩხსაც იყენებდნენ. ადრე, ცეცხლს სელისა და კანაფის ღეროებისაგან ანთებდნენ (55, გვ. 227). ამ ჩვეულებას ზოგან ახლაც მისდევენ. ამჟამად, ცეცხლს ეზოს შუა ადგილას, ან გარეთ შესასვლელთან, მანქანის საბურავებისაგან ანთებენ. საინტერესოა მოსაზრება, რომ ცეცხლს ხეხილის, ვაზის ნასხლავი ხმელი ტოტების, ლერწების, ფოთლების, ან სხვა ნარჩენებისაგან ანთებდნენ იმიტომ, რომ მავნე მწერი ბუკნა, ან კოკონა, ე. ი. ჭია-ბუკნა, ჭიაკოკონა ანუ კვირტის ჭია, მატლობის ფაზაში ვაზის ქერქის (ლერწის) გულში, სარის ნაპრალებში ზამთრობს. მოზამთრე მატლები გამოდიან გაზაფხულზე, კვირტებსა და ფოთლებს ჭამენ და ანადგურებენ, ამით მევენახეობას დიდ ზარალს აყენებენ (17). ირკვევა, რომ ჭიაკოკონობის

რიტუალს სამეურნეო ფუნქცია ჰქონდა და ამიტომ, გან-  
მტკიცდა ყოფა-ცხოვრებაში. მასალათა უმრავლესობის  
მიხედვით, კუდიანები ყურძნის ღიღი მოყვარულები იყვნენ;  
ამიტომ, მათგან ზიანის ასაცილებლად, მეგრელები და  
იმერლები ცეცხლს ვენახში ანთებდნენ (56, გვ. 34). იმერ-  
ლები დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ კუდიანები ადა-  
მიანებს, საცხოვრებელს, ტანსაცმელს ზიანს აყენებენ,  
მათვის არაფერია ვენახის განადგურება. ამისათვის, ვე-  
ნახში ცეცხლს ანთებდნენ და იქვე, ოოფებს ისროლნენ  
(52). გარდა ამისა, იმერეთში, დიდ ოთხშაბათს, საღამოს  
ერთი ბიჭი ვენახის ოთხივე კუთხეში დაანთებდა ცეცხლს,  
მერე ხელში სახნისს დაიჭერდა, ურტყამდა ქვას, უკლიდა  
ვენახს გარშემო და იძახდა: „ჯვარი აქა, ჯვარი იქა, შენი  
სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე! ჰარული –  
ტურა ქალებსა!“ ამგვარად სამჯერ შემოუვლიდა ვენახს. ამ  
ჩვეულებას „შემორება“-ს ეძახდნენ. (18, გვ. 14). რაჭაში,  
დიდ ხუთშაბათს ყმაწვილები კალოზე ცეცხლს დაანთებ-  
დნენ და გარშემო ურბენდნენ. უფროსები ვენახში წავი-  
დოდნენ და რაკინეულობის რაწკუნით იძახდნენ: „არული  
კუდიანებს! ჩვენს ვენახში ტევნა-ტევნა, სხვის ვენახში  
კიმპლა-კიმპლა!“ თთქოს ამ რაწკუნით, კუდიანები დაფ-  
რთხებიან, წავლენ და ვენახს ზარალს ვეღარ მიაყენებენო  
(19, გვ. 9). არაწმიდა ძალებისაგან ქართველი გლეხი გან-  
საკუთრებით ვენახს იცავდა. ამიტომაც, არასდროს დაკარ-  
გავს მნიშვნელობას გამოთქმა: „ვაზივით ნაფერები სიყვა-  
რული“.

ცეცხლის დღეობათა წარმოშობისა და დანიშნულების  
შესახებ, ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორიები არსე-  
ბობს. ცეცხლი, ერთი მხრივ, მზეს განასახიერებს, მეორე  
მხრივ კი, – სნეულებათა და ავსულთაგან დამცველ საშუ-  
ალებას წარმოადგენს. „ქართველებში წარმოდგენა ცეც-

ხლზე, როგორც ავი სულების საწინააღმდეგო უდიდეს გამწმენდავ ძალაზე, მეტად გავრცელებული იყო“ (20, გვ. 83), ასე, მაგალითად, მგზავრად წასული კაცი ღამით, როდესაც სახლში ბრუნდებოდა, ვინმე კარში ეგებებოდა და მისი შემოსვლის დროს ანთებულ მუგუზალს კარებიდან გარეთ ისვროდა, თითქოს ნებას არ აძლევდა მავნე სულს, რომ იგი მგზავრს სახლში შემოყოლოდა (21). ასეთი ჩვეულება შემორჩენილია სვანეთშიც, იმ განსხვავებით, რომ იქ ანთებულ მუგუზალს ფეხქვეშ წასვლის დროს დაუგდებდნენ ხოლმე, რაც ხალხს გაწმენდის საშუალებად მიაჩნდა (14). ყოველთვის, როდესაც მავნე სულებისაგან დაცვის საჭიროება არის, მწარე ბლის ტოტებისაგან გაკეთებულ ჯვართან ერთად, ფიგურირებს ცეცხლი. კუდიანების ღამეს, ავი სულებისაგან განსაწმენდად „ცეცხლიან მუგუზალს ბეღლის წინ დადებდნენ“ (22, გვ. 278). ცეცხლის კულტს და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს წარმართულ რელიგიაში დიდი ადგილი უჭირავს. საინტერესოა, თუშეთში არსებული „ცეცხლის უქმე“, რომელიც ხორციელის პარასკევს მოდიოდა. ცეცხლს ქონება რომ არ დაეზიანებინა, უქმობდნენ (23, გვ. 63). აჭარაში გავრცელებული სახალხო გართობა-თამაშია „ცეცხლობია“, რომელიც ცეცხლის მოტაცების იმიტაციაა (24, გვ. 72).

სამეგრელოში ჭიაკოკონობა ღამეს ეზოსა და ყანებში, თვალსაჩინო ადგილას მიწაში სარს არჭობდნენ, რომელსაც თავზე გაკეთებული ჰქონდა ჯვარი და ზედ ჩამოცმული იყო ეკლის გვირგვინი. გურიაში ამისთვის ლეკუმპას მოჭრიდნენ, მაღალ სარს გააკეთებდნენ, ალაგ-ალაგ კანის ამოჭრით დანით ააჭრელებდნენ. სარს თავზე ჯვარს უკეთებდნენ და ეკლის რგოლს შემოახვევდნენ, ზედ პატარა ქვებს დაჰკიდებდნენ. ამგვარად, გაკეთებულ ჯვარს პაპა-ჯვარს უწოდებდნენ (25, გვ. 25). ხალხის რწმენით, მავნე,

ავი თვალი ქვის სიმძიმეს ვერ დაძლევდა, ეპალი თვალებს დათხრიდა, ამიტომ, ჯვარს ნამდვილად დიდი ძალა ექნებოდა (57, გვ. 59). თედო სახოკიას დაკვირვებით, „პაპაჯვარ“-ში ქრისტიანობა და პირველყოფილი ანიმიზმი ერთმანეთში არეულა (26, გვ. 63). სამეგრელოში, ოჯახის უფროსი ეზო-კარის „დაჯვარვისას“, ჯვარზე რაიმე რკინეულს – ნალებს, ან სამეურნეო იარაღის (ბარის, თოხის) ნატებს ჩამოკიდებდა, რომ ავი თვალი უვნებელი გაეხადა („მირგალუ“). ჯვარსობისას, ლოცვას წარმოთქვამდნენ... „ჩექიმ ყვანას დუდელია, შხვაშ ყვანას ფურცელია“ (ჩემ ყანაში თავთავი, სხვის ყანაში ფოთოლიო) (27). ელიაობას, საღამოს მოჭრიდნენ აგრეთვე იელს, სახლის წინ დაასობდნენ და იტყოდნენ: „როგორც ეს გახმება და არ იხარებს, ისე ნუ გაუხარებია გლახა თვალისა და მავნე სულისაო“ ყველა ოჯახში უბრალო ხის ჯვრებს გააკეთებდნენ, რომელსაც დატანებული ჰქონდა ეპალი და ქვა. ჯვრის დასმის დროს, იტყოდნენ: „ჯვარი აქა, ჯვარი იქა, შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო“ (28, გვ. 37). მზაკვრებს ჯვარი აფრთხობს, რომლითაც მეგრელი გლეხი სახლის კარებს, კედლებს თაჯავს. ეს ჯვარი ქრისტიანული კი არ არის, წარმართულია. ის არის ჯვარსატება, რომელსაც ქიაჩის, ქეჯვარის, ჯვარის (მზის) სახედ, კოლხები ღვთიურ სალოცავს უმართავდნენ (29, გვ. 67). არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ზედაპალეოლითის ადამიანს უგვე ათვისებული ჰქონდა ჯვარი – სიმბოლო, როგორც ქვეყნიერების ოთხი მხრის აღმნიშვნელი საკოორდინაციო ნიშანი. იგი, ამასთან ერთად, დამცველი უნდა ყოფილიყო. მხედველობაში გვაქვს, საგვარჯილე კლდეებში აღმოჩენილი ე.წ. „მეთაურის კვერთხი“. ენეოლითის პერიოდის კერამიკაზე მიძერწილი ჯვარი, ტრადიციულად საგნის დაცვასა და განწმენდას ემსახუ-

რება. ამიტომ, ჯვარს ადრევე ჰქონდა საკრალური მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, „არა იმ მოცულობის, რაც მას ქრისტიანობამ შესძინა, მაგრამ იგი წმიდა ფიგურას აღნიშნავდა. ჯვარი, მრავალ სხვა ასტრალურ ნიშანთან ერთად, წმინდა დამცველად ითვლებოდა“ (30, გვ. 187, 261). ზემოაღნიშნული ჯვარი, ეკლის გვირგვინით, რკინულობით თუ ქვებით, უძველესი ხალხური მსოფლმხედველობის გამომხატველია.

ჭიაკოკონობის ერთ-ერთი მთავარი მომენტია მისნობა – „გინორჩქილაფა“. სოფელში გულთმისნობით ცნობილი („მენცარი“) ქალი და კაცი, რომლებიც ჭრელა-ჭრულად მოირთვებოდნენ (აქედან არის რიტუალის სახელწოდებაც, ჭერჭეთ ოფა-ჭრელყოფა) (27), მაღლობ ადგილზე იყრიდნენ თავს, ყურს მიუგდებდნენ თითოეულ ოჯახს და ამით იგებდნენ წლის განმავლობაში სად, ვინ უნდა მომკვდარიყო. ეს ხდებოდა ჭეჭეთობა ღამეს. სერგი მაკალათიას დაკვირვებით, ელიაობის წინა დღეს, თუ რომელიმე ოჯახიდან მათ შეშის ჭრის ხმა მოესმოდათ, იქ მამაკაცი იმ წლის განმავლობაში უნდა მომკვდარიყო. თუ ღომის ცეხვის ხმას გაიგონებდნენ, მაშინ ქალი კვდებოდა, რამდენჯერაც დაკრავდა საცეხველს, იმდენი წლის შემდეგ (6, გვ. 318). „გინორჩქილაფა“ სხვადასხვაგვარად ჰქონდათ დაცდილი. ამასთან დაკავშირებით, გაცილებით საინტერესოა საგაზეთო ცნობა: „სამეგრელოში ამისთვის ცეცხლს სამი გზის გასაყართან დაანთებდნენ: ცეცხლის ნაპირას დააწყობენ ჩიბუხს, ჩონგურს, დაირას და სხვა. ისინი კი, შორიდან იცქირებიან. სწამთ, რომ აქ უნდა გაიარონ იმათ, ვინც ამ წელს გარდაიცვლებაო. მოხუცი კაცი თუ იქნა, ის ჩიბუხს მოსწევსო, თუ ქალი, ცოცხით გვას დაიწყებსო, თუ გასათხოვარია, დაირას დაუკრავსო“ (31). შემდეგში ამ „გადაყურების“ შედეგები, სოფელში ჩუმი მითქმა-მოთქმის

საგანი ზდებოდა. ხალხს სჯეროდა გულთმისნების, საფრთხის ასაცილებლად ოჯახში თაფლის სანთლის პატია ჯვრებს აკეთებდნენ და როგორც თილისმას, მიიკრავდნენ. მისნების მაგიური რიტუალი, ვნების კვირაში იცოდნენ ფშავში, ხევსურეთში. იმ განსხვავებით, რომ ეშმაკის ნების გაგება შეეძლო არა კუდიანსაც, თუ ის მისნობის წესებს შეასრულებდა. ხევსურეთში სამი კაცი „მესმინაე“ წავა, ორ თითისტარს წაიღებენ, გზაგასაყარზე სხდებიან, გარშემო ნახშირის წრეს შემოხაზავენ, და სულგანაბულები ელოდებიან მავნე სულების გამოჩენას (32, გვ. 219). ფშაველს მისნობისას, იარაღი და რაიმე რკინეული არ უნდა ჰქონდეს. მისნები ქალამანს უკუღმა იცვამენ, ზურგშექცევით მიდიან და ერთმანეთთან ზურგით სხდებიან (33, გვ. 167). ეშმაკები მოვლენ, ფერხულს დაუკლიან და იმ წლის უბედურ შემთხვევებს მისნებს მოაჩვენებენ.

მეგრელთა რწმენით, ჭეჭეთობის მეორე დღეს თუ ვინმეს ფერი ეცვალა, ის უთუოდ გარდაიცვლება. ყველას ეშინია „ამაღამ თუ დავიძინე, გულს და სისხლს მზაკვარი ამომაცლის და თავის უფროსს „როკაპს“ მიართმევსო“ (31) მზაკვართა კორპორაციის მეთაურის, „როკაპის“ ადგილსამყოფელი, ტაბაკონას მთაზეა, რომელიც მარტვილის რაიონში მდებარეობს და სოფელ ინჩხურს გადმოჰყურებს. იგი ზღვის დონიდან 600 მ-ის სიმაღლეზეა, მაგრამ მისი ქედი ტაბაკის მსგავსად, ჩავაკებულია და მრავალი კარსტული მღვიმით არის ჩაკვეთილი, სადაც მუდმივი ჩრდილი, სიბნელე და მდუმარება სუფევს (29, გვ. 65). ამ ადგილას, ჭიაკოკონობა ღამეს, ეშმაკები მეჯლისს – ტაბლას (მეგრ. ტაბაკს) მართავდნენ და ღრეობდნენ (34, გვ. 20). წელიწადში ერთხელ მზაკვრები სამეგრელოს ყველა კუთხიდან „ტაბაკონაზე“ მიდიან და „როკაპს“ თავიანთი მოქმედების ანგარიშს აბარებენ. ეს დღეა ჭეჭეთობა, ანუ

მზაკვრების დღესასწაული. „ტაბაკონას“ იცნობენ სხვა-  
განაც და მიუთითებენ აფხაზეთში, იმერეთში, ოლონდ  
„ტაბაკელას“ ეძახიან. „როგაპის“ ადგილსამყოფელად აგ-  
რეთვე მიჩნეულია მიუვალი კლდეები, ზღვის პირას მდე-  
ბარე ქვეყანა, რომელსაც გურულები „ჭაჭვეთს“ უწოდებენ  
და არავინ იცის ის სად მდებარეობს (35, გვ. 185). მო-  
ხევების რწმენით, მჩხიბავები „აღალბაშ“-თან – ყაზბეგის  
ვეძასთან თავს იყრიან, სადაც ისინი ფერხულს აპამენ (36,  
გვ. 201). ხალხური გადმოცემით, ტარტაროზი, იგივე  
როკაპი ზის კავკასიის მთის, იალბუზის წვერზე, გარს  
ახვევიან ეშმაკები და მოახსენებენ, ვინ რამდენი სული  
მიიმსრო და გააკუდიანა (8). მიუხედავად საზოგადო ბუ-  
ნებისა, როკაპს კუთხური თავისებურება გამოუმუშავებია  
და დაუცავს. ძირითადად, შემზარავი გარეგნული ნიშნებით  
ხასიათდება, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, ავი და  
ყბედი დედაკაცია. ვინც ჭიათურონა დაღამებამდე ვერ მოას-  
წრო, რათა ადამიანი დაეზარალებინა, მერე მაინც უნდა  
იღონოს რამე, თავის უფროსს ხელცარიელი არ წარუდგეს.  
მზაკვრებსა და მოსახლეობას შორის, ბრძოლა და ჭიდილი  
იმართება (9, გვ. 19). ჭეჭეთობა დღეს მეგრელები რაიმე  
მნიშვნელოვან საქმეს არ წამოიწყებდნენ. გზად წასვლასაც  
ერიდებოდნენ. ღამით გარეთ არ ტოვებდნენ ტანსაცმელსა  
და ფეხსაცმელს, ეშმაკმა არ გათვალისო. თავის ნაბან  
წყალს ღამით გარეთ არ გადაღვრიდნენ, თმა არ გაჰყვეს  
და მზაკვარმა არ წაიღოსო. ოჯახის უფროსი ქალი ყველა  
წევრს ცვილის პატარა ნატეხს მიაკრავდა შემდეგი სიტ-  
ყვებით: „ვინც შენ ავი თვალით და შურით შემოგხდოს,  
შენ გაუსრისე თავი, როგორც მე ეს სანთელი გავსრისეო“.  
ადრე, ჭურჭელსა და საქონელსაც თაფლის სანთელს  
აწებებდნენ. სანთელი ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა

და სავარაუდოდ, ჭიაკოკონობის რიტუალში გვიანდელ ელემენტს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ბავშვებს გულზე ავგაროზებს ჰკიდებდნენ, რომელშიც რაღაც მცენარის თესლი ან ყვავილი, ძაღლის ან კატის ბეწვი იყო. „თუ იშოვიდნენ ავგაროზში იმ კაცის თმას ან სხვა რამეს დებდნენ, რომელსაც მზაკვრობას შეატყობდნენ, შემდეგ მას ვნება არ შეეძლებაო“ (37, გვ. 226). მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულია „მზაკვრის გამოლოცვა — „გითოხვამა.“ ტერმინი აშკარად ძველია და წინარე ქრისტიანული. „აი, კურკული, კურკული, — ვინმემ თუ ავი გვიქნა, მის ოჯახში ვაი, ზარი და, ქვითინი“ (38, გვ. 495). თილისმებისა და ჯადოქრული საშუალებებისადმი ნდობა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ამჟამადაც არ შენელებია, ამიტომ გათვალვის საწინააღმდეგო მაგიური შელოცვები, მეტ-ნაკლები ინტენსივობით მთელ საქართველოში არის გავრცელებული. მზაკვარსა და გამთვალავს ხალხი წყევლისმაგვარ ფორმულას უპირისპირებდა. „ავი თვალის შემომხედს, კარიდან ცეცხლი და ჭერიდან მეხიო“ (39, გვ. 8). „ზაკუა“ და „მზაკუ(ვ)არი“ დავით წინასწარმეტყველის (ქრისტეშობამდე XI საუკუნე) ფსალმუნებშიც აუგად იხსენიება: კერძოდ, „უტყუ იქმნენ ბაგენი მზაკუვარნი“ (30, 18), ან „მოსისხლე და მზაკუვარი სძაგს უფალსა“ (5, 6), „ენითა მათითა ზაკუვიდეს“ (5, 10) და ა. შ. (40, გვ. 69, 21).

ხალხის რწმენით, მზაკვარს ვნება არ შეეძლო, თუ მას დადაღავდნენ. ამისთვის, გააცხელებდნენ რკინის ნაჭერს და შუბლზე ადებდნენ. გაზეთ „დროების“ ცნობით, სამურზაყანოს თითოეულ სოფელში, მთავრობისთვის გადასაცემად შეუდგენიათ თხოვნა, რომ ნება დაერთოთ, დადაღონ შემჩნეული პირები. ძველად დადაღული რამდენიმე ახლაც ცოცხალიაო (41). ამგვარ შემთხვევებზე წერდა კ.

ბოროტდინი: „ყველა დარწმუნებულია კუდიანები და ტარტაროზები არიან და ხანდახან მეტად დრამატული ამბებიც ხდება. თურმე ზუგდიდის გარშემო სოფლებში გაჩენილი საქონლის ჭირი კუდიანებს დააბრალეს. თურქის მეშვეობით, რომელიც კუდიანებს ცნობდა, საცოდავი დედაბრები სასტიკად დასაჯეს: უშველებელ კოცონზე გადახტომით მანამდე აწვალეს, სანამ არ ათქმევინეს, ჭირი საქონელს ჩვენ დავურიეთ და ამის შემდეგ ჯვარი სწერიაო. რამდენიმე დედაბერი ცოცხლად დაიწვა“ (42, გვ. 36). ამ ფაქტს არაფერი აქვს საერთო, შეუაუკუნების ევროპაში გავრცელებულ კუდიანების გასამართლებასა და საჯაროდ კოცონზე დაწვასთან.

სვანურ დემონოლოგიაში კუდიანი დედაბრის (იგივე როკაპი, „ვობურ დედბერი“) რთულ სახეს, ნაყოფიერების იდეაც უკავშირდება. საერთო კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, მას გამომცხვარ კვერს სწირავდნენ (43, გვ. 462).

მეგრული ზღაპრების პერსონაჟთა შორის როკაპს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. როკაპის მეუღლე როშაპის სახელით არის ცნობილი. ორივე ცოლ-ქმარი ტყეში ცხოვრობს, საკუთარ კოშკში. არც ერთ მონადირეს უფლება არა აქვს, მათ სამფლობელოში უბრალოდ, თოფიც კი გაისროლოს (38, გვ. 511). წეს-ჩვეულებების მიხედვით, კუდიანი დედაბერი მეტ მავნებლობას სჩადის, ვიდრე ზღაპრის პერსონაჟი. ზღაპრის დედაბერი „შორეული და დამოუკიდებელი ანარეკლია მატრიარქატის დაშლის დროინდელი დევნილი ქალისა“ (44, გვ. 89).

კუდიანობის კულტი უძველესია, ვინაიდან საკმაოდ დახვეწილია მის წინააღმდეგ ბრძოლის რიტუალური წესები, რომელიც ახლაც მოქმედია. ყველაზე მთავარი როკაპი არის მითიური არსება, არსებითად განსხვავებული სხვა ხალხთა ეპოსისაგან. „კუდიანი ადგილობრივი ტიპია და

არა შეთვისებული. მისი შემოსვლა ხალხურ ეპოსში შეაპირობა ქართულმა ტრადიციულმა რწმენამ კუდიანი დედაბრის კულტის შესახებ“ (45, გვ. 230). მსოფლიოში ცნობილი მითოლოგიური მოდელის მიხედვით, როკაპი უნდა მიეკუთვნოს ხტონურ („ხტონი – ბერძნულად მიწა“) ღვთაებათა ჯგუფს, რომელიც მატრიარქატის დროინდელი წარმოდგენის ნაყოფია. ტაბაკონას ღრმულში უძრავად მჯდომი როკაპი, პატრიარქატის ეპოქაში დეგრადაციას განიცდის და თავის შემტევ ძალებთან (მზაკვრებთან, ჯადოქრებთან, ეშმაკებთან) ერთად, დემონურ ძალად იქცევა (46, გვ. 50).

ჭიაკოკონობის რიტუალში ასკილის (ზღმარტლის, წითელი ტყემლის) ტოტების გამოყენება ასევე არქაული მოვლენაა. „ამ დღეს უეჭველად ასკილს იშოვიან, თუნდაც ათ ვერსზე წავლენ მის მოსატანად, საღამოს ნაჭრებად დაჭრიან და ყველგან გაჩნირავენ: კარებში, შესასვლელში, ფანჯრებში, ყუთებში“ (47). მცენარის მოწითალო ღეროები მზაკვარს თვალს სჭრიდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სიწითლეს, როგორც ცეცხლთან ასოცირებულ ფერს, ავსულების დამაფრთხობელი ძალა მიეწერებოდა (48, გვ. 247).

ამდენად, საწესჩვეულებო მაგიური რიტუალის – „ჭიაკოკონობა“-ს მთავარი ფუნქცია არის ბოროტი სულების განდევნა, რაც ზოგან დღემდე არსებობს.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1990. იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ.
2. უან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა.
3. თ. შიოშვილი, ქართული მითოლოგიური პერსონაჟები – წყლის დედა, კუდიანი (თედო სახოკიასეული მასალების მიხედვით), მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), თბ., 1980, №2.
4. მ. გიორგაძე, წმიდა ილია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, №9.
5. ბიბლიის ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 2000.
6. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
7. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ.
8. გაზეთი „დროება“, 1872, 23 იანვარი, №3.
9. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
10. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912.
11. რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები, შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ალ. ლლონტმა, თბ., 1957.
12. ს. ზუბდა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988.
13. ქართული ფოლკლორი, V, ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, თბ., 1975.

14. გაზეთი „ივერია“, 1886, №146.
15. ქ. სამუშაა, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, თბ., 1971.
16. ო. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
17. შ. ლაბაძე, ს. კირვალიძე, ჭიათურა, გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ 1972, 15 აპრილი.
18. დ. ავალიანი, სოფელი ქვიტირი, ხალხის ჩვეულებანი, „აკაკის კრებული“ 1899, №9, განყ. II.
19. ალ. ბარამიძე, სოფელი ბოსტანა, „აკაკის კრებული“, 1899, № 11, განყ. II.
20. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941.
21. გაზეთი „ივერია“, 1895, №163.
22. ჯ. რუხაძე, ეთნოგრაფიული გულანი, თბ., 2003.
23. 6. აბაკელია, ქ. ალავერდიშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 2000.
24. ჯ. ნოღაიძელი, აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთ-ნოგრაფიის მასალები, თბ., 1967.
25. ქართველურ ენათა ლექსიკა, გურული ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1938.
26. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1985.
27. მ. კვირტია, ჭეჭეთობა, გაზეთი „ნაპერწკალი (ჩხოროწყუ), 1970, 4 ივლისი.
28. ან. ქანდარია, სოფელი ჯუმი, ზუგდიდის მაზრა, „აკაკის კრებული“, 1899, №7, განყ. II.
29. გ. ელიავა, სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში, თბ., 1996.
30. ო. სურგულაძე, მითოსი, კულტი და რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.
31. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1897, 30 ოქტომბერი, №356.

32. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984.
33. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1934.
34. კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, თბ., 1979.
35. 6. ნადარაია, დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980.
36. ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934.
37. ა. ჭანტურია, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბილისის უნივერსიტეტის მრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1982, ფ. 227.
38. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. 2, თბ., 1960.
39. ხალხური სიტყვიერების მასალები, ნაწ. II, თბ., 1957.
40. ფსალმუნი, თბ., 2002.
41. გაზეთი „დროება“, 1876, №96.
42. კ. ბოროზდინი, რ. ერისთავი და მურიე, ბატონიშვილის საქართველოში, ტფ., 1927.
43. ა. ლეკიაშვილი, სვანური ქალბაბარის ბუნებისათვის, ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
44. თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის მხატვრული სახეები (დედაბერი), ქართული ფოლკლორი, I-II, თბ., 1964.
45. ალ. ღლონტი, კეთილი დედაბრის სახე ქართულ ზღაპრულ ეპოსში, თბ., 1959.
46. ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1990.
47. გაზეთი „დროება“, 1877, №38, 8 აპრილი.

48. აკ. სოხაძე, ასკილის მაგიური მნიშვნელობა და მისი  
სარიტუალო გამოყენება ქსნის ხეობაში, მასალები ქსნის  
ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1975.
49. .
- ,
- „ 1903, .. XXXII, .
- II.
50. . , , . 1, ..  
1890.
51. „ „, 1855, 5.
52. „ „, 1903, 87.
53. . , , მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის,  
თბ., XVI-XVII.
54. . , , , -  
, 1956.
55. . , , I, .. 1925.
56. . , , - , 1,  
. , .. 1903.
57. . , , ,  
. 1893, . XVII, . . 286.

## CHIAKOKONOBA RITUAL IN SAMEGRELO

### Summary

The pagan feast Chiakokonoba (Megrelian **Checheto-ba**) is celebrated in Samegrelo on the eve of Eliaoba (July 20 according to old style) and in some regions on the eve of Mariamoba (the Dormition, August 15, also old style).

Megrelians believed that wicked, evil forces occupied human beings. Such people could be transformed in a **certain animal** (for example cat) or were able to ride beasts (mainly wolves). Even today when a person could do impossible he or she is called "**rider of wolf or mzakvari**" (crafty) (in Megrelian **mzakvali**).

On the day of **Chiakokonoba mzakvaris** are gathering at their headmaster Rokap's place and reported on their evil deeds. At the end of their meeting they perform whishes' Sabbath. On this very day people set a special fire and jump over it, fire a gun and keep vigil whole night in amusement to prevent the evil eye people erect a stake with a cross and a torn crown on the top. The cross (**papadzvari**) and the ritual of fortune-telling (Meg. **Ginorch** kipala) performed at the night of Chiakokonoba are mere examples of ancient folk mentality. With the help of the ritual people used to learn the future accidents, mishaps and to prevent them used to stuck small wax crosses. On that very day nobody begins any kind of important activity and bewares to go on a long way. Nobody leaves out of doors their shoes or cloths to protect them from devil's eye.

Thus, the pagan feast Chiakokonoba, with its magic rituals and traditional beliefs still continues its existence as a relic.

## ქართველთა ძრისტიანული სარმაზნოების შესახებ

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების მნელბედობამ, კულტურული ძალების აღმავლობა უფრო აღმოსავლეთ საქართველოსკენ გადაიტანა. შესაბამისად, ქართულ საისტორიო თხზულებებსა და ქრონიკებში ნაკლებად აისახა დასავლეთ საქართველოს სამთავროების პოლიტიკური, კულტურული, თუ სოციალურ-ეკონომიკური მაჯისცემა. ამ მხრივ, გამონაკლისს XVII საუკუნე წარმოადგენს, როდესაც გამოცოცხლდა ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რუსეთთან, რამაც ასახვა პპოვა დასავლეთ ევროპულ (განსაკუთრებით, იტალიურ) მისიონერულ ლიტერატურაში და რუსულ წყაროებში. „ევროპის დაინტერესება საქართველოთი, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო გზების ძიებით. კავკა-სიაზე კი, ოდითგანვე, დასავლეთის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმთავრესი საგზაო არტერია გადიოდა; მეორე მხრივ, გვიან შუა საუკუნეებში რომის კათოლიკური ეკლესიის მისწრაფებით – თავისი გავლენა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებზეც გაევრცელებინა“ [9, 10]. არსებული მასალების მიხედვით, საქართველოში კათოლიკური პროპაგანდა, XIII ს-ის 20-იანი წლებიდან იწყება და XIX ს-ის შუა პერიოდამდე გრძელდება, მაგრამ XVI-XVII სს-ში, კათოლიკე მისიონერები განსაკუთრებით მომრავლდნენ. საქმე იმაშია, რომ XVII ს-ის პირველ მეოთხედში, „კათოლიკე ფიდეს“ დაარსებამ საქართველოში კათოლიკობის ისტორიის ახალ ხანას ჩაუყარა საფუძველი. კერძოდ, XVII ს-ის 30-იან წლებში, ოდიშში დაფუძნდა თეატინელების ორდენის კათოლიკური მისია. მათი პროპაგანდა სამეგრელოში, ფაქტობრივად, 1670-იანი წლებით მთავრდება. თეატინელთა შორის იყვნენ არქანჯელო ლამ-

ბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, ქრისტეფორე კასტელი, იოზეფ ძამპი. ეს უკანასკნელი, თეატრინელთა ორდენის ბერების წინამდლვარი იყო, რომის პროპაგანდაში იგი მეორედ გამოგზავნა სამეგრელოში, რაც მის ნაყოფიერ მოღვაწეობაზე მიანიშნებს. ნიშანდობლივია, რომ მისიონერები თავიანთ რელაციებში განსაკუთრებით მონდომებით ცდილობდნენ ზუსტად აღენიშნათ ყოველივე ის, რაც მათ გარშემო ხდებოდა. ტენდენციურობა ახასიათებთ, ძირითადად, რელიგიურ საკითხებში. ისინი „დადებითად აფასებდნენ იმათ, ვინც კათოლიკობის გავრცელებაში ხელს უწყობდათ, ხოლო ვინც უშლიდათ უარყოფითად იხსენებდნენ“ [3, 12]. მისიონერებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები, არამედ მართლმადიდებელ ღვთისმსახურთა მთელი იერარქია. ასე, მაგალითად: ძამპის ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ხალხის დამოკიდებულება ეკლესიასთან, მარხვები, მათი დაცვის წესები, ლოცვები, ხატების თაყვანისცემა, ტაძრის ინტერიერის შემკულობა, წმიდა რელიქვიები და ა.შ., მაგრამ იგი ყველაფერს კლერიკალური პოზიციებიდან აფასებდა, ანუ ის რაც კათოლიკურ დოგმებს არ შეესაბამებოდა, მისი თვალსაზრისით, ხალხის სულიერ ცხოვრებას ამახინჯებდა. უფრო მეტიც, არქანჯელო ლამბერტმა, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობდა ოდიშის სამთავროში და სხვებთან შედარებით, სინამდვილის სრულფასოვანი აღწერილობა წარმოგვიდგინა, კოლხიდა „სასულიერო მოღვაწეობისათვის უნაყოფოდ“ მიიჩნია, რომელიც მხოლოდ კათოლიკე მისიონერების მეცადინეობამ გახადა ნამდვილი, საიმედო ასპარეზი სასულიერო საქმიანობისათვის. მისივე ცნობით, მოუნათლავი კოლხიდებულების რაოდენობის შესაძლებლად, მათ რამდენიმე ათასი სული მონათლეს [4, 8]. ფრიად განათლებულ და სამისიონერო მოღვაწეობისათვის

ყოველმხრივ მომზადებულ მისიონერებს არ გასჭირვებიათ ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოება; მკურნალობისა და ხელობა-ხელოსნობის დანერგვის გარდა, ისინი სულზე წარმატებულ ნადირობას მისდევდნენ. კერძოდ, „სამეგრელოსა და საქართველოს ცენტრებში, ზამთრის სეზონში მწყემსები დიდ ცეცხლს ანთებდნენ, სადაც თავს იყრიან ქალებითა და ბავშვებით. სულზე მონადირე ჩვენი პატრები მათთან ჩაებმიან საუბარში უფლის სამეფოს შესახებ, ნათლავენ ჩვილ ბავშვებს და სხვებსაც ასწავლიან ცის გზას“ [3, 12]. ამდენად, მისიონერებს ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ სამეგრელოში კათოლიკობის დასაწერგად და ამ მიმართულებით, საკმაო წარმატებებიც ჰქონდათ. ამავე დროს, ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ერთხმად ამხელდნენ არაქრისტიანულ ცხოვრების წესში, ქრისტიანული ნიშან-თვისებების უქონლობაში, ნათლობისა და სხვა საიდუმლოებების ჭეშმარიტი წესების დავიწყებაში. იმასაც დასძენდნენ, რომ ისინი გაკათოლიკოდოდნენ, წმიდა საიდუმლოებებსაც მიიღებდნენ, მაგრამ „ამას არ აკეთებენ, რომ შეჩვენებისა და ზიზღის საგანი არ გახდნენ – სხვებისაგან, როგორც მწვალებლები“ [6, 51]. ასეთი განწყობის საფუძველი იყო მართლმადიდებელი სარწმუნოების ერთგულება. რჯულის მსახურებაზე აღმატებული ღვაწლი ქართველს ვერც კი წარმოოდგინა. სხვა შემთხვევაში, გაქრისტიანდა, ანუ გაქართველდა, – იდენტური მნიშვნელობის მცნებები არ იქნებოდა. შემთხვევითი არ არის ადგილობრივი მოსახლეობის მსოფლმხედველობის მაღალი შეფასება, რაც არქ. ლამბერტმა დაგვიტოვა. მან თავის მორიგ ნაშრომს „წმინდა კოლხეთი“ უწოდა.

ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოებაზე – ნათლობაზე, რომელიც ყველა სხვა საიდუმლოების კარია, საგანგებოდ შევჩერდებით, ვინაიდან სა-

მეგრულოში მას რამდენიმე თავისებურება ახასიათებდა. ჩვეულების თანახმად, ვინმეს მონათვლისას, აუცილებელია ძროხისა და ოორის დაკვლა, მღვდლისა და სხვებისათვის სადილის გამართვა, ამიტომ, სიღარიბის გამო, ბევრი ერი-დება თავიანთი შვილების მონათვლას [6, 94]. ცხადია, მდიდრები ამით არ კმაყოფილდებოდნენ. ნათლობის დღე-სასწაული უფრო ბრწყინვალე რომ ყოფილიყო, კლავდინენ საკლავებს; ეპატიუებოდნენ ნათესავ-მეგობრებს და მათ საზეიმო სუფრას უშლიდნენ. ნიშანდობლივია, რომ სამეგრელოში აღნიშნულ ჩვეულებას დღესაც მტკიცედ მისდევენ და ნათლობისათვის სათანადოდ ემზადებიან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ძველად ნათლობა მარანშიც სრულდებოდა, რომელსაც ეკლესიების მეხუთე ტიპს მიაკუთვნებდნენ [9, 147]. ეკლესიის სიშორის, ან სხვა მიზეზის გამო, მარანში, იქ, სადაც სალოცავი ქვევრები ჰქონდათ ჩაფლული, მღვდელი ჯვრისწერის საიდუმლოსაც აღავლენდა [5, 265]. რაც შეეხება ნათლობისას სახელის გადარქმევას, წყაროებში ამის შესახებ ცნობები არ გვხვდება. საერთოდ, სამეგრელოში მართლმადიდებელი წმიდანების სახელებს ნაკლებად არქმევდნენ, რადგან „მათი თქმით უბრალო ადამიანს არ უნდა ერქვას წმიდანის სახელი, რომ არ შეურაცხყოს იგი“ [9, 165]. ოდიშელების, ანუ მეგრულების მტკიცე სარწმუნოების განმსაზღვრელად მარწვის შენახვა უნდა მივიჩნიოთ. „კოლხიდას“ წარსულზე უკი ფრანსუა გამბა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მისი ბედი მსგავსია ყველა იმ ქრისტიანული ქვეყნის ბედისა, რომელიც დღი ხნის განმავლობაში მაპმადიანებს მორჩილებდნენ. მისივე ცნობით, ერთ-ერთი დიდებულის თორმეტით წლის გაუიშვილი სტუმრებისათვის გაწყობილ ვახშამს, იმ ერთადერთი მიზეზის გამო არ დაესწრო, რომ ბერძნული საეკლესიო წესით, წმიდა მარწვის დღეები

უწევდა [1, 127]. არასრულწლოვანი ყმაწვილის სარწმუნოებრივი სიწმინდე, შეიძლება მოსახლეობის სხვა ასაკობრივ და სოციალურ კატეგორიაზე განხოგადდეს. რასაკვირველია, ეპისკოპოსები და სასულიერო პირები მარხვას მკაცრად იცავდნენ, რაც ღვინის დალევასა და თევზის ჭამისაგან თავშეკავებაში გამოიხატებოდა. „მარხვის დროს საკვებს იხმევდნენ დღეში ერთხელ, ისიც მწუხრისას. მრევლიც ასე იქცევა“ [9, 140]. მარხვის მკაცრ შენახვაზე ორი ჩვეულება მიანიშნებს, სახელდობრ: ქელების სუფრაზე ყველაფერი უსათუოდ სამარხვო უნდა ყოფილიყო; ნადირობის დრო მარხვის ხანგრძლივობის შესაბამისად ჰქონდათ განსაზღვრული. კერძოდ, ირმებზე ნადირობას, ორი დრო აქვს წელიწადში, ერთი ყველიერის დაწყებიდან დიდმარხვამდე და მეორე – სექტემბრის დასასრულიდან შობის მარხვამდე [4, 56]. დიდმარხვაში კი, დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამდნენ, მზის ჩასვლის შემდეგ, დღის განმავლობაში თავს ნებას არ აძლევდნენ ხილი გაესინჯათ. ადამიანი რაც არ უნდა ავადმყოფი ყოფილიყო, ან მოხუცი, ან დაუძლურებული, სიკვდილს არჩევდა და ხორცს არ იგემებდა ე. ი. მარხვას არ დაარღვევდა. გარდა ამისა, „პირველ კვირაში თითქმის ვერავის ვერ ნახავთ სამეგრელოში ცხენზე შემჯდარს. თუ მგზავრობა დასჭირდათ, ამ დროს ყველანი ფეხით მოგზაურობენ. განსაკუთრებით ქალები, რაც უნდა დიდი გვარის იყვნენ, მთელი კვირის განმავლობაში რაც უნდა დიდი სიცივე იყოს, ამ დროს ფეხშიშველები დადიან. სხვები დიდმარხვის პერიოდში პარასკევობით სრულებით საჭმელს არ სჭამენ. ბოლო კვირას ღვინოს არ სვამენ და სამ უკანასკნელ დღეს არავითარ საჭმელს არ იგემებენ“ [4, 132]. კათოლიკე მისიონერებს მართლმადიდებლური ხშირი და ხანგრძლივი მარხვების მტკიცედ შენახვა წარმოუდგენლად მიაჩნდათ. მით უმეტეს,

სამარხვო კერძებიდან მხოლოდ თურქულ ლობიოს ასახე-ლებდნენ. „დროის შესაფერისად, მარხვაში ან ახალ ლო-ბიოს სჭამდნენ, ან ძველსა“ [4, 54]. შობისა და აღდგომის დიდმარხვის გარდა, პეტრე-პავლობის მარხვას ინახავდნენ, რომელიც სულთმოფენის შემდეგ იწყებოდა. მარხვით მია-გებდნენ პატივს „მარაშინას“, ანუ ღვთისმშობლის მიძი-ნებას. ასე იქცეოდნენ ნათლისლებაზე, ჯვართამაღლებაზე და ა.შ. როგორც ირკვევა, ძირითადად, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დადგენილ კალენდარს იცავდნენ, ოღონდ ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით. ასე, მაგა-ლითად: ნათლისლებისას, თითოეული ოჯახი თავის სამ-რევლო ეკლესიაში მიიჩქაროდა, რომ წირვის შემდეგ, მახ-ლობელ მდინარეში ნაკურთხი წყალი სახლში ეპკურებინა. „როგორც კი მღვდელი წყალს აკურთხებს, ხალხი ცდი-ლობს რაც შეიძლება ჩქარა ამოიღოს დოქებით წყალი, რადგან დარწმუნებულია, რომ თუ ამოღება დაუგვიანდა, ნაკურთხ წყალს მდინარე წაიღებსო“ [4, 125]. სამეგრე-ლოში ჩვეულებად ჰქონდათ, ბზობას ეკლესიიდან რომ გა-მოვიდოდნენ, ყველას ქუდზე დაეკრა ბზის ტოტი და მთე-ლი დღე ასე ეტარებინა [4, 132]. მარხვის შენახვა გულის-ხმობდა წირვა-ლოცვასა და სხვა საღმრთო მსახურებაზე დასწრება-მონაწილეობას, რომელსაც კათოლიკე მისიონე-რები, შეძლებისდაგვარად, ამუქებდნენ. კერძოდ, სამთავრო და საეპისკოპოსო ეკლესიებში მხოლოდ მთავარ დღესასწა-ულებზე წირავდნენ და ჩვეულებად არ ჰქონდათ წირვაზე დასწრება, გარდა უქმე დღეებისა. უქმეები იყო: გიორ-გობას, ელიაობას, პეტრე-პავლობას, ანუ „პეტრობა“ = „პერტობას“, ამაღლებას და ა.შ. წირვის შემდეგ, მღვდ-ელი აკურთხებდა სურსათსა და მის მომტანს ლოცვავდა. შემდეგ, ერთად სხდებოდნენ და დროს ღვთის დიდებაში, ერთმანეთის დალოცვაში მხიარულად ატარებდნენ. დღეობა-

დღესასწაულის ამგვარი აღნიშვნა ტრადიციად მოსდგამდათ ჩვენ წინაპრებს. მისი არსის ჩაწვდომა, ცხადია, ევროპელ მისიონერებს არ უცდიათ. დღეობა არის ამა თუ იმ რელიგიურ წარმოდგენასთან დაკავშირებული დღესასწაული – ხატობა; ეკლესიის დღესასწაული, იგივეა, რაც დღესასწაული, რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებული ზეიმი, რაც ყოველთვის წლის ერთსა და იმავე დროს იმართებოდა, ანუ საზეიმო დღე იყო [11, 1250]. ეს იყო სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილი, სადაც ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა. დღეობაში მონაწილეთა სიმარჯვე, ცეკვა-თამაში, სიმღერა, სპორტული შეჯიბრებები აგრერიგად ალამაზებდა სოფლის დუხშირ ჟამთა სვლას.

ღვთისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება და სახარებისეული მცნებების რწმენა – „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტგირთმძიმენი და მე განგისუენო თქუნე“ (მათე 11, 28-30), ჩანს მეგრელების იმ ქმედებაში, როდესაც ისინი გაჭირვებისა და მწუხარების შემთხვევაში, უმაღვე ეკლესიას მიაშურებდნენ ხოლმე. ეკლესიის კარებთან გაჩერდებოდნენ და ღვთისმშობლის ხატს ლოცვა-ვედრებას აღუვლენდნენ. მათ იცოდნენ აგრეთვე „ხატთან შუამავლის მიყვანა. თითქოს ვექილებიაო, ისე ესაუბრებოდნენ ხატს, მრავალი საბუთის მოტანით, რის შემდეგაც ხატი უნდა განეწყოთ მისი პატივისმცემლისადმი, რათა იგი შეიწყნაროს“ [6, 94]. გარეგნულად ლოცვა პირჯვრის გამოსახვასა და მეტანიაში ვლინდება. პირჯვარი გამოხატავს ჩვენ შინაგან სურვილს და სწრაფვას – მივბაძოთ ქრისტეს, ვიცხოვროთ სადიდებლად ღვთისა, ხოლო მეტანია არის ღვთის წინაშე ჩვენი მოკრძალება, ასევე, უღირსებისა და სინანულის გრძნობები. სწორედ ამგვარად ლოცულობდნენ ქალები, როდესაც „ანთებდნენ სანთელს და

ამაგრებდნენ მას თავიანთი სახლის ან ეკლესიის კარზე, აქმევდნენ მცირეოდენ საკმეველს და მზისკენ მიბრუნებული ძლიერ მოიხრებოდნენ და მრავალგზის გადაიწერდნენ პირჯვარს თავით ფეხებამდე“ [9, 127]. ლოცვისას ითხოვდნენ ჯანმრთელობას, კარგ მოსავალს, დახმარებას მათი გამძარცვავი ქურდის გამოვლენაში და სხვა.

ძველად, მეგრელები, ჭამის წინ ყოველთვის იწერდნენ პირჯვარს. სუფრასთან თუ მღვდელი იმყოფებოდა, ღვინის დალევამდე წინასწარ მისგან კურთხევას გამოითხოვდნენ. „მათ ჩვენი მღვდლებისათვისაც ხშირად უთხოვიათ შენდობა, არა მარტო სუფრასთან, არამედ გზაში შეხვედრის დროსაც. ამ ხალხს ასეთი ჩვეულება აქვს: თუ შეხვდებიან ბერს ან პრელატს, გააჩერებენ ცხენს და დალოცვას სთხოვენ“ [9, 181]. ღვთისგან შეწევნის და ლოცვა-კურთხევის მიღებას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ. ცხენით მგზავრობის დროს, ეკლესიასთან ისე არ გაივლიდნენ, რომ რამდენჯერმე მაინც გარშემო არ შემოევლოთ; ეკლესიას, წმიდანთა ხატებს ოქროს ან ძვირფას ქვებს შესწირავდნენ; კვირას, ან სხვა უქმე დღეებში ხარებს უღელში არ გააბაძნენ, საერთოდ, არავითარ სამუშაოს არ ასრულებდნენ, გარდაცვალებულთათვის წირვას აყენებდნენ, იერუსალიმში შესაწირს აგზავნიდნენ და ა. შ. უდავოდ მართალია მისიონერი ქრ. კასტელი, როდესაც სურათზე მინაწერი ასე გააფორმა: „საქართველოს და სამეგრელოს დედოფლები ხელში ეკლესით ახატვინებდნენ თავს, თავიანთ ქმრებთან ერთად... იცავენ ქრისტიანულ სახელს წარმართობისა და მაპმადიანობისაგან. დიდი ღვთისმოსავები არიან ბერძნული სარწმუნოებისა“ [3, 93]. მისიონერებს მიზანდასახული პოლიტიკა ჰქონდათ, – მართლმადიდებლებსა და მაპმადიანებს შორის, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება. ამიტომ, მართლმადიდებელ სამწყსოსა და მღვდელმთავრების ყო-

ველნაირ ქმედებას საგანგებოდ აკნინებდნენ. მათი თქმით, თითქოს, მღვდელმსახურთაგანს არავის არ ესმოდა საიდუმლოებათა შინაარსი, აღსარებასა და ზიარებაში დიდ სასყიდელს ითხოვდნენ, პირადი გამორჩენის გამო მსახურობდნენ, ფამილარულად ლოცულობდნენ და მისთანა. მისიონერები აღნიშნავდნენ, რომ ეკლესიები კარგად მოწყობილი და შემკული იყო მშვენიერი ხატებით. თავიანთ საეპისკოპოსო ტაძრებზე ეპისკოპოსები გულმოდგინედ ზრუნავდნენ. „იცავდნენ სისუფთავეს, ბერძნული ყაიდის ხატებით ამკობდნენ, რომელიც ოქროთი, მარგალიტებით და სხვა ძვირფასეულობითაა მოოჭვილი და ამით ფიქრობდნენ ღვთის რისხვის შემსუბუქებას“ [9, 139]. არქ. ლამბერტი ამის შესახებ დასძენდა: „მათ შორის ის შემცდარი რწმუნება არის გავრცელებული, რომ კაცს ყოველივე ცოდვა ეპატიება, თუ ეკლესიას რამეს შესწირავს. ამიტომაც, თუ ვინმექ რამე დანაშაული ჩაიდინა და სინდისი აწუხებს, აღსარებას როდი თვლის საუკეთესო საშუალებად, არამედ დარწმუნებულია, რომ ეკლესიას თუ ოქროს ან ძვირფას ქვებს შეწირავს, ყოველივე ცოდვა სრულებით ეპატიება“ [4, 112]. ხორციელი და სულიერი მოწყალება მომაკვდინებელ ცოდვათა მძლეველ სათნოებად ითვლება, მაგრამ ცხადია, რომ მაცხოვნებელი სინანული, აღსარება და ზიარება ყველაფერს აღემატება. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინაპრების საერო ცხოვრება მთლიანად განმსჭვალული იყო ეკლესიური ცნობიერებით, ეკლესიის მადლით. შემოქმედისკენ მიმავალ „იწრო“ გზის აცდენას, უმაღვე სიკვდილს ამჯობინებდნენ. ძველად, ზოგიერთი ეკლესიის კარები უმეტესწილად არც კი იკეტებოდა, მაგრამ ვინმეს ეკლესიდან საეკლესიო ნივთების გატანა აზრად არ მოუკიდოდა. თუ ეს მოხდებოდა, მას სიკვდილით სჯიდნენ. „სამეგრელოში ჩვეულებად არ იყო დამნაშავის სიკვდილით

დასჯა. სიკვდილით მხოლოდ მაშინ სჯიდნენ, როცა ისეთი მბიძე დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი ჰქონდათ, როგორიცაა ეკლესიის გაქურდვა, მთავრის მოკვლა თუ სახელმწიფოს დამხობის ცდა“ [3, 46]. ლამბერტისთან დაცულია ცნობა იმ მკრეხელობის შესახებ, როგორიც არის ეკლესიის გადაწვა, ან საეკლესიო ნივთების მოპარვა, აგრეთვე, ოქროსა და ვერცხლის ხატების მისაკუთრება. „ამის ჩამდენ ავაზაკებს თავები მოსჭრეს და ჩამოკიდეს იქვე, სადაც დანაშაული ჩაიდინეს. სხვა ქვეყნებზე უფრო, აქ ჯერ კიდევ ისეთი პატივის ცემა დარჩენიათ ეკლესიის მიმართ, რომ თვით სარწმუნოებას უფრო უღალატებენ, ვიდრე ასეთ დანაშაულს დატოვებენ დაუსჯელად“ [4, 71]. რასაკვირველია, ყოველგვარი უკიდურესობა ბოროტებაა, სასიკვდილო განაჩენის სამართლიანობა მუდამ სადაცოა. ამ შემთხვევაში, საინტერესო ის არის, რომ ქურდების სიკვდილით დასჯა ცოდვად ითვლებოდა, გარდა ეკლესიის გაქურდვისა. ეკლესიისა და წმიდა რელიქვიების, საერთოდ სიწმინდის ხელმყოფს, მაშინდელი საზოგადოება ვერ ეგუებოდა, ასამარტებდა.

ცნობილია, რომ მისიონერების ოდიშში მოღვაწეობა ლევან დადიანის (1611-1657) მმართველობის წლებს დაემთხვა. მათი ურთიერთობა ამჟამად სცილდება კვლევის საკითხებს; იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ ლევან დადიანმა ღვთისმოყვარეობა ფრიად სათნო საქმეებით გამოავლინა. დანგრეული ეკლესიები, რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, ხელახლა ააშენა და სახურავი გაუკეთა. რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისევ გაამშვენიერა და შეამკო. ამასთანავე, ყველა ეკლესიას დაუმატა შემოსავალი. უთვალავი ოქრო-ვერცხლით ხატები გააკეთებინა და თვალმარგალიტით შეამკო. ათი წლის განმავლობაში, ოცზე მეტი ოქრომჭედელი ჰყავდა, რომელებიც საეკლესიო ჭურ-

ჭელს განუწყვეტლივ აკეთებდნენ [4, 33]. ცხადია, მისიონერებს შეუმჩნეველი არ დარჩენათ დიდი მოოქროვილი ან მოვერცხლილი სპილენძის ხატები, რომლებიც მათი თქმით, მორთული იყო ძვირფასი, უმეტეს შემთხვევაში, ყალბი თვლებით. „ხატებს შორის არის ბერძნული ყაიდის ღვთისმშობელი, ასეთივე მამა ღვთისა, ჯვარცმა, ბერძენ და სხვა წმიდა მამათა მრავალრიცხოვანი ხატები. ყველა ხატს ჩამოფარებული აქვს აბრეშუმის ფარდები. ამ ხატებს შორის წმიდა გიორგის ხატზე ყველაზე მეტად სათაყვანოა. მის წინ ყოველთვის მრავლად არის ანთებული სანთლები“ [9, 147].

ძლევამოსილი და დიდმოწამე წმიდა გიორგისადმი რწმენა და საწესო რიტუალი განსხვავებული სახით წარმოგვიდება. წმიდა გიორგის ხატზე დაფიცება, გადაცემა, ან დაწყევლა სიმართლის დაცვის შემთხვევაშიც კი, წმიდანის რისხვას იწვევდა. შიშისა და კრძალვის ძიუხედავად, უსუსური სამხილებელი ნიშნების დროს, ბრალდებულს თავის გამართლება მხოლოდ ხატზე დაფიცებით შეეძლო, რომელიც პირვანდელი სახით ზოგიერთ მხარეში დიდხანს შემორჩა. ფიცი უნდა მომხდარიყო რომელიმე ძლიერი ხატის წინაშე მომჩივანის ამორჩევით. მომჩივანს უნდა ამოერჩია ეკლესიაც, სადაც ფიცი უნდა დაედო და ხატიც, რომელზეც ბრალდებულს უნდა დაეფიცა [4, 72]. მეგრელთა რწმენით, სიცრუის თქმას სასწაულმოქმედ წმიდა გიორგის ხატთან ვერავინ გაბედავდა, ვინაიდან მსწრაფლშესმენელი წმიდანი ამისთვის მას დასჯიდა, გადარევდა და სიმართლეს ათქმევინებდა. „ფიცზე შეგდება“, ანუ ხატზე დაფიცება სამართლის წარმოების უტყუარი სახე იყო [8, 204]. ხალხის რწმენით, წმიდა გიორგის ყველა ხატს ერთი და იგივე სასწაულის მოხდენა თითქოს არ შეეძლო. ამ მხრივ, ილორის წმიდა გიორგის ხატმა და სალოცავმა

განსაკუთრებული აღიარება და თაყვანისცემა მოიპოვა, რაც მეგრულ დაღოცვაშიც აისახა: „გაგითბეს (გწყალობდეს) ზევით ღმერთი, ცხოვარ-მაცხოვარი ხატი, მთავარანგელოზი ფოცხოსი (სენაკის რ-ნი), ღვთის მოწამეო ხეთისა, ყულევი და ალერტი, წმიდა გიორგი ილორის, წმიდა გიორგი ჯვარისა“ (წალენჯიხის რ-ნი) [10, 30].

საუკეთესო ღვინოს წმიდა გიორგის სახელზე ინახავდნენ, რომელსაც პეტრე-პავლობის დღეს, მარგვლის წინ დიდი ამბით მოხსნიდნენ თავს. ამისათვის, მარანში მოიწვევენ მღვდელს, რომელიც შეიმოსებოდა საეკლესიო ტანისამოსით, რამდენიმე ლოცვას იტყოდა ქვევრის თავზე და შემდეგ ამისა, მოხსნიდა თავს ქვევრს, იქიდან პატარა დოქტი გადმოასხამდა ღვინოს, რომელსაც გაგზავნიდა შესაწირავად წმიდა გიორგის ეკლესიაში. ამის შემდეგ, შეეძლოთ ეს ღვინო მიერთვათ [4, 53]. ზოგიერთი ცნობით, როდესაც ქვევრის ახდა სურდათ, წირვას აყენებდნენ, ძროხას კლავლნენ [6, 99]. ღვთისადმი და რომელიმე წმიდანისადმი შესაწირავი წითელი ღვინო-ზედაშის გარდა, ქართული სინამდვილე იცნობს ავადმყოფობის, ან სხვა რაიმე აღთქმასთან დაკავშირებულ საღმრთო შესაწირავებს, „ოხვამერებს“, რომლებიც მარანში იყო განთავსებული. „მეგრული ოხვამერი ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ერთი მხრივ, ის ადგილი იყო, სადაც ლოცვა-რიტუალი სრულდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, სალოცავისთვის განკუთვნილი შესაწირავი იყო: ღვინო, პური, სანთელი, თაფლი და სხვა, რომელიც ღვთაებისადმი იყო მიძღვნილი. ასეთივე მნიშვნელობის არის იმერულ-რაჭული „საღოცვილი“ [2, 120]. მეგრული ოხვამერებიდან გვხვდება: სამგარიო, საღმრთო, საოხორო, საოცოდინარო, შქვითულე, საწაჩეურე, სადაბადო და ა. შ. სათანადო ლოცვას ოჯახის უფროსი მამაკაცი აღავლენდა ხოლმე. ნიშანდობლივია,

რომ მარანში მოთავსებულ ქვევრებთან ქალს არა თუ რა-იმე რიტუალის შესრულება, არამედ შესვლაც ეკრძალებოდა. აღნიშნული სალოცავი ქვევრებიდან ზოგი მათგანი საერთო, საოჯახო იყო, ზოგი კი, პიროვნული. „მმების გაყრის დროს სალოცავი ქვევრები ზშირად მათ საერთო მფლობელობაში რჩებოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ძმები ქვევრებსაც იყოფდნენ და მხოლოდ „საღმრთო“-ს სალოცავ ქვევრს სამმოდ დედაფუტებში ტოვებდნენ, აյ მთელი სამმო თავს იყრიდა და საერთო ხარჯით „საღვთოს“ გადაიხდიდნენ“ [5, 328].

ამრიგად, ლოცვა ოჯახის გამრავლების, შინაური საქონლის მატებისა და სხვა საჭიროებისათვის, რაც დააწყნარებდა ადამიანის ცხოვრებას, თითოეულ ოჯახში სათანადო მსხვერპლშეწირვის თანხლებით სრულდებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო, შემცირდა. მისიონერების მოღვაწეობის დროს, აღვილობრივი მოსახლეობა ძალზე ზშირად სწირავდა ღმერთს სისხლიან მსხვერპლს, როგორიც არის მამალი, გოჭი, ან წვრილთეხა საქონელი. მსხვერპლის მიტანის დღეს ამბობდნენ დიდი დღე დადგაო, მაგრამ „ეს დღე არ არის უფლის სადიდებელი და სათავეანებელი დიდი დღე“. რადგანაც ეკლესიაში არ მიდიან, არ ისმენენ წირვას, არ ევედრებიან უფალს, არ აკეთებენ კეთილ საქმეებს; ამ დღეს ატარებენ სმა-ჭამაში და ღმერთს დალოცვას და თავიანთი მტრების ამოწყვეტას თხოვენ“ [19, 185]. უდავოა, რომ მრავალგვარი „ოხვამერი“ ცოდვების მიტევებას, განწმენდას, საღვთო მადლის მოძიებას და მოხვეჭას ემსახურებოდა. ამ ურთიერთობას ღმერთსა და მორწმუნე ადამიანს შორის ღრმა საფუძველი აქვს, რომელსაც ნაწილობრივ ჩასწევდა უცხოელი სწავლული, რომელიც აღნიშ-

ნავდა „მიუხედავად ასეთი სიზარმაცისა, მეგრელები არიან დიდად მორწმუნე ქრისტიანები“ [7, 132].

ამრიგად, წინასწარ შემუშავებული გეგმით ჩამოსულ მისიონერებს, ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე რჯულის მსახურებამ შეუშალა ხელი კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდაში.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. უაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, ფრანგულიდან თარგმნა ნ. მგალობლიშვილმა.
2. 6. თოფურია, საკულტო ნაგებობა ზედაშე ოხვამე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბ., 1985.
3. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ.
4. დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1990. იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ.
5. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
6. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ.
7. ი. რაინეგისი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული-დან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002.
8. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. II, თბ., 1947.
9. უან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა.
10. ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), თბ., 1975.
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 3, თბ., 1953.

## **ABOUT THE CHRISTIANITY OF GEORGIANS**

### **Summary**

The work deals with the relations of Odishi (Samegrelo) population towards the church, clergy, veneration of the icons, fasting, liturgical rights and the Christian outlook generally. The data about above mentioned issues are preserved in the records of the scientist-travellers and the descriptions of the missionaries. The political units of the western Georgia principalities underwent hard times that determined better development of the eastern Georgian culture. Consequently the Georgian chronicles and historical sources of the late feudal period are represented fragmentarily. The relations with the western European countries and Russia revived in the 17<sup>th</sup> century. This is described in the relations of the foreign missionaries. After long term observation Catholic missionaries left valuable description of the native population's every-day life and culture. Well trained researchers had an intention to propagate and spread Catholic faith among the population and did their best that it should have been acceptable for natives. But they were not able to have a great success because of the Orthodox orientation of the population.

## „ეძიებდით ძრისტანთვის სიკვდილსა“ (სოჭელ ზემო ნიქოზის ფარსულიდან)

შიდა ქართლის, კერძოდ, ლიახვის ხეობის წარსულის მართებულ რეკონსტრუქციას ართულებს ისტორიული წყაროების სიმცირე და მემატიანეთა ძუნწი ცნობები, მაგრამ ზოგადი ხასიათის მიმოხილვიდანაც გასაგები ხდება ხეობის სტრატეგიული მნიშვნელობა ქართლის ისტორიული წარსულისათვის. „ლიახვის ხეობიდან გადადიოდა გზები ჩრდილო კავკასიაში ზეკარის უღელტეხილით... ამ გზებით წარმოებდა მიმოსვლა და საქმიანი ურთიერთობა მეზობელ და მოსაზღვრე ქვეყნებთან – ალან-ოსებთან, დვალებთან და სხვა. აქედანვე გადადიოდა გზები იმერეთს: გორი-ცხინვალიდან კეხვზე, შემდეგ წონა-ჩიხათიდან-საჩხერეში, ონში და ა. შ.“ [1, 6]. ურიცხვი მტრის შემოსევებისგან დევნილი მოსახლეობა, აღნიშნული ხეობის გზებით, მიემართებოდა დასავლეთ საქართველოში, სადაც უსაფრთხო თავშესაფარს ჰქონებდა. რაც ყველაზე მთავარია, ქრისტიანობა, ლიახვის ხეობით, ქართლიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდებოდა. ქართლის ხელისუფლება ცდილობდა, ჩრდილოეთის საზღვარზე მოსახლე არაქართველებიც მასთან სარწმუნო-ებრივ-იდეოლოგიურ ერთიანობაში ყოფილიყვნენ და ერთმანეთთან მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ [1, 13-14]. ქრისტიანობის გავრცელება ცენტრალური კავკასიონის მთანეთში ნიქოზის საეპისკოპოსოს დაეკისრა, რომელშიც ლიახვის ზემო წელი, დვალეთი და მთის რაჭა (გლოლა-ლები) შედიოდა. მისი კათედრალი („ღვთაების ტაძარი“) მდებარეობდა „დვალეთის გზაზე“ [2, 16].

ცნობილია, რომ ქრისტიანული რელიგიის პირველი სალოცავები ხშირად აღმოცენებულა ცეცხლთაყვანისმცემლობის ადრინდელ კერებზე, რაც V საუკუნეში, ქართლში სპარსულების გაბატონებას მოჰყვა. მტრის მიერ შერჩეული

ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო ნიქოზი, რომელიც ნაცარ-გორადან – უძველესი წარმართული მნიშვნელოვანი ცენტრიდან ახლოს მდებარეობდა [3, 11]. მემატიანეს ცნობით, ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრალი მაზდეანობის, ცეც-ხლოთაყვანისმცემლების კერაა. კერძოდ, V ს-ის II ნახევარში, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ქართლის ეკლესიას სრული დამოუკიდებლობა, – ავტოკეფალია მიანიჭა. მისი თხოვნით, ანტიოქიის პატრიარქმა ქართლის ეკლესიის მწყემსმთავარი პეტრე კათალიკოსად აკურთხა, ხოლო სამოელი, – მთავარეპისკოპოსად. დადგენილი იქნა 12 საეპისკოპოსო. სახელდობრ: კლარჯეთის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯისა და აგარაკის. „შემდგომად მისია აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა“. ე. ი. ვახტანგ მეფემ ნიქოზის ეკლესია იმ ადგილას ააშენა, სადაც იყო ცეცხლის საკურთხეველი (საგზებელი – „ასანთები“, „საკურთხეველი“) [4, 199; 450]. ცხადია, რომ მაზდეანობის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ეს ნაბიჯი, ის პოლიტიკური აქტია, რომელიც სპარსელებთან აშკარა დაპირისპირებას მოასწავებდა. ასე შეიქმნა მსხვილი ქრისტიანულ-რელიგიური ცენტრი – ნიქოზის საეპისკოპოსო, რომელსაც არასოდეს დაუკარგავს თავისი დანიშნულება.

ნიქოზში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის, წმიდა მეფე ვახტანგმა, წმიდა რაჟდენ სპარსის ნეშტი, სოფელ წრომიდან (სადაც ის სპარსელებმა წამებით მოკლეს), აქ სათანადო პატივით გადმოასვენა და ღვთაების ტაძარში მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი წმიდანის, ქრისტიანობისათვის წამებული ნეტარი რაჟდენისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულებები მოგვიანებით (XII ს-ში)

დაიწერა [5, 509]. იგი რუსულად, ინგლისურად და ლათინურადაც არის თარგმნილი და გამოქვეყნებული. საგულისხმოა, ჯვარზე წამებით მოკლული წმინდანის ურყევი მრწამსი, რომელიც მუდამ მისაბაძი იქნება მართლმადიდებელთათვის. „განა არის რამე ქრისტესთვის სიკვდილზე უტკბესი, განა დიდი საქმეა, რომ ჩვენ მიწანი და მტვერნი, მოვკვდეთ მისთვის, ვინც სიკვდილის გემო იხილა ჩვენთვის და ჩვენ უკვდავება მოგვანიჭა“ [6, 15]. შეუძლებელია, აქვე წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის უკვდავი ანდერძი არ გაგვახსენდეს: „აწ გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“. წმიდა მეფე ვახტანგის ანდერძს მსოფლიოში ანალოგია არ მოეძებნება... ე. ი. დიდი მეფე ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის მხოლოდ განსაცდელთა დათმენისა და ატანისკენ კი არ მოგვიწოდებს, არამედ მისთვის თავდადების ძიებისაკენ. ადამიანი სულიერების მწვერვალზე უნდა იყოს, ეს სიტყვები რომ თქვას [7, 445]. წარუვალი დიდების მაძიებლობის შედეგად გახდა საქართველოს სამეფო დროშა „გორგასლიან-დავითიანი“, ხოლო სამეფო ტახტი, – „ვახტანგიანი“. „ქართლის ეკლესიის ღუაწლით გამმშვენებელი“ კეთილმსახური მეფე, მემატიანემაც გამოარჩია: „გლეხთა უწიგნოდაც იციან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი). ასეთ სულიერ სიმტკიცეს, დიდ სარწმუნოებას, ეროვნულ თვითშეგნებას მომხვდური მტერი ანადგურებდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამაში იყო ქართველების უძლეველობის ძალა, მაგრამ ნაციონალური ამპარტავნებისგან („სუფთა ქართველი ვარ“) თავის დასახსნელად, გაქრისტიანებულ-გაქართველებული წმინდანები მოგვივლინა უფალმა. ისინი საქართველოს მნათობის, –

წმიდა პირველმოწამე რაჟდენის სამარხის მხარეში, „სოფელ ზემო აჩაბეთში (წმიდა ესტატე, ევსტატე მცხეთელი) და სოფელ არბოში (წმიდა აბო თბილელი) განის-ვენებენ“ [8, 30].

შმრალ და მეტად ძუნწმუნებს მიახლოებითი წარმოდგენაც კი არ შეუძლია მოგვცეს იმ როულსა და დაბატულ ცხოვრებაზე, რომელიც ნიქოზის საეპისკოპოსოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე გაუვლია. მაგალითად, ჩრდილოეთში – ოსეთ-დვალეთში ქრისტიანობის გავრცელებას, ნიქოზში მწიგნობრობის განვითარება, წერა-კითხვისა და საეკლესიო მსახურების მომზადება დასჭირდებოდა. ოუ როგორ ასრულებდა დაკისრებულ მისიონერულ საქმიანობას ნიქოზის ეპარქია, სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო, გაურკვეველი რჩება. ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზებს, ავსებს ზემო ნიქოზის მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა შესწავლა-გამოცემაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ი. მეგრელიძეს, ლ. რჩეულიშვილს, გ. საძაგელოვ-ივერიელს (წმიდა კირინ II), რ. მეფისაშვილს, ვ. ცინცაძეს, ვ. ბერიძეს, ნ. გენ-გიურს და სხვა მკვლევრებს.

ზემო ნიქოზის არქიტექტურული კომპლექსი სხვა-დასხვა დანიშნულების მქონე ოთხი შენობისგან შედგება, რომელიც ქალაქ ცხინვალიდან ორიოდე კილომეტრით არის დაშორებული და ლიახვის ფართო ხეობაში დგას; ბაღებსა და მოსახლეობას შორის აღმართული არქიტექტურული ნაგებობების მასშტაბი და რიცხვი მაჩვენებელია იმისა, რომ აქ მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. პატარა ღელე შენობათა კომპლექსს ორ ნაწილად ჰყოფს. ღელის ერთ მხარეზე ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული სამი შენობა არის მოქცეული: ცენტრალური, ღვთაების სახელობის დიდი გუმბათიანი ტაძარი, ორსართულიანი სამრეკლო და ნიქოზელ ეპისკოპოსთა სასახლის შესანიშნავი რუ-

ინები, ხოლო „მთავარანგელოზის“ ეკლესია, ღელის მეორე პლატოზე განცალკევებით დგას.

ღვთაების ეკლესიის დასავლეთით სამრეკლოა, ღამაზად ნაგები რუხი ფერის ფიქალ-ქვებით, მისი ქვედა სართული ვრცელია და თაღოვანი, საიდანაც ეკლესიის ეზოშია შესას-ვლელი... სამრეკლოს სიმაღლე 12-13 მეტრია; შიგნით ასომთავრული წარწერებია, რომელშიც მოხსენებული არიან სამრეკლოს მშენებელი ოსტატები [1, 48]. სამრეკლოს ასომთავრული წარწერების რამდენიმე ვარიაციიდან ირკვევა მშენებლების გვარ-სახელები და წოდება: გვრიტიშვილი გიორგი, ჯუარის კაცი, მახარებელი. ქარაგმების გახსნით: „ქ. სახელითა ღმრთისა თა, ქრისტე, შეიწყალე ამის გალა-ტოზი: მემარნიშვილი, მახარებელი ჯუარის კაცი, მახარე-ბელი გვრიტიშვილი გიორგი. შეუნდოს ღმერთმა ცოდვანი (მათ)ნი(?). ამინ“. სამრეკლო, სავარაუდოდ, ტაძრის დასრუ-ლების შემდეგ არის აშენებული. წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები, სამრეკლოს არც ისე გვიანდელად გვიჩვენებენ. თუმცა, წარწერაში სიტყვა გალატოზი გ ასოთი იწყება და ძველი ქართული მნიშვნელობით არის გამოყენებული, — ანუ სამრეკლო ქვის არის და ამ შემთხვევაში, გალატოზი ქვის ხუროს სინონიმია [8, 156]. სამრეკლოს ამშვენებს ორიგინა-ლური პირამიდული გადახურვა. მას უჩვეულო სახეს ანი-ჭებს საბურავი, რომელსაც ორის ნაცვლად, ოთხი ფერდი აქვს. ამის გამო, ოთხივე ფასადი ზემოთ ფრონტონით მთავ-რდება, რომელთა წვეროებზე, ტრადიციულად, ყოჩის თა-ვების ქანდაკებებია მოთავსებული. „ნიქოზის ტაძრის წმიდა სამრეკლოს XIV-XV სს-ით ათარიღებენ“ [3, 70].

მრავალმხრივ საინტერესოა ზემო ნიქოზის საეპისკო-პოსო სასახლე, რომელსაც ორსართულიან კოშკსაც უწო-დებენ. შესასვლელის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, თაღო-ვანი ოთახის ქვეშ, შენობას მიწისქვეშა გასასვლელი

(გვირაბი) ჰქონდა. „ტაძრის ეზო 300 არშინის სიგრძის გალავნით იყო შემოზღუდული, რომელიც მტერთა სასაკლაოს წარმოადგენდა, ვინაიდან თავდასხმების დროს, ადგილობრივი მოსახლეობა გალავანს აფარებდა თავს. მთიელთა მარბიელი ლაშქრობების შეწყვეტის შემდეგ, ზოგიერთმა ნიქოზელმა ბოროტად გამოიყენა ტაძრის ტერიტორია და საცხოვრებლად მიითვისა“ [9, 33]. ს. მაკალათიას ცნობით, დაბალი და ზოგან დაშლილი გალავნის ფართობი ჰქიტრის მეოთხედს უდრიდა; ხოლო საეპისკოპოსო სასახლე საცხოვრებელ ძველ ციხე-დარბაზს წარმოადგენდა, ვინაიდან კედლებში დატანებული იყო სათოფურები. უკან, დასავლეთის მხარეზე, დგას მაღალი კოშკი, რომელიც საგუშავო უნდა ყოფილიყო მტრის მოძრაობის დასაზვერად. სასახლე ფორმით ოთხკუთხაა, მისი ფართობი 12X12 კვ. მ-ია. კუთხები ნაგებია ქვაფიქლით. მეორე სართულზე არის შესასვლელი კარი, რომლის საპირე ამოშენებულია აგურით. სართულები ჩაქცეულია. ტაძრის მსახურთათვის შიგნით საცხოვრებელი ოთახები ყოფილა [1, 48]. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, სასახლე 1900-იან წლებში დაუნგრეველი იყო, რასაც ისინი ციხეს, ნაციხარს უწოდებდნენ. პირველ სართულზე თონე ყოფილა ჩადგმული, ხოლო აგურით გამოყვანილი დიდი ბუხარი იქაურობას ამშვენებდა. 1944 წლის აღწერით, პირველი სართული მიწით და ქვით არის ამოვსებული, ხოლო მეორე სართული თითქმის სულ დანგრეულია. პირველ სართულს საცხოვრებელი, ანუ საყოფაცხოვრებო დანიშნულება ჰქონდა. მისგან განსხვავებით, ხის აივნიანი, კარგად განათებული დარბაზი საზეიმო მისაღებს წარმოადგენდა [10, 100-101]. ნიქოზის საეპისკოპოსო სასახლე ჩვენამდე მოღწეული სასახლის ნაგებობათა იმ იშვიათ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც IX-X სს-ით თარიღდება. „ნიქოზში

შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლები, მეტყველებენ, რომ ამ რეგიონში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, X ს-ის ბოლოს და XI ს-ის დასაწყისში, ხელს უწყობდა ამ კულტურული და რელიგიური ცენტრის ხელმეორედ აყვა-ვებას“ [3, 74]. სამშენებლო საქმიანობა აქ შემდეგაც არ შემწყდარა.

ნიქოზის არქიტექტურულ კომპლექსში ცენტრალური ადგილი ღვთაების გუმბათოვან ტაძარს უჭირავს, რომელიც ქვითვირით არის ნაგები. მას ჯვრის ფორმა აქვს. მოპირკეთებულია რუხი ფერის ფიქალქვით. ტაძრის სიგრძეა 18,5 მ., სიგანე – 12 მ., სიმაღლე გუმბათითურთ – 38,5 მ-მდე [8, 138]. ეკლესია საკმაოდ ვრცელია, მისი ფართობი 10X10 კვ. მ-ია. საკურთხევლის სიგრძეა 5 მ. იგი ამაღლებულია ორი საფეხურით. იატაკი დაგებულია ფიქალქვებით: საკურთხეველში მრგვალ ფეხზე შემდგარი ქვის ტრაპეზია, რომელზეც ამოჭრილია ჩუქურთმიანი ჯვარი. ეკლესიას ორი კარი აქვს, სამხრეთით და დასავლეთით. კარების თაღიანი საპირე წნული ჩუქურთმის არშიით არის შემკული. გადახურულია ქვაფიქლით. გუმბათი მაღალია, გარშემო სარკმელებია თაღიანი ჩარჩოთი [1, 47]. ძველად ტაძარი მოხატული ყოფილა, მაგრამ ფრესკები წვიმის წყალს ჩამოურეცხავს, საკურთხეველში ფრესკული გამოსახულების ნაშთები ძლივსლა შეიმჩნევა. აღმოსავლეთ სვეტოან მთელი თავისი ძველებური სისადავით დგას ნიქოზელი ეპისკოპოსების ქვის კათედრა, რომელსაც მცირე გუმბათი ამშვენებს. სრულიად არის შემონახული მთიელების მოსანათლი ქვის ემბაზი [9, 33]. ორკვევა, რომ ეპისკოპოსების ძველებური სადგომი და მიწაში ჩადგმული წარმართთა მოსანათლი ემბაზი, 1889 წელს ტაძრის საფუძვლიანი რესტავრაციისას, ჯეროვნად განუახლებიათ [11, 6].

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრა გვიან შუა საუკუნეებში ურყევად იდგა და ოჯულისმსახურებას სასოებით აღასრულებდა. „ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ლებითურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს, მშვენიერი“ [12, 370]. „რაში გამოიხატება ზემო ნიქოზის აღნიშნული ტაძრის „დიდშვენიერი დიდება? მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის ნაგებობა მრავალგზის აღდგა და შეკეთდა, მის მრავალრიცხოვან ქრონოლოგიურ ფენათა შორის ფრაგმენტულად შერჩენილი, უძველესიც ირჩევა, რომელიც შეიძლება და-კავშირებული იყოს ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობასთან“ [10, 77]. მეორე მხრივ, საქართველოში მონუმენტური არქიტექტურის ცნობილი ძეგლები VIII-IX საუკუნეებს და უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება. საქართველოში საკულტო არქიტექტურა სწორედ, რომ IV საუკუნეში ყალიბდება და უკვე V საუკუნეში დამოუკიდებელ განვითარებას იწყებს, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში, გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევს. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია ნიქოზის ტაძარი, რომელმაც ჩვენამდე ძლიერ სახეშეცვლილი ფორმით მოაღწია [3, 12].

ამრიგად, ნიქოზში საეპისკოპოსოს დაარსება საქართველოში ქრისტიანობის მაზდეანობაზე გამარჯვების ერთ-გვარი სიმბოლური გამოხატულებაა. შეიძლება ითქვას, რომ ტაძრის ნაგებობა მონუმენტური არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთი ცდაა.

ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძრის ღირსშესანიშნაობა ის ასომთავრული წარწერებია, რომელთაგან ერთ-ერთი V საუკუნით თარიღდება. აღნიშნული ორსტრიქონიანი წარწერა მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე; ნაწილობრივ დაზიანებულია, მაგრამ მაინც მოხერხდა პირვან-

დელი ფორმის მიახლოებით აღდგენა. წარწერაში მოხსენი-ებულია ტაძრის მშენებელი ზაქარია პირველ-ეპისკოპოსი. სახელდობრ, „ქ. წმიდაო სამებაო, ზაქარია პირველ-ეპისკოპოსი შეიწყალე“. მკვლევრები წარწერას შემდეგი ფაქტორების საფუძველზე V საუკუნით ათარიღებენ. ესე-ნია: ისტორიული ცნობა ტაძრის აგების თარიღზე, პალეო-გრაფიული ნიშნები და აგრეთვე არქაული ფორმა „პირველ ეპისკოპოსი“ [13, 49]. ცნობილია, რომ უძველესი ქარ-თული წარწერები ბოლნისის სიონში, ურბნისის სიონში და აკურთას ტაძრებში შემოგვრჩა. აღნიშნული წარწერით, ნიქოზის ლვთაების ტაძარი მათ გვერდით საპატიო ადგილს იკავებს.

ნიქოზის ტაძრიდან ეპისკოპოსის კიდევ ერთი სამშე-ნებლო წარწერა მოგვეპოვება. კერძოდ, „ქ. ამენ. მიქაელ ეპისკოპოზმან აღვაშენე წმიდა ეკლესია“. გრაფემების გა-კუთხოვანებით, რელიეფურობით და სხვა ნიშნების მი-ხედვით, წარწერა X საუკუნით თარიღდება. ნიშანდობლი-ვია, რომ ამავე პერიოდს განეკუთვნება ზემო ნიქოზის არქიტექტურული კომპლექსის მეოთხე ნაგებობა, მცირე, გუმბათიანი „მთავარანგელოზის“ ეკლესია. არქიტექტორთა საფუძვლიანი ვარაუდით, IX-X საუკუნეები, ნიქოზში ეპარ-ქიის ხელმეორედ აყვავებისა და შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობის აღორძინების ხანა. საქმე იმაშია, რომ ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის აშენების ინიციატორი ნი-ქოზის ეპისკოპოსი სტეფანე ყოფილა. ეკლესია X ს-ის დასაწყისით თარიღდება. 906 წლის სამშენებლო წარწერა-ში ნათქვამია: „...განზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ებისკოპოსისა თა... მე თეოდორე თაფლას ძემან დავდგი საძირკველი ერედვის ეკლესისა“ [8, 121].

აქვე დაგსძენთ, რომ ტაძარ-სალოცავების, თუ სამ-რეკლოების სამშენებლო წარწერებში, ძირითადად საერო

პირები (დიდგვაროვნები) არიან მოხსენიებული, ხოლო ნიკოზის ორივე ტაძრის აღმშენებლობა, თუ რესტავრაცია, ეპისკოპოსების სახელს უკავშირდება. თუმცა, „ძველად მაღალი საეკლესიო იერარქია ძირითადად არისტოკრატით იყო დაკომპლექტებული. დაბალი ფენა მხოლოდ მღვდლობის ხარისხს ღებულობდა“ [14, 12].

ამდენად, ნიკოზის ღვთაების ტაძარმა ჩვენამდე შეცვლილი ფორმით მოაღწია – სამნავიანი ბაზილიკა გადაკეთებულია გუმბათოვან ტაძრად. „

XI

,

„ [3, 70]. მომდევნო საუკუნეებში გადაკეთებული და აღდგენილი სახის მიხედვით, ტაძარს XIV-XV სს-ს მიაკუთვნებენ.

ნიკოზის ღვთაების დიდი ტაძრისგან განსხვავებით, პირვანდელი ფორმით არის შემონახული ნიკოზის მცირე გუმბათოვანი მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც საეპისკოპოსო კომპლექსისგან ოდნავ მოშორებით, გორაკზე დგას, საიდანაც ლამაზი ხედი იშლება. ეკლესიის შენობა პატარაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, ხელუხლებელია უამთა სიავისაგან და ამიტომ ახარებს თვალს ფორმათა სიწმინდე, როგორც სრულიად დაუმახინჯებელი, კარგად შემონახული ნიმუში ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისა [10, 77-78]. ე. ი. ეკლესია მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე შემორჩა, მაგრამ დანაკარგებიც განიცადა. მაგალითად, აღარ არის ეკლესიის სამივე შესასვლელთან არსებული პორტიკები [15, 49]. თუ მხედველობაში, ამ ადგილებში ლეკების თარეშსა და მათი ლაშქრობის შედეგებს მივიღებთ, რომლებიც ეკლესიებს წვავდნენ, ნაგებობის გადარ-

ჩენა გამონაკლისი შემთხვევაა. მთავარანგელოზის ეკლესიის დასავლეთ კარებს ჭიარტლისა და მურის კვალი ჰქონდა შემორჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მორიგილაშქრობის დროს, ლეპებმა მას ცეცხლი მოუკიდეს, მაგრამ სამშენებლო მასალის სიმტკიცის წყალობით, ნაგებობა მთლიანად გადარჩა. საყდარი აგებულია დოდოთის ქვით, რომელიც ზემო ნიქოზიდან 8-9 კმ-ის დაშორებით, სოფელ ტბეთის მახლობლად მოიპოვება. ეკლესიის კომპოზიცია გეგმაში და სივრცეში ნათლად გამოყოფილ ჯვარს იძლევა. წმიდა კირიონ II-ს მთავარანგელოზის ეკლესიის არქიტექტურული სტილი მცხეთის ჯვარს ახსენებს (ე. წ. ჯაჭვის მონასტერს, ჯვარპატიოსანს), რომელიც VII საუკუნის დასაწყისში ააშენეს [16, 8]. კვლევათა მიხედვით, აღნიშნული ტაძარი კუპელჲალეს, ანუ გუმბათოვანი დარბაზის ტიპის ეკლესიებს განეკუთვნება. ექსტერიერში გუმბათი თავისი შთამბეჭდავი ზომებითა და მორთულობით ნაგებობის დომინანტია (ტაძრის შდრ. სიმაღლე უგუმბათოდ 5. 70 მ. ეკლესიის სიმაღლე ჯვრიანად სულ – 10. 70 მ.). ე. წ. გუმბათოვანი დარბაზის ტიპი ძალიან იშვიათად გვხვდება. იგი საქართველოში IX ს-ში შეიქმნა და მისი სანიმუშო ნაგებობა არის ვაჩნაძიანის ყველაწმიდა, რომლის მინიატურულ განმეორებას ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესია წარმოადგენს [3, 71]. ნიქოზელი ხუროთმოძღვარი, ერთგვარად, აჯამებს წინარე ნაგებობების მშენებლობის გამოცდილებას და ყველასგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევა. „ვაჩნაძიანის კომპოზიციასაც, სოლომონ ყალასაც და სხვა ტიპებისათვის სახასიათო ზოგიერთ ელემენტსაც იყენებს; ჩანს ქვეყნის სხვა რეგიონების, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრების კარგი ცოდნა. ამ ტაძარში მუდავნდება სამხრეთ საქართველოში შემუშავებული და დამკვიდრებული მხატვრუ-

ლი იდეების არა მხოლოდ ზოგადი გატარება, არამედ არქიტექტურულ დეტალებში მიღევნებაც კი, რომელთა ხილვაც შეგვიძლია ოპიზის, ხახულის, ოშკის, იშხნის ცნობილ ტაო-კლარჯულ ძეგლებში, აქაც გვხვდება. იმავეს თქმა შეიძლება გუმბათის ყელის შემამკობელ დეკორატიულ თაღნარზე, რომელიც პირველად ქართლში გაჩნდა (თელოვანი) შემდეგ კი, ტაომ აითვისა და ამის მერე ისევ ქართლის ამ ეკლესიაში შემოდის ოდნავ სახეცვლილი. ამდენად, ნიქოზის ტაძარი არქიტექტურის საერთო ქართული პროცესების ამსახველად გვევლინება“ [15, 129]. ნიქოზის მცირე ტაძარი ლ. რჩეულიშვილმა საერთო მხატვრული აღნაგობით, ე. წ. ბაროკული სტილის ადრინ-დელ საფეხურს მიაკუთვნა და ძეგლი X საუკუნის II ნახევრით დაათარიღა [10, 89]. ნიქოზის მთავარანგელოზთა ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე, კარის თავზე, ამოკვეთილია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისადთა მე მიქაელ ებისკოპოზმან აღვაშენე წმიდავ ეკლესიად და ბჭე ცათავ. საყოფელი წმიდისა ღმრთისმშობლისად და წმიდათა მთავარანგელოზთავ სალოცველად სულისა ჩემისათვის“. მაღლა, გუმბათის ჩრდილოეთის სარკმლის თავზე დაუზიანებელი წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე იოვანე დისწული მიქელ ეპისკოპოზისა“. ეს სამშენებლო წარწერები ეკლესიის დათარიღების საკითხს არ წყვეტს, მაგრამ ჩანს, რომ ტაძარი მიქელ ეპისკოპოსის ინიციატივით აშენებულა, რაშიც მონაწილეობა მის დისწულ იოვანესაც მიუღია. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო საბუთებსა და საისტორიო წყაროებში ზემოხსენებულ პიროვნებებზე საუბარი არ არის. აღნიშნულ წარწერაში იკითხება ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმა „ებისკოპოზი“, თუმცა ბოლნისის წარწერებში „ეპისკოპოსი“ გვხვდება [8, 157].

მასში X საუკუნის დამახასიათებელი ასოთა მოხაზულობა გვაქვს და პალეოგრაფიული თვალსაზრისით, არქიტექტურული ძეგლი „მთავარანგელოზი“ X ს-ს განეკუთვნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, X-XI საუკუნეებში ნიქოზის საეპისკოპოსო შედარებით ძლიერი ეპარქია არის და აქტიურ მშენებლობაშია ჩატარებული. ზემო ნიქოზის მთავარანგელოზთა ეკლესია, ადგილობრივი მცხოვრების, გ. ხადურის ცნობით, რომელსაც აქ „ღვთის კაცს“ ან „გერის ქადაგს უწოდებდნენ“, „ამ მთავარანგელოზთა დღესასწაულს ნიქოზის მოსახლეობა აყენებს 8 გიორგობისთვეს (ახ. სტ. 21 ნოემბერს). შვიდში ღამითეობას წევდნენ და რვაში ძველზე პურ-მარილით მიდიოდნენ, სანთლებს ანთებდნენ“ [8, 158]. ცნობილია, რომ ძვ. სტილით 8 ნოემბერს, ხოლო ახ. სტილით 21 ნოემბერს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, მთავარანგელოზთა, მიქაელისა და გაბრიელის (ბერძნულიდან) და „სხვათა წმიდათა უხორცოთა ზეცისა ძალთა კრებას“, ანუ მთავარანგელოზობას აღნიშნავს. შესაბამისად, მთავარანგელოზთა დღესასწაულს მენჯის, აღგეთის, ჯუმათის, გრემის, შუამთის, ონის ეკლესიებთან ერთად, ნიქოზშიც აღნიშნავდნენ. „სიმბოლური მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ეს დღესასწაული ძვ. სტილით 8 ნოემბერს იქნა დადგენილი. როგორც მოგეხსენებათ, წელი-წადი შვიდეულისაგან შედგება, მაგრამ წმიდა მამების სწავლებით, ბოლო კვირა რვა დღისაგან იქნება შემდგარი და მერვე დღეს განცხადდება მეორედ მოსვლა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ანგელოზების კრებულთან ერთად, რომელიც კაცობრიობას ქვეყნის აღსასრულსა და იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას აუწყებენ. ამიტომ, ნოემბრის მერვე დღეს, ეს დღესასწაული იმიტომ იმართება, რომ კაცობრიობას მეორედ მოსვლა შეახსენოს და ყოველთვის მისი მოლოდინი ჰქონდეს“ [7, 301].

ზემო ნიქოზის ღვთაების ტაძარი, სადაც საქართველოს ეკლესიის მნათობი წმიდა რაჟდენი განისვენებს, ამაღლების სახელზეა ნაკურთხი. ამიტომ, ნიქოზელები აღდგომის მეორმოცე დღეს, ამაღლებას დღესასწაულობდნენ. პრესის მასალების მიხედვით, ამაღლებას (იგი მოძრავი დღესასწაულია) სოფელ ზემო ნიქოზში დღეობა იცოდნენ. „პატარა ერი ახლომახლო სოფლებიდან დროის გასატარებლად იკრიბებოდა“ [17], ხოლო 1898 წელს ნიქოზელებს შესანიშნავი დღეობა გადაუხდიათ. ტაძარი გაჭედილი ყოფილა ხალხით, რომელთა შორის დაბა ცხინვალის ინტელიგენცია, ქვემო ქართლისა და ზემო ქართლის თავადაზნაურობა გამოირჩეოდა. წირვაზე მეღვრევისის სამრევლო-საეკლესო სკოლის მოსწავლეები გალობდნენ [18]. ნიშანდობლივია, რომ ღვთაების სახელობის ტაძრები თელავში [19] და იყალთოშიც ყოფილა, სადაც ნიქოზელების მსგავსად, ამაღლებას დღესასწაულობდნენ.

ზოგიერთი ცნობით, „ნიქოზის ღვთაების კათედრალი თითქოს წმიდა რაჟდენის სახელზედ იყო აგებული და წმიდა რაჟდენის ტაძრად მოიხსენიება“ [20]. „ხენეშისა სარწმუნოებისა დამტევებელი“ და „მწყემსისა ჭეშმარიტისა შედგომილი“ წმიდა დიდმოწამე რაჟდენის სახელობის იყო წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის აშენებული უჯარმა. უფრო სწორად, სპარსელების ქართლში შემოსევის დროს, პეტრე კათალიკოსს უთხრა მეფემ: „დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა აღმიშენებიეს“. რაბათი – ციხე-ქალაქის სამოსახლო ნაწილია [4, 201]. წმიდა რაჟდენის მოსახსენიებლად, მეფე ვახტანგის ბრძანებითვე მშვენიერი ტაძარი აუშენებიათ არა მარტო უჯარმის ციხეში, არამედ „სამგორობით წოდებულს უჯარმოს ველზედ“ [8, 24]. რასაკვირველია, ნიქოზელები დიდი გულმოდგინებით ზეიმობდნენ ქართული მართლმადი-

დებლური ეკლესიის მიერ დადგენილ დღესასწაულს, წმიდა რაჟდენის წამების დღეს (ახ. სტ. 16 აგვისტოს), მტკიცე რწმენითა და სიყვარულით აგებულ ნიქოზის ტაძარში და ამ სიყვარულს გადასცემდნენ მეზობელ კავკასიელებს – მტერს, თუ მოყვარეს.

საერთოდ, ნიქოზელების სალოცავი ადგილია „ბოცის-ჯვარი“ (ამჟამად, ოსურ სოფლებს ეკუთვნის), სადაც წინათ ზემო ნიქოზელებს უცხოვრიათ და ლეკიანობის გამო, იქიდან ნიქოზში გადმოსახლებულან. ბოცისჯვარში აღდგომის მეორე დღეს ხატობა იცოდნენ და სალოცავად მიდიოდნენ გვარაძეები, ძამუქაშვილები და მჭედლიძეები. ნიქოზში ყველაზე მეტი მჭედლიძეები იყვნენ. აქ უმთავრესად, ქართველები ცხოვრობენ. სახელდობრ: მეტრეველები, მინდიაშვილები, კანდელაკები, მელანაშვილები, კობერიძეები, ლომისაძეები, მაზანაშვილები და სხვები. აქაური გლეხები ნიქოზის ეკლესიას უხდილნენ „სასეფისკვროს“ (სეფისკვერისთვის), კომლზე წელიწადში ერთ ფუთ ჭირნახულს [1, 46-47].

ცხადია, საკათედრო ტაძრის დაარსებისათვის, ნიქოზის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იქნებოდა, ვიდრე შემდგომ ხანებში. დიდი ვახტანგ მეფის ყურადღება აქაურებს სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულებით დაუმსახურებიათ და ასე გამზდარან ამ ტაძრის ღირსნი.

ცხინვალიდან მცირე მანძილით დაშორებულ ნიქოზს ადგილმდებარეობით შუა ქართლში არც ერთი სოფელი არ შეედრება. სოფელი გაშენებულია მაღლობზე, გადმოსცერის გიუმაჟ ლიახვს, ატეხილ ჭალებსა და აყვავებულ ბაღვენახებს. წარსულში ნიქოზელებს ორი დიდი გასაჭირი ჰქონდათ: უწყლოობა და უტყე-უბალახობა. ზემო ნიქოზელებს 13-15 ვერსის მოშორებით ჩამოუდიოდათ (სოფელ

კეხვის სათავიდან), ლიახვის ტოტი, ეს რუ მოედინებოდა სოფლებზე, ზაფხულში იქ ნახირს აგრილებდნენ და „ჩეჩქით“ სავსე ჩამოდიოდა სოფელში. ამიტომ, ხშირად ხან ერთი, ხან მეორე სენი იჩენდა თავს. ზამთარში რუ იყინებოდა, ამიტომ გლეხები თოვლს ადნობდნენ და სვამდნენ [21]. ლიახვის წყალს ბევრი მინერალური წყარო უერთდებოდა და ამის გამო, მეტად გემრიელი, ცივი და სასარგებლო იყო. ძველად, რუისიდან ნიქოზამდე მინდვრები თამარ მეფის დროს აშენებული არხებით ირწყვებოდა. „ამ რუისის მთის სამხრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანის წყლამდე ირწყვის ორის ლიახვს რუთი, თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი“ [12, 374]. 1930-1945 წწ. ნიქოზში დიდი სარწყავი სალთვისის არხი გაიყვანეს. სოფლის დასავლეთით კეხვის არხიც იყო და მოსახლეობას უწყლობა უკვე აღარ აწუხებდა. 1950-იანი წლებისთვის მოსახლეობა გზის პირას მჭიდროდ განსახლდა და ზემო ნიქოზის სოფელი 300-კომლიანი გამოჩნდა. 1902 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ზემო ნიქოზის მოსახლეობა ას ორმოც კომლამდე ითვლებოდა [21], ხოლო 1917 წელს, მათი რაოდენობა 692 ადამიანს შეადგენდა [22]. XIX ს-ის 30-40-იან წლებში აქ მხოლოდ 6 კომლი იხსენიება, ხოლო 1865 წლის აღწერით, 5 კომლი ირიცხება [8, 119]. შესაბამისად, ნიქოზის ეპარქია, ქართლის სხვა ეპარქიებთან შედარებით, ღარიბი იყო. 1801 წლიდან 1811 წლამდე მის მფლობელობაში მხოლოდ 8 სოფელი შედიოდა, მათგან სატაძრო სამსახური 70 კომლს ემართა. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ კახეთში ნეკრესისა და რუსთავის საეპისკოპოსოები [23, 531].

აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის ბოლოს, პერიოდული პრესის მასალების მიხედვით, ზემო ნიქოზში მოსახლეობა

სულ 55 კომლს შეადგენდა. ასეთ მცირე სოფელს ორი ეკლესიის განახლების გამო, „დიდი ხარჯი დაატყდა თავს“ [24]. საქმე იმაშია, რომ XIX ს-ის 80-იან წლებში, ზემო ნიქოზის ორივე ეკლესია დანგრევის პირას იყო მისული. თუ მხედველობაში მივიღებთ ნაგებობათა სიძველეს, განვლილ ჟამთა სიავესა და განსაკუთრებით, ამ ადგილებში ლეკების თარეშს, მართლაც, ეს ეკლესიები დანგრევის პირას იქნებოდა მისული. ნიქოზის ღვთაების ტაძარში, აღნიშნულ პერიოდში გაჭირვებით ილოც-იწირებოდა, ვინაიდან გუმბათიც ყოველი მხრიდან ფარლალალა გამხდარიყო და მის მინგრეულ-მონგრეულ ფანჯრებში ქარი და წვიმა თავისუფლად შედიოდა. კედლებიდან მრავალ ადგილას ქვები გადმოცვენილიყო და დანარჩენ დარღვეულ ქვებსაც ასეთი ბედი ელოდა. თაღებში ზოგან წვეთი ჩადიოდა და მთელ ტაძარს ანოტივებდა. ამის თაობაზე, ნიკოლომოური თავის დროზე გულისტკივილით წერდა: „იგი სდგას ფიქრით მოცული მრისხანე მოხუცივით და მშვენიერ ხეობას დასცეკრის წარბშეკრული, თითქოს აწინდელი ვითარების მას აღარა მოსწონდეს რა... ის არის საგულისხმიერო სურათი ჩვენი ერის წარსულისა და აწმყოსი; დიდებულია როგორათაც წარსული და გაოხრებული როგორათაც ახლანდელი ყოფა-ცხოვრება ჩვენი!“ [11, 6]. ორივე ტაძრის აღდგენის საჭიროება (რომლებიც ნანგრევებშიც თავის მშვენიერებას ასხივებდა) დიდი ხნის მანძილზე აწუხებდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებას, მაგრამ საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდნენ. ნიქოზის ტაძრების აღდგენის საბაბად გამოუყენებიათ, 1888 წლის 17 ოქტომბერს სმოლენსკისაკენ ოჯახითურთ მიმავალი რუსეთის მეფის, ალექსანდრე III-ის სასწაულებრივი გადარჩენა. საქმე იმაშია, რომ სადგურ ბორკისთან სამეფო მატარებლის ყველა ვაგონი გადმოცვენილა ლიანდაგებიდან

და განადგურებულა, გარდა იმისა, რომელშიც მეფის ოჯახი იმყოფებოდა. ამ ფაქტის აღსანიშნავად, გ. საძაგლიშვილის სარწმუნო ცნობით, ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩრდილოეთი კარის ზემოთ, შიგნიდან მარმარილოს წარწერიანი დაფა ყოფილა გაკრული, რომელიც გვაუწყებდა, რომ „

,

## II

17 1888 “ [16, გვ. 12]. ე. ი. ნიქოზის მთავარანგელოზთა ჭამარი მთავარანგელოზ მიქაელის სახელზე აღდგენილა.

საქართველოს ეგზარქოსის ნებართვით, ერთ-ერთ ჯგუფს მიუმართავს იმპერიის სხვადასხვა დაწესებულებებისათვის, აღნიშნული ფაქტის სახსოვრად ნიქოზის უძველესი ჭაძრების აღდგენაში დაგვეხმარეთო. ამ საქმისათვის საგანგებოდ შედგენილ კომიტეტს, 1 200-ზე მეტი ეგზემპლარი მოწოდების წერილი გაუზავნიათ მთელ საქართველოსა და რუსეთში. მათ იმედი არ გაუცრუვდათ, ამ უაღრესად საჭირო საქმეს მრავალი ღვთისმოყვარული და გულშემატკივარი გამოუჩნდა; ნიქოზის ჭაძრების შეკეთებისა და განახლების კომიტეტი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხიდან იღებდა შემოწირულობებს, რომელიც ნიქოზის ჭაძრის ძლვდლის, ი. დავითაშვილის თხოვნით, მაშინდელი (1889 წ.) გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ღვთაების ჭაძრის აღდგენაში მონაწილეობდნენ: შემახიის, ვოლოგდის, პოლტავის, კამჩატკის, კავკავის, ციმბირის, თურქესტანის ეპისკოპოსები, აგრეთვე, ათონის მთის წმიდა პანტელეიმონის მონასტრის სამმო, წინამძღვრები, „ბლალოჩინები“, სახელმწიფო უწყების მაღალიჩინოსნები, იმპერიის სხვადასხვა რეგიონის მოქალაქეები. განსაკუთრებული პატივით უნდა მო-

ვიხსენიოთ საქართველოს მაშინდელი ეგზარქოსი, ყოვლადუსამღვდელოესი პალლადი, რომლის მოღვაწეობამ, ერთგვარად, დაამშვიდა ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმებით შექმრთალი და გულამღვრეული ქართველი ერი. მის ეგზარქოსობაში, მარტო ქართლში ორ-სამწლიწადში, შვიდამდე ტაძარი განახლდა. რასაკვირველია, ამ წმინდა საქმეში უდავოდ დიდია ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და ზემო ნიქოზის მოსახლეობის წვლილი. ტაძრის აღდგენისთვის თავისი მადლიანი შემწეობა აღმოუჩენია იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავარს, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს, რომელსაც მიუმართავს მისდამი რწმუნებული იმერეთის ეპარქიის ყველა „ბლალოჩინისადმი,“ შემწეობა აღმოეჩინათ, როგორც საკუთარი შეწირულობებით, ისე საეკლესიო კრებულთა მოწვევით და სხვა ღვთისმოსავ სამრევლოთა მონაწილეობით [25, 1]. ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი დეკანოზი დ. ლამბაშიძე საზოგადოებას შეაგონებდა, რომ „სამართლიანი საუკუნო გმობის ღირსი ვიქებით შვილთა და შვილიშვილთა ჩვენთაგან, უკეთუ გულგრილობითა ჩვენითა დავანგრევთ ასეთ დიდებულ ძეგლს – მამა-პაპათა და წინაპართა სახელოვანი ცხოვრების მოწმეს, რომელსაც ერი ყოველთვის დიდი პატივისცემით და მოწიწებით იხსენიებდა და აწცა იხსენიებს“ [25, 2]. ვინ არ იცის, რომ ნიქოზის მკვიდრი, გ. საძაგლიშვილი-ივერიელი (წმ. კირიონ II) თავს არ ზოგავდა სოფლის საკეთილდღეოდ. ასეთი ადამიანების ლოცვითა და შრომითი შეწევნით, ტაძრის აღმდგენელმა კომიტეტმა მიიღო 6 000 მანეთზე მეტი შემოწირულობა, რაც ტაძრის აღსადგენად საკმარისი აღმოჩნდა და 1889 წლის გაზაფხულზე დაწყებული აღდგენითი სამუშაოები იმავე წლის 3 აგვისტოს წარმატებით დასრულდა. ამაზე ტაძრის შიგნით, ჩრდილოეთით გაკრული მარმარილოს დაფა იუწ-

ყება. წარწერაში იხსენიებიან აღნიშნული კომიტეტის წევრები: გორის მაზრის თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღვალი ი. სულხანიშვილი, გორის სასულიერო სას-წავლებლის ინსპექტორი გ. საძაგელოვი, თავადი ზ. ფავ-ლენიშვილი და ნიქოზის მღვდელი ი. დავიდოვი, რომლე-ბიც მეოხებას სთხოვენ, ნიქოზის მფარველ წმინდანს მთა-ვარმოწამე წმიდა რაჭდენს. როგორც ნიკო ლომოური აღნიშნავდა: „ანდერძაგებული ტაძარი, როგორც დაძაბუნე-ბული მოხუცი წელში ვაჟკაცურად გასწორებულა და საფ-ლავის მაგივრად იგი დღეს მომავალს იმედიანად გასცე-რის... ვინ იცის იქნებ კიდეც მიაღწიოს იმ დრომდე, როდესაც საქართველოს კვლავაც აღმოუბრწყინდება მზე სიმართლისა და განათლებისა, მზე ბრწყინვალე მომავ-ლისა“ [11, 6]. აღდგენითი სამუშაოები ბერძნებს ასე შეუს-რულებიათ: ტაძრის ორივე მხარეზე კედლები საძირ-კვლამდე ჩამოუდიათ და ახალი თლილი ქვით აუყვანიათ. დარჩენილი ორივე მხარეც, ასევე განუახლებიათ. სამივე კუთხით ტაძარზე მიღგმული ქვითკირის დანგრეული ოთა-ხები, რომლებიც სალოცავს ძალიან აუშნოებდნენ, ეპარ-ქიის ხუროთმოძღვრის თანხმობით, მოუცილებიათ. ასეთი მიღგმულები მცხეთის ტაძარს, სიონს და ძველ ეკლესი-ებსაც მოაშორეს. გუმბათი ახადეს და ხელმეორედ ლომ-ფინის ქვით გადახურეს. საქმე მართლაც ღვთის სათნოდ წარმართულა. მაღლიერების გრძნობით განმსჭვალულ ნ. ლომოურს ოროდე უსიამოვნო გარემოება შეუნიშნავს: პირველი — ბანიდან აუყრიათ ლომფინი და მის მაგივრად დაუხურავთ კრამიტი. ლომფინი ისეთი მტკიცე და გამძლე სახურავია, რომ მისთვის ხელი სრულებით არ უნდა ეხ-ლოთ. სადაც საჭირო იყო, იქ უნდა შესწორებულიყო და თუ მაინცა და მაინც ეს შესწორება საკმარისი არ იქნებო-და, ზედ ლომფინზე უნდა დახურულიყო კრამიტი; მეორე

დარღვევას რაც შეეხება, ძველებური, ვიწრო და მოგრძო ფანჯრები 4-5 ადგილას გამოუნგრევიათ და მათ ნაცვლად ახლანდელი დიდი, განიერი ფანჯრები გაუკეთებიათ. ამგვარად, ძველი და ახალი არქიტექტურა ერთმანეთში აურევიათ [11, 7]. მართლაც, 1902-1904 წლების პრესის მონაცემების მიხედვით, აღდგენილი და გამშვენიერებული ღვთაების ტაძრის სახურავი მტკიცე არ იყო, წვიმა თავისუფლად ჩამოდიოდა და ხელმეორე შეკეთებას საჭიროებდა [26]. დაშვებული ხარვეზის მიუხედავად, მოკლე დროში, მცირე მატერიალური საშუალებით, ასეთი დიდი და შესანიშნავი საქმე შეასრულეს. ასე რომ არა, ტაძრის ნაგებობა ისე იყო დაზიანებული, ათ წელსაც ვერ გაძლებდა და მთლიანად ნანგრევებად იქცეოდა.

ნიქოზის ღვთაების ტაძრის კანკელი 1890 წლის აგვისტოში ჯერ დადგმული არ ყოფილა, მაგრამ დიდი ოსტატობით და იშვიათი ცოდნით შეუდგენია გორის სემინარიის მასწავლებელს, კ. სტ. სოკოლოვს, რომელმაც უძველესი ჩუქურთმები დააპროექტა; ხოლო კანკელი გააკეთა თავადმა თარხნიშვილმა, რომელმაც გორში თავი გამოიჩინა, როგორც კანკელის დამდგმელმა და ჩუქურთმის კარგმა ამომჟრელმა ოსტატმა. ხატების დამზადება მიუნდიათ ქ. თბილისში მცხოვრები ი. გ. პატკანოვისათვის, რომელსაც თავისი მშვენიერი ხელობის გამო, დააკისრეს გორის საკრებულო ეკლესიის მოხატვა და ზოგიერთი ძველი მხატვრობის განახლება [27].

კომიტეტის წევრებს თურმე სურდათ, რომ ზემო ნიქოზის ტაძრის ერთი სამწირველო წმიდა რაჟდენის სახელზე ეკურთხებინათ, ვინაიდან მაშინ ამ წმიდანის სამწირველო არსად ყოფილა და თვით ზემო ნიქოზის ტაძრი ხომ ამაღლების სახელზეა ნაკურთხი.

ამ საშვილიშვილო საქმის სულისჩამდგმელებმა კარგად იცოდნენ ის უდავო ჭეშმარიტება, რომ „ახალი ტაძრების მშენებლობა ღვთისთვის მართლაც სათნოა, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ, რომ კიდევ უფრო დიდი მადლია დაზიანებული ეკლესიების რესტავრაცია, ძველი ტაძრებისა და მათი ნაგრევების აღდგენა. ვინც ამას აკეთებს, უფლის წინაშე დიდად კეთილ საქმეს იქმს: ამასთან ეს ნაბიჯი უფრო მოკრძალებულია და ამბიციურობისაგან თავისუფალი, ხოლო უფლისმიერი შეწევნა – გაცილებით დიდი, რადგან ასეთ ადამიანს და მის ოჯახს არ მოაკლდება მეონება იმ სასულიერო და საერო პირთა, რომელნიც ამ ტაძრებსა და მონასტრებში ღლოცულობდნენ და მოღვაწეობდნენ. მათი აღდგენა-განახლება წინაპართა პატივისცემისა და სამშობლოს სიყვარულის უფრო დიდი გამოვლინებაა“ [7, 60].

ზემო ნიქოზელებმა შეიღირსეს წინაპრებისაგან მიღებული ჯილდო და მზრუნველობა არ მოაკლეს ვახტანგ გორგასლისგან მონიჭებულ სახსოვარს, უმშვენიერეს ტაძარსა და ეკლესიას, ნეტარ იყოს ხსენება მათი!

ამრიგად, 1891 წელს ნიქოზის ღვთაების ტაძარი უკვე განახლებული ყოფილა. ამავე წლის გაზაფხულზე მთავარანგელოზთა ეკლესიის აღდგენა დაუწყიათ, რომელსაც უამთა ვითარებისაგან მცირეოდენი განახლება ჭირდებოდა. მთავარანგელოზთა ტაძარი ძალიან პატარაა, მაგრამ ქართული დიდი ტაძრების გეგმით არის აშენებული და მეტად შნოიანი, მოხდენილი რამ არის. 1891 წელს ნიქოზს ეწვია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე – პრასკოვია უვაროვა, რომელსაც ისე მოეწონა ტაძრის სიტუროე, რომ მის აღსაღენად 300 მანეთი არ დაინანა. ამ შემოწირულობას მიემატა ეგზარქოსის ფინანსური მხარდაჭერა [28], აგრეთვე ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანე-

ბის თანადგომა და 1896 წლის 24 აგვისტოს ნიქოზის მთავარანგელოზთა ტაძარი საზეიმოდ აკურთხეს. „ამ დღი-დან ურყევად დგანან წარსულის უტყვი მესაძლუმლენი, ნი-ქოზის დიდებული სალოცავები და ქართული ეკლესიის გავლენას უხილავად გადასცემენ უკეთურობით მომძლავრე-ბულ მეზობლებს.“ ნიშანდობლივია, რომ პრასკოვია უვა-როვას და მის მეუღლეს ნიქოზში ყოფნისას უყურადღებოდ არ დარჩენიათ ტაძრის გვერდით ძველი ექვსსართულიანი ციხე, რომელშიც ხალხის გადმოცემით, კერპორმსახურების დროს, ქართველებს ბომონი ჰქონდათ [29].

მთავარანგელოზის ტაძრის სიწმინდეებიდან აღსანიშნავია ძველ ქართულ სტილში შესრულებული წმინდა ხატები. აქ ღვთაების ტაძრიდან გადმოტანილი ყოფილა ხელოვნების იშვიათ ნიმუშად მიჩნეული მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს, იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობლის ხატები. არანაკლები მნიშვნელობის იყო ადგილობრივი, მაცხოვრის, ღვთისმშობლის და იოანე ღვთისმეტყველის ხატები. ნიქოზის ღვთაების ძველი ხატებიდან აღსანიშნავია ღვთისმშობლის მიძინების ხატი, რომელსაც მხედრული წარწერა აქვს: „ქ. ჩვენ მაჩაბლის ზურაბ სახლხუცის ძემან ვახტანგ და თანამეცხედრებ ჩვენმა ამილახორის ასულმა გუქამ მოვაჭედინე ხატი ესე მიძინებისა, სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა აღსაზრდელად. ქ.გსა: უიზ. მითითებული ქორონიკონი შეესაბამება 1729 წელს“ [9, 34]. საისტორიო წყაროების ცნობით, მაჩაბელი პირველად იხსენიება გიორგი VII-ის დროს (1395-1407 წწ.), თემურ ლენგთან ბრძოლებში. მაჩაბელი, როგორც ლიახვის ხეობის გამგებელი უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა. იგი არ ატარებდა არც მთავრის და არც ერისთავის წოდებას. მას მინიჭებული ჰქონდა ხევის უფროსობა და იწოდებოდა ხევის თავად. მისი სახელისუფლო ლიახვის ხეობაში იწყებოდა,

აჩაბეთიდან ლიახვის სათავეებამდე. მინდობილი ჰქონდა ჩრდილოეთის სასაზღვრო ზონის მეთვალყურეობა და მო-  
საზღვრე თსეთთან მეგობრული ურთიერთობის დაცვა-  
განმტკიცება. რაც შეეხება ლიახვის ქვემო მხარეს, აქ ქა-  
ლაქ გორის მოურავობა 1465 წელს თავდადებისათვის  
გიორგი VIII-მ თავის ერთგულ ზედგენიძე-ამილახვარს  
სამემკვიდროდ უბობა და მას განაგებდა ამილახვარი, რო-  
მელიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა [1, 16-17]. ამრი-  
გად, აღნიშნული ხატი, მაჩაბელ-ამილახვრების ერთ-ერთი  
ჩინებული საგვარეულოს შთამომავლებს შეუწირავთ და  
მემკვიდრეები ნიქოზის ტაძრისათვის შეუვედრებიათ. ამი-  
ლახვრებთან დაკავშირებით საინტერესოა მეფე თეიმურა-  
ზის საფიცრის წიგნი (1744 წლის 12 იანვარი) რევაზ  
ამილახვრისადმი, რაც მათ ერთგულ სამსახურს გამოხა-  
ტავს. „ქ. სახელითა ღვთისათა... ესე წყალობისა და მტკი-  
ცე წიგნი გიბოძეთ მეფეთ მეფემ კახეთის, არაგვის და  
ქსნის პატრონმან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან ერეკლემ,  
ესე ფიცი და პირი მოგეცით, თქვენ, ამილახვრიშვილს  
რევაზს, ასე, რომ შენ და რაც შენთან კაცნი არიან, რად-  
გან ჩვენ ერთგულობა და სამსახური ქნ, მოხველ, ჩვენგან  
წყალობისა და პატივის მეტი არა დაგემართოს რა, დიდი  
წყალობა გიყოთ. თუ ღმერთმან და ხელმწიფემ ქართლი  
მიბომა, ამილახვრობაც შენ მოგცეთ, შენი მამულიცა. თუ  
რომ ქართლი არ მოგვცა, რაც კახეთში შენი ყმა არის, ის  
მოგცეთ, ერთი სოფელი სარჩოდ წყალობა გიყოთ. არც  
ყიზილბაშს ჩვენ მიგცეთ, არც ჩვენგან ფიქრი და საზიანო  
მოვინდომოთ. ამაზე გული დააჯერე. ჩემი შვილის ადგილ-  
ზედ თვალი და ყური მოგიღიოთ, პატივი არ დაგაკლოთ,  
რაც ჩვენგან იქმნებოდეს. თუ შენ ჩვენზედ არა სტყუო რა,  
არას დროს ეს პირი და ფიცი არ გაგიტეხო. ამისდა  
გასათავებლად მოგვიცემია თავად ღმერთი, ყოველი მისი

წმიდა ხორციელნი, უხორცონი, ზეცისანი და ქვეყნისანი. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე კარისა ჩვენის მდივნის გორჯასპის მის ზურაბისათა. იანვრის იბ, ქორონოკონს ულდ“ [30, 459]. ნიშანდობლივია ამავე პერიოდის დოკუ-მენტი, რომელიც XVIII ს-ში ნიქოზში ლეკების მარბიელ ლაშქრობებს შეეხება. დაცარიელებულ სოფელში ქალაქის მოურავი დავით ციციშვილი ეპისკოპოს დავით ნიქოზელს უჩივის კუთვნილი ყმის მიზაცებაში. არზას ახლავს მეფე ერეკლეს მინაწერი: „1780 წლის დეკემბრის 15. ქ. ღ“ თან ბედინერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მონას ქალაქის მოურავს დავითს. მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს ხელმწი-ფეს. ჩვენი ადგილები რომ ლეკისაგან დაიცალა, მოგეხ-სენებათ, აქა-იქ სოფლებში მივიდნენ გლეხიკაცნი და ორი კომლი კაცი, ორი ხუცესი დავით ნიქოზელთან მივიდნენ და მამა ჩემმაც ნიქოზელს მიაბარა, ამ აქს დროში თქვენ-თან იყვნენო, არსად დაგეპარგნენო. დღეს აქამდინ გახ-ლდნენ ნიქოზელთან. ღ“თის მოწყალებით და თქვენის დოვლათით ლეკისაგან მშვიდობა არს. ჩემი ყმები ვსთხოვე, ერთი კი მომცა და ერთი კი აღარ მომცა. წყალობას ვით-ხოვ, ოქმი მებოძოს, ან ჩემი ყმა მომცეს და ან ამა არზაზე მოაწეროს და მომახსენოს, რაც მიზეზი ქონდეს ღმერთ წინაშენ. დეკემბერს იე, ქ..კნს უმც. თავში აქვს წარწერა: ქ. ყ.“დ სამღვდელოს ნიქოზელს დავითს ასე უამბეთ: მერე ქალაქის მოურავს დავითს, როგორც ამ არზით მოუხსენე-ბია, ან თავისი კაცი დაანებე და ან თუ მიზეზი რამ გაქვს და საბუთიანი სიტყვა, ამ არზაზე მოაწერე. დეკემბრის ივ, ქ..კნს უმც. ერეკლე“ [30, 10-11]. ნიქოზის ღვთაების ტაძა-რი ადგილობრივი თავადების, ფავლენიშვილების საგვარეუ-ლო სამარხს წარმოადგენდა. XVI საუკუნეში ისინი დასავ-ლეთ ქართლს განაგებენ. გ. საძაგლიშვილს (წმ. კირიონ II) ხელთ ჰქონია 1565 წლის სიგელი, რომელშიც აღნიშ-

“ [9, 34].

ცნობილია, რომ ნიქოზში ყოფილა დაცული ძელიცხოვლის, ანუ ძელიჭეშმარიტის ჯვარი. ეს უდიდესი სიწმინდე წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს იერუსალიმის პატრიარქისგან მოუღია, ძვირფასი თვლებით შეუმკია და ნიქოზში შეუწირავს. წმიდა თამარ მეფის ქალიშვილს, დედოფალ რუსუდანს ჯვარი განუახლებია, მას სათანადო წარწერაც ახლდა: „მე დედოფალმან რუსუდან ავაზაკთავან გაძარცვილი ძელი ჭეშმარიტი კვალად შევამკევ სულისა ჩემისა საოხად“.

XIX საუკუნის ბოლოს, მხოლოდ ჯვრის ვერცხლის ჩარჩოს ნახვა შეიძლებოდა. საქმე იმაშია, რომ 1798 წელს, ათანასე ეპისკოპოზის დროს, „ძელი ცხოველის ჯვარი გამოუბრძანებათ, რომ მასზე თავადნი ამირუჯიბნი და მოდავენი მათნი, იმერეთის მოსაზღვრენი დაეფიცებინათ. ტრაპეზიდან აიღეს ალავერდის ძელი ჭეშმარიტის მიხედვით ოქროს ბუდეში ჩადებული მკლავის სიგრძე და ორგზის დიდი ჯვარი და დაასკენეს საწიგნესა ზედა. გლეხთა და თავადთა შფოთის გამო ტაძრის მცველებს დაავიწყდათ ჯვრის აღება, რომ მოიძიეს საუნჯე არც საწიგნეზე იყო და არც ტრაპეზზე. მოახსენეს მღვდელმთავარს, გაიგო კათალიკოსმა, მეფე გიორგი XII-ს აცნობეს. ჯვრის დაკარგვის გამო მეფემ ეპისკოპოსი გადააყენა და წმიდა დავით გარეჯის უდაბნოში გაამწესა. წერეთლებსა და აბა-

შიძეებს სთხოვეს მოძიება, რომელთა გლეხებს სწამებდნენ ჯვრის მოტაცებას“ [31, 161], მაგრამ ამაოდ საუკუნეების მანძილზე დაცული ჯვარი იმერლების შფოთის გამო, თვალს მიეფარა.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ძელი ცხოვრებისა იყო „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპ-ტრისა“. აღნიშნულის გამო, ძელი ცხოვრებისა საქართველოს სამეფოს ატრიბუტად იყო მიჩნეული და ხშირად იგი წაყროებში სეფე დროშასთან და სამეფო აბჯართან ერთად, ქართველ მეფეთა ლაშქრობების აღწერისას მოიხსენიება [32, 109]. ასეთი მნიშვნელოვანი სიწმინდის დაკარგვის შემდეგ, მეფე გიორგი XII-სთან შუამდგომლობდნენ, რომ ეპარქია გადაეცათ იღუმენ დიონისესთვის, რომელიც იყო თავად ციციანთა (ციციშვილთა) ყმა სოფელ ხვედურეთიდან. მეფე ლირსეულ კაცს ეძებდა და არავინ არ დანიშნა. გარდა ამისა, მეფეები ასე ადგილად გლეხებს და აზნაურებს სამღვდელმთავრო კათედრებს არ უბოძებდნენ. „მარადის მოიძიებდნენ თავადთა სახლთაგან, დამოკიდებულთა დიდ ოჯახობით დიდთა კაცთა თანა, უფრო პურადთა, უხვთა, გამცემთა და კარის მექონეთა გამოჩენილისა პატივად მაღალისა ხარისხისა“ [31, 162]. შესაძლებელია, ასეთმა მკვეთრმა სოციალურმა გამიჯვნამ, დღეს ჩვენში პროტესტის გრძნობა წარმოშვას, მაგრამ საქართველოს სამეფო ტახტი ცნობილი იყო მრავალსაუკუნოვანი წეს-განგებით, მტკიცე წყობით და ურყევი რჯულისმსახურებით. ზემოაღნიშნული ფაქტი ნიქოზის ეპარქიის მისიას კიდევ უფრო აძლიერებს და კათედრის ეპისკოპოსებსაც გამოარჩევს. შემთხვევითი არ იყო, რომ XVIII ს-ის მკვლევარი და მოგზაური გიულდენშტედტი თავის ჩანაწერებში ქართლის ექვს ეპისკოპოსის შორის, ნიქოზის ეპისკოპოსს გამოარჩევდა: „ეპისკოპოსი დიდი ნიქოზელი“ [33, 207].

ნიქოზის ტაძრის სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია, 1889 წ. ადგილობრივი მღვდლის, მ. დავითაშვილის მიერ ტაძრის კედელში, ორი საუნის სიმაღლეზე ნაპოვნი შემ-დგი ძველი ნივთები: სამ ნაჭრად დასაშლელი, შავად შეღებილი ეპისკოპოსის კვერთხი, წითელი მაუდის ძლიერ დაძველებული ნაჭრი არწივის გამოსახულებით, რომელ-საც ფეხქვეშ უგებენ ეპისკოპოსს და ერთი სპილენძის ალთაფა წარწერით: „ქ. შემოგწირე. მე ბადურმა. იოსებმა. წმინდასა ნიკოლოზს. ეს. ალთაფა. ქორონიკონი ამ წარ-წერის არ ჩანდა“ [34].

რაც შეხება სახელწოდება ნიქოზს, როგორც ირკვე-ვა, ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, საზღვარგარეთის წმინდა ადგილებიდან არის გადმოტანილი [35, 114]. ნიქო-ზია ქალაქია კუნძულ კვიპროსზე ძვ. წ. აღრ. VII საუკუ-ნეში დაარსებული. ადრინდელი სახელწოდება არის ღედრა, ლევკოთეა. ნიქოზია კვიპროსის მართლმადიდებლური ავ-ტოკეფალური ეკლესიის საეპისკოპოსოს ცენტრია და ამ სახელწოდებით იგი ცნობილია დაახლოებით ახ. წ. აღრ. XII საუკუნიდან [36, 365]. ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული წმიდა ადგილების სახელწოდებები, დრო-თა განმავლობაში, ფართოდ გავრცელდა საქართველოში. ადგილობრივი მოსახლეობა სოფელ ნიქოზს ნიგოზთან აკავშირებს, რაც აღმოსავლეთ საქართველოში სოფლის სა-ხელწოდებად სხვაგანაც გვხვდება.

ამრიგად, ჯერჯერობით ჩვენ ამით დავასრულებთ ნი-ქოზის ისტორიის საკითხის კვლევას. შესაძლებელია, ნაშ-რომი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ გადმოსცემდეს ფაქტებსა და მოვლენებს, ისტორიული მასალითაც არ იყოს ჯეროვნად გაშუქებული, მაგრამ ის მაინც გაუღვიძებს მკითხველს საკმაო ინტერესს ამ უძველესი სოფლისა და ეპარქიის მნიშვნელოვანი წარსულისადმი.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971.
2. ჯ. გვასალია, ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორი-იდან, ჟურ. „ჯვარი ვაზისა“, №1, თბ., 1997.
3. . . . , -
4. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955. ტექსტი დადგე-ნილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ.
5. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951.
6. წმ. პირველმოწამე რაფენი, დაიბეჭდა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის მეუფე ისაიას ლოცვა-კურთხევით.
7. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, ტ. III, 2008.
8. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984.
9. . . . , . « »  
1891 .
10. ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკევები, თბ., 1994.
11. 6. ლომოური, ხმა პროვინციიდან, ჟურნალი „მწყემსი“, №22, 15 მაისი, 1889.
12. ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
13. დ. ახლოური, ქართული სულიერების ოაზისი, თბ., 2008.
14. ე. ბუღლაშვილი, საქართველოს სამოციქულო ეკლე-სიის ისტორია, თბ., 2008.

15. 6. გენგიური, კუპელჰალე, თბ., 2005.
16. II ( ),
- . .
- « », 20, 1896,
17. გაზ. „ივერია“, №99, 21 მაისი, 1887.
18. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №540, 23 მაისი, 1898.
19. ღვთაების ეკლესია თელავში, უკრ. „მწყემსი“, №16, 1887.
20. გაზ. „ივერია“, №124, 13 ივნისი, 1898.
21. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1938, 28 სექტემბერი, 1902.
22. , , 1917.
23. , . 1,
- .., 1866.
24. გაზ. „ივერია“, 10 ივნისი, 1892.
25. უკრ. „მწყემსი“, №9, 15 მაისი, 1889.
26. გაზ. „ივერია“, №249, 31 ოქტომბერი, 1904.
27. გაზ. „ივერია“, №180, 22 აგვისტო, 1890.
28. გაზ. „ივერია“, №187, 4 სექტემბერი, 1891.
29. გაზ. „ივერია“, №187, 2 სექტემბერი, 1890.
30. ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. 3., თბ., 1910.
31. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936.
32. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდე-ები, თბ., 2007.
33. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ., 1962. ტექსტი თარგმნა, კომენტარი და საბიექტუ-ბი დაურთო გ. გელაშვილმა.
34. გაზ. „ივერია“, №115, 5 ივნისი, 1889.
35. კ. ხარაძე, ჭოპონიმიკური შტუდიები, წ. 2, თბ., 2018.
36. კ. ხარაძე, ჭოპონიმიკური შტუდიები, წ. 1, თბ., 2018.

**“SEARCH THE DEATH FOR CHRIST”  
(FROM THE HISTORY OF THE VILLAGE ZEMO  
NIKOZI)**

**Summary**

Some problems of the village Zemo Nikozi and the oldest Nikozieparchy are discussed in the article. Establishing of Nikozi eparchy is connected with the name of King Vakhtang Gorgasali. The second period of the eparchy cathedra flourish, which was founded in the 5th century, is connected with the 10th–11th centuries. The second old church of Archangels which reached us in its primary state is of the mentioned period.

The Khvtaeba church chapel and the palace of bishops are of historical value. The great part of the article is dedicated to the description of Nikozi architectural complexbuilding, restoring, its inscriptions and relics. Worth to be mentioned is spiritual culture and every-day life peculiarities of the village Zemo Nikozi population.

# აფხაზეთის პულტურის ძეგლები ბუშინ და დღეს (გედია და ილორი)

## გედიის ყოვლადღიდა ლგონისმშობლის მიმინების ეპლუსია

დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის მდებარეობს ისტორიული მხარე, სამურზაყანო, რომელიც მოიცავს მდინარეებს ენგურსა და ლალიძგას შორის მდებარე ტერიტორიის უდიდეს ნაწილს, ძირითადად, დღევანდელ გალის რაიონს. აქ უხვად არის წარმოდგენილი საქართველოს ფეოდალური პერიოდის ხუროთ-მოძღვრების ძეგლები, სადაც გარკვევით ჩანს ქართველთა და აფხაზთა ერთობა, რასაც უძველესი დროიდან ეყრდნობა საფუძველი. ქართველობასთან აფხაზთა მხრივ თანაზიარობა მაშინაც კი ინარჩუნებდა მნიშვნელობას, როდესაც გვიანფეოდალურ ხანაში აღარ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო და საქართველო დაშლილი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ვინაიდან აფხაზეთი მთლიანად და განუყოფლად შედიოდა საერთო ქართულ ეთნიკურ და კულტურულ ისტორიულ წრეში (13, გვ. 14). აფხაზეთის ისტორიის მკვლევრები აღიარებენ, რომ აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ერთობა ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან, ფეოდალური ეკონომიკისა და კულტურის აყვავების ხანა იყო (2, გვ. 17). უფრო ხშირად, ამ ერთობის უტყუარი ფაქტები დამახინჯებულია რუსეთთან მითიური, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წინა პლაზე წამოწევით. ნივთიერი ძეგლები ხომ ძველი დროის ხელშესახები მატიანეა, რომლის გაყალბება შეიძლება, შეცვლა კი – არა. ამდენად, თუ აფხაზები ამ მხარის ისტორიას თავისად მიიჩნევენ, თავი „ქართლის ბედის“ მოზიარედაც უნდა იგრძნონ (18, გვ. 28). ქართველებისა და აფხაზების სიახლოვე

თვალსაჩინოდ არის გამუღავნებული ყოფისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში. მათი სულიერი ერთარსობის გამომხატველია ბედის სახელგანთქმული კათედრალი.

სამურზაყანოს ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხედ ჩამოყალიბებისთანავე (XVIII ს. დასაწყისი), მისი ცენტრი ბედია გახდა. ეს ადგილი ერთი უძველესთაგანია. „ქართლის ცხოვრების“ ზეპირგადმოცემებისამებრ, აქ დამკვიდრებულა პირველად ეგროსი, თარგამოსის ერთი ძეთაგანი. „ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი – ეგრისი. აწ მის ადგილსა პქვიან ბედია“ (35, გვ. 5). დანამდვილებით მნელი სათქმელია, რა დროიდან ეწოდა ეგრისს ბედია, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბედიის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიას დღესაც „ნაქალაქარი“ ეწოდება (16; გვ. 8). ისტორიკოსი პლ. იოსელიანი, ბედის საქართველოში არსებულ უძველეს ქალაქებში მოიხსენიებს (23, გვ. 393).

არის მოსაზრება, რომ ეგრისიც მდინარე ენგურის ახლოს მდებარეობდა (9, გვ. 3). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მდინარე ენგურს აფხაზურად „ეგრი“-ს უწოდებენ (15, გვ. 3). სამურზაყანოს ბარშიც არის ერთი წყარო, რომელსაც ეგრისის მეფის წყაროდ მიიჩნევენ (3, გვ. 364).

მოგვიანებით, როდესაც საქართველოს პირველმა მეფემ, ფარნაოზმა ისიძა ეგრისის მმართველი ქუჯი, მიათხოვა რა თავისი და, სატახტო ქალაქ ეგრისს სახელად ბედია დაერქვა. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, თვით ქუჯმა დაარქვა თავის ძველ სატახტო ქალაქს, ეგრისს – ბედია, ვითომც იმისთვის, რომ მან აქ თავისი ბედი ჰპოვა, ე. ი. ფარნაოზ მეფის სიძობით გაბედნიერდა... „ამას შემდგომ უწოდეს ბედია; რომელი დასუა მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა; ვინაიოგან ჰპოვა

ბედი“ (7, გვ. 780). ბედი, „ქართლის ცხოვრებაში“ რამდენიმე კონტექსტში გვხვდება. მაგალითად, ფარნავაზმა თავისი მონა ქუჯისთან გააგზავნა და უთხრა: ....გამოუჩნდეთ ჩვენ მტრად აზონ ერისთავს და ჩვენმა ბედმა მოგვცეს კარგი გამარჯვება — ანუ „ძლევაი კეთილი“. ან კიდევ, ფარნავაზის მეფობის გამო, მთელ ქართლში იყო მოსვენება და სიხარული, ყველა ამას ამბობდა: „ვმადლობთ ჩვენს ბედს, რომ მოგვცა მეფე ჩვენი მამების ჩამომავალთაგან და უცხო ხალხებისაგან ხარკი და ჭირი მოგვიხსნა“ (34, გვ. 22).

ბედიასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია გადმოცემა, თითქოს ამ სოფელს ბედიას იმიტომ უწოდებენ, რომ ერთ დღეს საქართველოს მეფეს, რომელიც მთებში ნადირობდა, თავიდან დოლბანდი გადმოვარდნია და ამ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვა, რაზედაც უთქვამს, რომ კარგი ბედი მქონიაო. მეფეს უბრძანებია, აქვე აეშენებინათ ეკლესია და ის ძვირფასეულობით გაემდიდრებინათ (25, გვ. 170). აღნიშნულ ზეპირ გადმოცემებში ფიგურირებს ბედი, რომელიც ხალხური რწმენით, ზებუნებრივი ძალაა. ბედი წინასწარ განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას, განგებას, სვე-ბედს. „მატიანე ქართლისა“-ში დაცულია აგრეთვე ცნობები, რომელიც ეხება გუდაყვიდან ბედიაში საეპისკოპოსო კათედრალის გადატანას, რაც სხვა მიზე-ზებთან ერთად, იმან განაპირობა, რომ ბედია იმ უმნიშვნელოვანეს გზაზე მდებარეობდა, რომელიც აფხაზეთს საქართველოს სხვა კუთხეებთან აკავშირებდა. რაც შეეხება გუდაყვას, ანუ გუდავას, ის უძველესი დასახლებული ადგილია. საქმე იმაშია, რომ VI-VIII სს-ში, დასავლეთ საქართველოში, კონსტანტინოპოლის საპატირიარქოს ფარგლებში, სამი საეკლესიო ოლქი არსებობდა. მათ შორის, ლაზიების მიტროპოლია ოთხი საეპისკოპოსოთი. აქედან

ერთ-ერთი იყო დაბა ზიგანევი, ანუ გუდაყვისა, თანამედროვე სოფელი გუდავა გაღლის რაიონში (20, გვ. 231). სწორედ X საუკუნეში, აფხაზეთის მეფებმა თავისი საუფლოს საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის პატრიარქის საგამგებლოს გამოაკლეს და მცხეთის კათალიკოსს დაუქვემდებარეს. ამის საფუძველი ერთადერთი რამ შეიძლება იყოს, — სულიერი ერთობა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ X ს-ში ხდება ამ შინაგანი ერთობის გააზრება, ეროვნული ცნობიერების ეროვნულ თვითცნობიერებად გარდასახვა (19, გვ. 70). ამიტომ, „საქართველოა ყველგან, სადაც ქართველი ჩნდება, ხოლო ქართველი არის ყველა ის, ვინც ქალკედონიტია (კავკასიაში თუ მის მეზობლად) და ვინც საეკლესიო მსახურებას ქართულ ენაზე ისმენს“ (11, გვ. 121).

ამგვარად, „მატიანე ქართლისა“-ს ცნობით, „ამავე დიდმან მეფემან ბაგრატი III) აღაშენა საყდარი ბეჭისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ. შეწირნა სოფელი მრავალი ყოველთა ხევთა და აღგილთა, განასრულა ყოველითა განგებითა, შეამკო ყოველითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკეთუ ვისმე ენებოს განცდა და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბეჭის ეკლესისა და მისთან გულისხმა ყო რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“ (1, გვ. 77).

ქვეყნის მეუფის სიდიადის შესამეცნებლად, მემატიანე ხელოვნების ძეგლის ხილვა-განცდის აუცილებლობას ქადაგებს. ჩანს, მისი სიტყვები სინამდვილეს შეეფერება (26, გვ. 23). საკმარისია მოვიგონოთ აკად. გ. ჩუბინაშვილის სიტყვები: „უეჭველია ბეჭის ჭადარი ვერ მოვიდოდა თავისი ზომებითა და კომპოზიციით, აგრეთვე თავისი დეკორა-

ტიული მორთულობით ბაგრატის მიერვე აგებულს ქუთაისის ტაძართან, მაგრამ არ ჩამოუვარდება მას არც თავისი შინაგანი მოკაზმვით და, როგორიცაა მაგალითად: სპეციალური არქიტექტურული სახატე შენაშენები, არც კედლის მხატვრობით და არც ძვირფასი მაღალი ხელოვნების ჭურჭლეულობით. ვინ იცის, იგი იქნება სჯობდა კიდეც ოდესაც ქუთაისის ტაძარს“ (38, გვ. 12). აფხაზთა და ქართველთა მეფემ, ბაგრატ III (980-1014 წწ.), ქვეყნის სულიერი სიტმინდისათვის ზრუნვა უმთავრესად ბედის ტაძარს მიანდო. 1014 წელს, როდესაც მეფე ტაოში გარდაიცვალა, ანდერძისამებრ ბედის მონასტერში დაკრძალეს, სადაც დედამისი, დედოფალი გურანდუხტი განისვენებდა და ამიერიდან, ქუთაოთელებთან ერთად, ბედიელებს მიენიჭათ გაერთიანებული ქვეყნის მეფეთათვის უკანასკნელი შესანდობარი სიტყვის თქმის უფლება (26, გვ. 23). ამჟამად, ბაგრატ III-ის სამარხი დაკარგულია. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, 1986-1987 წწ.-ში ბედის ტაძრის რესტავრაციის პარალელურად, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. მ. ბარამიძის ხელმძღვანელობით, ადრეული ფენებისა და სამარხების გამოვლენის მიზნით, ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის გათხრას აწარმოებდა. აფხაზურმა მხარემ მკაცრი პროტესტი გამოთქვა და მუშაობა შეაწყვეტინეს (28, გვ. 8) სწორედ იმ დროს, როცა ისინი ადრეული ფენების გამოვლენას ცდილობდნენ. ექსპედიციის წევრებმა ივარაუდეს, რომ გამოჩნდა ბაგრატ III-ის დროინდელი ეკლესიის საძირკველი. გალავნის გასწვრივ, სამხრეთის მხრიდან ოცამდე სამარხი გათხარეს და ფიქრობდნენ, რომ ბაგრატ მეფის საფლავს უკვე მიაკვლიეს.

ბედის ტაძარი X-XI სს. მიეკუთვნება. ქართველთა ერთიანი ქვეყნის აღმნიშვნელი სიტყვა „საქართველო“ და ბედის ტაძარი ათასი წლისაა. ტაძარი პირვანდელი სახით

ჩვენამდე არ შემონახულა. მის ადგილზე XIII ს. II ნახევ-რის ძლიერ შელახული შენობა დგას, რომელშიც ძველი ტაძრის რამდენიმე მოჩუქურთმებული ქვა არის ჩაყოლებული, რაც მთელი სიცხადით წარმოაჩენს მომხდარ გარდატეხას. ამგვარი ქვაზე კვეთა საქართველოს ამ მხარეში მანამდე არ იცოდნენ. მისი „სამშობლო“ ტაო-კლარჯეთია, — ბაგრატიონთა სამკვიდრო. ეს სამხრეთ-ქართული ხელობის ერთადერთ ნიმუშს არ წარმოადგენს.

ადრინდელ ძეგლთაგან განხვავებით, აქ ბიზანტიური გავლენის შორეული კვალიც არ ჩანს. ეს „წმინდა“ ქართული ძეგლია, როგორც ამ დროის ყველა სხვა ეკლესია აფხაზეთში (10, გვ. 66).

ქართულ ხელოვნებაში ხუროთმოძღვრების შემდეგ, ეჭვს გარეშეა, მეორე ადგილი ოქრომჭედლობას უჭირავს. ბედის ოქროს ბარძიმი ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშია, რომელიც გამოჭედილია ხალასი ოქროს ერთი მთლიანი მკვრივი ზოდისაგან (წონით — 752 გრ., სიმაღლით — 12, 5 სმ.) მასზე ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოზ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა, ამინ“ (38, გვ. 2). ჩვენამდე წმიდა ბარძიმს სრული სახით არ მოუღწევია. ბედის ცნობილი ოქროს ბარძიმის ფეხი ეპისკოპოს გერმანე ჩხეტიძეს განუახლებია, რასაც გვამცნობს ბარძიმის ფეხზე გაკეთებული წარწერა, მაგრამ რომელ საუკუნეში მომხდარა ეს განახლება, წარწერიდან არ ჩანს (30, გვ. 137). სამაგიეროდ, წარწერა იუწყება, რომ ბედის ტაძარი ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აშენებული. ის ასე იკითხება: „ყოვლად წმიდაო დედოფალო ვლაქერნის ღვთისმშობელო, შემიწ-

ყალე მე ბედიელ მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე, რომელ  
ღირს ვიქტორ კადრებად შემკობად ფეხსა წმიდისა ამის  
ბარძიმისა“ (30, გვ. 137). მეცნიერებაში ცნობილია ბედის  
მეორე, მცირე ბარძიმი, რომელიც გ. ჩუბინაშვილის გა-  
ნცხადებით, დაკარგულად ითვლება. აღნიშნულ ბარძიმზე  
ღვთისმშობელი ყოფილა გამოსახული, რომლის სახე თურ-  
მე არ გავდა არც ერთ ძირითად ტიპს. ორიგინალობით  
გამოირჩეოდა და განსხვავებით ვლაქერნის ღვთისმშობლი-  
საგან (ვლაქერნის ღვთისმშობელს, ჩვეულებრივ, ვედრების  
პოზა აქვს), „გამოცხადების“ იშვიათი ასახულობით ხასი-  
ათდებოდა (27, გვ. 3). ვლაქერნი კონსტანტინოპოლში, ქა-  
ლაქის დასავლეთ კუთხეს ეწოდებოდა. V საუკუნეში, ამ  
ადგილას ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესია იყო აშენე-  
ბული (40, გვ. 681), რომელშიც ამავე სახელწოდების  
ღვთისმშობლის შესანიშნავი ხატი ესვენა. ეს ეკლესია  
დღეს არ არსებობს, მაგრამ ღვთისმშობლის ხატი, რომელ-  
მაც კონსტანტინოპოლი განადგურებისაგან დაიცვა და და-  
იფარა 627 წელს, დღესაც ცნობილია. პლ. ოსელიანის  
ცნობით, ეს ხატი XVII საუკუნეში ქართველ ერს საბერ-  
ძნეთის კეისარმა ჰერაკლემ გადასცა (24, გვ. 17). შემ-  
დგომ, თუ სად და რა ადგილზე ესვენა „სასწაულმოქმედი“  
ხატი ცნობა აღარ გვაქვს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედ-  
ვით, ეს ხატი XVII ს. გიორგი გურიელმა იმერეთის მეფე  
ალექსანდრე IV-სთან საბრძოლველად წამოსულმა, „გან-  
სძარცვა ხატი ლანქერნის (ვლაქერნის უნდა იყოს) ღვთის-  
მშობელი და ჰყო სამკაულად თვისად“ (36, გვ. 209).  
XVII საუკუნის დასასრულს, აფხაზმა ფეოდალებმა  
ოდიშის (სამეგრელოს) მნიშვნელოვანი ნაწილი რომ მიი-  
ტაცეს (ჯერ კოდორიდან ღალიძგამდე, სულ მალე საზღვა-  
რი მდ. ენგურამდე გადასწიეს), აქ მოსახლე ქართველები  
თურქებს ტყვეებად მიჰყიდეს, ან აიძულეს თავშესაფარი

მდ. ენგურის აღმოსავლეთით მოექცნათ. მათ თან მოჰკონდათ ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ხატები და სხვა საეკლესიო ინვენტარი. ამ დროს გადმოიტანეს ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი, 1300 წლის მოქვის სახარება და ა.შ. (30, გვ. 223). 1805 წ. ვლაქერნის ხატი წაასვენა პეტროგრადის საგანგებო დეპუტაციამ და სამეგრელოს სახელით, იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიართვეს, რომელმაც ეს ხატი ძვირფასად შეამკო და სამეგრელოს დაუბრუნა. მოგვიანებით, სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინემ კვლავ შეამკო ხატი, რომელიც 1921 წ. საქართველოდან გაიტანეს (32, გვ. 49). ამჟამად, საოცრად მდიდრულად მორთული ვლაქერნის ხატი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ამავე მუზეუმს მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმიდან შემოსული (1923 წელს) ბედის ტაძრის ქანდაკებათა ნიმუშის რამდენიმე ფრაგმენტი ამშვენებს, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება (5, გვ. 8). ზემოაღნიშნულ ვლაქერნის ხატსა და ბედის ტაძრის აშენებას ვლაქერნის, ღვთისმშობლის სადიდებლად, ერთმანეთთან აშკარა კავშირი აქვს. შესაძლებელია, ეს ხატი, თავის დროზე, ბედის ტაძარში ყოფილიყო დაცული.

როგორც ირკვევა, ბედია არა მარტო ერთ სოფელს აღნიშნავდა, არამედ ეს სახელი ეწოდებოდა ვრცელ კუთხეს, რომელიც ბედის საყდრის ირგვლივ მდებარე სოფლებისაგან შედგებოდა. ამიტომ, სოფელს, სადაც ეს საყდარი იდგა, ჩვეულებრივ, შუა, ან გული ეწოდებოდა. ეს სახელი გვიანობამდე შემორჩა და როდესაც ბედის მხარეში სასაუბრო ენა აფხაზურით შეიცვალა, შუა ბედიას აგუბედია ეწოდა (9, გვ. 3). ზოგიერთი ცნობით, ბედიას სანარდო ერქვა, რომელშიც რამდენიმე სოფელი (ბედია, სახახუბიო, ფშაური) შედიოდა. ბედის ტაძარი მდებარე-

ობს სოფელ აგუბედიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. კონცხად გამოწვდილი თხემი, რომელზეც ბედის ტაძარია აღმართული, სამი მხრიდან შემოზღუდულია კლდეებით. მეოთხე მხარეს, — ეს მცირე გავაკებული მოედანი ვიწროვდება და გორაკის ფერდობს უერთდება. სწორედ აქ, ამ ვიწროზე იყო აღმართული ორსართულიანი სასახლე და კარიბჭე-სამრეკლო. ამგვარი დაგეგმარების მქონე ანსამბლით, შეუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტი იქმნებოდა (14, გვ. 50). ტაძრის გეგმის ზოგადი მოყვანილობა მოგრძო სწორკუთხედს წარმოადგენს. ნავები კი, მეტისმეტად ვიწროა. ტაძრის შინაგანი სივრცის გაფორმება ე. წ. „გუმბათიან დარბაზს“ უახლოვდება. გუმბათს უჭირავს ნაგებობის ცენტრი, ის ოთხ სვეტს ეყრდნობა, რომელთაგან ორი აღმოსავლეთის მხრიდან საკურთხევლის აფსილის კედლის სვეტისებურ გაფორმებას შეადგენს. აღმოსავლეთის ფასადი შემკულია ორი ნიშით. აღწერილი ტიპური ნაგებობის პირველ ნიმუშს, რომელიც ქართლში ჩამოყალიბდა, სავსებით დაღვენილი მხატვრული სახით, სამთავისის ტაძარი წარმოადგენს (აშენებულია 1168 წ.), რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, ქართული საეკლესიო არქიტექტურის განვითარების ისტორიაში მისაბაძ ნიმუშად იქცა (4, გვ. 25-1). ამგვარად, შ. ამირანაშვილი, ბედის ტაძარს ამსგავსებს ერთ-ერთ ულამაზეს ნაგებობას, — სამთავისის ტაძარს.

ბედია XIII-XIV სს-ში აღადგინეს. ჩვენამდე რესტავრაციის დროინდელმა ფასადთა (მოპირკეთების და დეკორაციული სამკაულის) უდიდესმა ნაწილმა მოაღწია. XIX ს. შუა წლებში დაცული ყოფილა აგრეთვე გუმბათის ნაწილი და სახურავი. ტაძარი მოპირკეთებულია მოყვითალო ქვიშაქვით. მას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილო-

ეთით სამი შესასვლელი აქვს. წარმოდგენილია დასავლე-  
თის შესასვლელის კონტური, რომელიც მოჩარჩოებულია  
ორი ორნამენტული ზომის და ლილვაკების ფართო ჩარჩო-  
თი. ჩარჩოს გარს შემოვლებული აქვს ფესტონების მწკრი-  
ვი, ხოლო მის ცენტრში, ზემოთ, დიდი როზეტი და ჯვა-  
რია მოთავსებული (12, გვ. 38).

ბედიის ტაძარს უძველესი ქართული ხუროთმოძ-  
ლვრების კვალი, საქართველოს ყველა სხვა ტაძარზე უფ-  
რო მეტად ატყვია. გარეგანი ქანდაკი კარებსა და ფანჯრებ-  
ზე ქართულ გრეხილთა ნაქარგს შეიცავს, რომელიც თავი-  
სებურად არის დაწყობილი, შემკული და ჯერ კიდევ სვე-  
ტის ზოლებად არგარდაქმნილი (39, გვ. 2). „ეს ნაშთი ი  
ნათლად მოწმობენ დიდებულს წარსულს და თანამედროვე  
გულგრილობას. მათს მაღალ კედლებიდან გამოფიტული  
ქვები თანდათან სცვივა, მსგავსად სასოწარკვეთილების  
ცრემლთა, თითქოს თავისი ხვედრისა რცხვენიათო. ეს  
ამაყნი ძეგლი სუროსა და გარეულ ვაზის სუდარას ქვეშ  
იმაღებიან...“ (6, გვ. 7-8).

ბედიის დასავლეთით, ტაძრიდან ასი მეტრის დაშორე-  
ბით ყოფილა ქვის დიდი სასახლე, მისგან ქვედა სართუ-  
ლის თაღებისა და სვეტების ნანგრევებია შემორჩენილი. აქ  
სატრაპეზო და საკრებულო ყოფილა. სასახლის მეორე  
სართულზე, რომელიც დანგრეულია, განლაგებულია ბედიის  
ეპისკოპოსთა საცხოვრებელი ოთახები. აფხაზეთში თურქე-  
თის ბატონობის დროს, ტაძარში მღვდელმსახურება შეწ-  
ყდა. იგი 1816 წელს განახლდა (33, გვ. 3). სავარაუდოდ,  
ამ დროს, ბედიის ტაძარი ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული  
(8, გვ. 39). 1832 წ. მიტროპოლიტ დავით წერეთელს,  
თავისი დის, სამეგრელოს მმართველის, ლევან დადიანის  
მეუღლის დახმარებით, ბედიის ტაძრის აღდგენა განუზრა-  
ხავს. ამისათვის სამურზაყანოში ოსტატები გაუგზავნია,

მაგრამ დის, მართას უეცარმა სიკვდილმა ეს საქმე ჩაშალა (17, გვ. 79). გასული საუკუნის დასასრულს, ბედის მონასტრის კომპლექსი არც ისე ცუდად გამოიყურებოდა. გალავანი რიყის ქვის იყო, ეზოში ხეხილის ბაღი ყვაოდა. „აქ არის მშვენიერი ვაკე ადგილი, მორთული ხეხილით. უბრალო ხეს აქ ვეღარ ნახავთ. არის ვაშლი, მსხალი, თხილი, ნიგვზის ხე, მაყვალი და სხვა“ (21, გვ. 2). ადგილობრივ მცხოვრებლებს აქ შესაწირავად ჩამოქნილი წმინდა სანთლები, ვერცხლის, თუ სპილენძის ფული მოქონდათ, რომელსაც საკურთხევლის წინ, ერთ ქვაზე დებდნენ (22, გვ. 3). XIX საუკუნის II ნახევარში ბედის ტაძარში მონასტერი აღადგინეს. 1913 წ. ბერ-მონაზვნებმა ტაძრის განახლების მიზნით, დაზიანებული გუმბათი სრულიად მოშალეს და იოლად ჩამოსაცლელი ფასადების საპირე მოხსნეს. 1953 წელს ისევ დაწყებულა სარესტავრაციო სამუშაოები. ამ დროს, პერანგის ქვედა ნაწილი აღუდგენიათ და დროებითი სახურავი მოუწყვიათ. შემდგომ, 1969-70 წწ. ბეგლის ძირითადი კონტურები აღდგა, სახურავი განახლდა, მაგრამ მაშინ ფასადებისა და გუმბათის სრული აღდგენა ვერ მოხერხდა, რაც 1984 წელსაც იყო დაგეგმილი, მაგრამ ეს საქმე გაურკვეველი დროით გადაიდო. ამჟამად, ბედის სამონასტრო კომპლექსთან მიმდინარე სამუშაოები ქართული ხუროთმოძღვრების კვალის წაშლას ემსახურება, რაც მიმდინარე წელს გადაღებული ფოტომასალიდანაც ჩანს, რომლის მოწოდებისთვის აფხაზეთის მკვიდრს, ეკატერინე მიქაიას დიდ მადლობას ვუხდი (იხ. ფოტოები).

ბაგრატ III-ის მიერ აშენებული ტაძარი თავიდანვე ისე ყოფილა აგებული, რომ მისი კედლები ფრესკული მოხატულობით დაფარულიყო. ამას კამარების წვრილი, შედარებით დაუდევრად დამუშავებული ფილებით შესრულე-

ბული წყობა მოწმობს. ძირითადი, XI ს. დასაწყისის მოხატულობა დღევანდლამდე, ჩრდილოეთის კედელზე მხოლოდ ქტიტორთა პორტრეტებით არის წარმოდგენილი; მეფის გამოსახულება სამხრეთის კედელზეა და წმიდანების გამოსახულება — საკურთხეველში. სამების სცენა წმიდანების ზემოთ, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების მოხატულობა გუმბათქვემო სივრცეში, დასავლეთის კედელზე ქტიტორთა გამოსახულებების ზემოთ ფრესკები, ტაძრის კაპიტალური შეკეთების დროს, ე. ი. XIII ს. დამდეგს და XIV ს. I ნახევარს მიეკუთვნება (37, გვ. 509).

მოხატულობაში მესამე ქრონოლოგიური ფენის არსებობა — დადიანების საგვარეულოს ქტიტორების პორტრეტები და მხატვრობის ფრაგმენტები სამხრეთ შესასვლელში, კედლის მხატვრობის ამ ნაწილის შესრულების დრო, შესაძლოა XVI-XVII სს-ს განეკუთვნება.

ბედის ტაძრის ორიგინალურობას ბედის გულანის არსებობაც განაპირობებს. გულანი არის ყველა საღვთისმსახურო წიგნის უზარმაზარი კრებული, რომელსაც ხელშიც კი ვერ დაიჭერს კაცი. მასში თავმოყრილია ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რომელიც მორწმუნეთ სჭირდებათ და რომელსაც წლის განმავლობაში კითხულობენ. სახელდობრ: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, საწინასწარმეტყველო, დავითი, უამნი, სვინაქსარი, ტიპიკონი და სხვა ძვირფასი წიგნები (29, გვ. 585). გულანის შეძენა შეეძლო დიდ და მდიდარ ეკლესიამონასტერს. ამჟამად ცნობილია შემდეგი გულანები: კაცხის, ციხის, ერკეთის, შემოქმედის, გელათის, მარტვილის, ალავერდის, მცხეთის, ანჩისხატის, ცაიშის, ჭალის, ხობის, დავით-გარეჯის და ბედის, რომელიც ბედიელი მიტროპოლიტის, გერმანე ჩხეტიძის (XVI ს.) ინიციატივით არის გადაწერილი (31, გვ. 565).

„ნაშთი ძველი დიდებისა“ – ბედიის ჭაბარი უამთა სიმკაცრემ მეტისმეტად დააზიანა, მაგრამ თავისი წარსული სიღიადე დღესაც იმდენად ეტყობა, რომ მისი ხსენებითაც კი მყისვე განიმსჭვალებით ქრისტიანული და წარსულ დროთა პატივისცემის გრძნობით. მისი ისტორიული მისაა ქართველთა და აფხაზთა შეკავშირებაა. იმედის მომცემია ის გარემოება, რომ თუნდაც, მიწასთან იყოს გასწორებული სულიერი დიდების ნანგრევები, მათი საძირკველი მაინც ივარგებს უკეთესი მომავლის ასაშენებლად.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1.

.., 1988.

2.

, .., 1961.

3. ალფენიძე ვლ., ფიქრიანი გზები, თბ., 1961.

4. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.

5. ამირანაშვილი შ., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განმეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978.

6. ბარონ დე ბაის მოგზაურობიდან, იმერეთი, ტფ., 1902.

7. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. 4, თბ., 1973.

8.

..

,

.. . I, 1875.

9. ბერაძე თ., გალის რაიონის წარსულიდან, ლენინელი, 1973, აგვისტო.

10. ბერიძე ვ., კულტურის ძეგლები აფხაზეთში, უკრ. „ჯვარი ვაზისა“, 1995.

11. ბერძნიშვილი ნ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, უკრნალი „მნათობი“, 1954, №6.

12. გაბაშვილი ც., პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბ., 1955.

13. გულია დ., ჩემი წიგნის „აფხაზეთის ისტორიის“ შესახებ, თბ., 1954.

14. ვარსიმაშვილი ი., ბედია, „ძეგლის მეგობარი“, 1973, №31-32.

15. ზუბაძა, ვ., ვახუშტი და აფხაზეთი, გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1991, აპრილი.

16. ჭუბაია ვ., ბედია, გაზეთი „სათანჯო“, დილის გაზეთის დამატება, 1999. მაისი.
- 17.
- , VI, .., 1864.
18. თუმანიშვილი დ., აფხაზეთის ხუროთმოძღვრების რაო-  
ბისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1990.
19. თუმანიშვილი დ., კულტურის ძეგლები აფხაზეთში, „ჯვ-  
არი ვაზისა“, 1995.
20. ინგოროვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
21. ივერია, გაზეთი, 1887, ივლისი, №139.
22. ივერია, გაზეთი, 1894, ივლისი, №52.
23. ..
- , . . . . -
- , , , 1918.
24. ..
- , ,
- .., 1866.
25. ქასტელი ქ., ცნობები და ალბომი საქართველოს შესა-  
ხებ, თბ., 1976.
26. კილანავა შ., ბედის ტაძარი, ჟურ. „დროშა“, 1981.
27. კილანავა შ., ბედია, „ლენინელი“, 1970 აგვისტო.
28. კორსანტია ნ., ბედია, გაზეთი „სათანჯო“, დილის გაზე-  
თის დამატება, 1998, მაისი.
29. კეკელიძე პ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I,  
თბ., 1960.
30. მასალები... ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის  
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქუთ., 1968.
31. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I,  
ნაკვ. II, თბ., 1962.
32. მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პე-  
რიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.
33. ფაჩულია ვ., დავიცვათ ბედის კომპლექსი, გაზეთი  
„საბჭოთა აფხაზეთი“, 1956, ოქტომბერი.

- 34.ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 2011.
- 35.ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
- 36.ქართლის ცხოვრება, გამოც. ვ. ჩუბინოვისაგან, სანკტ-პეტერბურგი, 1854.
- 37.შმერლინგი რ., ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, №4, თბ., 1957.
- 38.ჩუბინაშვილი გ., ბედიის ოქროს ბარძიმი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1940, X-B.
- 39.წერეთელი გ., ბედია, გაზეთი „კვალი“, 1893, №22.
40. , - , 1892,
- . VI .

## **THE MONUMENTS OF INTONGIBLE CULTURE IN SAMURZAKHANO (BEDIA AND ILORI)**

### **Summary**

In the history of Georgia Bedia is considered the political and cultural centre of West Georgia.

In the 10<sup>th</sup> century the Georgian and Abkhazian king Bagrat III (980-1014) built the temple of Bedia and transferred the episcopal cathedral here from Gudakvi. In the same century Abkhazian kings removed the Georgian eparchies from the dependence of the Patriarch of Constantinople and subordinated them to the Patriarch of Mtskheta. Their aim was to unite Georgians and Abkhazians spiritually. The historical mission of the chapel of Bedia is just the same to unite Abkhazians and Georgians.









## 0ლორის ჭმიდა გიორგის ეპლენია

დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული ცენტრი – ილორის წმიდა გიორგის ეკლესია მდებარეობს ისტორიულ სამურზაყანოში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და XI-ის I მეოთხედშია აშენებული. ზოგიერთი ცნობით, იგი VI საუკუნის ტაძარია. პროპორციათა მოხდენილობით და შესრულების ტექნიკის დონით, ილორის ტაძარი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომლითაც შუა საუკუნეების საქართველოს რიგი ნაგებობები: დისევი, ხცისი, ერედვი და სხვა ხასიათდება. ასეთი არქიტექტურული მსგავსების მიზეზად ტერიტორიულ სიახლოეს, აგრეთვე, აფხაზებისა და ქართველების მჭიდრო პოლიტიკურ, კულტურულ კავშირებს ასახელებენ (გიცა 1975:22). მართლაც, ძალზე ძნელია მოიძებნოს ორი ისეთი ყოველმხრივი სიახლოესის მატარებელი ხალხი, როგორიც ქართველები და აფხაზები არიან. ჩვენი არა მხოლოდ სიახლოეს, არამედ სწორედ ერთიანი ნიადაგი თვალსაჩინოდ არის გამჟღავნებული ყოფისა და კულტურის სულ სხვადასხვა (თუმცა, საბოლოოდ ურთიერთშეკავშირებულ) სფეროებში (ლექავა 1993:60). ამ ერთობას უძველესი დროიდან ეყრებოდა საფუძველი, რომლის თვალსაჩინო ნიმუშებს ხელოვნების ძეგლები წარმოადგენენ. „მათ შორის მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინთა თუ სხვა, ხომ ყველა ქართველ მოძმებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლებია და ამ ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანი... ყველაფერი ეს უნდა უარყოფილ იქნეს... ეს ხომ საკუთარი კულტურული თავის უარყოფაა? მაგრამ საკუთარი წარსულის ასეთ უპატივცემლობას მთელი ხალხი როგორ გამოიჩენს? (ბერძნიშვილი 1966:286). 6. ბერძნიშვილის ამ მწვავე კითხვას რუსეთის

მიერ ინსპირირებულმა ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა უპასუხა, რომელმაც აფხაზეთი მოსწყვიტა საკუთარ ფესვებს და ქართულ-აფხაზური ერთობა უარყო რუსეთთან მითიური ისტორიის წინა პლაზე წამოწევით. ამ მიზნისათვის, თუ ადრე ხელოვნების ძეგლებს შეცვლა-გადაკეთებით ამახინჯებდნენ, ამჟამად უფრო მეტად ირჯებიან. კერძოდ, უახლოეს პერიოდში ჩატარებულმა ილორის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოებმა მთლიანად შეცვალა მისი იერსახე. 1) დარბაზულ ეკლესიას დაადგეს რუსული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი „წახნაგოვანი მოცულობა“, რომელიც გადახურულია ნახევარსფეროს ფორმით, პირობითად შეიძლება ეწოდოს „მუზარადის ფორმის გუმბათი“, რაც ქართული ხუროთმოძღვრების ფორმების განვითარების არც ერთ ეტაპს არ შეესაბამება; 2) აღმოსავლეთი ფასადი, სადაც ქართული ლაპიდარული წარწერების ნიმუშები იყო წარმოდგენილი, დაიფარა (შეათეთრეს); 3) ეკლესიის ფასადი და სამრეკლოც შეთერდა. სარკმლის დეკორატიული არშიები წითელი ფერით შეიღება; 4) სამრეკლოზე არსებული ქვის საფეხურები მოირდვა და ლითონის კონსტრუქციით შეიცვალა (შარია 2011:4).

რასაკვირველია, შიდა ინტერიერიც რუსული ეკლესიის მსგავსად მოეწყო. მრავალრიცხოვან ხატებს შორის მხოლოდ ერთადერთს – წმიდა ნიკოლოზის ხატს ამშვენებს ქართული წარწერა „უფალო შეგვიწყალე,“ რომელიც ყველა ადამიანის სათქმელს ამჟღავნებს. ცხადია, მომლოცველები, მსახურნი და მშრომელები არაქართული წარმოშობის ადამიანები არიან, რომლებიც ქართველების სათაყვანო ადგილს, თავიანთი კულტურის ნაწილად მიიჩნევენ. ღვთისმსახურება ქართულ ენაზე არ სრულდება, რაც ილორის ტაძარს ისტორიული ცენტრის მნიშვნელობას

უკარგავს. ეს არანაკლებ, ან იქნებ მეტად სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს აფხაზთათვის, რომლებიც უცხო კულტურის სივრცეში განვითარების შესაძლებლობას კარგავენ. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ „ქართველობასთან აფხაზთა მხრივ თანაზიარობა მაშინაც კი ინარჩუნებდა მნიშვნელობას, როდესაც გვიანფეოდალურ ხანაში აღარ არსებობდა ერთიანი ქართული სახელმწიფო და საქართველო დაშლილი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ვინაიდან აფხაზეთი მთლიანად და განუყოფლად შედის საერთო ქართულ ეთნიკურ და კულტურულ ისტორიულ წრეში“ (გულია 1951:14).

ილორის წმიდა გიორგის ტაძარი მდიდარი იყო როგორც ქრისტიანული სიწმიდეებით, ასევე საეკლესიო გლეხებით, მიწებით, ტყით, საძოვრებით. „დიდხანს ის ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრების საეკლესიო ნივთების სალაროს წარმოადგენდა. ამ ტაძარში იყო დაცული ბედის ბარძიმი (X ს.) და სხვა საეკლესიო სიწმინდეები“ (ხორავა 2016:9). ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა: „არს ეკლესია უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული“ (ბატონიშვილი 1973:779). XIX ს-ის 80-იან წლებში ტაძარი წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს (ქიქოძეს) მოულოცავს, რომელსაც სხვადასხვა სახისა და წარმოშობის ოქრო-ვერცხლის უამრავი ნივთი უნახავს. აგრეთვე, უძვიათესი ფორმის წარწერებიანი, უძველესი საეკლესიო ჭურჭელი, ძეწკვები, ბეჭდები, ადამიანისა და ფრინველების ვერცხლის ფიგურები. ზოგიერთი ნივთი იმდენად ორიგინალური ყოფილა, რომ არქეოლოგიური მიზნებისათვის ღირდა სურათის გადაღება და აღწერა (ქიქოძე 2007:110).

რაც მთავარია, ილორის წმიდა გიორგის ტაძარში დაცული იყო ვერცხლის ორი ჭედური ხატი, რომელიც სალოცავისთვის სამეგრელოს მთავარს, ლევან II დადიანს

შეუწირავს. ეს ხატები დადიანისეული კოლექციის აღრინ-დელი ვერცხლის ხატების არც თუ ისე მრავალრიცხოვან ჯგუფს განეცუთვნება ბალდის, წარჩის, ცაიშის და ილო-რის ხატებთან ერთად. მათი ქრონოლოგიური საზღვრები 1619-1624 წწ. ივარაუდება (ხუსკივაძე 1974:23). ილორის სასწაულთმოქმედი ხატების ამბავი მთელ დასავლეთ სა-ქართველოში იყო ცნობილი. ამიტომ წერდნენ, რომ არც ერთი ადგილი აფხაზეთში ისეთი ცნობილი არ არის, რო-გორც ძველი ილორის ეკლესია (დიუბუა 1937:164). სო-ფელი არ იყო, რომ ილორის ეკლესიაში უხილავად დავა-ნებული წმიდა გიორგის სასწაულთმოქმედი ძალა არ სცოდნოდა. ამ ეკლესიაში მრავალნი იკურნებოდნენ, განსა-კუთრებით სულიერი სწეულებებისაგან და იმ მდგომარე-ობისაგან, ავი სულებით შეპყრობილობას, რომ უწოდებდნენ (კარელინი 2006:31). აქ შენახული რკინის მშვილდი არა მარტო სხვადასხვა სწეულებას კურნავდა, არამედ უშვი-ლოთათვის ნაყოფიერების მიმნიჭებელი იყო.

ხალხის რწმენით, სამეგრელო-სამურზაყანოში ელვისა და ქუჩილის განმკარგულებელი წმიდა გიორგი ყოფილა, რომელიც უზენაესი ღვთაების ჟინის (ზეციურის) ბრძანე-ბით, თავისი გაორებული ისრით ეშმაკს ამარცხებს; სადაც ელვამ დაარტყა, იქ თითქოს, გაორებულ რკინის ისარს პოულობენ (ზუხბაა, ზანთარაა 1988:115). წმიდა გიორ-გის, ამის გამო, ხშირად ბორძლებს ანუ ორპირბოლოიან ისრებს სწირავდნენ. მეგრული მაგიური შელოცვების ფორ-მულებში ხშირად გვხვდება წმიდა გიორგის ბორძალი. ნიშანდობლივია, რომ XIX ს-ის 80-იან წლებში, ეპისკო-პოს წმიდა გაბრიელ ქიქოძეს, ილორის ეკლესიაში სხვა-დასხვა მხრიდან გამოგზავნილი, უამრავი ორთითა ისარი შეუნიშნავს და მათი შეგროვების, აწონვისა და ეკლესიის

სასარგებლოდ, გაყიდვის განკარგულება გაუცია (ქიქოძე 2007:110).

ილორის ეკლესიის მღლოცველები იყვნენ: აფხაზები, მეგრელები, გურულები, იმერლები და სხვა. გასაკვირი არ არის, რომ მაჰმადიანი აფხაზიც კი, ყოველწლიურად იხსენებდა ილორის ხატს შესაწირით (ფულით, ან საკლავით). სვანეთის სალოცავებიდანაც იგზავნებოდა შესაწირი. ილორის ეკლესიაში ულევად იყვნენ მღლოცველები, რომლებიც შეთქმულ საკლავს ჭაძარს სწირავდნენ. თვით ეკლესიასთან მოზრდილი სასტუმრო აუგიათ, რადგან მღლოცველები შორიდან ჩამოდიოდნენ და იქ სალოცავად ხშირად რამდენიმე დღეც რჩებოდნენ. აღსანიშნავია, რომ მომჩივან-მოპასუხე წმიდა გიორგის ხატზე დასაფიცებლად, ხშირად ილორის ეკლესიას ირჩევდა. ხალხში გავრცელებული იყო შეხედულება, რომელმაც თითქმის დღემდე მოაღწია, რომ აქ დადებული ფიცის გატეხვა მკაცრად ისჯებოდა. იყო შემთხვევები, უბედურება დასტყდომია, ან ამომწყდარა კიდეც მთელი გვარი, რომლის რომელიმე წინაპარმა ტყუილად შეჰვიცა, ან გატეხა ილორის ეკლესიაში დადებული ფიცი, ან დასწყევლა დამნაშავე, რომელიც უდანაშაულო აღმოჩნდა. ამიტომ, დამნაშავის აღმოჩენის მიზნით, ილორის ხატზე დაფიცებას, ან ხატზე გადაცემას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. 6. ჯანაშია წერდა, რომ მტყუან-მართლის ერთადერთი გამრჩევი დასავლეთ აფხაზეთში „დიდრიიფში“ იყო, ხოლო უფრო წვრილმან საქმეებში – „აუირა“, „სამჭედლო; აღმოსავლეთ აფხაზეთსა და სამურზაყანოში კი, – ილორი (ილორის წმიდა გიორგის ხატი). „ილორისა აფხაზს, მუსულმანს ისევე ეშინია, როგორც ქრისტიანს, ამიტომ ხშირად ჰდებულობენ ილორში ფიცს აფხაზნი არაქრისტიანებიც“ (ჯანაშია 1898:63).

წმიდა გიორგი ერთადერთი წმიდანია, რომელიც ქართველმა ხალხმა თავის მფარველად და მეგზურად აირჩია, ეროვნული გმირის იდეალად აქცია. სწორედ ამით აიხსნება, რომ ეკლესიების უმრავლესობა მთასა და ბარში წმიდა გიორგის სახელობისაა; იგი ხომ „მრავალრიცხოვანი ფუნქციის და ნიშან-თვისებების მატარებელი წმიდანის განზოგადებული, წინარექტისტიანული და ქრისტიანული ნიშნების მქონე სახეა“ (ახვლედიანი 1993:105). ხალხის რწმენით, წმიდა გიორგის ყველა ხატს ერთი და იგივე სასწაულის მოხდენა არ შეეძლო. ამ სიტყვების ჭეშმარიტება მეგრულ დალოცვაში აისახა: „გაგითბეს (გწყალობდეს) ზევით ღმერთი, ცხოვარ-მაცხოვარი ხატი, მთავარანგელოზი ფოცხოსი, ღვთისმოწამე ხეთისა, ყულევი და ალერტი, წმიდა გიორგი ილორის, წმიდა გიორგი ჯვარისა!“ (ცანავა 1975:30).

გიორგობის თვეში წმიდა გიორგის სათაყვანებელი დღეობა „დიდ ხატობად“ იწოდებოდა. ილორობას ყველა მართლმორწმუნე ადამიანი ესწრებოდა, საერო და სასულიერო იერარქიების წინამდლოლობით. აღნიშნულ დღეობას დიდებულებას მატებდა ილორის წმიდა გიორგის ტაძარში ხარის მოყვანა, რომელიც დილის წირვაზე მისულ მრევლს დახურულ ტაძარში ხვდებოდა. ამ სასწაულის შესახებ, XVII ს-ის სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები აღფრთოვანებას ვერ მაღავდნენ. ისინი მრისხანე წმიდა გიორგის ხატთაგან, ილორის განთქმულ წმიდა გიორგის ასახელებენ, რომელსაც დიდ თაყვანს სცემდნენ (შარდენი 1975:154). ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ხატი მუსულმანთა მომაქცეველადაც ითვლებოდა. ისლამის მიმდევარი, აფხაზეთის მომავალი მთავარი ზურაბ შერვაშიძე სწორედ აქ მოინათლა, რომელიც უმემკვიდროდ დარჩენილი ჯიქეთში იყო და შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ,

ბათუმიდან ჩამოიყვანეს (1774 წ.). ზურაბ შერვაშიძე არ იყო თანახმა ემართა ქრისტიანი აფხაზები, რომლებიც ამ დროს მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ (კაცია 1963:27).

საკვლევი საკითხის მთავარ მიზანს მხოლოდ იმის ხაზგასმა წარმოადგენს, რომ ქართველებისა და აფხაზების თვითმყოფადობა ჩვენი წინაპრების მიერ აშენებული ილორისა და აფხაზეთის სხვა დიდებული ტაძრების დამსახურებაა. XIX-XX სს-ის მიჯნაზე, რუსეთის მმართველი წრეები და განსაკუთრებით, სოხუმის საეპარქიო მთავრობა, რომელსაც რუსი ეპისკოპოსები მართავდნენ, აფხაზთა გასარუსებლად და ქართველებთან დასაპირისპირებლად ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ. ამისთვის, მათ გადაწყვიტეს ილორის ეკლესია – ეს წმიდათაწმიდა ადგილი რუს დედათა მონასტრად გადაეკეთებინათ. მათ კარგად იცოდნენ, რომ არც მხარის კოლონიზაცია, არც ერთი ერის მეორეზე გადაკიდება არ გაამართლებდა ცარიზმის მიზნებს დაპყრობილი ერებისადმი ისე, როგორც ამ ერის ენის განდევნა სკოლიდან, ეკლესიიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მწერლობიდან, რადგან მშობლიური ენა განათლების მიღების ერთ-ერთი უძველესი იარაღია (ხუნდაძე 1939:12).

ამიტომ, რუსეთის მმართველი წრეები ამტკიცებდნენ, რომ ილორელები აფხაზები იყვნენ; მათ ცალკე ეთნიკური ჯგუფი – სამურზაყანოელები შექმნეს, რომელიც კოდორის ადმინისტრაციაში შეიყვანეს. გარუსების პოლიტიკის გამტარებლებს სურდათ, ილორი – სამეგრელოს ისტორიული ძეგლი და სარწმუნოებრივი ცენტრი, საქართველოსთვის ჩამოეშორებინათ და აფხაზეთში ქართველი ეროვნების განმტკიცებისათვის ხელი შეეშალათ. წმიდა ამბროსი (ხელაია) წერდა, რომ „ილორის რუსულ დედათა მონასტრად გადაეკეთება იქნებოდა მთელი ქართველი ხალ-

ხის საკუთრების უფლების დარღვევა და იქამდე მიგვიყვანდა, რომ სიწმინდე ადგილობრივი მოსახლეობისათვის რელიგიურ მნიშვნელობას დაკარგავდა. ერთი სიტყვით, ილორის ეკლესია, ბიჭვინთის, ფსირცხის (ახალი ათონის), დრანდისა და მოქვის ეკლესიების ბედს გაიზიარებდა – ადგილობრივი მოსახლეობა შეწყვეტდა იქ სიარულს“ (გამახარია 2006:700). თავდადებული მწყემსთავრების ძალისხმევით, მაშინ ეს საქმე ჩაიშალა, მაგრამ რუსეთის ექსპანსიურმა პოლიტიკამ მიზანს მაინც მიაღწია. „მუსულმანობის გაძლიერების დროსაც ილორი იყო მხარეში ერთადერთი მანათობელი, რომელსაც მართლმადიდებლობის დროშა მაღლად ეჭირა“ (ხელაია 2006:495). ცნობილია, რომ ღვთისმსახურება აქ ათეიზმის დროშიც არ შეწყვეტილა.

ილორის მდიდარი ეკლესიის ქართველებისათვის ჩამორთმევით და რუსულ მონასტრად გადაკეთებით, უნდა მიეთვისებინათ ამ ეკლესიის ქონება. აფხაზეთში ილორის ეკლესიის შემოსავლებით რამდენიმე ეკლესია აშენდა. სახელდობრ, ილორის ეკლესიის თავისუფალი თანხა ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ ეკლესიების მშენებლობისათვის სესხის სახით გამოიყენა და აფხაზეთში ოთხი ტაძარი (აკაფის, კალდახვარის, ოთხარისა და კულანურხვის) აშენდა. გაწეული ხარჯები ილორის წმიდა გიორგის ეკლესიისათვის არ დაუბრუნებიათ. კავკასიაში, მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს დადგენილებით, ეპისკოპოსმა მომავალშიც მიიღო ამგვარი სესხის აღების ოფიციალური ნებართვა (ქიქოძე 2007:60).

ამჟამად, ისტორიულ სამურზაყანოში მხოლოდ წმიდა გიორგის ეკლესიები ფუნქციონირებს. ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში რუსულ-აფხაზურად და სოფელ ჭუბურნიჯში, ქართულ-აფხაზურ ენაზე მღვდელმსახურებას მოძ-

მე აფხაზი მღვდლები აღავლენენ. ილორის წმიდა გიორგის უძველესი ეკლესია თანდათან კარგავს კავშირს ქართულ კულტურულ სივრცესთან.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

გიცბა 1975 – . . . . ,  
                  , .., 1975.

ლეჟავა 1993 – ს. ლეჟავა, აფხაზური და ქართული ხალ-  
ხური ხუროთმოძღვრების ერთიანობის საკითხი-  
სათვის, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №2, 1993.

ბერძენიშვილი 1966 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს  
ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966.

შარია 2011 – შ. შარია, აფხაზეთში „კულტურული გენო-  
ციდი“ გრძელდება, გაზეთი „24 საათი“ №80, 2011.  
ჩემი აფხაზეთი, ჩანართი, №12, 2011.

გულია 1951 – დ. გულია, ჩემი წიგნის „აფხაზეთის ის-  
ტორიის“ შესახებ, თბ., 1951.

ხორავა 2016 – ბ. ხორავა, ილორი, გაზ. „ჩემი აფხაზე-  
თი“, აპრილი, თბ., 2016.

ბატონიშვილი 1973 – გახუმტი ბატონიშვილი, აღწერა სა-  
მეფოსა საქართველოსა, წიგნ. 1 „ქართლის ცხოვრე-  
ბა“, ტ. IV, თბ., 1973.

ქიქოძე 2007 – წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქო-  
ძე) და აფხაზეთი, 2007. კრებული შეადგინა, გა-  
მოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ.

ხუსკივაძე 1974 – ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქ-  
რომჭედლო სახელოსნო, თბ., 1974.

დიუბუა 1937 – . . . . ,  
                  , M., 1937.

კარელინი 2006 – არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, გა-  
დარჩენის საიდუმლო, ნაწ. II, თბ., 2006.

ზუბბაია, ზანთარაია 1988 – ვ. ზუბბაია, ს. ზანთარაია,  
გალი, თბ., 1988.

ჯანაშია 1898 – 6. ჯანაშია, აფხაზები, უურნ. „მოამბე“, №11, 1898.

ახვლედიანი 1993 – გ. ახვლედიანი, წმიდა გიორგი ქარ-  
თულ ფოლკლორში, უურალი „რელიგია“, №10-11,  
1993.

ცანავა 1975 – ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვი-  
ერება (მეგრული ტექსტები), თბ., 1975.

შარდენი 1975 – უან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და  
აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ტექსტი თარგმნა,  
გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობ-  
ლიშვილმა.

კაცია 1963 – . . . . ., 1963.

ხუნდაძე 1939 – გ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო  
პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1939.

გამახარია, 2005 – ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმა-  
დიდებლობა, თბ., 2005.

ხელაია 2006 – წმიდა ამბროსი ალმისარებელი და აფხაზე-  
თი, კრებული შეადგინა გამოკვლევა და კომენტა-  
რები დაურთო ჯ. გამახარიამ.

## **THE CHURCH OF ST. GEORGE OF ILORI**

### **Summary**

The Hall Church of St. George of Ilori of XI century is a centre of Christianity not only of Abkhazia but all of Georgia. The church became famous in XI century for the miraculous icons of St. George that has been contributed to the church by Levan II Dadiani. The above mentioned icon was well-known for healing the sick people and infertile women, and for distinguishing right from wrong. Therefore there have been many prayers in Ilori. A lot of churches in Abkhazia were constructed by its contributions.

In XIX century leaders of Russian Church tried to reconstruct Ilori as Russian Convent (nunnery), but failed in his attempt.

Currently Russian policymakers fully changed the old church in purpose of restoration and there is a threat to reconstruct the church as Russian-type convent.

## წმიდაო ბიორბი ილორისაო, ბერისაო, შურმშეისაო... თავზარდამცემო მტრისაო!

ყოველი ერი განსაკუთრებულ პატივს სცემს რომელი-  
მე წმიდანს, რომელიც ლოცულობს ერისთვის, ქვეყნისთვის  
და იფარავს განსაცდელებისაგან.

წმიდა გიორგი არის საქართველოს მოსახლეობის  
უპირველესი მფარველი, ანუ „უძლეველი წინამბრძოლი  
ქართველთა ერისა და მფარველი ჩვენი ეკლესიისა“. ამი-  
ტომ არის იგი საქართველოს გერბზე გამოსახული, რადგან  
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული  
სახელმწიფოებრიობის განუყოფლობის, ერთობის მტკიცე  
სიმბოლოა. მთავარმოწამე გიორგის სახელი ეროვნულ სა-  
ხელადაც კი აქვთ შეთვისებული; ის განსაკუთრებით პოპუ-  
ლარული XI-XII სს-ში ხდება [1, გვ. 187]. « .

, , , ,  
- , - , -  
- ,  
» [2, 223].

ნიშანდობლივია, რომ ქართული ფოლკლორი წმიდა  
გიორგის ყოველთვის დადებითად წარმოადგენს. გარდა  
ამისა, დღეობებისა თუ ხატობის რიტუალებზე დაკვირვება  
ცხადყოფს, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდ-  
გენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი  
სწორედ წმიდა გიორგის უჭირავს. ინტერესმოკლებული არ  
იქნება იმ თითო-ოროლა თქმულების გახსენება, სადაც  
უძლეველი წმიდა მხედარი, ადამიანებისთვის დაუღალავი  
მზრუნველი, ანუ ქმაგია თითქოს, ქრისტეზე აღმატებული  
თავისი ღვაწლითა და კეთილმუშაკობით. კერძოდ, დიდი  
წარლვნის ლეგენდის ქართულ ვარიანტში, ქრისტეს მიერ

მოწვეული ღვთაებები მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ წარლენით მსოფლიო მოსპონ. კიდევ შეუდგნენ განზრახვის შესრულებას. ეს ამბავი წმიდა გიორგიმ შემთხვევით გაიგო, იგი აღმფოთდა, ადამიანთა მოდგმის მოსალოდნელმა დაღუპვამ დააღონა. ბოლოს დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გზა გამონახა, ნოე დაიბარა და კიდობნის გაკეთება დაავალა. ასე გადაარჩინა კაცთა მოდგმა მოსალოდნელ საფრთხეს [3, 107].

ფოლკლორის აღნიშნული მასალა გვარწმუნებს, თუ როგორ აღმერთებს ხალხი თავის რჩეულ წმიდანს. მას არარსებულ თვისებებს, გმირობას, ხასიათს მიაწერს, ოღონდ უცვლელად ჰყავდეს, როგორც ხალხისა და ქვეყნის მფარველი. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, მეცხვარე ცხვრის სათხოვნელად მისულ წვიმისა და სეტყვის მომყვან წმიდა ელიასა და მაცხოვარს – იესოს უარით ისტუმრებს იმ მოტივით, რომ „ცხვარს როგორ მოგცემ, საწყალ კაცს ჭირნახულს უტიალებ, ავს არ არჩევ და კარგსო“. ქრისტე მაცხოვარსაც იგივეს ჰყადრებს, ცხვარს როგორ მოგცემ, ავი და კარგი ვერ გაგირჩევიაო. ბოლოს სათხოვნელად მისულ წმიდა გიორგის ეკითხება, ვინ ხარ, ცხვარს რომ მთხოვო? მე ვარ წმინდა გიორგი, ხალხისა და ქვეყნის მფარველიო! მთელი ფარა წაიყვანეო, – მიუგებს მეცხვარე [4, 201].

მთავარმოწამე გიორგი უფლის და ხალხის რჩეული, მრავალფუნქციური, მსწრაფლ შემწე წმიდანია. მის მოღვაწეობას ტროპარი ასახავს. სახელდობრ: ტყვეთა განმათავისუფლებელი და გლახაკთა ხელის აღმპყრობელი, სნეულთა მკურნალი და მეფეთა უძლეველი წინამბრძოლი მხედარი, აგრეთვე, გაელეშაპის მკვლელი და სელინის მეფის ასულის განმათავისუფლებელი, ე. ი. სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების მარადიული სიმბოლური სახეა. „უკვე გასა-

გებია, თუ რატომ აირჩია „დიდ ვეშაპთა“ მიერ დასან-თქმელად განწირულმა პატარა ქართველმა ერმა, წმიდა გიორგი თავის მფარველად და ხელმძღვანელად. რატომ შეცვალა მთვარის კულტი, „წმიდა გიორგის კულტით“, რატომ დაუკავშირა თავისი განმანათლებელი კაპადოკიელი ქალწული ნინო სისხლით ნათესაობით წმიდა გიორგის და რატომ აშენებდა თავისი გაქრისტიანების პირველ წლებშივე ტაძრებს ძირითადად წმიდა გიორგის სავედრებელ-სადიდებლად, მაშინ, როდესაც თავის მშობლიურ ქვეყანაში ძლევამოსილი მხედარი ჯერ კიდევ რიგით წმიდანად მოიაზრებოდა“ [5, 13].

საქმე იმაშია, რომ წმიდა გიორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაპადოკიელ წმიდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს, ბოროტების წინაპრების რწმენით, წმიდა გიორგი ქართველ ერს იესო ქრისტემ მოუვლინა“ [6, 38]. რასაკვირველია, ყოვლისმაყრობელი უფლის გარეშე „არა საქმე არ იქმნების“. იგი რაინდულ საქმეს ჯერ ღვთის და შემდეგ ჯვრის დახმარება-შეწევნით ასრულებს, მერე კი, თავისი ვაჟკაცობა-მამაცობით [7, 12].

სწორედ ეს სანუკვარი იდეალები, მარადიული ფასეულობები ასულდგმულებდა ჩვენ წინაპრებს, რომლებიც მედ-გრად ილაშქრებდნენ როგორც ხილულ და უხილავ მტერზე, ისე უსამართლო წუთისოფელთან ჭიდილში. ამიტომ, გიორგობა არის უსაღვთოესი ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, რომელნიც მთავარმოწამე გიორგის ბაძავდნენ მხედრობა-შიც, მამულიშვილობაშიც და, თუ ქრისტიანობა მოითხოვდა, მოწამეობაშიც [8, 3]. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართველებისთვის მისი სახელი საფიცრად იქცა. „მეგრელმა თუ რამე თავისი სიმართლე უნდა დაუმტკიცოს მოყვასს, — ეტყვის წმიდა გიორ-

გის მადლმა, ეს ასეაო! ეს ფიცის ფორმულა სრულებით საკმარისია, მაფიცარმა თავისი სიმართლე საჩინო ჰყოს. იგივე მეგრული, როცა გაბოროტებულია ვინმეზე, წმიდა გიორგის სახელით დაიწყევლება, მავანს წმიდა გიორგიმ კისერი მოუგრიხოსო! ამის თქმა საკმაო იქნება, წმინდა გიორგიმ უსმინოს დამაწყევარს ვედრება და საჭიროდ დაინახოს დამწყევლელის დასჯა!“ [9, 62].

ქართულ საზოგადოებაში ხატზე დაფიცება, ზოგადად, მიღებული იყო. წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატი-საღმი თაყვანისცემა ხალხში იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ერთმანეთს ამ ხატს აფიცებდნენ. საქართველოს დაუძინებელ მტერს, შაპ-აბასს ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს შეუმჩნევია, რომ ლუარსაბ მეფის ბედით დაინტერესებული იმერელი ელჩები, მრავალძალის წმიდა გიორგის, გიორგი სააკაძეს რა ხშირად და დიდი მოწიწებით აფიცებდნენ. შაპი დაინტერესებულა ამ ეკლესით და როდესაც მოუხსენებიათ აქაური ჯვარ-ხატის სიძლიერეზე, თავისი ოქროთი მოოჭვილი ხმალი შეუწირავს [10, 128].

ცნობილია, რომ ოქონის ხატი – ქართველ მეფეთა საწინამძღვრო ოქონის ხატ-ჯვარცმასთან ერთად, სიგელებში „თავდებად“, ხოლო გორიჯვრის წმიდა გიორგი – მეოხად მოპყავდათ. აღარაფერს ვამბობთ სვანებზე, ფშავ-ხევსურებზე, რომლებიც ლოცვის დროს, წმიდა გიორგის ღმერთის მსგავსად სცემენ თაყვანს და ღმერთზე ძლიერადც მიაჩნიათ [11, 7].

წმიდა გიორგი თუ არა, ვინ მიუძღვის საყმოს ლაშქრობებს გიშრის ფაფარიანი ნისლა ცხენით?! ამიტომ ათქმევინა მოლაშქრე მეომარ ღვთაებას შემდევი სიტყვები:

„მე ვიყავი, წმიდა გიორგი/ჩემთან რა გავიდიოდათ,  
ლურჯას შემოჰკრას მათრახი,/ზღვაზე ხმელივით

დიოდა,

გაღმა აიღის ბეგარა, /გამოღმა გამოღიოდა“ [12, 11].

რა თვისება არ მიეწერება მთავარმოწამე წმიდა გი-ორგის, რომელი ერთი შეიძლება ჩამოთვალო, მტყუან-მარ-თლის გარჩევა, მესაქონლეობის მფარველობა, დამნაშავის აღმოჩენა და შესაფერისად დასჯა, შვილიერების, მოსავ-ლიანობის მომატება და ა. შ. უფრო მეტიც, ვის ხეზეც მეხი დაეცემოდა, ის ოჯახი ხატისაგან იყო დამიზეზებული და გალახული – „უვარილი“. ამიტომ, ოჯახს უნდა ელოცა „განალინი“. საამისოდ, ილორის წმიდა გიორგის ევედრებოდნენ, მათი ოჯახი მეხისა და ცეცხლისაგან დაე-ფარა. შემდეგ, ბატკანს, ან თიკანს შესაწირად ილორში წაიყვანდნენ და იქაც ლოცულობდნენ [13, 325].

სამეგრელოშივე სრულდებოდა „საჯვევო“, ოჯახის გამრავლებისა და ყოველივე ფათერაკისაგან დამცველი რიტუალი, რომელსაც შემოდგომაზე პირველ სახარე ხბოს სწირავდნენ. მლოცველი წმიდა მხედარს არა მარტო ლოც-ვისა და ვედრების დროს იხსენებდა, არამედ მეგრული შე-ლოცვებისა და წყევლა-კრულვისას კადნიერად მიმართავ-და; ვინაიდან სწამდა მისი პირველადობა, მსწრაფლშემ-წეობა. ამავე რწმენით ააშენა ჩვენმა წინაპარმა ურიცხვი რაოდენობის სადიდებელ-სავედრებელი ტაძარ-საყდრები და ქრისტიანული, ანუ წინარე ქრისტიანული საიდუმლოების ყოვლისმომცველ სახებად გულში სამუდამოდ ჩაიკირა. თუშური გადმოცემის მიხედვით, სამას სამოცდასამი წმ. გიორგი ყოფილა. ის ქაჯებს ტყვედ ჩავარდნია. უთქვამთ, ეს წმიდანია და უნდა გამოვცადოთ. სამი დღე და ღამე წისქვილის ბორბალზე მიუკრავთ, ისე ტანჯეს, ვერ მოკ-ლეს. სამი დღე და ღამე საკირეში ჩააგდეს, ის არ დაიწვა. მერე სამას სამოცდასამ ნაწილად დაჭრეს, ახლაც არ მოკ-ვდებიო? „შაიმოსა სუყველა ანგელოზებად და გაფრინდნენ. ყველას იმას თავისი სახელი ჰქვია და ყველანი წმიდა გი-

ორგის ნაჭრები არიან და იმისი მოძმეულია. სახელები იმათ ჰქვიათ: კოპალა, ლაშარი, ჭავჭატი, ლალ იაჭსარიც. შეიძლება ერთის ნიში ათგან იყოს“ [14, 425]. უძლეველი მხედარი ერთ-ერთი სასტიკად წამებული წმიდანია. გავრცელებულია აზრი, თითქოს ღმერთმა მისი სხეულის ნაწილები ქვეყანაზე გაანაწილა და სადაც ისინი მოხვდა, ყველგან სალოცავი დააწესა. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან, ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. არ დარჩნილა საქართველოში არც ერთი კუთხე, რომელიც თავს არ იწონებდეს მთავარმოწამე წმიდა გიორგის წმინდა ნაწილით, ან სასწაულმოქმედებით. სახელდობრ, ზღვის დონიდან 4 000 მ. სიმაღლეზე მდებარე ბეთლემის მღვიმე-საც მოხევეები წმიდა გიორგის საბრძანისად თვლიდნენ, საიდანაც ივერიელთა დასახმარებლად დაეშვებოდა ხოლმე მთავარმოწამე...

საეკლესიო გადმოცემით, ლათინები ქართველებს „სარტყლის ქრისტიანებს“ უწოდებდნენ, ვინაიდან წმიდა გიორგიმ თავისი სარტყლით შეკრა ვეშაპი და მისცა მეფის ასულს, რომელიც ამ ვეშაპისთვის სამსხვერპლოდ გაეწირათ [18, 425].

ცნობილია, რომ წმიდა გიორგის თავის ქალის ნაწილები ჩასვენებული ყოფილა მისივე სახელობის გორიჯვრის ეკლესიის კუთვნილ ჯვარში. მ. ჯანაშვილის ცნობით, თავად ამილაზვრებს იგი გორიდან 3 კმ-ზე მდებარე სოფელ ოთარაშენში გადაუბრძანებიათ [15, 36].

სამეგრელოში, აბაშის რაიონში, სუჯუნას წმიდა გიორგის ეკლესია, რომელსაც „მარჩქილენი“ წმიდა გიორგად იხსენიებდნენ, ეს იმიტომ, რომ ამ ეკლესიაში წმიდა გიორგის ყური ყოფილა ჩატანებული. ხალხი ამბობდა,

რასაც შესთხოვ, აუცილებლად შეისმენსო, ამიტომ შეურ-ქმევიათ „მარჩქილენი“ ანუ შემსმენელი წმიდა გიორგი. აქ დაცულ წმინდანის ხატს პქონია სანაწილე წარწერით. სანაწილეში ყოფილა წმიდა გიორგის თითი და გიორგის ძვალი, წმიდა გიორგის ნაწილი და ჭეშმარიტი ხორცი [16, 10].

ჩვენამდე მოაღწია ერთ დროს გელათის მონასტრის კუთვნილმა წმინდა გიორგის თავის ქალის თხემის ნაწილ-მა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში იყო დაცული... გურიაში, შემოქ-მედის მონასტერში დაცული იყო წმიდა გიორგის სისხლი, თეძოს ძვალი კი, — ქვათახევის მონასტერში [17, 270].

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ წმიდა გიორგი ფრი-ად ცნობილი წმიდანია სხვა ხალხთა შორის, მაგრამ ქარ-თველთა რწმენით, მას აბარია ეს ქვეყანა, ხოლო ზევითა ქვეყანა კი, ღმერთს [19, 545].

ხალხური გადმოცემით, ხევში, ბეთლემის გამოქვა-ბული ხომ წმიდა გიორგის საბრძანებელია. აქედან დაჰყუ-რებს ჩვენ ცოდვილ ქვეყანას წმიდანი და არა გამოეპარება რა, რაც კი ამ წუთისოფელში უსამართლობა ხდება. როცა გაუჭირდებოდა ჩვენ სამშობლოს, მაშინვე გამოაგელვებდა თეთრონს და წინ მიუძღვებოდა ქართველებს ბრძოლის ველზე [18, 77]. კაცთათვის ღვთისა და მამულის სიყვარუ-ლის მქადაგებელი, ქრისტეს მსგავსად, მოყვასისათვის თა-ვის გამწირველი წმიდანი ქართველი ხალხის იდეალი გახდა, რომელიც მუდამ მზად არის დაეხმაროს განსაკ-დელში მყოფ, ან გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს. სა-ქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II ბრძანებს, „კახეთში მას „პიროვლიან გიორგის“,“ ანუ დაღლილ გიორგის უწოდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მუდამ ეხმარება გაჭირვებულ ადამიანს. მისივე თქმით, საკანში

შთაგდებულ მოწამეს, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, ესმა ხმა უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესი: გიორგი ნუ გეშინია, მე შენთან ვარ. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენ, როცა განსაცდელში ვიმყოფებით. მით უფრო, რომ საქართველო ძალიან ხშირად არის ამ მდგომარეობაში“.

წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგალითად: სვანეთში არ არსებობს ისეთი ეკლესია, რომ არ ინახებოდეს წმიდა მხედართა ამსახველი ჭედური ხელოვნების ძეგლები, — განსაკუთრებით, წმიდა გიორგის. შედარებით პოპულარულია გველე-შაპის მღაწვრავი წმიდა გიორგის სახება, რომელიც არის ქრისტეს ეკლესის ბოროტებისა და ცოდვაზე გამარჯვების სიმბოლო, ხოლო ხატი, რომელზეც იგი დიოკლეტიანეს კლავს, სიმბოლოა ეკლესის გამარჯვებისა მის ხილულ მტრებზე, მათზე, ვინც ქრისტიანობას ცეცხლითა და მახ-ვილით ებრძოდა და ცდილობდა ჯალათის ხელით კაცთა გულებიდან ამოეგლიჯა ქრისტეს სახელი [18, 23].

საქმე იმაშია, რომ წმიდა გიორგის საქართველოში განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს როგორც ისტორიულად არსებულ პიროვნებას. მისი გმირობა არა მარტო სულიერი, სიმბოლური და მისტიკურია, არამედ ფიზიკური, ამქვეყნიური. გიორგობა, როგორც საერო დღესასწაული, ნოემბრის 23 რიცხვში, მთელ ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ საქართველოში აღინიშნება. ბორბალზე სასტიკი წამების დღე, სამართლიანად მიიჩნევა მაცხოვრის ჯვარცმის ტოლ-ფასად. ქართველების მსგავსად, წმ. გიორგის თაყვანისცემა საქართველოს არაქართველ მოსახლეობასაც გადაეცა. სულიერი კულტურით, მრწამსით, თავისებური იდეალებით, ზნე-ჩვეულებებით (ე. წ. საღმრთოები, დაფიცება, რიტუ-ალები) უფრო მეტად ყოვლისშემძლე, მსწრაფლშემწე და კეთილმოქმედ წმიდა გიორგის სახელს დაუკავშირდა,

რომელმაც ათქმევინა ბრძენ ქართველ კაცს, „წმიდა გი-ორგი ვისაც სწყალობს, ღმერთიც იმას წყალობსო“, ან „წმინდა გიორგი, ქართველთა მეოხი, გვედრით არ დაგ-ვკარგო“! თითქმის იგივეს იმეორებს ოსი უხუცესი ლუდი-თა და ხაბიზგინით ხელში დიდებისა და ვედრების ტრადი-ცულ რიტუალში: „გასთირჯო (ოსურად, წმიდა გიორგი), თუთირო და ვაჩილლავ, თქვენი იმედით ვსულდგმულობ-თო“. მლოცველები, რასაკვირველია, დიდებულ წმიდანებს და ეკლესიის მნათობებსაც არ ივიწყებდნენ და შეავედ-რებდნენ დუხჭირ ყოფას – „გურჯისტანის ბრწყინვალე ეკლესიებო, კარგი თვალით გადმოგვხდეთო“ [20, 2], ან „ღვთისა და ვასთირჯის წყალობა არ მოგვაკლდესო“ [21, 123].

ამრიგად, წმიდა გიორგი სრულიად საქართველოში საერთო წმიდანად ითვლება, და როგორც მამა-პაპათა სა-ნუკვარ სალოცავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

საკვლევი თემის საკითხი ილორის, გერის და ქურ-მუხის წმიდა გიორგის ეკლესიები, შესაძლოა ხელოვნების ძეგლებს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ ხალხის გულში მტკიცედ აქვთ ადგილი დამკვიდრებული. სამივე ტაძარი განთქმულია გიორგობის დღესასწაულით. მაგალითად, ქურმუხის „დღეობისთვის დიდის ამბით ემზადებიან. ყველა თავის საღმრთო მოვალეობად თვლის, არ გამოაკლდეს დღეობას. არ იქნება არ დაუნთოს ქვეყნის პატრონს წმიდა გიორგის სანთელი, არ დაუკლას საღმთო...“ [22, 178].

როგორც ზ. ედილი წერდა, „უძველესი დროიდან, ქურმუხის წმინდა გიორგის დღესასწაული იყო ერთადერთი დღეობა მთელ საინგილოში დარჩენილი, რომელიც აქ მცხოვრები ყველა უროვნების და მრწამსის წარმომადგენ-ლისთვის საერთო სალოცავად ითვლებოდა“ [23, 106-107].

ძველად, აქ ღვთისმშობლის ტაძარი ყოფილა, მაგრამ ხატი წმიდა გიორგის სახელით არის დარჩენილი. ისევე, როგორც რკონში, გერისთავში და სხვა. 1894 წელს განახლებულ ამ პატარა ქურმუხის ეკლესიას წმიდა გიორგის სახელი უწოდეს, მაგრამ ეს პატარა ეკლესია „დიდი საყდრის“ სახელით დარჩა [24, 23].

ინგილოები მოგვითხრობენ, რომ ქურმუხის ეკლესიის სიღრმეში, ფუღურო ლოდში ცხოვრობს თვით წმიდა გიორგი და ღვთისმშობელი. მათი ლოცვა-კურთხევით არის, რომ ინგილოები აქადე ურჯულოთაგან უვნებლად ცხოვრობენ. „თუ ოჯახის რომელიმე წევრი ვერ მიდის სალოცავად, მისთვის ქურმუხის საყდრიდან მოაქვთ ერთი მუჭა მიწა და აჭმევენ. ამ მიწას ინგილოები „თუთიას“ უწოდებენ“ [10, 185]. სხვა ცნობით, თქმულების მიხედვით, იმ მღვიმის კარიპირიდან აღებული თუთია (წმიდა მიწა), რომ იქნიო და წყალში ნალესი დალიო, გარგებს და სხვა-დასხვა სწეულება ვერ შეგაწუხებს [22, 71].

რაც მთავარია, ლხინსა და ჭირში ინგილო საშველად ღმერთსა და ქურმუხის საყდარს შევედრებს თავს: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ პურს, წყალს და სარჩო-საბადებელსო“.

რწმენის ასეთი სასოების გამო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ 2007 წელს აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს, ფაშა ზადეს თხოვნით მიმართა, რომ მან ხელი შეუწყოს ქართველ მომლოცველებს, ლოცვა ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიაში დაუბრკოლებლად აღავლინონ. საპასუხო წერილში ნათქვამია, ქურმუხის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში ღვთისმსახურება იმ მოტივით შეწყდა, რომ იგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის გამოცხადებული. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეის იულ ისლამ ალაპ შუქურ

ფაშა ზადეს შეახსენა, რომ თბილისის ჯუმა მეჩეთიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მაგრამ იქ, თბილისში მცხოვრები მუსლიმები დაუბრკოლებლად განაგრძობენ მსახურებას [25, 15].

მოლაპარაკების შედეგად, უწმინდესისა და უნეტარე-სის, ილია II-ის ჩარევით, 2007 წ. 23 ნოემბერს ისტორიულ ჰერეთში, ამჟამად აზერბაიჯანში, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძემ), სასულიერო პირებთან ერთად, ქურმუხის წმ. გიორგის ჭაძარი მოილოცა და სავედრებელი პარაკლისი გადაიხადა. ჭაძარი ვერ იტევდა როგორც ქრისტიან, ისე მუსლიმ მომლოცველებს, რომელთაგან ზოგიერთი აზერბაიჯანის სხვადასხვა კუთხიდან იყო ჩამოსული. „შეგეწიას“ – „დაგიმადლას“ – ასეთი ტრადიციული ფორმით ერთმანეთს ჰერელი ქრისტიანები გიორგობას ულოცავდნენ [26, 8].

არავინ იცის ქართველთათვის როდის გაიხსნება გერის წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც ლიახვის ხეობის ქართველთა და ოსთათვის უძლიერეს სალოცავად ითვლება. როდის გაცოცხლდება ხატობაზე მიმავალი მლოცველის მისტიკური მიმართვა. „გწყალობდეთ“, ან „თქვენი მწყალობელიც იყოსო“. ამჟამად, გერის წმიდა გიორგის ეკლესიის სამართალმემკვიდრედ ოსები ითვლებიან და ისე გაკადინიერდნენ, ქართველების შრომითა და ლოცვით ნაშენებ საყდარს, ოსების სარწმუნოებრივ ცენტრად წარმოადგენენ. ოსებისგან უსამართლოდ შეწუხებულმა ქართველებმა „გერისთობა-გიორგობა“ ბარში, სოფელ არბოში გადმოიტანეს, სადაც XI ს-ის წმიდა გიორგის დარბაზული ეკლესია ფუნქციონირებს. მლოცველები არბოშიც იმავე წესებს ასრულებენ, რასაც გერში მისდევდნენ. საერთოდ, გერი წმიდა გიორგის ხატის მთის საბრძანისი იყო, ხოლო არბო – ბარისა. „არბოს გერის ჯვრის უმცროს ძმას უწო-

დებენ და გერის გამო არბოც სახელგანთქმულია ქარ-  
თლში“ [27, 205].

სოფელი გერი (ამჟამად ცხინვალს ეკუთვნის), ზღვის  
დონიდან 1480 მ-ზე, ცხინვალიდან 22 კმ-ზე მდებარეობს.  
გერის წმიდა გიორგის სალოცავი განვითარებული შეა  
საუკუნეების ნაგებობაა, მოგვიანებით შეკეთებული. გერის-  
თობა აგვისტოს ბოლოს იწყებოდა და სამ კვირას გრძელ-  
დებოდა. ეს რაც ხატობას შეხება, თორემ ქრისტეშობის  
დამლევამდე განუწყვეტლივ მიღიოდნენ შეთქმულები, სნეუ-  
ლებისგან გათავისუფლებული, ან სნეულები.

„წმიდა გიორგის მშვენება, /შორს მიადგება გორასა,  
შორით მოიყვანს მლოცვასა/ავადმყოფსა და მონასა!“

ხატობის მესამე კვირა, გერის ბოლო არბოში იმარ-  
თებოდა, რომელიც საერთო სალოცავია, როგორც სოცია-  
ლურად, ისე ეროვნულად განსხვავებული ადამიანები-  
სათვის. მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო (1903 წელს),  
რომ სამი კვირის განმავლობაში, „1350 სული ცხვარი და  
500 სული მსხვილი საქონელი დაიკლა, საწირავის ფული,  
სანთელი, მიტკალი, მაფი, ჯვრები, ქათმები, ქადები, არაყი,  
ლუდი, ლვინო და სხვა რამ მრავალი“ [28, 3].

გერის წმიდა გიორგის ეკლესია იმდენად მცირე ზო-  
მის იყო, შიგნით რამდენიმე ათეული კაცი თუ მოთავსდე-  
ბოდა, მაგრამ ისეთი სახელგანთქმული, რომ მლოცველი  
და მადიდებელი არასოდეს აკლდა. როგორც პრესის კო-  
რესპონდენტები წერდნენ, ამ ეკლესის შემოსავალი წე-  
ლიწადში ათას თუმანს აღემატებოდა, მაგრამ არც გზა  
ჰქონდა, არც მოსასვენებელი ადგილები, არც გალავანი.  
მაგრამ ოსი მნათეებისაგან და ქართველი მღვდლებისაგან  
დალოცვილი მავედრებელი, სათაყვანებელ სალოცავს, ყო-  
ველწლიურად სასოებით, იმედითა და სიყვარულით მოი-  
ლოცავდა.

გერისა და ილორის წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი სალოცავები ამაოდ ელოდებიან ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას და მავედრუბელ მრევლს. ილორის ეკლესია ქალაქ ოჩამჩირიდან 3 კმ-ზე მდებარეობს, რომელიც ამჟამად, რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. აფხიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობა XI ს-ის I მეოთხედს განეკუთვნება. ტაძარს ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით მინაშენებიც აქვს, მას მზრუნველი ხელი არასოდეს აკლდა, თუმცა, ჩვენ დროში, ამ ტაძარზე „ზრუნვაშ“ თვითნებური ხასიათი მიიღო. აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა XI საუკუნის ეკლესიას რუსული ე. წ. ცრუ გუმბათი დაადგეს და ქართული კვალის წასაშლელად გარე ფასადი მთლიანად, ხოლო შიდა კედლები ნაწილობრივ თეთრად გადაღებეს. აღმოსავლეთის მხარე კი, სადაც ქართული წარწერები იყო ამოკვეთილი, მთლიანად გადაღებეს. ეკლესის კედლები დახვრიტეს, ფასადზე კონდიცირების თანამედროვე სისტემა დაამონტაჟეს. ილორის ტაძრის ეზოში გაუგებარი დანიშნულების მცირე შენობა ააგეს [29, 7]. ილორის ეკლესიას განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს, იქ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა თითქმის არასოდეს შეწყვეტილა. ყოველ ნოემბერის თვეში, გიორგობაზე მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ დიდებულ სალოცავს სანთელ-საკმევლით, საკლავებით სტუმრობდა. იმდენად დიდი იყო მომლოცველთა რაოდენობა და ტაძრის შესაწირი, რომ ამ შემოსავლებით, ყოველწლიურად აფხაზეთში რამდენიმე ეკლესის აღდგენას, ან მშენებლობას ეყრდნოდა საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი ზღვისგან არც თუ ისე შორს გახლდათ, ზღვა კი, საგსე იყო მეკობრებით, ეკლესის გაძარცვას ვერავინ ბედავდა. გამონაკლის შემთხვევაში, ნაქურდალი სასწაულმოქმედ ტაძარს უკლებლივ უბრუნდებოდა. რო-

გორც ფრანგი მოგზაური ჟ. ფ. გამბა წერდა, „აფხაზები და მეგრელები განსაკუთრებით თაყვანს სცემენ ილორის პლეისიას და დაუსრულებლად შეუძლიათ ლაპარაკი იქ მომზდარი სასწაულების შესახებ“ [30, 88].

ყოველ გიორგობაზე, ოდიშის სამღვდელოება აღასრულებდა ხარის შეწირვის რიტუალს, რომელიც წმიდა გიორგის შერჩეული იყო. ძველ დროში, ხარის ნაცვლად სამსხვერპლო ზვარაკი იყო ირემი, რომელიც გადმოცემის თანახმად თავად მიღიოდა ტაძარში.

ასე იყო კახეთის შუამთის მონასტერშიც. ძველად, დიდი ხნის წინ, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე აქ ირემი მოდიოდა. მას ერთ თასს წყალს დაალევინებდნენ. შემდეგ, თავად დადებდა თავს კუნძზე, როგორც საღმრთო ზვარაკი და მედღესასწაულეთა ტრაპეზი მზადდებოდა. დედა ღვთისმშობელი აგზავნიდა ამ წმიდა ძღვენს. ეს თურმე, ძალიან ადრე ხდებოდა. როგორც მეუფე დავით ალავერდელი აღნიშნავს, ირემი ღვთის მაძიებელი სულის გამოხატულებაა, აკი, ფსალმუნიც ამასვე ამბობს: „ვითარცა სახედ სურის ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ (ფს. 41,1). ასევე, ჩენი სული ეძიებს ღმერთს და დღესასწაულის ზვარაკად სასწაულს გვიგზავნის. ერთხელაც, ირემს მოსვლა დააგვიანდა. როცა გამოჩნდა, წირვა-ლოცვა და მსახურება მთავრდებოდა. იგი შეშფოთებული იყო, მძიმედ სუნთქავდა, თვალები ფართედ გაეხილა და მადლიერ დამზღვურს ეძებდა. სულის მოსათქმელად მისთვის განკუთვნილ ერთ თასს წყალს ელოდა. გაიხარეს მასპინძლებმა, სამზადისს შეუდგნენ, დაკლეს ზვარაკი და მიიღეს მედღესასწაულებმა ისე, რომ ირემს წყალი არ დაულევია... ამ დღესასწაულის შემდეგ, ირემი აღარ მოსულა [31, 29-30].

სოფელ კალეში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზეც მსგავსი გადმოცემა არსებობს, რომელსაც „ირმის რქის ეკლესიას უწოდებენ. აქ ირმები თავიანთი ნებით მიდიოდნენ და ეწირებოდნენ მას“ [31, 3]. ხარი და ირემი ქართულ მითოლოგიაში პირველი ადგილის დასაკავებლად, თითქოს, ერთმანეთს ეჯიბრება. ილორის ეკლესიაზე არსებულ თქმულებებში, ირემს საპატიო ადგილი უჭირავს, ვინაიდან ტაძრის მშენებლობის შესახებ წერილობით წყაროებში არანაირი ცნობა არ შემონახულა, ლეგენდას უნდა ვერწმუნოთ. სახელდობრ, თითქოს, ადგილობრივმა თავადმა ნადირობისას ის ირემი დაჭრა, რომელიც წმიდა გიორგის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ ამბით შეძრწუნებულმა თავადმა წმიდა გიორგის სადიდებლად, ილორის ტაძარი ააშენა [33, 20].

აქაურ სიწმიდეთა და სასწაულთა სიმრავლე არა-მარტო ქრისტიანებს, არამედ მაჰმადიანებსაც იზიდავდა. ილორში პოლულარული იყო გადმოცემა იმ თურქის შესახებ, რომელმაც არ ირწმუნა ტაძარში წმიდა გიორგის მიერ ხარის სასწაულებრივად მოყვანის შემთხვევა და როდესაც თავისი ხარი ამოიცნო, მან ცოლ-შვილი ოდიშში ჩამოიყვანა, ქრისტეს რკულზე მოექცა და იქვე დასახლდა. ცნობილია, რომ XVIII ს-ში აფხაზეთი მუსულმანური სარწმუნოებისაკენ გადაიხარა. აფხაზეთის მთავრის, უმემკვიდრო ჯიქეშია შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, მმართველად მოიწვიეს, ბათუმში მცხოვრები მისი უმცროსი ძმა ზურაბ შერვაშიძე. იგი ისლამის აღმსარებელი იყო და არ სურდა ემართა აფხაზზი ხალხი, რომელიც ღვინოს სვამდა და ღორის ხორცის მირთმევაზეც არ იკავებდა თავს. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ზურაბ შარვაშიძე და-თანხმდა დაბრუნებოდა ქრისტიანულ რკულს და ილორის ყოვლისშემძლე ტაძარში მონათლულიყო. აღნიშნულ პი-

როვნებაზე სწორედ იმ მუსულმანის მოქცევის სასწაულმა იმოქმედა, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების ცნობიერებაში ასე რეალურად აღიქმებოდა.

უამთა სვლა თავის უცვლელ კანონზომიერებას მიყვება. ლეგენდად იქცა ილორში წმიდა გიორგის ხარის მოყვანის სასწაული. ლამის, ლეგენდად იქცა თვით ილორიც, სადაც ძველად თურმე თაღიდან ოქროს სასწაულმოქმედი სასწორი ეშვებოდა. მოდავენი მის ქვეშ დგებოდნენ, წმიდანისადმი ლოცვას აღავლენდნენ და სასწორის პინა მართლისკენ იხრებოდა, მაგრამ ერთხელ წმიდა გიორგის მოტყუება სცადეს და წმინდანს სასწორი სამუდამოდ წაულია ზეცაში. ამის შემდეგ დამკვიდრებულა ე.წ. გიორჩამა – ხატის სამსჯავროზე დამნაშავის გადაცემა. ვიმედოვნებთ, მალე დადგება უამი, როდესაც ილორის ჭაძარში ზეციდან ოქროს სასწორი დაეშვება და მტყუან-მართალი სამართლიანად განისჯება. ამბობენ, ღმრთის სამართალი ურმით დადისო, მაგრამ ჩვენამდე უსათუოდ მოაღწევს.

ნიშანდობლივია, ერთ-ერთ ლომისურ სადიდებელში მთიელების სიმღერა, რომელიც ილორის წმიდა გიორგისაც მიესადაგება:

„წმიდა გიორგი ცხენზე ზის, მუხლი და ნიავქარია,  
მხარზე ჰკიდია მათრახი, სამოცდასამი მხარია,

ვისაც დაარტყამს დააჩნის, მაგის დაკრული მწარია“.

ასეთი სწორუბოვარი და ქედუხრელი წმიდა მხედარი ჰყავს ქართველ ერს და მის კურთხეულ მიწაზე მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების ადამიანს.

თანამედროვე საქართველოში ქრისტიანულ ღირებულებებს უპირატესობას რომ ვანიჭებდეთ, უფრო ზუსტად, მოწამეობრივ იდეალს ღვთისა და მოყვასისა ერთგულებისათვის, რომ ვემსახურებოდეთ, მსწრაფლშემსმენელი და მსწრაფლშემწე წმიდა გიორგი, ჩვენ წინააღმდეგ გამო-

სული მტრის ჯავრს ამოგვაყრევინებდა; როდესაც საერთა-შორისო სამართალი არ ცნობს ისტორიულ სამართალ-მემკვიდრეობას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს იმ ქვეყანას აკუთვნებს, სადაც ამჟამად მდებარეობს, ისღა დაგვრჩენია, შევევედროთ წმიდა გიორგის, განსაკუთრებით ილორის, გერისა და ქურმუხის დიდებულ სალოცავებს, „არ აგვხადონ მათი საფარველი!“

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. აკოფაშვილი, წმიდა გიორგის სახე ქართულ ფეოდალურ კულტურაში, კრ. „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, VII, თბ., 1999.
2. . . . . , .
3. ოსური ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1957
4. ხალხური სიბრძნე, ქართული ეპოსი, III, თბ., 1964.
5. კალ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეპლესია ტფილისში, თბ., 1994.
6. ვ. აბრამიშვილი, გორიჯვარი, თბ., 1994.
7. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945.
8. მ. ჯანაშვილი, გიორგობა, გაზ. „ივერია“, №86, 23 აპრილი, 1898.
9. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.
10. იამბე ციხის ნაშალო, თბ., 2001.
11. წმიდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1956.
12. ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1992.
13. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
14. გ. ბოჭორიძე, თუშეთი, თბ., 1993.
15. . . . . , . 1904.
16. დეკანოზი კ. კაჭარავა, სუჯუნის წმ. გიორგის ეპლესიის ისტორია, თბ., 2010.
17. ე. ბუბულაშვილი, საქართველოს ეპლესიის სიწმინდე-ები, თბ., 2007.
18. საქართველოს იმედი, თბ., 2012, წიგნი 6.
19. ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, თბ., 1991.

20. გ. ჩოჩიშვილი, დღესასწაულები ოსეთში, გაზ. „დრო-ება“, 1883, №258.
21. ხ. მამისიმელიშვილი, ჯვარ-ზატთა საკულტო ტექსტები, თბ., 2009.
22. მ. ჯანაშვილი, საინგილო, წიგნ. ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913.
23. ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997.
24. გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, თბ., 2005.
25. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 2007 წლის ქრონიკა, გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2008. 4-9 ივნისი.
26. ს. კერესელიძე, გიორგობა ჰერეთში, გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2012, 29 ნოემბერი-5 დეკემბერი.
27. ი. მეგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიახვის ხეობაში, ცალკე ამონაბეჭდი, 1957.
28. ლ. ლეგრისელი, ჩვენებური ამბები, გერის ხეობა, გაზ. „ივერია“, 1903, 23 აგვისტო.
29. ი. გელენავა, კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ რეგიონებში, თბ., 2018.
30. ჟ. ფ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987.
31. ჟურნალი „ალავერდი“, თბ., 2019.
32. გ. ქურასბედიანი, წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული თქმულებები, თბ., 2001.
33. . . . ., . . . ., . . . ., 1963.

## **ST. GEORGE OF ILORI, OF GERI, OF KURMUKHI... YOU, WHO TERRIFY ENEMY**

### **Summary**

Great martyr (megalomartyros) St. George (Giorgi) is a patron saint of Georgia and Georgian people has a special honor towards him. In each part of the country, all over it, there are many beautiful churches and sacred place dedicated to him. Though some churches and places of veneration are now on the occupied territories, they are still venerated as before. It must be mentioned that Ilori in Abkhazia, Geri in Ossetia, Kurmukhi - the "Great Church" in Saingilo are the common places for veneration for the entire Georgia and people living in this country. How intimately St. George, this great martyr, brave knight, fighter against evil, who unites Georgia, became linked to everybody, enemy or friend is discussed in the article.

St. George is not only megalomartyros, almighty, miracle worker but expresses warrior spirit and force, Georgian ardour, ideal of national hero which inspires and gives vitality to those who glorify him.

**ბიორბი XII – საქართველოს უკანასკნელი  
მეფის პორტრეტისათვის  
(ცლატონ იოსელიანის „ცხოვრება ბიორბი  
მეცამეტის“ მიხედვით)**

თანაავტორი ხათუნა იოსელიანი

ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ნაშრომმა, „ცხოვ-  
რება გიორგი მეცამეტისა,“ თავის დროზე, დიდი ყურად-  
ღება მიიქცია. მონოგრაფია მდიდარ ფაქტობრივ მასალას  
მოიცავს XVIII ს-ის საქართველოს კულტურაზე, ზნე-  
ჩვეულებებზე, ადმინისტრაციულ და საეკლესიო წეს-განვე-  
ბულებაზე. კერძოდ, ნაშრომში ასახულია საქართველოს  
სამეფო ტახტის დიდების, ბაგრატიონთა უძველესი სამეფო  
დინასტიის ბრწყინვალე ტრადიციების რღვევის საშინაო და  
საგარეო მიზეზები. იგი პირადად იცნობდა ყველა იმ საერო  
და სასულიერო პირს, რომლებიც საქართველოს უკანას-  
კნელი მეფის, გიორგი XII-ის ცხოვრების და აღსასრულის  
თვითმხილველნი იყვნენ. მათგან შეიტყო ისტორიკოსმა  
ბაგრატიონთა გვირგვინის დამხობის, სახელმწიფოებრიობის  
დაკარგვის რეალური (სუბიექტური და ობიექტური) მიზე-  
ზები. პლ. იოსელიანს ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო  
მეფის ოჯახთან, მმებთან, დებთან, მემკვიდრეებთან, რძლებ-  
თან, შვილებთან, შვილიშვილებთან, არამედ „მძახალი და  
მოყუარენი მეფისა, ეპისკოპოსნი და მღვდელნი, ბერნი და  
ერისკაცნი. მეფესთანა ჯდომილნი, მესაუბრენი მისნი და  
მასთან მოხუმარნი, მასთან მოგზაურნი და თანამზრანაზელნი  
მისნი, მასთან ზოგად მლოცველნი და დამტირებელნი  
მისნი და ოდესმე მაყუდრებელნი საქმეთა მისთა და მის-  
თვის არა კეთილისა ჰაზრისა მექონნი, — ვიტყვი სვინდი-  
სით, პირუთვნელად, მოვილე ცნობანი ესენი ჭეშმარიტთა  
მომთხრობთა პირთაგან და წერილთაგან ნამდვილთა, რო-

მელთაცა მოაწიეს ჩემამდე. შევისწავლე საქმენი ესე კაცთაგან თანადამსწრეთა დროთა მათი და თვით მოქმედთა გვამთა და პირთაგან“ [1, 284]. ამგარად, მკვლევარმა მრავალმხრივი კუთხით შეიცნო მეფის მნიშვნელობა და ღირსება, მეფური მოვალეობა, მოთხოვნილება, ძალი, სიმტკიცე და სისუსტე, საუბარი, რისხვა, წყალობა და ა.შ. „ესეთი მათთან დაახლოება და დაახლოვებისა გამო მათთან შემცნება ამბავთა და მოთხოვნილებათა იყო მიზეზი, რომელ ესრეთ გაბედვით აღუსწერე ცხოვრება ესე მეფისა“ [1, 285]. ცხადია, ისტორიკოსი და ბიოგრაფი მწერალი ვერ აცდებოდა საკუთარი დამოკიდებულების, პოზიციისა და შეხედულებების გადამეტებას, მაგრამ არც უმთავრეს დანიშნულებას, — სიმართლის აღიარებას აცდენია. მან საკუთარი „ძალებისაებრ იღვაწა“ და მისი თხზულება, მეტნაკლებად გიორგი მეფის რეალურ სურათად უნდა ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია მეფის-ძე თეიმურაზის ძორული გამოთქმა: „მეფეთა ისტორია მეფემ უნდა დაწეროს“. იგი ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმ უდიდეს პასუხისმგებლობაზე და სირთულეზე, რომელსაც ისტორიკოსი მეფეთა ცხოვრების აღწერისას ტვირთულობს. მაშ, როგორ გაბედა მეფეთა ცხოვრების აღწერა? სითამამისა და გამბედაობის გარდა, პლ. იოსელიანი მამა-პაპით მეფეთა სასახლეს ეკუთვნოდა „გუარისა გამო ძუელისა. 1560 წლიდან ვითარცა ფიცისა კაცნი ვიყვნით სუანებს, ოდიშსა, იმერეთსა და ქართლსა. ვითარცა სასახლისა კაცნი ვახლდით მთავართა და მეფეთა იმერეთისა და ქართლისა დასრულებამდე მეფობისა“ [1, 284]. გარდა ამისა, პლატონის პაპა, ონისიმე იოსელიანი მეფის სასახლის მღვდელი იყო. იგი მეფე გიორგის ყოველთვის თან ახლდა და „მამა პლატონისა მღვდელი ეგნატეც მეფეს გიორგისვე არამც თუ ერთისა, მთელი საქართველოს სამეფოს ოჯახისა თავშე-

წირული ერთგული იყო და უმეტნავესად თავის მშობლის მამულისა. დიდი გონიერი კაცი იყო ეს ეგნატე და დიდი მადლიანი წმიდა“ [1, XIII]. ახალგაზრდობაში ეგნატე იოსელიანი მეფე ერეკლე II-სთან დაახლოებული პირი ყოფილა.

მომავალმა ისტორიკოსმა სამეფო სასახლის აგონიის თვითმხილველი და მონაწილე მამის, ეგნატე იოსელიანისგან მოსმენილი ეპიზოდებით ისარგებლა და შთამომავლობას მნიშვნელოვანი ნაშრომი დაუტოვა. განა ადვილი და ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო მეფესთან სიახლოვე? როგორც გიორგი მეფის ექიმი ამბობდა: „მეფეთა თანა საუბარი სიფრთხილით უნდაო... თვით მამაშენი ეგნატე მიჩნეული მეფისაგან, „მამაო ჩვენო“-ს თქმით შევიდოდა მასთანათ“ [1, 74].

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, პლ. იოსელიანის თხზულებამ, შეიძლება ითქვას, სასურველ შედეგს მიაღწია, მაგრამ მთავარი ხარვეზი, — კაგაასიისკენ რუსეთის ლტოლვის მამოძრავებელი ძალები და საქართველოს ანექსიის პეტერბურგში საიდუმლობ შემუშავებული მზაკვრული გეგმები, ავტორისთვის ამოუცნობი აღმოჩნდა, ვინაიდან, თავისი ნამდვილი სახე და ბრჭყალები „რუსობამ“ მოგვიანებით გამოაჩინა. თუ როგორი „სულის მდუღარება“, წვა და მწუხარება გამოიარა ისედაც ფიზიკური სწეულებით გატანჯულმა გიორგი მეფემ, ეს უფალმა იცის. ხსნა არსად ჩანდა და საქართველოს სამეფო დინასტიის წესის ამგებად, რუსეთი მოგვევლინა.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, თითქოს ისტორიკოსი მეფე გიორგი XII-ის პოლიტიკას ისტორიული და იდეოლოგიური თვალსაზრისით ამართლებდეს, არ უნდა უგულვებელვყოთ. თუმცა, საგულისხმოა ეგნატე იოსელიანის მეფის ასულ თეკლასთან დიალოგის ასპექტები, კერძოდ,

„არავინ ველოდით რუსთაგან ამას. რასაცა თქვენ მიბრძანებთ; ახლა ვხედავთ, რაოდენ მნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათი თვისთა ერთაგან დაშორებულნი და ვითარცა თქვენი ვეზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრებად. მიხედეთ ამათ მართლმსაჯულებას? განა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა? აზიურთა და ძველთა ჩვენთა სჯულისდებათა ეცინიან რუსნი. განიხილონ რომელია უკეთესი, უმოკლესი და უმეტეს მართლმსაჯულებითი?... რა გაეწყობა! ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო, ვითარცა საქართველოისა ტახტითა და თავადაზნა-ურობითა, სამღვდელოთა წესითა და საერო სა სიმდიდრითა: თოფითა, ზარბაზნითა და ხალხისა სიმხნითა და ვაჟკაცობითა ჩაბარდა სადმე დიდსა რუსეთის იმპერიასა?! მივიღეთ ყოველივე სიმდაბლით და დავემორჩილეთ განგებისა ხელსა. ღვთისა განგებისა ხელსა ვერ ვნახავთ. ვხედავთ, განგებისა კვალსა და კმარა ესე ჩვენთვის“ [1, 204]. ღვთისა და მამულის მოყვარე ერმა, რომელსაც ჭეშმარიტების სიყვარული სამშობლოს სიყვარულზე აღმატებულად მიაჩნდა, რუსეთის ძალმომრეობა საქართველოსადმი განსაცდელად მიიღო და „დაუთმო განსაცდელსა“; ვინაიდან „ნეტარ არს კაცი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა: რამეთუ გამოცდილ იქმნას და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისა, რომელიცა აღუთქვა მოყვარეთა თვისთა“ [2, 269].

საქართველოს უკანასკნელადაც ასეთი ღვთისმოყვარე, მორჩილი და ჯვრის თაყვანისმცემელი მეფე ჰყავდა, რომელიც ქალაქ თბილისში, 1746 წლის გიორგობის თვეში დაიბადა. დედა-დედოფალი ანა, ზაალ აბაშიძის ასული გახლდათ, რომელიც მეფე ერეკლემ 1745 წელს ცოლად შე-

ირთო. ანა დედოფლისაგან მეფე ერეკლეს ქალიშვილი თამარიც ჰყავდა. მომავალი მეფის შობა პაპამ, თეიმურაზმა დიდი დღესასწაულით აღნიშნა; იმერეთის მეფესა და მთავრებს, კათალიკოსსა და მღვდელმთავრებს, ქართლ-კახეთის თავადებს ეპისტოლებით აუწყეს; ქვრივ-ობლებსა და გლახაკებს საჩუქრები უსახსოვრეს, „პატიმრობასა შთაგდებულნი“ შეიწყალეს, მეუდაბნოებს „ნუგეშინის-ცემითნი საძმოდ ბოძებანი“ გაუზავნეს; აცნობეს მეზობელ ხანს, თუ ყაენს და საჩუქრები მიართვეს. ოთხივე მართლმადიდებელ პატრიარქს, აგრეთვე, სინასა და ათონის მთის წინამძღვრებს, ასეთივე ეპისტოლე და ძღვენი წარუვლინეს.

მეფის ძე გიორგი შობიდან მეცხრე დღეს მონათლეს. „მას ნათელ-სცა ანტონი II კათალიკოსმა და მიმქმელად იყო არქიეპისკოპოსი საბა ნინოწმინდელი“.

ოთხი წლის გიორგის გამზრდელად, ლალად კახეთის თავადი სვიმონ მაყაშვილი და ქართლიდან როინ ბარათაშვილი მიუჩინეს, რომელიც მალე გარდაიცვალა და მეფის აღმზრდელად სიმონ მაყაშვილი დარჩა. ქართული ენის მასწავლებლად, ფრიად განსწავლული ისაკ მწიგნობარი ჰყავდა. თათრული ენა კარის მოხელეთაგან და სომხური, – სომეხთა მღვდლის, ტერდაცითის შვილისაგან, შაიკოვისაგან და ყაითმაზაშვილისაგან ისწავლა. ბერძნულს ბერძენი თეოდორე ეპისკოპოსისაგან სწავლობდა, მაგრამ ვერ სრულყო მასწავლებლის გარდაცვალებისა და დროთა გარემოების გამო. შვიდი წლის ყრმას ქართულის მასწავლებლად იერუსალიმიდან დაბრუნებული დეკანზი იოანე მოძღვრიშვილი, ფილოსოფიისა და ლოთისმეტყველების დიდი მწიგნობარი მიუჩინეს. მომავალი მეფე „მოისურვებდა ფილოსოფოსთა ქველთა სწავლის მოსმენათა“.

გამოჩენილი ანტონ კათალიკოსი ბევრს ეცადა, რომ „დაესწავლებინა

მეფის ძისათვის სამეცნიერო საგნები“, მაგრამ უშედეგოდ გიორგი წუხდა: „არ მესმის ესე ვნაყავ წყალსა“ [3].

გიორგის პაპამ, ქართლის მეფე თეიმურაზ მეორემ, ჯერ კიდევ შვიდი წლის მეფის ძე გიორგისათვის, 23 აპრილს (ახ. სტ. 6 მაისს), გიორგობას ბრძანა საუფლის-წულო დროშის მომზადება. მისივე ბრძანებით მოიტანეს ყვითელი ატლასი და მასზე მეტეხის ღმრთისმშობლის ხატი მოქსოვეს. ანტონ კათალიკოსმა აკურთხა ეს დროშა და მეფის ძეს მეტეხის ეკლესიაში პარაკლისის გადახდის შემდეგ მიართვა. ამ დღეს სამეფო სასახლეში დიდი წვეულება გაიმართა. მეფის ძის აღსაზრდელად, მეტეხის ეკლესიას აგრეთვე ძვირფასი ბარძიმ-ფეშუმი და სამი კომლი კაცი შესწირეს. ერთი ხელი შესაძლებლი წინამძღვარს უძღვნეს. ცხადია, შეწირულობის ამსახველი სათანადო ოქმიც მიართვეს [1, 26].

პლატონ იოსელინის ცნობით, მეფის ძე გიორგის კითხვა უყვარდა. ზეპირად იცოდა „საქმენი და ღვაწლი წმიდათა მარტვილთა, მეუდაბნოეთა, მღვდელ-მთავართა და ესე ვითართა ეკლესიის სვეტთა. დაწვრილებით ესმოდა ღვთისმეტყველება მართლმადიდებლობისა, ისტორია ქართველთა ე. ი. ქართლის ცხოვრება უწყოდა რეცა ზეპირად“ [1, 7]. შესაძლოა, ისტორიკოსი მეფის ძე გიორგის ერუდიციას აზვიადებს, მაგრამ მომავალი მეფე, „მაღლად მეფურად“ იზრდებოდა; საღვთო წერილის ფრიად კარგი მცოდნე, ბეჯითი ქრისტიანი და ლოცვის დიდი მოყვარული რომ იყო, ამას თქმა არ სჭირდება. საკითხავია, წმიდა წერილის, წმიდათა ცხოვრების, მართლმადიდებელ სარწმუნოებაში საფუძვლიანად განსწავლული გიორგი მეფე, ნუთუ საერო წიგნებს და სამეცნიერო საგნებს ვერაფერს გაუგებდა?!

მეფის ძე გიორგიმ, 14 წლის ასაკში მოიარა საქართველო: ქართლი, კახეთი, სომხეთი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი. აგრეთვე განჯისა, თუ ერევნის მოხარკე სახანოები.

დროთა გარემოების და უამთა ვითარების გამო, საქართველოდან რუსეთში გამგზავრებამდე, 1760 წელს, თეიმურაზ მეფემ, მეფის ძე გიორგის ქართლის მეფობის სამეფო სკიპტრა უბოძა, შემოარტყა (გარემოსდვა) მას თავისი სამეფო ხმალი, დაკიდა ჯვარი, „ძელი ჭეშმარიტითა ცმული“. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში ამ საზეიმო ცერემონიას კათალიკოსი და ეპისკოპოსები, თავად-აზნაურები და კარისკაცები ესწრებოდნენ. მეფე თეიმურაზმა მომავალი მეფე ღვთისმშობლის ხატით დალოცა, გამოეთხოვა ყველას და რუსეთში გაემგზავრა.

18 წლის გიორგი მამას, ერეკლე მეფეს, საომრად, თუ საზღვრების მოსახილველად, სადაც წავიდოდა, ყველგან თან ახლდა. „ოდეს განჯაზე გაილაშქრა მეფემან ირაკლი, მაშინ გიორგი განაგებდა სამეფოსა. დიდი ბეჯითად აშველებდა ურმებსა, ტყვია-წამალსა და კაცთა ცხენოსანთა. იტყვიან დამსწრენი, – განაკვირვა სარდალნი და თვით მეფეო... დაბრუნებულმა განჯით მეფემ მოუძღვნა სახალხოდ დიდი მადლობა და ბრძანა: „შვილი ჩემი გიორგი დიდი მეფე იქნებაო“ [1, 49-50]. ალექსანდრე ორბელიანის ცნობით (იგი იყო ერეკლე მეფის ასულის, – თეკლას შვილი), სანამ მეფე გიორგი ყმაწვილი კაცი იყო, „ყველაფრით კარგი ყოფილა და როდესაც ხანში შესულა და ტანი სიმსუქნით დამძიმებია, მაშინ დაუწყია მომატებული ჭამა და ღვინის სმა, რომელიც სნეულებად გადაქცევია“ [4, 38-39]. მართლაც, გიორგი ყმაწვილობიდან ორმოც წლამდე ყოფილა ტანით წვრილი, მაღალი და ბრგე, მერე გასუქდა, ცხენზე თავისუფლად ვერ ჯდებოდა; სიმარლე დაკარგა.

შინ ყოფნას შეეჩვია და მაღიანად კვებას. სადილს ხან-გრძლივად, მეჯლისის წესით მიირთმევდა და „უმეცარნი მტერნი მისნი დასცინოდნენ: მთელ ზაქს სჭამსო“. სწორედ უჯერო, მომეტებული ჭამა-სმა ანუ ნაყროვანების ვნება გახდა მისი თვალშისაცემი და დასაძრახი სისუსტე, მაგრამ უნაკლო განა არის ვინმე? სნეულება, სიძაბუნე და უძლურება ადამიანს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან მისი შინაგანი ბუნება სხვა ადამიანების მიმართ იცვლება, მეტად მგრძნობიარე და გულმოდგინე ხდება. კერძოდ, „ბრძანებისამებრ მისისა (მეფისა) აქვნდათ ნება ყოველთა ქალაქის მცხოვრებთა, მხოლოდ სნეულთათვის და ავადმყოფთა წარელოთ პური სახლად თვისად“ [1, 24]. ო. ქობულაშვილი, რომელსაც მამა-პაპით ებარა კახეთის მეფის მდივნობა ანუ მდივანბევობა, გიორგი მეფეზე წერდა: „დილის რვა საათიდან მოყვებოდა და ორ საათს ილოცებდა. ათ საათზე პირის ბანას მოყვებოდა. დაიბანდა ხელებს ათი კვერცხის გულით, მერე სურნელოვანი საპნით. თორმეტ საათზე გაბრძანდებოდა და შემოეხვეოდნენ დარბაისელნი და აგრეთვე მოაზრენი და საქმიანობდა სამ საათამდე. მეოთხეზე სადილს მიირთმევდა... ვისაც რა წყალობა განწესებული ულუფა თუ ჯამაგირი არავისთვის არ მოუშლია და, დიახ, რიგიანად მეფობდა, სნეული რომ არ ყოფილიყო“ [1, 62]. მეფის უკურნებელმა სნეულებამ განსაზღვრა სამეფო სახლის საბედისწერო აღსასრული. როგორც სარგის კაკაბაძე აღნიშნავდა, ეს იყო სიმსუქნით დაავადებული ადამიანი, რომელსაც ბევრი მოძრაობა და მუშაობა არ შეეძლო. ამავე დროს, ის იყო თვითმპყრობელი ხელმწიფე, განუსაზღვრელი უფლების მქონე თავის მცირე და ამავე დროს, საშინლად აოხრებულ, დაცარიელებულ ქვეყანაში. ამიტომაც, საქმეების წაყვანა ხეირიანად მას არ

შეეძლო და აღრე თუ გვიან, ამის შედეგი უნდა ეწვნია ქართველ ხალხს [4, 46].

სამეფო სახლში არსებულ განხეთქილებას, დაპირისპირებას, ინტრიგას, ცბიერი, გაქნილი და ანგარებიანი კარისკაცები კიდევ უფრო აღრმავებდნენ, რაც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების სამართლიან აღშვოთებას იწვევდა. „იმ შეჩენილებმა ჩვენი ქვეყნის მტრებმა, ბატონიშვილი გიორგი ანუ მეფე სმა-ჭამისაგან არ მოაცალეს და მეფე ირაკლი ომებისაგან, რომ ქვეყნისათვის ეფიქრა რამე ამ ორთა. მეფის გიორგის ის სამი საათი სიფხიზღე ქვეყნის გამგეობაში, ამის ნათელი გონებისათვის კმაროდა, თუ იმას კეთილი გამძრახველები ჰყოლოდა“ [5, 40].

გიორგი მეფეს მამის, ერეკლე მეორის განჩინებადადგენილებანი არ შეუცვლია. სახელდობრ, ჯერ კიდევ მეფე ერეკლეს დროს, ანტონ II კათალიკოსმა სასულიერო პირების თხოვნითა და რჩევით, ყმის და მამულის შეწირულობათა ოქმების შეგროვება, განხილვა და დამოწმება ინება. სიძველისაგან და უამთა სიავისაგან გამქრალი მელნით ნაწერი, მნელად წასაკითხი სიგელები წაიკითხეს და ხუცურად გარკვევით გადაწერეს. უპირველესად, მცხეთის ეკლესიის სიგელები განიხილეს და მეფეს მიართვეს დასამტკიცებლად. მეფე ერეკლემ არ ინება სამეფო ბეჭდით მათი დამტკიცება, ვინაიდან ყმათა უმრავლესობა და მამულები, უამთა სვლაში, სხვებზე იყო გადაცემული, ან სრულიად დაკარგული, ან სხვათა მფლობელობაში შესული, ხოლო სხვა საეჭვოდ, თუ სადავოდ მისაღები. ანტონ კათალიკოსმა იმავე თხოვნით კვლავ მეფე გიორგის მიმართა. პლ. იოსელიანის ცნობით, „მამაჩემი ეგნატი, მოწოდებული მეფისაგან, სამ დღეს უკითხავდა მას და დიდი ყურადღებით მოისმენდა ძველ წერილებს. სამასამდე მათგანი წაუკითხა მეფეს, რომელმაც ბრძანა: კურთხეულისა მამისა

ჩემისა სწორესა აზრსა ამ წიგნზედ მე ვერ შევცვლი და ნურცა ეწყინებათ, რომ ბეჭედს ჩემსა ვერ იხილვენ წიგნისა ამის მუხლინ“ [1, 85].

გიორგი მეფეს საქართველოსთვის ყველაზე უფრო მძიმე ხანაში ხვდა ქვეყნის მეფობა და მას ეს უდიდესი განსაცდელი სახელოვანმა თანამეცხედრეებმა შეუმსუბუქეს. ცნობილია, რომ 1765 წელს მეფის ძე გიორგიმ ქიზიყის მოურავის, პაპუნა ანდრონიკაშვილის ქალი, 13 წლის ქეთევანი ცოლად შეირთო. გიორგი ამ დროს, 21 წლის გახლდათ. დედოფალი ქეთევანი ისეთი სიბრძნით, კეთილგონიერებითა და მხნეობით გამოირჩეოდა, რომ მეფე ერეკლეს სამეფო ოჯახის ბურჯად მიაჩნდა. სამწუხაროდ, დედოფალი 1782 წელს გარდაიცვალა. იგი (თეიმურაზზე ძეობას გადაეცა). სულ მოკლე ხანში, 40 დღის გლოვის შემდეგ, ბატონიშვილი გიორგი, გიორგი ციციშვილის ქალზე „მშვენიერებით ბრწყინვალე“, 14 წლის მარიამზე დაქორწინდა. მარიამს მძიმე ტვირთი ხვდა წილად. ქეთევანისგან დარჩენილი ცხრა შვილი და რთულ სიტუაციაში მოხვედრილი მომავალი მეფის ულლის გაწევა საპატიო, მაგრამ ფრიად სამძიმო საქმე იყო, მაგრამ „ერეკლე მეფის ოჯახი ამ მხრივაც შესანიშნავი იყო. აქ გამოცდილი გამდელნი და მასწავლებელნი მოღვაწეობდნენ და მომავალ რძლებს და დედოფლებს, სამეფო სასახლის შესაფერისად ზრდიდნენ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მარიამს აქ სამეფოს წყალობას და მაღალ აღზრდას არ მოაკლებდნენ“ [6, 51]. ამ დროს, სამეფო სახლი ძალიან მრავალრიცხოვანი იყო. მეფე ერეკლესა და გიორგის მრავალშვილიანი ოჯახები, რძლები, მათი შვილები, შვილიშვილები, ნათესავები, ქვრივები და მრავალრიცხოვანი მოსამსახურეები; საქმე იმაშია, რომ „სასახლის გამოცდილი გამდელნი მეფისეულნი და დედოფლისეულნი ისეთი გაძლიერებული იყვნენ,

რომელ მეფესა და დედოფალსა პხადოდენ ტყვედ მათ ხელთა შინა“ [1, 131]. მეფის თთოო-ოროლა ერთგული თანამზრახველი სამეფო მემკვიდრეობისათვის ატეხილ ინტრიგებს, გარეშე მტრების ინტერესთა და ორიენტაციათა უჩინარ ქსელს ვერ ერეოდა. რაც შეეხება გიორგი მეფეს, „როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობით, ისე აგრეთვე თავისი ჩამორჩენილობითა და ხასიათით, ნაკლებ შეეფერებოდა იმ პასუხსაგებ როლს, რომელიც მას ბედმა აკუთვნა. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ქვეყნის მართვა-გამგეობა იმ დროს, როდესაც ყოველი მხრიდან განსაცდელი იყო მოსალოდნელი“ [4, 46]. გიორგი მეფე ნამდვილი „სამეფო კაცი“ იყო, მაგრამ უკურნებელი სწეულება მტრების სასარგებლოდ მოქმედებდა. სამეფო სახლის შიგნით ბატონიშვილთა უფროსი (ერეკლესგან) და უმცროსი (გიორგისაგან) შტოების ტახტის დაუფლებისათვის ატეხილი უთანხმოება ურჩობას, მტრობას, შურს და გაუთავებელ დაპირისპირებას ქმნიდა. პირმშობის აზრი და მნიშვნელობა დასუსტდა. ერთმანეთს მემკვიდრეობას ეცილებოდნენ. პირველობას პატივს არ ცემდნენ და სამეფო სახლის თითოეული წევრი თავის თავს მეფობისთვის ღირსად და გამზადებულად მიიჩნევდა. „რჯული არღარა სკულობდა სამეფოში, სადაც უფლებდნენ მეფის ძენი და კარისკაცნი მათნი“. ასეთ ვითარებაში მეფის ძე გიორგი შორიდან უცქერდა მემკვიდრეობის მიტაცებისათვის გამზადებულ ძმების სისუსტეს და მათგან დაშორებული ცალკე და მყუდროდ ცხოვრობდა. მეფის სუფრაჯის ცნობით, „იმ დროს აღარავინ იყო რიგიანი კაცი, აღარც სარდალი, აღარც სახლთუხუცესი, აღარც მწერალი, აღარც მდივანბეგი და აღარც მღვდელმთავარი. ჭეშმარიტად ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მეფე გიორგი თვით იყო სწორედ ჭკვიანი, თვით სარდალი, თვით მსაჯული და თვით მღვდელმთავარიო“ [1,

174]. მეფეს პიროვნულად ნაკლებად ამხელდნენ, მაგრამ მის პოლიტიკას დაუნდობლად აკრიტიკებდნენ და არ ემაღლიერებოდნენ. კერძოდ, მეფე შეიძლება ძლიერ კარგი ადამიანი ყოფილიყო, მაგრამ არ იყო ნამდვილი სარდალი, ხეირიანი მმართველი. მამას სულ არ ჰგავდა, მტკიცე ხასიათი არ ჰქონდა, რომ გავლენა მოეხდინა ნათესავებზე და თავადაზნაურებზე, არც შორსმჭვრეტელობით გამოირჩეოდა, რომ გაეაზრებინა, თუ მის პოლიტიკას რა შედეგი მოჰყებოდა. ერთი სიტყვით, როგორც მეფე, თავის გამოჩენილ წინაპრებს სრულებით არ ჰგავდა [3]. გლახაკობოლთა და სწეულებზე მზრუნველობა, ქრისტეს ეკლესიის მოყვარეობა, მშვიდობისმყოფელობა, მღლოცველობა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა, კეთილისმზრახველობა, მღვდელთა და მონაზონთა ნუგეშინისცემა გიორგი მეფეს „ცრუმორწმუნეობაში“ ჩაუთვალეს [7, 182], მაშინ, როდესაც მემატიანები საქართველოს სახელოვან მეფებს, მაგალითად, დავით III კურაპალატს ასე ახასიათებდნენ: „იყო ღმრთისმოყვარე და გლახაკომოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვირის არ მოქმელი, ეკლესიათა მშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცომოყვარე და ბერ-მონაზონთა პატივისმცემელი, ყველასთვის კეთილისმყოფელი და სავსე ყველანაირი სიკეთით“.

თავისი მეფობის პირველსავე წელს, გიორგი მეფემ თბილისში ახალი სასახლის ასაშენებლად, კომლზე ექვსი შაური დააწესა. როდესაც ეს ფული შეიკრიბა, მეფემ ბრძანა: „ჯერ ავაშენოთ სახლი ღვთისა, მერე ვიზრუნოთ სადგურისათვის ჩვენთა“. მეფე საღვთო და წმინდა საქმეს პირად კეთილდღეობაზე მაღლა აყენებდა. შეიძლებოდა ამ თანხის მრავალნაირად გამოყენება, მაგრამ მისი ბრძანებისამებრ, დაჩქარებით შეუდგნენ ეკლესიებისათვის ბარძიმფეშუმების და სხვა საჭირო ნივთების დამზადებას, საეკლესიო შესამოსელების შეკერვა-მოქარგვას. გარდა ამისა,

შეისყიდეს დაბეჭდილი წიგნები, მოჭედეს გაძარცული წმი-და ხატები. დედოფალი მარიამი, სასახლის ქალები, გამდე-ლები და მათი მოახლენი, ყველა ამ შესამოსელთა კერვით იქნენ გატაცებულნი... „ტფილისა შინა არა დარჩა სახლი არცა სომხისა, არა იკერებოდნენ ოლარნი, საბუხრები, დაფარნანი, ფილონნი და სტიხარნი ფარჩათა მაღალი ფა-სისა და დაბალთა სოფელთა შინა მოსახმართა“ [1, 66]. რვა თვე გაგრძელდა ღვთის მოსაწონი ქმედება და „ღვაწ-ლი ქეთილი“.

მეფე გიორგის გამეფებისას, სპარსელებისაგან აოხრე-ბული ქალაქ ტფილისის მოსახლეობა, თავის გადამწვარ სახლებს უბრუნდებოდა. მათ დასახმარებლად მეფემ სომეხ-თა კათალიკოსს, ლუკას სოხოვა, რომ მისთვის ფული ესესხებინა. კათალიკოსმა სესხად ათასი თუმანი მოართვა, რომელიც მათზე განაწილდა, ვისაც სახლის აშენებისა და განახლებისათვის საჭირო სახსრები არ ჰქონდა. მეფე ობოლთა, ქვრივთა და უმწეოთათვის არაფერს ზოგავდა. როგორც მისი მხლებელნი ამბობდნენ, „ჯიბე მისი იყო, როგორც შიოს მარანი“ [1, 134].

გიორგი მეფეს მეტად რთული მემკვიდრეობა ხვდა წილად. გაძარცული და დაცარიელებული ქვეყანა, გააფ-თრებული და გადაკიდებული მტრები. ამ ხანებში სპარსეთი და ოსმალეთი ტრადიციულ ურთიერთ შუღლს ივიწყებდნენ და საქართველოს ერთობლივად უტევდნენ. ახალქალაქის ფაშამ ფარავნის ტბაზე მყოფი მეფე „თავის ქვეყანაში“ დიდი პატივით მიიწვია. ფაშას თქმით, „მე გიახელ გიმას-პინძლო ჩემსა ქვეყანასა“ [1, 82]. გარეშე მტრები ქართვე-ლების ოფლითა და სისხლით აშენებულ სანუკვარ სამშობ-ლოს თანდათან ითავისებდნენ. მეფეს მოსვენებას არ აძ-ლევდა, დაქირავებულ ლეკთა თარეში და საქართველოს ერთგული და მოხარკე სახანოების: ყარაბახის, ერევნის და

განჯის ჩამოშორება. ერთი სიტყვით, სპარსელებს ვეღარ ენდობოდნენ, თურქები ავი თვალით იცქირებოდნენ, ლეკები ვერ დაცხრნენ, შინაური მტრები ავაზაკობდნენ, რომლებიც მეფის თქმით, საშიში არ იყვნენ, როგორც „მჩხავანნი კატანი“ [1, 147].

საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის მოშლას, პოლიტიკური სხეულის დაჭუცმაცება მოჰყვებოდა. საუფლისწულოების მმართველი ბატონიშვილები ცენტრალურ მმართველობას და ავტორიტეტს აღარაფრად სცნობდნენ. გიორგი მეფეს გამეფებისთანავე მოუხდა ანგარიშის გაწევა თავისი ძმებისათვის, რომლებსაც საკმაოდ დამოუკიდებელ და ამავე დროს, „უპასუხისმგებლო მდგომარეობისათვის მიეღწიათ“ [4, 46]. ამ მდგომარეობიდან ისე გამოსვლას, რომ საქართველოს სახელმწიფო არ დარღვეულიყო, ერეკლეს სიბრძნე და მკლავი სჭირდებოდა. სხეული გიორგი, დიდებული მამის მხოლოდ სუსტი ანარეკლი იყო [6, 22]. რუსეთის მმართველები კარგად ხედავდნენ ამ განსხვავებას და თავიანთი ვერაგული ზრახვებისათვის მოხერხებულად იყენებდნენ; ქართლ-კახეთის მეფისაგან ახალ-ახალ დათმობას მოითხოვდნენ. საბოლოოდ, გიორგი მეფემ გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების ნაწილი ვერ შეასრულა, სამეფო კი, – რუსეთის ხელში აღმოჩნდა.

ძმათაგან და გარეშე მტერთაგან შეწუხებულ მეფეს, ლეკებისგან აკლებულ ქვეყანას, ვისთვის უნდა ეთხოვა დახმარება, ვინ უნდა მიეშველებინა თუ არა რუსეთი?! განა არ იცოდა რუსთა მბრძანებლობის სიმძიმე? „თუ არა მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერავინ დაიცავს საქრისტიანოს. მესმის სიმძიმე რუსთა ჩემზედა მბრძანებლობისა. რა ვქნა? ვის მივმართო? რა პასუხი გავცე ქრისტესა!.. ჯვარისა

თაყვანისმცემელთა მოვიყვან მწედ ქვეყანისა. ასეთი იყო ჩემი მამა-პაპის სურვილი; ეს იყო მამაჩემის აზრიც და მეც მას დავადგები. ჩემი პირობები რუსეთის მეფესთან საკეთო-ლონი არიან ქვეყნისათვის“ [1, 154].

საბოლოოდ, რუსეთმა ყველაფერი თავის სასიკეთოდ წარმართა. სახელმწიფობრიობა და თავისუფლება დაკარგული ქართველი ერი აიძულა ბედს შერიგებოდა. გიორგი მეფემ განა არ იცოდა რას უქადა ქვეყანას რუსეთზე სრული მინდობა? ტახტის მემკვიდრის, დავითის უარყოფით თვისებებს – ურჩობას, ულოცველობას, თვითნებობას, უმარხულობას, მამაზე უმეტესად თავის წარმოდგენას, ფულისა და ნივთების სიხარბეს, მის რუსეთში ყოფნას აბრალებდნენ. მემკვიდრე დავითი რუსეთში იყო გაზრდილი, „მარხვას სჭამდა და სარწმუნოებაზეც სუსტად იყო“. ე. ი. „ვითარცა მხილველი რუსეთისა, შევიდა განსაცდელსა ძნელსა“ [1, 1387].

რუსეთის მზაკვრული მიზნის ხელშემწყობი „არაკეთილისმყოფელი კანონი“ აღმოჩნდა, სახელდობრ, ერეკლე მეფის შედგენილმა მემკვიდრეობის საკითხმა ისტორიული სამართლიანობა დაარღვია. თითქმის ათას ხუთასი წლის განმავლობაში საქართველოში არსებობდა მტკიცე მემკვიდრეობითი კანონი, რომლის ძალით გარდაცვლილ მეფეს ტახტზე მისი უფროსი შვილი ცვლიდა. მოგვიანებით ასე დაკანონდა როგორც იურიდიულ შემეცნებაში, ისე ხალხის შეგნებაში [7, 181]. მემკვიდრეობის საკითხის გამრუდება, სახელდობრ, გიორგი მეფის შემდეგ მეფობის გადასვლა უფროს-უმცროსობით, რიგ-რიგობით ძმებზე და არა მის უფროს შვილზე, დარეჯან დედოფლის მიზანი გახლდათ. ცხადია, გიორგი მეფე შემთხვევას ეძებდა მემკვიდრეობითი ტახტი თავის შთამომავლებისათვის გადაეცა და დაემტკიცებინა. პლ. იოსელიანის ცნობით, გიორგი მეფეს მამისგან

დაწერილი სხვა ანდერძიც ჰქონდა, რომლითაც დარეჯან დედოფლის მიერ გამოცხადებული ანდერძი ირღვეოდა. ეს იყო მიზანი, რომელმაც მმათა შორის შფოთი წარმოქმნა და „ერთგულებიდან მრავალნი გადაუყენა“ [1, 222]. ბატონიშვილებმა ადგილ-ადგილ მუშაობა დაიწყეს და თავადების, სხვა გავლენის მქონე პირების თავის მხარეზე გადმობირებას ცდილობდნენ. ამის შედეგად, ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც საერთიანობისა და სახანოების მოსპობის შემდეგ, თითქოს გაერთიანდა, შუა საუკუნეების ტიპის დაქსაქსულ ფეოდალურ ქვეყნად გადაიქცა [7, 182]. მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ მემკვიდრეობის საკითხის წეს-დებულების გამრუდებას დიდი არეულობა მოსდევს. ეს ბუნებრივია, საქართველოს „მოყვარულმა და იდუმალმა მტრებმა“, რომლებმაც მმართველების უწესრიგობით და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებით ისარგებლეს, ქართლ-კახეთის სამეფოში ჩვეული დეზორგანიზაცია შეიტანეს.

რუსეთში მცხოვრები სომხები, სამეფოს გაუქმების საქმეში განსაკუთრებულად იღწვოდნენ. კერძოდ, „მათ დიდი სამდურავი ჩამოავდეს მამა-შვილს, მეფე გიორგისა და მემკვიდრე დავითს შორის. რასაკვირველია, ამის დამწყობნი სულ სომხები იყვნენ, მაგრამ მომეტებულად სხვებს ასაქმებდნენ და გაბრიყვებული ჰყავდათ. ვისაც ენდობოდნენ, იმათი ოსტატებიც ისინი იყვნენ. ის სომხები რასაც არიგებდნენ, ისე ამოქმედებდნენ და ამასთან მოჰქონდათ ფული სომხებისგან არაჩნურთის იოსებ არღუთაშვილის (რუსეთელი სომხების მთავარეპისკოპოსი) გამოგზავნილი რუსეთიდან“ [5, 42]. გიორგი მეფეს არ უყვარდა სომხები, როგორც მეფობის დამკარგველნი და მართლმადიდებლობიდან განდგომილნი, მაგრამ მათი ეკლესია, მსახურება და გალობა „არა სძაგდა“. მეფე საქართველოში

მცხოვრებ სომხებზე ასე ბრძანებდა: „ვითარცა ვაჭარნი საჭირონი არიან და ვითარც ქვეყნის მცხოვრებნი დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი“ [1, 146].

გიორგი მეფე ბევრს ეცადა, მაგრამ ვერსად ჰპოვა წყალობა, სასოება და სიყვარული. მატერიალურად დაკნინებული ქვეყნის გამაგრება და სულიერი განმტკიცება, მან წმიდა ნინოს „ჯვარი ვაზისა“-ს ჩამობრძანებით გადაწყვიტა. მეფე რუსეთის იმპერატორ პავლეს წერილობითი ფორმით ევედრებოდა, შუამდგომლობას სთხოვდა იმათ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა წმიდა ნინოს ჯვარი, როგორც უძველესი განბი და სიწმინდე „უსამართლო დამპატრონებლებისგან გამოეთხოვათ“. თუ თხოვნით არ ეშველებოდა საქმეს, მეფე აპირებდა ქვეყნის საუნჯე სამღვდელო კრების განჩინებით გამოეთხოვა. უფრო მეტი, შემაჩვენებელი განჩინების წარგზავნითც იმუქრებოდა. ეს და რუსთა მორიდება იყო მიზეზი, რომ დაქქარდა ჯვრის დაბრუნება და მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წელს, სიონის ეკლესიაში წმიდა ვაზის ჯვარი დაბრძანდა, როგორც ერისა და ქვეყნის მფარველი.

წყალმანკით დაავადებულმა სულთმობრძავმა გიორგი მეფემ, წმიდა ზიარების შემდეგ, მშვიდად განისვენა. ქვეყანა მაცხოვარს შეავედრა და პატრონად როგორც ქრისტიანობის დამცველი, რუსთა ხელმწიფე დაასახელა. მწუხრის ლოცვაზე მისულ დარეჯან დედოფალს და მმებს შენდობა სთხოვა. გარშემომყოფთ მიმართა, – ნუღარ ტირიან, არა-მედ ილოცონ მისთვის, რომ ღმერთთან კეთილად და სათნოდ წარსდგეს. ასე აღსრულა საქართველოს უკანასკნელი მეფე, როგორც ნამდვილი ქრისტიანი, წმიდა აზრით და გონებით, მოკრძალებული ცხოვრებით, წმიდა ქრისტიანული აღსასრულით – „უჭირველი, ურცხვენელი და მშვიდობითნი“. საქართველოს ოორმეტსაუკუნოვანი დინას-

ტიის ჯაჭვი ასე გაწყდა და მის სამეფო პალატში საუკუნო გლოვამ დაისადგურა [6, 73].

სამწუხაროდ, ერთმნიშვნელოვნად და ერთხმად ვერ მოვიწონებთ მეფე გიორგის მმართველობას, მაგრამ ჩიხში მომწყვდეული და განწირული მეფე ყოველი ღონისძიებით ცდილობდა, როსტომ მეფის დროიდან შემოტანილი და დამკვიდრებული სპარსელების წეს-ჩვეულებები დაესუსტებინა და განექარვა. სასურველია, ამაოდ დამშვრალი მეფის მრწამსი მაინც შევისმინოთ, რომელიც ბრძანებდა: „განამტკიცეთ კაცნი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესა, შეაყვარეთ ერსა ჩემსა ქრისტე: განთესეთ მცნებანი მაცხოვრისა, სიმტკიცე სარწმუნოებისა, სიმტკიცე მეფობისა და ბედნიერება ერისა. მორწმუნე მეფე და მორწმუნე ერი მევობარნი არიან ღვთისა და შვილნი მაღლისანი. დამცველი ქრისტიანობითისა სიწმიდისა, დაიცვებიან განსაცდელთაგან. მწყემსისა კეთილსა არა წარუწყმდების საწმყსო სულიერი, მოსავი ჯვარსა არა სადა დაეცემის“ [1, 180].

ამრიგად, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი გიორგი მეფის ცხოვრებას კეთილგონივრულად, დაწვრილებით და სიყვარულით აღწერს. მას შეგნებულად სურს გაამართლოს მეფის არჩევანი და საწყალი ადამიანი, უბედური მეფე ერის წინაშე პირნათელი გამოიყვანოს. მიაღწია თუ არა ცნობილმა ისტორიკოსმა სასურველ შედეგს, ამას რუსული ექსპანსიონიზმის მსხვერპლი ქვეყნის შვილები ობიექტურად ვერ შეაფასებენ. ნაშრომის მიზანი გიორგი მეფის, ვითარცა მეფეთა გვარის, მეფის ძის და მეფის პიროვნული ღირსებების რეაბილიტაციის მცდელობა იყო.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936.
2. ეპისტოლენი წმიდათა მოციქულთანი, წიგნ. ახალი აღთქმა, თბ., 2005.
3. გაზ. „ივერია“, №144, 1885. ოცნებელის რეცენზია პლ. იოსელიანის თხზულებაზე „ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა“.
4. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921), თბ., 1997.
5. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოტა-ცოტა ამბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირი, წიგნ. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები, წ. I, ტფ., 1914.
6. თამარ და აკაკი პაპავა, მარიამ უქანასკნელი დედოფალი საქართველოსი, ბუენოს აირესი, თბ., 1956.
7. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958.

**FOR THE PORTRAIT OF THE LAST KING OF  
GEORGIA - GIORGI XII  
(ACCORDING TO "THE LIFE OF GIORGI XIII" BY  
PLATON IOSELIANI)**

**Summary**

On the basis of the rich factual material of Platon Ioseliani's monograph "The Life of Giorgi XIII" education, bringing up and responsibilities, merits and wrongs. Imperfections of the last king of Georgia are discussed. Ancestors of the historian were clergymen and close to the royal court. The true stories told by them were used by the author to preserve and leave us fundamental work about the king. But the historian and biographer was unable to avoid the exaggeration of his personal attitude, personal position and opinion but still reached desirable, right result.

The idea that Platon Ioseliani is tendentious, biased and his work does not reflect the real portrait of the king, is neglected in the article. The terminal state of Karil-Kakheti king during existence, ideological viewpoints of the king's internal and external policy followers and opponents are analyzed.

## პლატონ იოსელიანი – ეროვნული ტრადიციების მკვლევარი

ძველი ქართული კულტურის შესანიშნავი მკვლევრის, პლატონ იოსელიანის მოღვაწეობა დაქმთხვა იმ პერიოდს, როდესაც კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულმა შესწავლამ ფართო ხასიათი მიიღო. კერძოდ, 1845 წელს შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება ეთნოგრაფიის განყოფილებით. მოგვიანებით, 1851 წელს, ქ. თბილისში დაარსდა ამ საზოგადოების კავკასიური განყოფილება და 1852 წელს კავკასიის მუზეუმი, რომელიც საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიული შესწავლის სამეცნიერო კერად გადაიქცა. ქართული ეთნოლოგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ახალგაზრდა მკვლევრის ისტორიულ-სამეცნიერო ნარკვევები „რომელთა რაოდენობა სამასს აღმატებოდა“ [1, 51]. პლატონ იოსელიანთან ერთად, ამ საქმეში ჩაბმული იყვნენ ქართველი სწავლულებიც (დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, ივანე ცისკარიშვილი, ნიკო ბერძნიშვილი და სხვა) „XIXს-ის II ნახევარში მოპოვებული მასალა და მის საფუძველზე გამოქვეყნებული ნარკვევები, დიდი საგანძურია ქართველი ხალხის ყოფისა და ტრადიციების შესწავლისათვის“ [2, 10].

საქართველოს წარსულის შესწავლისადმი დაუშრებულმა ინტერესმა პლატონ იოსელიანს საშუალება მისცა გამოეკვლია და შეესწავლა მდიდარი მემკვიდრეობა, როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის გარეთაც. ხელნაწერების შესაგროვებლად და წარწერების ამოსაკითხავად მკვლევარი საგანგებოდ მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აგრეთვე სტამბოლში, საბერძნეთში, ათონსა და სინას მთაზე. შემთხვევითი არ არის, რომ მისი მემკვიდრეობა, ძირითადად, რუსულ ენაზეა წარმოდგენილი.

„ის პატრიოტული თავმომწონეობა, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდნენ მისი თანამედროვენი, პლატონ იოსელიანს კარნახობდა ქვეყნის გარეთ გაეტანა საქართველოს წარსულისა და მისი კულტურის ისტორია. როგორც იგი მარი ბროსეს წერდა, მისი მიზანი იყო მისცემოდათ ევროპელთა შემთხვევა ცნობისათვის ჩვენთა მწერლობისა“ [3, 171].

პლატონ იოსელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრი რამ დაიწერა. იგი იყო პირველი ქართველთაგანი, რომელიც რუსეთის (პეტერბურგის) უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში აღიზარდა. მისი თბილისში დაბრუნება აკადემიკოს ანდრია შეგრენის ჩამოსვლას დაემთხვა. მათ შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. „შეგრენს იოსელიანისათვის შთაუგონებია საქართველოს წარსულის შესწავლის აუცილებლობა, დაუვალებია ლიტერატურის ისტორიის შედგენა, ნუმიზმატიკური მასალების დაგროვება და სხვა ხასიათის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“ [4, 328].

მომავალი მკვლევარი იზრდებოდა და ვითარდებოდა მაშინდელი საზოგადოების იმ მაღალ წრეში, რომელშიც ტრიალებდნენ ქართველი ბატონიშვილები, აგრეთვე გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები (გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი და სხვა). აკადემიაში სწავლის დროს, მან რუსულ ენაზე საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია შეადგინა, რომელიც მეფე გიორგი XII-ის მეუღლეს, მარიამ დედოფალს მიუძღვნა [1, 49]. 1838 წელს, პლატონ იოსელიანმა დაასრულა მუშაობა ნაშრომზე „საქართველოს მოკლე ისტორია“ [1, 50]. იმავე წელს იგი ინტენსიურად ჩაება საგამომცემლო საქმიანობაში. სტუდენტობის წლებში, სამეფო ოჯახის წევრებისაგან მზრუნველობით აღვსილმა, პეტერ-

ბურგში გადასახლებულ იმერეთის დედოფალს, მარიამ კაციას ასულ დადიანს „აბდულმესიანის“ 1838 წლის გამოცემა მოუძღვნა. მის მრავალრიცხოვან შრომას წინ უძლოდა ჯერ კიდევ XIX ს-ის 30-იან წლებში შეკრებილი ქართული ანდაზები და გამოცანები. ორ რვეულში თავმოყრილი ფოლკლორული ტექსტები, ამჟამად, სანკტ-პეტერბურგში ინახება [5, 40]. შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში გაზრდილი პლატონ იოსელიანი, სტუდენტობის პერიოდშივე საქართველოს სიძველეთა შესწავლამ გაიტაცა.

მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან, ქართული ეთნოგრაფიისთვის უფრო მნიშვნელოვანია: „ქალაქ დუშეთის აღწერა“, „ფშავი“, „მოგზაურობა კახეთში“, „ქართული წელთაღრიცხვა“, „საქართველოს ძველი და ახალი ქალაქები“, „თბილისის სიძველენი“, „ქართველები და მათი ძველი სახელწოდება“, „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“ და სხვა.

„ქალაქ დუშეთის აღწერა“-ში მაშინდელი დუშეთის მაზრა გეოგრაფიულად და კლიმატურად არის შესწავლილი. დახასიათებულია მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ისტორიული ძეგლები და ხალხის ჩვეულებები. ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ მითოლოგიურ წარმოდგენებსა და წარმართულ ღვთაებებზე, ბერძნული და აღმოსავლური (სპარსული) კულტურების გავლენის კვალი. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ისეთი ხალხური დღესასწაულები და მასთან დაკავშირებული საწესო რიტუალები, როგორიც არის: ვნების კვირის ოთხშაბათს ცეცხლის დანთებისა და მასზე გადახტომის ჩვეულება; გვალვისას წვიმის გამოსაწვევი ქალების პროცესია; ჭონაზე სიარული; ყველიერის კვირის გართობა-თამაშობანი; ყენობა და ა. შ. ქართველი ეთნოლოგების მიერ ბერიკაო-

ბა-ყენობის არსი და ბუნება კარგად არის შესწავლილი, მაგრამ ამ უძველეს ჩვეულებაში პლატონ იოსელიანი ხე-დავდა საფრანგეთში, ჯერ კიდევ XVს-ში, „მენ ფოლლეს“ სახელწოდებით ცნობილი წარმოდგენის განმეორებას. სასა-ცილო ქუდებით, ფერად კოსტუმებში გამოწყობილი მრა-ვალკაციანი ჯგუფის მიზანი ყველიერის დღეებში გართობა და მხიარულება იყო. ამ თავყრილობის მოთავე სულელად ინათლებოდა. მას ჰქონდა თავისი ეზო, ჰყავდა დაცვა, მისი ნება-სურვილი სწრაფად სრულდებოდა [6, 68]. საერთოდ, მკვლევარი ზოგიერთ ქართულ ეროვნულ ტრადიციას, ევ-როპული ხალხების ეთნოგრაფიულ მასალასთან მიმართე-ბაში განიხილავდა. კერძოდ, ჯირითობაში შუა საუკუნეების ევროპელი კავალერიის გართობის ელემენტებს ხედავდა; ქართველ მესტვირეებს ტრუბადურებს უწოდებდა; „ჭონას“ მუსულმანურ სამყაროში გავრცელებულ ჩვეულებას „ჩენ-კას“ ამსგავსებდა და ა. შ.

კვლევა-ძიებისას, მეცნიერი წერილობით წყაროებთან ერთად, ფოლკლორულ მასალასაც აქტიურად იმოწმებდა. მაგალითად, ქალაქ დუშეთის ხალხური ეტიმოლოგია ზე-პირსიტყვიერ მასალას ემყარება. თქმულების მიხედვით, მრისხანე თემურ ლენგის ცხენოსანი ჯარი 1392 წელს არაგვის ხეობაში დიდ აღმართს რომ მიუახლოვდა, თავისი წინამდღოლის ბრძანებით, შეჩერდა. „დუშ ათ“, თათრულად ნიშნავს „შესდექ ცხენო“; აქედან მომდინარეობს ადგილისა და შემდეგ, ქალაქის სახელწოდება [6, 2].

სასულიერო განათლების მქონე მეცნიერის ინტერესის სფეროს, ქართული ეკლესია-მონასტრების მრავალსაუკუნო-ვანი ისტორია წარმოადგენდა. დიდმოწამე წმიდა ევსტათეს სახელობის ერთაწმინდის ტაძრის აგების დაწყებას V საუ-კუნეში, მეფე ვახტანგს მიაწერენ. ეთნოლოგიური კვლევა-ძიებისათვის საინტერესოა ტაძარში შენახული რკინის

ჯაჭვი; მას ნებაყოფლობით იკიდებდნენ ისეთი პირები, რომლებიც ცხოვრების მძიმე პირობებში, ხალხის წინაშე თავმდაბლობისა და ცოდვათა აღსარების ნიშნად, ღმერთს ჯაჭვის საჯაროდ ტარებას აღუთქვამდნენ.

მკვლევრის ცნობით, ჯაჭვდაკიდებულნი იგონებდნენ იმ ჯაჭვს, რომლითაც შეკრული იყო წმიდა ევსტათე, რომაელი დიდებული, იმპერატორ ტიტუსის სახელოვანი თანამებრძოლი და ქრისტეს ეკლესიისთვის დიდწამებული. „ჯაჭვის ოვალური ფორმის რგოლებს ორი დიუმი სისქე და ხუთი დიუმი სიგანე აქვს. მთელი ჯაჭვის სიგრძე ხუთ არშინამდეა. ჯაჭვს ბოლოში, კისერზე გასაკეთებელი საყელო აქვს, რომელიც საჭირო შემთხვევაში იკეტება. ეს ჯაჭვი დადიანისად არის ცნობილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი ჩამოკიდება ნაკისრი ჰქონდათ. არანაკლებ ორ ფუთს იწონიდა“ [7, 71]. მსგავსი მოცულობის საყელურიანი რკინის ჯაჭვი, ამჟამად, ლომისის მთავარმოწამე წმიდა გიორგის სალოცავში ინახება. ჯაჭვის კისერზე დადება და ტაძრის გარშემო შემოტარება, წმიდა გიორგისათვის ყმობის განცხადების ტრადიციის ანარეკლია. აღთქმის აღსრულების, ან დადების შემთხვევაში, ჯაჭვის შემოტარების ტრადიციას ლომისში დღეს სალოცავ-სავეძრებლად მისული მართლმადიდებელი მრევლის უმრავლესობა მიმართავს. ასეთივე რკინის ჯაჭვის ეკლესიის გარშემოტარება ქართლის სოფელ არბოშიც სცოდნიათ [8].

ქვათახევის მონასტრის აღწერილობაში, მატერიალური კულტურის მკვლევრებს უთუოდ დააინტერესებთ ტაძრის დასავლეთით მდებარე ორსართულიანი კვადრატული კოშკი, რომლის პირველ სართულზე, პლ. იოსელიანის ცნობით, ეკლესია იყო. ფრესკებზე წმიდანთა გამოსახულებები (ძირითადად, სახის ირგვლივ) ლეპების ხანჯლებით იყო დაჩხვლეტილი. დასავლეთით, მცირე კარის თავზე

დახატული ადგილის მფლობელების, მაღალაძეთა სურათები, შესანიშნავია კულტურის თვალსაზრისით. ნიშანდობლივია მათი არატრადიციული ჩაცმულობის ელემენტები. კერძოდ, განიერი, ჭრელი ქსოვილის სპარსული ქამარი, მოკლე ქუდი (ქვევიდან ცხვრის ტყავით) და ქოშისებური ჩექმები, ჭრელი ქსოვილის სპარსული სამოსელი, რომლის ზევიდან ჯიბეებიანი ხიფთანი მუხლებამდე სწვდებათ. ქალებს გრძელი სამოსელი აკვიათ. არანაკლებ საინტერესოა ტაძრის ეზოში დაკრძალული მაღალაძეთა მსახურის, დათუნას საფლავი და საფლავის ქვაზე ამოკვეთილი მისი სურათი. 1675 წელს გარდაცვლილ მსახურს, მარჯვენა ხელში ძველი ტრადიციული სასმისი – კულა უჭირავს, ხოლო მარცხენა ხელში – აზარფეშა, თავადის კარზე მისი თანამდებობის მაჩვენებელი [9, 87].

აღნიშნულ მონასტერში, ოქმურ ლენგის მეომრების მიერ მონაზენების საზარელი ამოხოცვის შემდეგ, ქრისტიან ქალებს დაებადათ აზრი, რომ ისინი არათუ საგანეში ცხოვრების, არამედ იქ მისვლის ღირსნიც არ იყვნენ. ამ ჩემულებას 1796 წლამდე იცავდნენ. სამაგიეროდ, კედელთან, დაახლოებით 1488 წელს აშენებული იქნა ნიში, სადაც ქალები ჩერდებოდნენ და ღვთისმშობლის ქვათახევის სასწაულმოქმედ ხატს ლოცვებს სწირავდნენ [9, 99].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პეტერბურგში ყოფნისას, პლატონ იოსელიანი ბატონიშვილების წრეში ტრიალებდა და საქართველოს უკანასკნელი მეფისა და სამეფოს დასასრულის შესახებ ბევრი რამ მოისმინა, რაც მის ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის თხზულებაში – „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“, აისახა. როგორც თავად წერდა, „მეცა თვით ვიყავ დაახლოებული მეფისა ძეთა ვითარცა მათთან შინაური, მათთანა დაბინავებული, მათთანა გამოკვებული და შენახული. მათთან ოთხსა წელსა (1831-

1835) და კუალად ორიცა წელი (1843-1844). პირნი ესენი იყვნენ დაახლოებით ცნობილი ჩემგან – მეუღლე თვით მეფისა დედოფალი მარიამ, ძმანი თვით მეფისა მარიან და ფარნავაზ, ძენი მათი ბაგრატ, თეიმურაზ... ელენე ასული მეფის ძისა თეიმურაზისა, პეტერბურდის ყოფნაში ვიყავი მისგან (მეფის ძე თეიმურაზ) დიდად მიღებული“ [10, 49] სამეფო კართან მეგობრობის განსამტკიცებლად, პლატონი მეფის რძალს, დავით ბატონიშვილის მეუღლეს, აბი მელი-ქის ასულ ელენეს მოუნათლავს. „თვით ელენე მეფის რძალი და მემკვიდრის (დავითის) ცოლი იყო ემბაზით მიმრქმელი ჩემი, ამისთვის ვიცნობდი მოკლედ მას, მოარულსა მასთან ოთხსა წელსა სანკტ-პეტერბურდს“ [10, 49].

თხზულება სამეფოს უმძიმესი პოლიტიკური, ეკონო-მიკური, სოციალური პირობების მატიანეა, სადაც „კარგად არის გამოხატული XVIII ს-ის საქართველო თავისი ზნე-ჩვეულებებით, საერთო კულტურით, აღმინისტრაციული და საეკლესიო იერარქიით“... [10, 11]. ნაშრომი ღირებულ წყაროს წარმოადგენს სამეფო კარის წარმომადგენელთა მენტალობის შესასწავლად.

მონოგრაფიის მდიდარი ფაქტობრივი მონაცემების ზოგიერთი ადგილი ეთნოლოგის ყურადღებას იწვევს. უწინარეს ყოვლისა, აღზრდის სამეფო წესები, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი კუთხით. კერძოდ, ჩვილის ნათლობა დაბადებიდან მეცხრე დღეს. „ნათელსცა მას კათალიკოსმან ანტონ I და მიმრქმელად იყო არქიეპისკოპოსი საბა ნინო-წმინდელი“, რომელიც იმავე დღეს მიტროპოლიტის ხარისხში აუყვანიათ; მომავალი მეფისთვის ოთხი წლიდან გამზრდელის დანიშვნა; რვა წლის ასაკში, ჩერქეზი ბატონის, გირეი ოძისას ქალზე დაწინდვა, რომელიც გამონაკლისი შემთხვევა კი არ იყო, არამედ „ძველთა დროთა ჩვეულება.“ ასევე, საქორწილო ასაკის განსაზღვრა ქალ-

თათვის 13-14 წელი, ხოლო მამაკაცთათვის, ოც წელზე ზევით; მეფისათვის უცხო ენების შესწავლის საჭიროება. გორგი მეფებ თათრული ენა კარის მოხელეთაგან, ხოლო სომხური, სომებთა ძლვდლის, ტერ დავითის შვილისაგან – შაიკოვისა და ყაიმაზაშვილისაგან ისწავლა. ბერძნული ენის ათვისება „ვერ სრულჰყო“ მასწავლებლის გარდაცვალებისა და დროთა გარემოებების გამო.

თხზულებაში მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველად თურმე, დალხინების ან შეჭირვების უამს, დიდებულებს მოწყალების უხვად გაცემა სჩვეოდათ. მაგალითად, ერეკლე მეფებ პირშოს დაბადება აღნიშნა გლახაკებისა და ქვრივ-ობლების დასაჩუქრებით, მეუდაბნოებისთვის შესაბამისი „ნუგეშისცემითნი საძმოდ ბოძებანით,“ მეზობელი ქვეყნის ხანებისათვის ძლვნის გაგზავნით, ოთხივე მართმა-დიდებელი პატრიარქისთვის, აგრეთვე, სინასა და ათონის მთის წინამძღვრებისათვის ეპისტოლებთან ერთად, სათანა-დო შესაწირავის მირთმევით.

საქმე იმაშია, რომ მართლმადიდებელ პატრიარქთათვის ფულისა და ვერცხლეულის გაგზავნის ჩვეულებას ქორწინების შემთხვევაშიც მიმართავდნენ. კერძოდ, მეფის ძის გიორგის ასული ნინას და გრიგოლ დადიანის (სამეგრელოს მთავრის, კაცია დადიანის მემკვიდრე) ჯვრისწერის გამო, დადიანმა მართლმადიდებელ პატრიარქებს შესაბამისი ფული და ძვირფასეულობა მიართვა. აგრეთვე, „შესწირა საყოველწელიწადო ძლვენი მონასტრებს, დავით გარეჯის, ნათლისმცემლის, შუამთის და სხვა ეკლესიებს მათ მოსახ-სენებლად“ [10, 27].

ისიც ცნობილია, რომ გარდაცვლილის სულის საონად, იერუსალიმში შესაწირის გაგზავნა ჩვენ წინაპრებს ტრადიციად ჰქონდათ.

ძველი საქორწილო ურთიერთობის განსახილველად საყურადღებოა, ე. წ. პატარძლის პირის სანახავი საჩუქარი. თხზულების მიხედვით, მეფის ძე გიორგიმ, როდესაც შეირთო გიორგი ციციშვილის ქალი, მშვენიერი მარიამი, მეფე ერეკლემ რძალს პირის სანახავად მიართვა ხატი ღვთისმშობლისა, ამბარჯა ძვირფასი თვლებით, მარგალიტებითა და იაგუნდებით მორთული, რომელიც ას თუმნად ფასობდა. პატარძლის საჩუქრებში თბილისში არსებული ზეთის სახდელი ქარხანა შედიოდა. დედინაცვალმა დარეჯანმა პირის სანახავად რძალს უბორა ოქროს ძეწკვი და გულსაკიდი ამბარჯა, ფარჩის საკაბე, ინდოეთის შალი, სამცდაათი მარგალიტისგან ასხმული კრიალოსანი და ოცდაათი იაგუნდის თვალი [10, 79-80].

ავტორს თხზულებაში შეტანილი აქვს მანანა ორბელიანის სახლში დაცული მზითვის სია, რომელიც საქორწილო სისტემის ამ აუცილებელ კომპონენტზე სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის. აღნიშნულ სიას ამშვენებს ბუდით და პირ-სახურავით შემკობილი, წმიდა სამებისა და წმინდანების ხატები, დაუჯდომელი ლოცვანი და ჟამნები. მზითვში თვალშისაცემია ძვირფასი სამკაულების, ჭურჭლის, ავეჯის სხვადასხვა სახეობების სიმრავლე [10, 31-32], რომელიც თურმე, ძველად ბევრი ჰქონდათ შენახული. ავტორის ცნობით, „რუსეთის შემოსვლის დრომდე ქალებს ამშვენებდათ სამკაულნი და დედანი, ქალთა და რძალთა უძლვიდნენ უხვად. შემდეგ ქართველთა დაყიდნეს იგინი, სცვალეს რუსთა ხელოვნების სამკაულთა ზედა და სახმარებლად უგულებელ ჰყვეს“ [10, 30].

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სამეფო ნადიმისა და კვების ზოგიერთი თავისებურება. მეფის საყვარელ წითელ ღვინოს, სამეფო კარისთვის, საწელიწადოდ საგანგებოდ ამზადებდნენ. მათი „სასმელი ღვინის ვენახი „აბეჩხა-

რი“ უნდა ყოფილიყო, ე. ი. დაუბარავი და პატივი დაუყრელი. იმისათვის, რომ ძალიან ცოტა გამოსულიყო და კარგი. ცხვებოდა ზუთი რიგი პური: „მურასა, საგარეჯო, შოთი, პირგაჭრილი პური და კაკალა პური“. ამ პურის ხორბალი ბაიდრიდან მოპქონდათ, სადაც ყველაზე უკეთესია... არაყი ჯერ არ იყო დიდად გავრცელებული, თუმცა, თაფლით დამტკბარის მირთმევა – ქართველებს სჩვეოდათ. ყოველდღე ცისკრის მოსმენის შემდეგ. დილით მეფე ჩაის ილითა და დარიჩინით მოდუღებულს მიირთმევდა. ჩინეთის ჩაის, რომელიც რუსეთიდან ჩამოპქონდათ, სნეულების დროს, სამკურნალოდ იღებდნენ; იშვიათად ყავა თურქთა წესით, სტუმართათვის მისართმევად“ [10, 25-26; 61].

პლატონ იოსელიანს აღნიშნულ მონოგრაფიაში ჩართული აქვს ხალხური ზეპირსიტყვიერების რამდენიმე ნიმუში. ამჯერად, შევჩერდებით ლექსად დაწერილ შაირზე, რომელშიც საღვინე ჭურჭელიც არის მოხსენიებული. ესენია: „ქვევრი, რუმბი, ტიკი, კოკა, ჩაფი, ღოქი, ხელადა, ჯიხვი, ჯამი, აზარფეშა, თასი, ყანწი, სტაქანი, კულა, მათარა და კათხა“ [10, 29].

ავტორს თხზულებაში, გიორგი მეფის ასულ ნინას (რომელიც სამეგრელოში გრიგოლ დადიანზე იყო გათხოვილი) ნაამბობიდან, ღვინის სმის უჩვეულო წესი აქვს აღწერილი. მათ ქალიშვილი მიათხოვეს ლუარსაბ თარხანიშვილს და დიდი ლხინი გამართეს. მეგრელი თავადები, როდესაც ერთი მეორესთან სასმელითურთ მომზადებული მიდიოდნენ, „ალავერდი“ და „იახშიოლის“ ნაცვლად ერთმანეთს უჩვეულოდ მიმართავდნენ: შეუდგები ქრისტესა? ასეთი მიმართვა უცნობი იყო იმერლებსა, თუ მეგრელებს შორის და სამეგრელოში, ლხინისას შემოტანილი, ამ დროიდან დამკვიდრდა. საქმე იმაშია, რომ მეფე გიორგი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა, როსტომ მეფის დროიდან,

ქართველთა შორის გაგრცელებული სპარსული წეს-ჩვეულებები დაესუსტებინა, ანუ „განექარვა“. ნათლობის საიდუმლოების აღსრულებისას, მღვდლისაგან დასმულ კითხვას – „შეუდგები ქრისტესა?“ პასუხობენ – „შევუდგები“-ო. საფიქრებელია, რომ ადგილისა და გარემოებების მიუხედავად, იმდროინდელ საზოგადოებას ამ პირობის შეხენება სჭირდებოდა.

პლატონ იოსელიანის მრავალმხრივ საყურადღებო თხზულებაში, გვერდს ვერ ავუკლით სოლომონ ლეონიძის მიერ, მეფე ერეკლეს მოთქმით დატირებას, რაც ტრადიცია ყოფილა. ლირსეულ მეფეს იგი ცრემლითა და გოდებით იგონებდა და „იგლოვებდა მეფობა ახალი, არღა რეცა მექონისა ძალისა, ჭკუისა და გონებისა“ [10, 50]. ნიშანდობლივია, მეფე გიორგის გლოვის საწესო რიტუალი, რომელსაც ავტორი ასე აღწერს: „მდივანბევთა ძველთა წესითა დაპყარნეს ეკლესიისა იატაგსა საწერელნი და ყალამნი, – ნიშნად შეყენებულისა ბრძანებათა მწერლობისა; ხელჯონიანთა სასახლისა კვერთხი, – ნიშნად გაუქმებულისა მათისა ხელობისა; მზარეულთა ქვაბი, ფლავის საწურავი და ესე ვითარნი, – ნიშნად უქმთა და მათთვის ნივთთა; პირის მწდემან მეფისა ოქროსა და ვეცხლისა და სხვათა გვარისა სასმელისა ჭურჭელნი, – ნიშნად არღა სახმართა მათთაგან; ამილახვარმან ძვირფასნი აღვირნი ცხენთა. თვით ადგნენ თავსა, ნივთთა ამათ მიყრილთა გუნდ-გუნდად აქაიქა. ეკლესია გალობდა საგალობელთა“ [10, 214]. გლოვის აღნიშნული ეპიზოდი მეფეთა და დიდებულთა წრეში მოქმედ ტრადიციას გვაცნობს და სიახლეც შეინიშნება, ისევე, როგორც მკვლევრის მიერ გაშუქებულ მრავალ სხვა საკითხში. პლატონ იოსელიანის ისტორიული მონოგრაფია პაპუნა ორბელიანის ცნობილი ნაშრომის – „ამბავი ქართლისანი“-ს ქრონოლოგიური გაგრძელებაა, რომელიც

1739-1758 წლებში, აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებას აღწერს. მართალია, კონსერვატორული მსოფლმხედველობის მკვლევარი, როგორიც პლატონ იოსელიანი იყო, „იმდენად ჩაიძირა საქართველოს წარსულში, რომ წარსულის წარმომადგენელი დარჩა თავის თანამედროვეთა შორის“ [4, 330], მაგრამ ქვეყნის წარსულს და მის კულტურულ მემკვიდრეობას სწავლობდა არა როგორც სიძველეთა მოყვარული, არამედ მისი აწმყოს მოჭირნაზულე და მომავალში უკეთესის მოსურნე.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ე. მაჭავარიანი, სიყვარულით განათებული გზა, თბ., 1989.
2. ვალ. ითონიშვილი, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989.
3. 6. მახათაძე, უწყება და ხსენება, თბ., 1996.
4. ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1979.
5. ო. ჯაგოლიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, თბ., 1986.
6. . . , . . . , . . .  
., . . . . 1858.
7. პლ. იოსელიანი, ერთაწმინდის ტაძრის აღწერა, წიგნ. დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973.
8. ო. დ. მოწერილი ამბავი, სოფელი არბო, გაზ. „ივერია“, 1886, 16 სექტემბერი.
9. პლ. იოსელიანი, ქვათახევის მონასტერი, წიგნ. დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973.
10. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936 (წინასიტყვაობა აკ. გაწერელიასი).

# **PLATON IOSELIANI – RESEATCHEROF THE NATIONAL TRADITIONS**

## **Summary**

Some of the works of the prominent researcher of the old Georgian culture - Platon Ioseliani - are studied in the article. These works are the best primary sources for the study of the Georgian national culture. Platon Ioseliani carried on his activity in that very period when the peoples of the Caucasus were widely studied from the ethnographical point of view. Ethnographical and folklore materials gathered by Platon Ioseliani will serve a great assistance to those scientists who work in these fields.

For better study of the past heritage of Georgia, Platon Ioseliani traveled in different parts of the country. In “The Description of Town Dusheti” he studied not only geography of the region and the socio-economic conditions of the Dusheti Okrug (area) population, but its historical monuments, traditions, rights and rituals. It must be mentioned that he studied folk festivals and rituals connected with them in relation and comparison with the European peoples' ethnographical material.

Platon Ioseliani's work “The Life of the King Giorgi XIII” is a chronicle of the heaviest political, economic and social state of those days kingdom. The author illuminates well the 18th century Georgia with its common culture, administrative and church hierarchy, traditions. Personal or official every-day relations of the court, king, nobles, officials, servants are of great interest for the ethnological research.

## გლოვის და დაფირების წმ-ჩვეულებები შართველთა და ჩრდილო პატარაილთა ყოფაში

წარმოდგენები სიკვდილსა და საიქიო ცხოვრებაზე კაცობრიობის არსებობის ყველაზე ადრეულ საფეხურზე წარმოიშვა, მაგრამ მათი გაცნობიერება მარადიულ პრობლემად დარჩა. ყოფნა-არყოფნის საშინელების დაძლევას თავისებურად ებრძოდა ყველა ეპოქა და კულტურა. „მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა კულტურის წარმოშობას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სიკვდილის პრობლემისადმი სხვადასხვაგვარი მიღომა. კულტურები და ეპოქები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ იმით, თუ როგორ აღიქვამდნენ ადამიანები სიკვდილს, პოულობდნენ თუ არა ისეთ ძალას, რომლითაც შესძლებდნენ დაპირისპირებოდნენ ფიზიკურ განადგურებას“ (ბოჭორიშვილი 2000:46).

პრეისტორიულ ხანაში, მიცვალებულის დაკრძალვის არქაული წეს-ჩვეულება პასუხობდა მხოლოდ ერთ მოთხოვნილებას – მიცვალებულის მატერიალური სიცოცხლის გაგრძელების უზრუნველყოფას (დონინი 1965:25). ამ მიზნისთვის მუმიფიცირება და სხვადასხვა „გამწმენდი“ მაგიური რიტუალები იქნა შემუშავებული. ადამიანმა მოგვიანებით გააცნობიერა, რომ „სააქაო ცხოვრება გახრწნითა და სიკვდილით იმიტომ თავდება, რომ იგი მსახურებაა სხეულისა, სხეული, კი თავისთავად მკვდარი და პასიურია“ (უზნაძე 1984:238). ამიტომ, ბუნების კანონის შეცვლას, ადამიანმა საკუთარი დამოკიდებულების სახეცვლილება ამჯობინა და თამამად ჩაეჭირა სულის უკვდავების იდეას, რამაც სიკვდილთან გარდაუვალი შეხვედრა გაცილებით გაუადვილა. თუმცა, უკვდავების იდეა სრულებითაც არ აძლევს ადამიანს სიკვდილის წინაშე სულიერი სიმშვიდის გარანტიას, მაგრამ ის, რომ ჩვენ ყველა დავიბადეთ მიწი-

დან და წყლიდან და უეჭველად მარადისობაში მიგდივართ, არის ის მანუგეშებელი ძალა, რომელიც ჩვენში სიკვდილის შიშის, ერთგვარად, ამცირებს; ამავე დროს, იწვევს გარდაცვლილი ადამიანის წინაშე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის დასაფასებელ გრძნობებს, რომელებიც სხვადასხვა საზოგადოებაში და ეპოქაში სათანადო წეს-განგებულებით გამოირჩეოდა. არაერთს უკითხავს, რა იქნებოდა ადამიანი სიკვდილის საიდუმლოების გარეშე, შექმნიდა იგი რამე ღირებულს? როგორც დ. უზნაძე წერს, ცხოვრების საზღვარი სიკვდილია. ჩვენ რომ სიკვდილი არ ვიცოდეთ, მაშინ ცხოვრება სულ სხვა სახეს მიიღებდა, იგი ძირიანად სხვა იქნებოდა. სიკვდილი აძლევს დასაბამს უკვდავების იდეას. სიკვდილის იდეა რომ არ ყოფილიყო, მთელი ჩვენი ფსიქიკური და ფიზიკური ორგანიზაცია უფორმო მასის მდგომარეობას არ გასცილდებოდა. სიკვდილი ფორმაა სიცოცხლისა, მაგრამ იგი დაუმინებელი მტერია სიცოცხლისა; მაგრამ ვისთვისაც ძვირფასია ცხოვრება, როგორც ასეთი, მისთვის სიკვდილიც ძვირფასი უნდა იყოს (უზნაძე 1984:239-240). სხვა რა უნდა ეფიქრა ქართველი ერის სახელოვან შვილს; ერის, რომლის გამოჩენილი ადამიანები სიკვდილს, როგორც სიკეთეს ისე უცქერდნენ. სახელდობრ: „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენიბს შენითა“ (ვაჟა-ფშაველა). ან უფრო მეტი – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ (შოთა რუსთაველი). ამ მხრივ, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებაც გვაოცებს. შვილმკვდარი დედა ერთგვარი ტკივილიანი სიამაყით აცხადებს: „სიკვდილო, შვილი გაგიზარდე, მე სხვა დედებს არ ვგავარ“!

ამრიგად, არსებობისთვის, ღირსეული სიცოცხლის-თვის ბრძოლამ, ბრძოლამ სიკვდილთან, არყოფნის საშიშროების დაძლევამ განაპირობა გარდაცვლილი ადამიანის

გლოვის, დატირების, ხსოვნის პატივი და აიყვანა იგი უმაღლეს გამოვლინებამდე – წინაპართა კულტამდე. მანვე წარმოშვა „სამოთხის“, „სიცოცხლის ხის“ მოტივი (ჩო-ხელი 1973:145).

საქართველოში და ზოგადად, ჩრდილო კავკასიაში, საკვლევ საკითხთან მიმართებაში განმასხვავებელი ნიშნები უფრო ნაკლებია, ვიდრე საერთო. ეს ეხება მიცვალებულთა გლოვისა და დაკრძალვის, როგორც არქაულ პრიმიტიულ წარმოდგენებს, ისე ტრადიციულ ელემენტებს. როგორც ზ. ალექსიძე აღნიშნავდა, კავკასიის ძალა და სიძიდიდრე მდგომარეობდა არა შხოლოდ მის ერთიანობაში, არამედ მისი შემადგენელი ნაწილების პოლიტიკურ, ეთნიკურ, კულ-ტურულ და იდეოლოგიურ თვითმყოფადობაში (ალექსიძე 2005:318).

მრავალი უნიკალური კულტურისა და მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგიის ზემოქმედების მიუხედავად, კავკასიაში სულიერ ღირებულებებზე ორიენტირებული, ტრადიციული კულტურა ჩამოყალიბდა. აღნიშნული კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ფასეულობას წინაპრის კულტამდე აყვანილი მიცვალებულის სულის თაყვანისცემა წარმოადგენს. „ქვეყნის მიყრუებულ ადგილებში შეეუულოთ, არ უშენებიათ მონუმენტური ტაძრები და სრა-სასახლენი, ხშირად კვალიც კი არ დაუტოვებიათ მიწაზე თავიანთი არსებობისა, მაგრამ ეს უკვალობა იქნებ მათი ღირსებაც იყოს, რადგან კვალი ნივთიერია, ეს ხალხი კი, სულიერ ღირებულებებს ქმნიდა“ (კიკნაძე 1996:11).

საიქიო ცხოვრებისთვის ზრუნვას ჩვენი წინაპრები ავადმყოფობის დროიდან იწყებდნენ. სნეულის მდგომარეობა თუ არასახარბიელო იყო, ახლობლები ცდილობდნენ ის შეერიგებინათ მასთან, ვისთანაც რაიმე უთანხმოება ჰქონდა. თუ ამას ავადმყოფის სიცოცხლეში ვერ შესძლებდნენ, იგი

სამძიმარზე მაინც უნდა მისულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაცვლილს ტანჯვა არ ასცდებოდა, მას მიწა არ მიიღებდა.

გარდაცვლილის პატივი და კრძალვა გამოიხატებოდა იმ საგანგებო თადარიგში, რომელსაც ახლობლები გულმოდგინედ ასრულებდნენ. წინასწარი დატირების შემდეგ, უახლოესი გარემოცვიდან გამოარჩევდნენ დამკრძალველებს, აგრეთვე იმ პირებს, ვინც შორეულ ნათესავებს ჭირის ამბავს შეატყობინებდა. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, ჭირის ამბისთვის გაგზავნილი კაცი ახლო ნათესავებს აცნობდა, რომ თქვენმა ნათესავმა „ქვეყანა შეიცვალა“, ან „ქვეყანა გამოიცვალა“, ამ ქვეყნიდან წავიდა ე. ი. გარდა-იცვალაო (ხოსიტაშვილი 1983:103).

სამგლოვარო ტანსაცმლის, გლოვის ჩვეულებრივი ნიშნის ფერი შავია და რასაკვირველია, ჭირისუფალნი შავად იმოსებოდნენ. სამგლოვარო შავი ტანსაცმელი მიზნად ისახავდა ბოროტი სულის დაშინებას, ან მისგან თავდასაცავად შენილბვას. ამიტომ, ხშირად, ბოროტის განმზრახველიც თავს იკავებდა შავადმოსილი ადამიანის წინაშე. თუმცა, გლოვის ნიშნად შავად შემოსვა, სულ სხვა წარმოშობისაა. საქმე იმაშია, რომ როდესაც ჩაისახა იდეა წმინდისა და უწმინდურისა, ხოლო მიცვალებულებს მიაწერეს ვნების მომტანი ძალა, „წარმოიშვა მოთხოვნილება აღენიშნათ განსაკუთრებული ფერით საგნები, ადამიანები და ადგილები, რომლებისაც ასე ძლიერ ეშინოდა ადამიანს იმის გამო, რომ ისინი გარდაცვლილის შეხების კვალს ატარებდნენ. აქედან მომდინარეობს ტანსაცმლისა და მორთულობის გამოცვლა გლოვის პერიოდში“ (დონინი 1965:26).

ამგვარად, ადამიანის გარდაცვალება – სიცოცხლის ამქვეყნიური დასასრული იმდენად მნიშვნელოვანი იყო,

რომ გარკვეული ხნის მანძილზე, ირგვლივ ყველაფერი იც-  
ვლებოდა და მთელი წელიწადი მიცვალებულის სულზე  
ზრუნვას ეთმობოდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით,  
ქართველები ისე მკაცრად და უზომოდ გლოვობდნენ, საჭი-  
რო გახდა ამ წესების შეცვლა, ანუ „შემსუბუქება“, რაც  
მეფე გიორგი XI (შაპ-ნავაზ II, რომელიც 1676-1707 წე-  
ში მეფობდა) იკისრა, რაჟამს მასთან იერუსალიმის პატრი-  
არქი მივიდა. ამის შემდეგ, შავის ჩაცმა, ხორცის უჭმელო-  
ბა (სავარაუდოდ წლამდე, როგორც იყო) და „ტყება“ –  
ტირილი, ტრადიციად დარჩა (ბატონიშვილი 1973:24).

გლოვის შემსუბუქებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. კერ-  
ძოდ, თუშეთში მამაკაცებს გლოვის „თმის სხმა სცოდნიათ  
ერთ წლამდე, რომლებსაც თურმე წლის ბერებს ეძახდნენ.  
შემდეგში ეს ვადა ორმოც დღემდე შეუმცირებიათ, რადგან  
ეს წესი მეკობრეობას თურმე ხელს უშლიდა. ომალოელებს  
თმის სხმის ვადა ორმოც დღით განუსაზღვრავთ და დაუ-  
ფიცნიათ, ვინც ამას დაარღვევს, ძაღლი იყოს მისი სულის  
სანათლავიო“ (მაკალათია 1933:169). საქმე იმაშია, რომ  
კავკასიაში, ძაღლისა და კატას, უარყოფით კონტექსტში  
მოიხსენიებენ. მაგალითად, ხევსურეთში ხატზე დაფიცება  
თუ უმძიმდათ, კატის ჩამოხრჩობას მიუსჯიდნენ. „ბრალდე-  
ბული კატას მოიყვანს და იტყვის: ვინც სტყუოდეს, იმის  
მკვდრის სულისა იყოსო. დამხრჩალ კატას სოფლის მიჯ-  
ნაზე გზის პირას ჩამოჰკიდებენ“ (მაკალათია 1935:100).  
ოსებსაც დასაფიცებლად ხშირად ძაღლი, ან კატა ახლდათ;  
სწამდათ, რომ თუ სიცრუეზე „ისულლმერთებდნენ“, ტყუ-  
ლად დაიფიცებდნენ, მათ მიცვალებულს საიქიოში აღნიშ-  
ნული ცხოველები გასტანჯავდნენ. მიცვალებულის სულისა  
და საფლავის ტყუილად დაფიცება, ყველგან დანაშაულად  
ითვლებოდა.

სოფელში მიცვალებულთა წსოვნისადმი უფაქიზესი შეხება იწყებოდა იმ ზარის დარეკვისთანავე, რომელიც თანამემამულის გარდაცვალებას იუწყებოდა. ამ დროს, მინდორ-ველზე სამუშაოდ გასული ხალხი ყოველგვარ საქმეს მიატოვებდა (გარდა მწყემსებისა) და სოფელში ბრუნდებოდა ჭირის გასაზიარებლად. იკრძალებოდა არა მხოლოდ მიწის დამუშავება, არამედ თოფის გასროლა, ყოველგვარი ზეიმი, მათ შორის, დღეობა-დღესასწაულებიც, საერთოდ, ყოველგვარი საქმიანობა. თუშ-ფშავ-ხევსურეთში „მხოლოდ პურის გამოცხობა იყო დაშვებული“ (გიორგაძე 1987:78).

„კრძალვა“ და „აკრძალვა“ შინაარსობრივად ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ტერმინებია, მაგრამ აკრძალვები ამ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს არა იძულებით შეზღუდვებს, არამედ იმდროინდელი საზოგადოებისთვის მისაღებ ნორმას, რომელსაც მოყვასის წსოვნისადმი პატივის ნიშნად ასრულებდნენ. ამავე დროს, მათი წარმოდგენით, მიცვალებულის სულს ზებუნებრივი თვისებები მიეწერებოდა, რაც ცოცხლებში ერთგვარ დაუძლეველ სიკვდილის შიშს იწვევდა. ამიტომ, აკრძალვების, გლოვის წესების განუხრელი შესრულება ამ იდუმალი განცდებისგან დამცავ საშუალებას წარმოადგენდა.

ცნობილია, რომ რიტუალური ღამისთვევები იცოდნენ როგორც მძიმე ავადმყოფთან, ასევე, მიცვალებულთანაც. ავადმყოფთან ღამისთვევისას, ადილეელები და ყაბარდოელები, ღვთაება „თლეფშს“ ჭრილობის შეხორცებასა და ძვლის გამრთელებას შესთხოვდნენ (ანთელავა 2012:180).

მიცვალებულთან ღამისთვევისას (სამეგრელოში, ხევსურეთში, სამცხე-ჯავახეთში), ღამისმთვევები ყურს უგდებდნენ მიცვალებულს, რომელიც ავ და ბოროტ არსებად გადაიქცეოდა და შესაძლოა, ცოცხლებისთვის ევნო (სახოკია

1940:169); სწამდათ, რომ მიცვალებული მაშინ გაბოროტდებოდა, თუ მას „მშიერს“ დატოვებდნენ, ამიტომ არაფერი ისეთი შეურაცხმყოფელი არ იყო მთიელისათვის, როგორც წამოძახება: „იქ, შენს წინაპრებს ეშიმშილოსო“ (პოზიდაევი 1926:97). ამიტომ, მიცვალებულის პატივის მისაგებად, მისი სულის მოსაგონრად, ოსებთან წელიწადში თორმეტჯერ იმართებოდა ჭირის სუფრა (კავკასიის 1960:334). მათი რწმენით, გარდაცვლილის სახელისთვის რაც უფრო მეტად დაიხარჯებოდნენ, მით უფრო კარგად იგრძნობდა თავს იმქვეყნად წასული. ამიტომ, თავისი შთამომავლობის საქციელით კმაყოფილი მიცვალებულის სულს, შეუძლებელია, მათვის ყოველგვარი სიკეთე არ გამოეგზავნა. შესაბამისად, ოსები უკან არაფერზე იხევდნენ, თუნდაც, ამით ცოცხლად დარჩენილებს ეზარალათ (კრასილნიკოვი 1919:48). ქართველებში, მაგალითად, თუშებში, გარდაცვლილის გაწყრომას საღოცავების გაჯავრება ერჩივნათ – „მკვდართ გაჯავრებასავ ხატთ (ჯვართ) გაჯავრება ჯობავ.“ ამიტომ, მიცვალებულს ქართველები არასოდეს ივიწყებდნენ. თავიანთი წასულები ოჯახის ზეციურ მფარველებად ჰყავდათ. „მათ ხელი უნდა მოემართათ საოჯახო საქმიანობაში, თიბგასა და მკაში, ბარაქა მიუცათ საქონლის ნაწველ-ნადლვებისათვის, აეცილებინათ ხიფათი და ავადმყოფობა“ (ოჩიაური 1955:116). ამავე დროს, ჭირისუფალს სწამდა, რომ გარკვეული დროის მანძილზე, მიცვალებულის სული საკუთარ სახლში ცხოვრებას განაგრძობდა და მასზე ისე უნდა ეზრუნათ, როგორც სიცოცხლეში. ამიტომ, გარდაცვლილს ორმოცი დღის მანძილზე ყოველდღე წილს უდებდნენ, უფრო კვირის იმ დღეს, როდესაც გარდაიცვალა, ან დროდადრო, მთელი წლის მანძილზე. მაგალითად, სვანები, მიცვალებულის სულისთვის, წლის განმავლობაში, არაყს, თამბაქოს, საუზმესა და სა-

დილთან ერთად, სახლის ბნელ ადგილას დებდნენ (ჩურ-სინი 1913:164).

ოსების მსგავსად, ინგუშებიც სამი წლის მანძილზე აწყობდნენ მიცვალებულისთვის საპატივცემულო სუფრებს, იცოდნენ შეჯიბრება, დოღი. „როგორი საწყალი ოჯახიც არ უნდა ყოფილიყო 8-10 ცხვარი, ორი მსხვილფეხა – ძროხა ან ხარი უნდა დაეკლა. გვარში უფროსი კაცი ღმერთს შეეხვეწებოდა: „ღმერთო ესენი საიქიოს მიაგებე. ღმერთო იქ ამსახურე, ამეებით ასაზრდოვე იმისი სული“ (მარგოშვილი 1985:53). მიცვალებულის სულის უკვდავსა-ყოფად, ინგუშები სოფელში გზის პირას, წყაროსთან მინიატურული ქვის ორ ნაგებობას აგებდნენ. მას „ჩურთი“ და „სიელინგი“ ეწოდებოდა, ე. წ. „სულის სახლი“, სადაც ყოველწლიურად გვარის საზეიმო შეკრება იმართებოდა. სულის სახლი საგვარეულოს კუთვნილებას წარმოადგენდა (კრუპნოვი 1971:88). საქართველოში მსგავსი ტიპის, მაგრამ განსხვავებული ფუნქციის ნაგებობას აფხაზების „აბა-ყა“ – სულის სახლი წარმოადგენს. ეს არის ოთხ სვეტზე შემდგარი, ისლით, ან ყავრით გადახურული ფარდული, რომელსაც ოთხივე მხარეს სკამ-ლოგინებია განლაგებული. დაგვიანებული მგზავრი ნაგებობას თავს აფარებს და მიცვალებულის სულს შენდობას უთვლის (სახოკია 1950: 314).

ახალშესვენებული მიცვალებულის პატივსაცემად, ყველაზე გავრცელებულია სულის წყარო, რომელსაც ხევსურეთში ერთი თვის მანძილზე აგებდნენ. მათი რწმენით, მიცვალებულს წყალი სჭირდება. სააქაოს წყალი რომ არ დაელოცათ, საიქიოში მიცვალებულს წყალს არ დაალევინებდნენ, ვინაიდან იქ ყველას თავისი წყალი აქვს (ბალიაური, მაკალათია 1940:20). წყალი, როგორც სიცოცხლის მარადიული სიმბოლო, მიცვალებულის უკვდავ სულთანაც

მისტიკურად ფიგურირებს. მაგალითად, ჭირისუფალს საფლავზე მიცვალებულისთვის მისი ოჯახიდან უნდა მიჰქონდეს წყალი; საკურთხზე მარილთან, ღვინოსთან და ზეთთან ერთად საჭიროა წყლის კურთხევა. ნიშანდობლივია, რომ მაპმადიანების დასაკრძალ რიტუალში, წყალს მიცვალებულის განბანის შემდეგ, მოლა რამდენჯერმე ასხურებს პირში, რომ მწყურვალს წყლის დალევის ცდუნებით, რწმენა არ შეეცვალოს (ომარაშვილი 2008:280).

მიცვალებულის გლოვისა და დაკრძალვის წესებში ადამიანთა რწმენა-წარმოდგენები იმდენად სინთეზურია, რომ რელიგიური დოგმატების მიხედვით, მათი პირველადობისა და ნასესხობის დადგენა თთოქმის შეუძლებელია. ცნობილია, რომ სულიერ კულტურას ყველაზე მეტად ახასიათებს სხვადასხვა ხალხის კულტურათა ურთიერთგავლენა და მემკვიდრეობითობა განვითარებაში (ფილოსოფიური 1987:296).

სამგლოვიარო წესების მთავარ ელემენტს დატირება წარმოადგენს. პატივისცემის ერთ-ერთი სახე გარდაცვლილის გულწრფელი დატირებაა. ამიტომ, ხანშიშესული ადამიანები ახალგაზრდებს სიყვარულით შეაგონებენ ხოლმე, ჩემი დამტირებელი ხარო, ან კიდევ, შენ უნდა მიტირო, სიკვდილი გამილამაზოო. სამეგრელოში მოარული გამოთქმაც არსებობს, „ცალი ხელით სატირელიო“, ე. ი. იმის ღირსი არ არის, რომ სიკვდილის შემდეგ, ორი ხელით, ან ერთგულად დაიტიროს კაცმა (სახოკია 19 40:170). „დატირება, ტყება, გოდება, მოთქმა“ მიცვალებულის პირად ნივთებთან იცოდნენ. მაგალითად, ტანსაცმელთან, საშინაო, თუ საბრძოლო იარაღებთან. ქართველებისა და ინგუშების რწმენით, გარდაცვლილის ტანსაცმელი სულის დროებით საცხოვრებლად და მის საუკეთესო მოსაგონრად ითვლებოდა. შესაბამისად, გავრცელდა გარდაცვლილის ტანსაც-

მელთან, ე. წ. ნიშანთან დატირების, გამოთხოვების ჩვეულება. ყაბარდოელები და ოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საფლავში საპრძოლო იარაღის მინიატურული მოდელების ჩატანებას. ცნობილია, რომ ძველად, გარდაცვლილს მის ქვრივს, ცხენსა და მსახურებსაც მსხვერპლად სწირავდნენ. კავკასიაში ამ ჩვეულების ტრანსფორმირებულ სახედ ცხენის კუდის, ან ყურის მოკვეთა გვევლინება. აგრეთვე, ქვრივი მხოლოდ მიიწევს თავისი მიცვალებული ქმრის საფლავში ჩასავარდნად და სიმბოლურად აჩვენებს დამსწრეებს, რომ მასთან ერთად, ცოცხლად უნდა დამარხვა (სახოკია 1940:178). უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ცოლის მიერ თმების შეჭრა და გარდაცვლილი ქმრისთვის სამარეში ჩაყოლება. თმას, ცხადია იდუმალი მნიშვნელობა ენიჭება. გლოვის ნიშნად, თმისა და წვერის მოშვება ძველად წლამდე სცოდნიათ. მოგვიანებით, ორმოცამდე გახდა დასაშვები. აფხაზთა რწმენით, თითქოს თმები მიცვალებულთა სულებს საიქიოში გრილ ჩრდილს უქმნიდნენ (ანთელავა 2012:182). გარკვეული მოსაზრებით, თმების შეჭრა უმნიშვნელო მიზეზით დაუშვებელია, განსაცდელს, ან ხიფათს იზიდავს.

სიკვდილის საიდუმლოებას მრავალი აუხსნელი რამა ახლავს, ამიტომ ნუგეშად არა მარტო გლოვა დააწესეს ჩვენმა წინაპრებმა, არამედ სამგლოვიარო მელოდიებიც შექმნეს (ჯიოევი 1985:64). მაგალითად, „ხმით ნატირალთა“-ს თიბვის დროს შესრულება ის საწესო მოქმედებაა, რომელიც გარდაცვლილთა სულების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად იყო მიმართული. საერთოდ, გლოვის აღმნიშვნელი სიტყვების უმრავლესობა – „მოთქმა, დატირება, გოდება, ტყება, ხმით ნატირალი, მკვდრის ლექსი, გლოვის მგოსანი, დალაობა უძველესი ხანიდან მომდინარეობს, რაც ამ ტრადიციის სიძველეს მოწმობს“ (სულაბერიძე

2001:103). აგრეთვე, მიცვალებულის სულის კეთილგან-წყობის მოსაპოვებლად იმართებოდა ყაბახი, დოღი და ნიშანში სროლა. გარდაცვლილის მოსაგონრად გამართული აღნიშნული შეჯიბრებები გამართლებულია თავისი დანიშნულებით. მიცვალებულის იმქვეყნიური კეთილდღეობისათვის დოღის გამართვა მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, აფხაზეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში იცოდნენ. დოღში დაწინაურებულ მხედრებს განსვენებულის პირადი ნივთებით აჯილდოებდნენ.

ტრადიციების აღიარებით ადამიანი იზიარებს იმ საზოგადოების, იმ ხალხის კულტურას, რომლის ნაწილიც თავად არის. ტრადიციისამებრ მოქცევით, ადამიანი პატივს სცემს თავის წინაპრებს, რომელთაც ეს ტრადიციები შექმნეს და თანამედროვეებს, რომლებსაც თავად ეპუთვნის (ჯიოვე 1985:58).

გლოვისა და დაკრძალვის წესები, ბუნებრივად გარდაცვლილსა და ტრაგიკულად დაღუპულებში რამდენადმე განსხვავებული იყო. მაგალითად, აღიღელებებში სწამდათ, რომ მეხით გარდაცვლილი ადამიანი წმინდანია. მას კუბოში ათავსებდნენ და მაღალ ხეზე კიდებდნენ. სანამ ცხედარი არ გაიხრწნებოდა რიტუალურ პურობას მართავდნენ (ისტორია 1988:235). ზოგადად, კავკასიის ხალხთა წესჩევეულებების მიხედვით, მეხდაცემული ადამიანის სამგლოვიარო პროცესია ერთმანეთის მსგავსია, ვინაიდან ასე გარდაცვლილს სამოთხის ბინადრად წარმოიდგენენ. სახელდობრ, ხევსურეთში დაცული თქმულების მიხედვით, მეხილმერთმა ეშმაკებთან საომრად დაადგინა. ლმერთს ჰკითხეს: როცა ეშმაკს მოკლავ მეხით, შემთხვევით ადამიანი რომ მოჰყვეს რა უუყოთ, სად წავიყვანოთ მისი სულიო. მაშინ ლმერთს უთქვამს: „მეხნაკრავი ჩვენს სასუფეველში დავაყენოთ და კარგი ადგილი მივცეთ სამყოფელადო. ამიტომ

ვინც მეხნაკრავი მოკვდებოდა, ის „სულეთს“ ბეჭნიერი იყო“ (ბალიაური, მაკალათია 1940:53).

წყალში დამხრჩვალის, კლდიდან გადავარდნილის, თუ უცხო მხარეში გარდაცვლილის სულის თავის ცხედართან მოყვანას, უძველესი რწმენა-წარმოდგენა უდევს საფუძვლად. ამ დიდ საიდუმლოს სვანები, მეგრელები და აფხაზები ჩვეული გულმოდგინებით, ზოგან დღემდე ასრულებენ. ს. მაკალათიას ცნობით, თუშეთში წყალში, ან ზვავში დაღუპული ადამიანის სულის მოსაყვანად ხევსურეთიდან იბარებენ კარატელ დეკანზე, რომელიც თავისი დროშით გადმოდის (მაკალათია 1933:180). ანალოგიურ წესს მისდევდენენ უცხო მხარეში გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნის პატივსაცემად და უკვდავსაყოფად. თუ მიცვალებულის მშობლიურ მხარეში წამოსვენება შეუძლებელი იყო, მას თავიანთ საგვარეულო სასაფლაოზე სამარეს მაინც გაუთხრიდნენ, შიგ დანას, ან ლითონის რაიმე ნატეხს ჩაატანდნენ და ზედ ქვას დაადებენ (მაკალათია 1930:126). ხევსურეთში ასეთ მიცვალებულს ტაბლას უდგამდნენ და ამის შემდეგ, მას თავის „საფლავ-სამარეში წილი ედვა“. ასე თუ არ მოიქცეოდნენ, ეს ოჯახისთვის დიდ უბედურებად ითვლებოდა (ბალიაური, მაკალათია 1940:54).

გარდაცვლილი ადამიანის სახელზე გაშლილი ჭირის სუფრა და შენდობის თქმა, თუ როგორი აუცილებელი იყო, ამაზე მეტყველებს ბოლო დრომდე შემორჩენილი ე. წ. „თვითდამარხვა“, რაც დაკრძალვის იმიტაციას წარმოადგენს. სახელდობრ, ქისტები — მუსულმანები და ქრისტიანები — ქართველები (თუშები, ხევსურები, მეგრელები), უშვილობის, უთვისტომობის შემთხვევაში, საკუთარ თავს სიცოცხლეშივე უმართავდნენ ქელებს. „როცა გარდაიცვლებოდა, წლის მიცვალებულის რიგი აღარ უნდოდა“ (მარგოშვილი 1985:53). „თვითდამარხვის“ შემთხვევაში,

დატირება ყველა წესის დაცვით სრულდებოდა. თავად „გარდაცვლილი“ რიგის ტაბლას არ მიეკარებოდა, ვინაიდან ნაკურთხია. დანარჩენი სარიტუალო ნაწილი – დოლი, ყაბაზი, ცხენოსნების დასაჩუქრება და სხვა, წესის მიხედვით სრულდებოდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიცვალებულთა გლოვისა და დაკრძალვის წესები წინარექრისტიანული და ქრისტიანული შეხედულებების სინთეზს წარმოადგენს. ადამიანებს ყოველთვის სჯეროდათ, რომ გარდაცვლილის სული განაგრძობდა ცხოვრებას, ამიტომ სიკვდილი დრამატულად არ განიცდებოდა. მთავარი იყო სიცოცხლის საზრისის პოვნა, საკუთარი არსებობის გამართლება, მაღალი იდეალებისთვის სიცოცხლის გაწირვა, რომ ამაყად წარმოეთქვა – „ცოცხლად ხალხს ვემსახურები/მოვაკვდები ხალხი დამმარხავს“, ან კიდევ – „წუთისოფელი აგრეა/ჩვენ წაგალთ და სხვა დარჩება“ (ჩოხელი 1973:147). ასე რეალურად უყურებდა ქართველი კაცი სიცოცხლის დასასრულს, მაგრამ უზადოდ ასრულებდა ყველა იმ წესს, ნიუანსს, რაც სიკვდილს სიცოცხლეზე ძალაუფლებას დააკარგვინებდა. მაგალითად, მიცვალებულის გამოსვენებისას ზოგან ფანჯრებს ამსხვრევდნენ (გურია, აფხაზეთი), ან ღობეს არღვევდნენ, რომ სახლი, საცხოვრებელი სიკვდილის ბოროტებისგან გაეწინდათ (ჩურსინი 1913:161). ამავე მიზნით, სასაფლაოდან გამობრუნებული ჭირისუფალი ხელ-პირს იძანდა, რომ ცრემლი სახლში არ შეჰყოლოდა და ა. შ. ცხადია, ადამიანები ერთდროულად ზრუნავენ, როგორც მიცვალებულის კულტზე, ისე საკუთარი სიცოცხლის დასაზღვევად. მათ სწამთ, თუ ტრადიციულ ნარატივებს დაარღვევენ, ეს მათივე ოჯახებს სიკეთეს არ მოუტანს. ბოლომდე გულწრფელად ცდილობენ პასუხისმგებლობისა და პატივის მიგების წმინდა ადამიანური ვალის

აღსრულებას. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში და სხვა-  
განაც, მიცვალებულის კუპოს ფიცრის ნარჩენებს ინა-  
ხავდნენ, რომ დასაფლავების პირველ სამ დღეს, მეშვიდე  
დღემდე საფლავთან ცეცხლი დაენთოთ, რომ ნადირი  
ახალშესვენებულის საფლავს არ გაჰქარებოდა (ზოსიტა-  
შვილი 1983:99).

ცალკე თემას წარმოადგენს მიცვალებულთა „ქვაყუ-  
თებში“, მიწის ქვეშ, ნახევრად მიწისქვეშა და მიწისზედა  
აკლდამებში დაკრძალვის წესები. მნელი სათქმელია, რო-  
დის და რა ტრადიცია დაედო საფუძვლად მათ წარმოშო-  
ბას. ერთ-ერთი მიზეზი ეპიდემიური დაავადება შეიძლება  
ყოფილიყო, რომელიც არაერთხელ დაატყდა თავს ჩრდი-  
ლოკავკასიას (კობიჩევი 1982:183), ან კიდევ, მიწის სიმცი-  
რე და ნახევრადმომთაბარე ცხოვრების წესი. აკლდამები  
(ხევსურებისთვის „ეკალდამა“, თუშებისთვის „კალამი“)  
განსაკუთრებით ბევრია პირიქითა ხევსურეთში (ანატორი),  
თუშეთში, სოფელ დართლოში, გუდამთაში, სოფელ წარო-  
ში. ქვითკირის ნაგებობები თაღიან პატარა ოთახს წარმო-  
ადგენს. ს. წაროს ზოგიერთ აკლდამას მიცვალებულის და-  
სასვენებელი თაროც აქვს ორ სართულად გამართული  
(მაკალათია 1933:128). საკულტო ნაგებობის აღნიშნული  
ვარიანტი, საქართველოდან გავრცელდა ჩრდილო კავკასი-  
აში, თუ პირიქით, ზუსტად არავინ იცის. „ცხადია, რომ  
საქმე გვაქვს ამ ორი რეგიონის მატერიალური კულტურის  
მეტ-ნაკლებად ურთიერთშედწევასთან, ოღონდ ქართული  
კულტურის ჭარბი შეღწევით“ (შავხელიშვილი 1980:81).

ოსეთში, ჩეჩენთ-ინგუშეთში აკლდამები მთის პეზაჟის  
განუყრელ ნაწილს, მათ ბუნებრივ გაგრძელებას წარმოად-  
გენენ. ჩრდილო ოსეთში, დარგვისს, აკლდამების გამო,  
„მკვდრების ქალაქს“ უწოდებენ. „ვაინახები აკლდამებს,  
რომლებიც ზეცისკენ მიისწრაფიან, მათი სიმაღლე 5-7 მ.

შეადგენს, „მალვაშს“ – მზიან საფლავებს ეძახიან“ (ვაინა-ხების 1960:15). მთიან ინგუშეთში მიწისქვეშა და ნახევრად მიწისქვეშა აკლდამები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება. ისინი ქვითკირით იგებოდა და გადახურული იყო. აკლდამაში შედიოდა ოთხკუთხა ხვრელი. უკანა კედელში დატანებული იყო ნიშები, სადაც ინახავდნენ ჭურჭელს და წვრილმან ნივთებს. მიცვალებულს კარგი ტანსაცმლითა და სამკაულებით, ათავსებდნენ ფიცრის, ან ფიქლის თაროზე. აკლდამაში დებდნენ საოჯახო ნივთებს, შრომისა და საბრძოლო იარაღებს (შავხელიშვილი 1980:110). საოჯახო-საგვარეულო აკლდამები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ მთიელთა რწმენით, საიქიო მიწიერი ცხოვრების გაგრძელებაა, ოღონდ განსხვავებულ პირობებსა და განზომილებაში. დაკრძალვის აღნიშნულ სახეობას, წინაპრის კულტის თაყვანისცემა ედო საფუძვლად. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გარდაცვლილი ახლობლები და ნათესავები ერთად იყრიდნენ თავს და საგვარეულო აკლდამაში დასაფლავება XX საუკუნის 20-იან წლებშიც ნეტარებად, მიღწევად ითვლებოდა (პოჟიდაევი 1926:94).

აღსანიშნავია ისიც, რომ სასაფლაოების გვარებისა და პატრონომიული ნიშნის მიხედვით დაყოფა, იმქვეყნად გადასული სულების ნათესაურ ურთიერთობაზე მიანიშნებდა, რომელიც მიწაზე იწყებოდა და მარადისობაში, უსასრულოდ გრძელდებოდა.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

ალექსიძე 2005 – ალექსიძე ზ., ქრისტიანული კავკასია, თბ., 2005.

ანთელავა 2012 – ანთელავა ნ., აფხაზური მითები და რიტუალები, თბ., 2012.

ბატონიშვილი 1973 – ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

ბალიაური, მაკალათია 1940 – ბალიაური მ., მაკალათია ნ., მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, III, თბ., 1940.

ბოჭორიშვილი 2000 – ბოჭორიშვილი ლ., სიკვდილის ფენომენის კულტუროლოგიური ანალიზი, კრ., ფილოსოფია, კულტურა ისტორია, თბ., 2000.

გიორგაძე 1987 – გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987.

დონინი 1965 – დონინი ა., ადამიანები, კერპები და ღმერ-თები, თბ., 1965.

გაინახების 1969 – , .., 1969.

ისტორია 1988 –

XVII .., .., 1988.

კავკასიის 1960 – , .. II, .., 1966.

კრასილნიკოვი 1919 – ..  
, .., 1919.

კრუპნოვი 1971 – ..  
, .., 1971.

კობიჩევი 1982 – ..  
, .., 1982.

კიკნაძე 1996 – კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, I, თბ., 1996.

მაკალათია 1933 – მაკალათია ს., თუშეთი, ტფ., 1933.

- მაკალათია 1935 – მაკალათია ს., ხევსურეთი, ტფ., 1935.
- მაკალათია 1930 – მაკალათია ს., მოიულეთი, ტფ., 1930.
- მარგოშვილი 1985 – მარგოშვილი ლ., პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებანი, თბ., 1985.
- ომარაშვილი 2008 – ომარაშვილი ნ., კახეთში მცხოვრები დაღესტნელები, თბ., 2008.
- ოჩიაური 1995 – ოჩიაური თ., ხევსურეთი და ხევსურები, თბ., 1955.
- პოჟიდაევი 1926 – ..  
„ .., 1926.
- სახოკია 1950 – სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1950.
- სახოკია 1940 – სახოკია თ., მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბ., 1940.
- სულაბერიძე 2001 – სულაბერიძე გ., გლოვის რიტუალი და დატირება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, უურნ. „მნათობი“, 9-10, თბ., 2001.
- უზნაძე 1984 – უზნაძე დ., ფილოსოფიური შრომები, თბ., 1984.
- ფილოსოფიური 1987 – ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987.
- ჩოხელი 1973 – ჩოხელი ს., სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებისათვის ქართულ პოეტურ ფოლკლორში, უურნ. „მნათობი“, 7, 1973.
- ჩურსინი 1913 – ..  
„ .., 1913.
- შავხელიშვილი 1980 – შავხელიშვილი ა., საქართველო-ჩეჩენეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს., თბ., 1980.
- ჯიოევი 1985 – ჯიოევი ო., კულტურა და ადამიანის ცხოვრება, თბ., 1985.

წოსიტაშვილი 1983 — წოსიტაშვილი ს., ქორწინებისა და  
მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში, თბ.,  
1983.

# **HONOR FOR DEAD PEOPLE IN TRADITIONAL LIFE OF GEORGIANS AND NORTH CAUCASIANS**

## **Summary**

This work reviews archaic imaginations and traditional elements of mourning and burial of dead people in life of Georgians and North Caucasians. Mourning of the dead people established the cult of the ancestors in traditional culture of Caucasians. It represents synthesis of pre-Christian and Christian views. Spreading of Islam changed idolizing of the soul on its way.

This piece of work differentiate rules and forms of mourning, feasts related with forgiveness and other facts of naturally or tragically dead people. Caring for the immortality of the soul prepares people for finding meaning of their life, justifying their existence and dignified death.

**სამებრელოს საზოგადოებრივი ყოფის  
ზოგიერთი საპითხი  
XVIII საუკუნის II ნახევარში  
(მოგზაურ გ. ზურგას ჩანაწერების მიხედვით)**

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის საქმეში მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, გვიან შუა საუკუნეების უცხოელ მოგზაურთა და მისიონერთა ნაშრომები. ცნობილია, რომ მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც XVII საუკუნეში მთელი გულმოდგინებით სწავლობდნენ რეგიონის ამა თუ იმ სოციალურ-კულტურულ პარამეტრებს. ამ პერიოდის მისიონერული მოღვაწეობა ევროპელთა აღმოსავლური ექსპანსიის აღმავლობას ემთხვევა და მათ ინტერესებს ისახავდა მიზნად. საქართველოსადმი, როგორც სტრატეგიული სამეურნეო-ეკონომიკური და სავაჭრო-სატრანზიტო შესაძლებლობების მქონე ქვეყნისადმი ინტერესი მოგვიანებით კიდევ უფრო გაიზარდა, რაც XVIII ს-ში გამოიხატა ცარიზმის ადმინისტრაციის მიერ კავკასიაში საგანგებოდ დაგევმილ და განხორციელებულ რუსი აკადემიკოსების სამეცნიერო-დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციებსა და სამხედრო-დიპლომატიურ მისიებში. ესენი გახლდათ: სამუელ გმელინი, იოჰან გიულდენშტედტი, პეტრე პალასი, ალექსანდრე იაკოვლევი, სტეფანე ბურნაშვილი და ა. შ. „აღნიშვნულ მოგზაურ-მკულევართა, დიპლომატთა, ცარიზმის აპარატის მოხელეთა თუ ახალდაპყრობილი ქვეყნების მონახულების რომანტიკული ხიბლით შეპყრობილი საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებსა და ჩანაწერებში, გარკვეულ პოლიტიკურ დაკვეთებთან ერთად, უხვი და მრავალფეროვანი ცნობებია დაცული ადგილობრივ ხალხთა ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტებზე“ [8, 121].

კათოლიკე მისიონერებმა თავიანთი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, იმდენად სრულყოფილად აღწერეს სამეგრელოს სოციალურ-კულტურული ვთარება, რომ თამამად შეიძლება განზოგადდეს XVIII საუკუნესა და შემდგომ პერიოდზე, თუმცა აღნიშნულ ეპოქას თავისი გამორჩეული წარმომადგენლები ჰყავს. სახელდობრ, იოპან გიულდენშტედტი და იაკობ რაინეგსი, რომლებიც უფრო საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში მიმდინარე პროცესებს ადევნებდნენ თვალს, ხოლო დასავლეთი რეგიონები მათი ინტერესის მიღმა დარჩა. ი. გიულდენშტედტის ცნობით, სამეგრელოში მის მოგზაურობას ხელი შეუშალა მთავარ კაცია დადიანის რუსეთისადმი არაკეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ. „ამასთან მისი მიწები უფრო უკეთ არ იყო უზრუნველყოფილი მეზობელთა ძარცვისა და თავდასხმებისაგან, ვიდრე ორივე ქართველი მეფის ქვეყნები... ქვეყნის ბატონის განსაკუთრებული დაცვის და ამაღლის გარეშე აქ მოგზაურობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო“ [1, 319].

XVIII საუკუნის წყაროთა ძუნწ მონაცემებში, არსებული ხარვეზი შეიძლება შეივსოს მოგზაურ ვასილია ზუევას ჩანაწერებით, რომელიც 1777 წლით თარიღდება. იგი ბევრს სესხულობს მისი წინამორბედი შარდენისაგან, მაგრამ საკუთარი დაკვირვებებიც აქვს.

განსახილველ პერიოდში, სამეგრელო პოლიტიკურად უკიდურესად რთულ ძღვომარეობაში იმყოფებოდა. გარეშე მტრის დაპყრობა-ძალადობას თან სდევდა შინაფეოდალური თავდასხმები და ტყვეთა გაყიდვის ბარბაროსული პროცესი. დატყვევება და უცხოეთში გაყიდვა ემუქრებოდა სოციალური კატეგორიის თითქმის ყველა წარმომადგენელს. ცხადია, მოიშალა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები, შევიწროვდა ქრისტიანული რელიგია, ე. ი. რჯულის მსახურება გამნელდა; მოსახლეობის სოციალური პროტესტის

ფორმაშ, აყრა-გადასახლებამ ფართო ხასიათი მიიღო. მხარის ასეთი გავერანების ძირითადი მიზეზი, თურქების მოძალება იყო, მაგრამ მოსახლეობის ბლიერი ანტიურქული განწყობილების გამო, „თურქთის მთავრობას დასავლეთ საქართველოში ვასალური მორჩილების დამამტკიცებელ პირობად, მოსახლეობის გამაჰმადიანება არ მოუთხოვია“ [10, 482].

მოგზაურ ვ. ზუევას ჩანაწერებში ყველაზე შემზარავი ტყვედ ჩავარდნილი ადამიანების გასაყიდი ფასებია, რომლებიც იმდენად დაბალი იყო, ცხენის ფასსაც კი ჩამოუვარდებოდა. მოგზაურის აზრით, ტყვის ასეთი სიაფე გამოწვეულია იმით, რომ გამყიდველი ცდილობს სწრაფად მოიშოროს არასასურველი „სავაჭრო საქონელი“ [11, 237-238]. მიმოქცევაში ამ დროს თურქული ფულის ერთეული იყო, „სხვა ფულს დადიანი არ სჭრიდა“ [1, 321]. ვაჭრობის საგანს აგრეთვე წარმოადგენდა აბრეშუმი, ბამბა, ტყავეული, ხე-ტყე, თაფლი, ცვილი და მისთანა. ვაჭრობა ისეთი ფართო მასშტაბით არ იყო გავრცელებული, რომ მოსახლეობა სოციალური კრიზისიდან გამოეყვანა. შეიძლება ითქვას, მას მხოლოდ სეზონური ხასიათი ჰქონდა. კერძოდ, „აბრეშუმი, მოიწვედნენ რა ივნისსა და ივლისში; აბრეშუმის ნაქსოვი – შემოდგომაზე; ბეწვეულობა ზამთარში, სიმინდი გაზაფხულზე, ღომი და თამბაქო ზამთარში, სანთელი – მარტში“ [4, 148]. XVIII ს-ში, სიმინდი და თამბაქოს კულტურა ჯერ კიდევ არ იყო სამეგრელოში შემოსული; ზემოთ აღნიშნული გვიანდელ სურათს ასახავს, ხოლო ვ. ზუევას დროს, მეგრელების ძირითადი საკვები ღომი (იგივე ღომის ღომი) და ლობიო იყო, ზამთარში – ხორცეული, ჩვეულებრივ საქონლისა და ღორის ხორცით ინახავდნენ თავს, ხოლო მარხვის პერიოდში შებოლილი თევზითა და ხიზილალით იკვებებოდნენ [11, 233].

ნიშანდობლივია, ვ. ზუევას თანამედროვე ი. რაინეგსის შენიშვნა, რომ მეგრელებისთვის უცხო იყო ვაჭრობა, ნაოსნობა და თევზჭერა [5; 122]. ი. რაინეგსის ცნობას, ამ შემთხვევაში, ობიექტურად უნდა შევხედოთ, ვინაიდან ვაჭრობა მაშინ მთლიანად თურქთა ხელში იყო მოქცეული. სახმელეთო გზებზეც სულ უფრო ხშირად თურქი ვაჭრები ჩანდნენ, რომლებსაც შემოქონდათ იარაღი, მშვილდ-ისრები, ცხენის აღკაზმულობა, თავსაფრები, სუფრები, სპილენძი და რკინა [6, 34].

გაუთავებელ შინაფეოდალურ ომებში ჩაბმული მოსახლეობისათვის, იარაღი და საბრძოლო აღჭურვილობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. ვ. ზუევას მიხედვით, ამ ხანებში ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ იყენებდნენ. სამაგიეროდ, შუბის ხმარებაში იყვნენ დაოსტატებულნი. მათ შეიარაღებას მშვილდ-ისარი, ხმალი და დიდი ჯოხი — კომბალი წარმოადგენდა [11, 230]. მშვილდ-ისარი საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული სასროლი იარაღია, რომლის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიდნენ ბავშვებს, რომლებიც, „ისე კარგად ეუფლებოდნენ მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი აზვედრებდნენ ისარს“ [9, 119]. ამგვარი წვრთნის შემდეგ, არავის გაუკვირდება მამაკაცების კარგ მხედრებად და მეომრებად ჩამოყალიბება, რომლებიც მაღალ საბრძოლო ხელოვნებას ფლობდნენ. სამწუხაროდ, ეს მეომრული სულისკვეთება შინაფეოდალურ ომებს ეწირებოდა. თავადები შეიარაღებული ჯარით თავს ესხმოდნენ ერთმანეთს. სახლს, მინდვრებს — ყველაფერს არბევდნენ, წვავდნენ და სპოდლნენ. ვ. ზუევას ცნობით, მოსალოდნელი ძარცვა-რბევის შესახებ, ერთმანეთს წინასწარ არ აფრთხილებდნენ. მათი ურთიერთთარები ერთ კვირას გრძელდებოდა. ტყვედჩავარდნილ ქალებსა და ბავშვებს თურქებზე ჰყიდდნენ, ხოლო

მამაკაცებსა და საქონელს ადგილზე ხოცავდნენ [11, 229]. ჟ. შარდენის მიხედვით, მეგრელებისა და მათი მეზობლების ომები არსებოთად, თავდასხმასა და ძარცვას წარმოადგენდა, რომელიც ხანგრძლივი არ იყო და ნახევარ თვეში ყველაფერი მთავრდებოდა. „ტყვეები რაც შეიძლება მეტი მიჰყავთ. თუ მხედარი გადმოაგდეს უნაგირიდან, მაშინვე ჩამოხტებიან ცხენიდან, დამარცხებულს შებოჭავენ იმ თოკით, რომელსაც ქამარზე ატარებენ და საკუთარ მხლებელს მიაბარებენ ხოლმე. შეპყრობილის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე დამტყვევებლის ხელთაა, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია მოექცეს. მას ჩვეულებრივ ტყვედ აქცევს და შემდევ თურქებს მიჰყიდის“ [9, 126].

ადვილი წარმოსადგენია სასამართლო პროცესი და სამართლის წარმოების დონე. ამის შესახებ მოგზაურ-მისიონერთა ნაშრომებში ისედაც მცირეოდენი ცნობები გვხვდება, გინაიდან იმდროინდელი მძიმე საშინაო და საგარეო პირობების გამო, კლასობრივ ურთიერთობათა მოწესრიგება ფეოდალური სამართლის ნორმების მიხედვით იშვიათად ხდებოდა. ფაქტობრივად, აშგარა ძალმომრეობა ბატონობდა [10; 483]. ჩვენთვის საკვლევ პერიოდში, ვახტანგის კანონი დიდი ხნის შემოღებული უნდა ყოფილიყო სამეგრელოში, დაახლოებით 1744 წელს, ოტია დადიანის დროს [4, 125]. თუმცა, სამეგრელოს მთავარი თავის სამთავროში სამართალს, რომელიც მაინცადამაინც ლმობიერებით არ გამოირჩეოდა, თავად აწარმოებდა. საქმე იმაშია, რომ მთავარ დადიანს განუზომელი უფლება პქონდა თავის ქვეშევრდომებზე, როგორც იტყვიან მათ სიკვდილ-სიცოცხლეზე, ისევე როგორც აზნაურებს თავიანთ მამულებში. ასეთი მმართველობა, რომელიც არ ეყრდნობოდა მტკიცე კანონმდებლობას, ქვეშევრდომებს საცოდავი პირუტყვის მდგომარეობაში აგდებდა; აუტანელ სიტუაციას გაქცევით თუ დააღწევდნენ

თავს [9, 227]. გარდა ოფიციალური გადასახადებისა, გლეხი ვალდებული იყო ყოველწლიურად რამდენიმე ღლე შეენახა თავისი ბატონი, რომელიც მრავალრიცხოვანი ამალით (ქალები, ბავშვები, მოსამსახურები, სტუმრები) მოგზაურობდა და მთელი წლის მანძილზე ადგილიდან ადგილზე გადადიოდა. ბარგი ცხენოსნებს მიჰქონდათ [11, 227]. შარდენის ცნობით კი, ტვირთი მიჰქონდათ ქვეითად მავალ მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც ნახევრად შეიშველი, თავზე და მხრებზე მოდებული ბარგით, სირბილით მისდევდნენ მათ [9, 117]. სწორედ ამგვარი მოგზაურობისას, დადიანი გზადაგზა არჩევდა სადავო საკითხებს და ადგენდა სამართალს. ხალხით გარშემორტყმული მთავარი მუდმივად მზად იყო, რომ სადავო საქმე სიტყვიერად გაერჩია. „მეგრელები ბეჭნიერები არიან იმით, რომ მათი მთავარი ყოველთვის და ყოველგან მზად არის მოისმინოს საჩივარი და მოუძებნოს წამალი თავის ქვეშევრდომთა საჭიროებას. გინდ თათბირობდეს და გინდ პურის ჭამად იჯდეს, თუნდაც ცხენით სეირნობდეს ან ნადირობდეს, მთავარი ყოველთვის მოისმენს საქმეს და შესაფერის განჩინებას დასდებს“ [3, 78]. იმდროინდელი სამეგრელოს მოსახლეობა მთავრის სამართლის წარმოების პრინციპით, როგორც ჩანს, უკმაყოფილო არ ყოფილა და რუსი მოხელეების მტკიცება იმის შესახებ, რომ სამეგრელოში რუსეთის შემოსვლამდე არავითარი სასამართლო ინსტიტუტები არ არსებობდა არ შეეფერება სინამდვილეს [7, 38]. საჩივრის წარდგენის მარტივი წესი არსებობდა. კერძოდ, მომჩივანი დგებოდა შუა გზაში, მთავრის პირისპირ და როდესაც იგი მას მიუახლოვდებოდა, მომჩივანი და მისი თანმხლებნი მაშინვე იწყებდნენ ხმამაღალ ყვირილს. ისინი ზეცისკენ ხელაპყრობილნი ოხრავდნენ, ჯოხებს ურტყამდნენ მიწას. ორივე მხარე ცდილობდა, ერთიმანეთისთვის გადაეჭარბე-

ბინა. მთავარს საბოლოო გადაწყვეტილება გამოჰქონდა. ყოველივე ეს ხდებოდა გზადაგზა, რაღაც მთავარი არ ჩერდებოდა, მაგრამ „მიღიოდა ძალიან ნელა, რომ ადვილად მისდიონ მას“. სხვადასხვა ბატონის გლეხების დავა წყდებოდა მათივე ბატონების მიერ ზემოაღნიშნული წე-სით... თვით ბატონებს შორის დავას ძალა წყვეტდა. იმარ-ჯვებდა ის, ვინც უფრო ძლიერი იყო. თუ მთავრამდე მიაღწევდა მომჩივანთა საჩივარი, მას დადიანისადმი მირ-თმეული საჩუქრებით გამოისყიდიდნენ და გამოასწორებდნენ [9, 118; 11, 228].

ამდენად, სამეგრელოს სამთავროში უმაღლეს მსა-ჯულს მთავარი წარმოადგენდა, რომელიც ყოველწლიური მოგზაურობის დროს, აწარმოებდა სადაც საკითხების გარიგებას. მეგრელები თვლიდნენ, რომ ფეხით მოსიარულე ამალა, რომელიც ახლდა, ამ შემთხვევაში, მთავარ და-ლიანს, უფრო სანაქებო იყო, ვიდრე ცხენოსანი მხლებლები. მეგრელები ძალზე მამაცი ცხენოსნები იყვნენ, რაც მათ ერთადერთ სასახელო საქმიანობად მიაჩნდა ო. რაინეგსის. მოგზაურის ცნობით, „ცხოვრობდნენ რა ძალზე რბილ ჰა-ვიან და უნაყოფიერეს ნიადაგიან მხარეში, რომელსაც უწვალებლადაც კი ჭარბად მოჰქონდა ყველა საჭირო და აუცილებელი რამ ცხოვრებისათვის, მიჩვეულნი იყვნენ უდარდელობასა და უსაქმეურობას“ [5, 122]. ქართველები, რომლებსაც მიწის მუშაკობა (დამუშავება) კეთილშობილურ საქმედ მიაჩნდათ, ოფლით მოპოვებული ნაშრომ-ნაღვაწით ირჩენდნენ თავს და მცირედითაც კმაყოფილნი იყვნენ. იძ-ლონინდელი საშინაო და საგარეო ვითარება, მწარმოებელ მოსახლეობას მეტ გასაქანს არ აძლევდა. ო. რაინეგსის ცნობები წინააღმდეგობაში მოდის ვ. ზუევას ჩანაწერებთან: სახელდობრ, ვ. ზუევას მიხედვით, მეაბრეშუმეობასა და ბამბის კულტურის მოყვანას აქტიურად მისდევდნენ [11,

226], ხოლო ი. რაინეგსი წერდა, რომ აბრეშუმის წარმოება ამ ქვეყანაში ძალზე შემოსავლიანი და აყვავებული იქნებოდა, მაგრამ ის არის მხოლოდ უსაქმური თავადის ქალებისა და ზარმაცი აზნაურის ცოლების საქმიანობა, ამდენად, არა აქვს დიდი სარგებელი [5, 123]. ერთადერთი, რაშიც აღნიშნული მოგზაურები თანხმდებოდნენ, ის იყო, რომ მეგრელები დიდად მორწმუნე ქრისტიანები არიან. საქმე იმაშია, რომ მაპმადიანური აგრესის გარემოცვაში მყოფი მოსახლეობა განსაკუთრებულად ცდილობდა ქრისტიანული რჯულის დაცვასა და მსახურებას. თუმცა, ხშირად დამახინჯებული ფორმით ასრულებდნენ. შესაძლებელია, ზოგიერთი ავანტიურისტული ბუნების მქონე მოგზაური, სარწმუნოებრივ პრინციპებს განგებ აუფერულებდა, მაგრამ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, რჯულისადმი ერთგულებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა.

მოსახლეობის სარწმუნოებრივი ყოფის შესახებ წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ქორწინებისა და დაკრძალვის წესებს უნდა შევეხოთ. ვ. ზუევას ცნობით, დაკრძალვისა და გლოვის რიტუალი რელიგიური წესების სრული დაცვით მიმდინარეობდა. კერძოდ, განსვენებულს გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს კრძალავდნენ, დაკრძალვამდე მას ტაძარში გადაასვენებდნენ, იქ წესს აუგებდნენ, საფლავს აკურთხებდნენ, ერთი წლის შემდეგ გლოვას შეწყვეტდნენ და მისთანა [11, 237].

ერთ-ერთი თავისებურება, რაც უცხოელების გაოცებას იწვევდა, ჭირისუფალი მანდილოსნების მწუხარების გამოხატვის გადაჭარბებული ფორმა გახლდათ, რაც ვლინდებოდა ლოფებისა და გულ-მკერდის ფრჩხილებით დაკაწრვაში, თმების დაგლეჯვასა და ხმამაღალ კივილში. ხშირად, ქალებს ჭირისუფალი კაცებიც აჰყვებოდნენ თავიანთი ხმამაღალი გოდებით. გლოვის აღნიშნული ჩვეულება გვია-

ნობამდე შემორჩა და მთელი დასავლეთ საქართველოსთვის ტრადიციად დამკიდრდა. ასე, მაგალითად: XX ს-ის დასაწყისში, ფრანგი ეთნოგრაფი შარლ ლეფორი ბათუმსა და გურიაზე დატოვებულ მოგონებებში, ამ საკითხს ასეთი სახით ეხება. იგი ჭირისუფალს მიმართავს, რომ „ღრმად მოხუცებული მიცვალებულის დროს ასეთი ვაი-უშველებელი იმართება და წარმოდგენილი მაქვს რა მოხდება მაშინ, თუ ახალგაზრდა გარდაიცვლება-მეთქი“. მან მიპასუხა, რომ ასეთი ტრადიცია აქვთ და მას ყველა იცავსო [2, 90].

რაც შეეხება ქორწინების საიდუმლოებას, არსებული წყაროების მიხედვით, მას სამეგრელოში „სავაჭრო ხელ-შეკრულებას“ უწოდებდნენ. მაჭანკლის შუამავლობით მოგვარებულ კავშირს, ქალის ტრადიციულ მზითვს და სასიძოს საჩუქრებს, უცხოელები სავაჭრო გარიგებად აღიქვამდნენ, ვინაიდან მზითვიც დაახლოებით იმავე ღირებულების იყო, რაც სასიძოს საჩუქრების სახით მოჰქონდა. ქორწინების ცერემონიალში მრავალი ნიუანსი იქცევს ყურადღებას. მათ შორის აღსანიშნავია პატარძლის ახალ ოჯახში შემოყვანისას, მის მიერ, მთელ დარბაზში ღვინის მიმოქცევა იატავზე და ღომის ფაფის ნაჭრებად მიმობნევა. ჯვრისწერა, ჩვეულებრივ, ეკლესიაში სრულდებოდა, მაგრამ დასაშვები იყო ოჯახშიც აღსრულებულიყო [11, 235].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველდღიურ ყოფაში აღმოსავლური წესების გავლენა არ შეიმჩნეოდა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სამეგრელოში არსებული წესების თანახმად, სადილ-ვახშმობისას სუფრის წევრები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და აღმოსავლეთის ხალხის წესისამებრ, ფეხმორთხმით სხდებოდნენ [11, 234].

ამრიგად, განსახილველ პერიოდში სამეგრელოს ტრადიციული ყოფის თავისებურებებზე ვ. ზუევას ჩანაწერებს

წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს, ვინაიდან ავტორს, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ყოველმხრივ გამართული და შეჯერებული მონაცემები მოაქვს. ჩვენ არ მოგვეპოვება XVIII ს-ის II ნახევრის უფრო ორიგინალური და სრულყოფილი ხასიათის აღწერილობა, ამიტომ ვ. ზუევას ცნობები თავისი ობიექტურობითა და სიზუსტით მკვლევართა სათანადო ყურადღებას იმსახურებს.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1; 1962. გერმანულიდან ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა.
2. გოგოლიშვილი ო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უცხო-ელ მოგზაურთა ჩანაწერებში, თბ., 2009.
3. ლამბერტი არქ. სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარ-გმნა ალ. ჭყონიამ, თბ., 1991.
4. მეუნარგია ი. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერი-ოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.
5. რაინეგსი ი. მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელა-შვილმა, თბ., 2002.
6. რომელი დ. კავკასიის ხალხები, თარგმანი გერმანულიდან ნ. გილშვილისა, თბ., 2011.
7. ქადარია თ. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის I ნახე-ვარში, თბ., 2003.
8. შამილაძე ვ. ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ, თბ., 2001.
9. შარდენი ჟ. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმო-სავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილ-მა.
10. ჩხატარაიშვილი ქ. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის 40-80-იან წლებში, წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1971.
11. .., 1777 , .., 1823.

# **SOME PROBLEMS OF MEGRELIAN SOCIETY EVERY-DAY LIFE IN THE SECOND HALF OF THE 18<sup>TH</sup> CENTURY (ACCORDING TO V. ZUEVA'S RECORDS)**

## **Summary**

The records of Vasilia Zueva are a part of that scientific reconnaissance expeditions planed by Tsarist Russia, which was carried out before entering Russia in Georgia for different reasons. The author of this small length work accepts much from her predecessors, but has her own observations as well. To illuminate some peculiarities of the Megrelian Society's every-day life we used the description of the travel, as we do not possess the materials of the second half of the 18<sup>th</sup> century.

The social-economic situation and the details of everyday life in Megrelia are given in the work; mainly, in the sphere of abor, rendering judgment, the rights of wedding and mourning, etc. V. Zueva's records full fill the gaps of those sources which have been existed before and despite its small length are noteworthy.

## „ცა-ღრუბლის“ – ციური ცეცხლის დგთავბის მისტიკური ფუნქციის გამობისათვის

კავკასიულთა სარიტუალო პრაქტიკაში „ცა-ღრუბლის“ ღვთაების მრისხანე ზეციური ძალის თაყვანისცემა საყოველთაო იყო. რაც ცხადყოფს, რომ კავკასიულთა რელიგიური სისტემის არსებობის რომელიდაც ეტაპზე, ატ-მოსფერული მოვლენების მბრძანებელი, უმაღლეს ღვთაებას წარმოადგენდა [სიხარულიძე 2006:243]. კარგი ამინდის გამოსათხოვად, ჭექა-ქუხილის ღვთაების სახელზე, ყოველწლიურად, განსაზღვრულ დროს, სარიტუალო მსხვერპლშეწირვა იმართებოდა. უხსოვარი დროიდან, ამინდის გამგებლების მომადლიერება ადამიანის საზრუნავს წარმოადგენდა. ისიც თავს არ ზოგავდა და სხვადასხვა რიტუალებით ცდილობდა მათზე გარკვეული ზეგავლენის მოხდნას, ხშირად შედეგსაც იღებდა. მაგალითად, გვალვის დროს გაწვიმდებოდა, ან ავდრის დროს გამოიდარებდა. „სეტყვის ასაცილებელი საშუალება კი, – კოხიჯვრობა, სამეგრელოში „კოხინჯრობა“, ნაკრძალი დღე იყო და 13 მაისს უქმობდნენ. ამ დღეს არავინ მუშაობდა, რომ კოხსა და ავდარს ნათესი არ გაეფუჭებინა“ [მაკალათია 1941:331]. მაგრამ სულ სხვაა მეხი, რომლის ასარიდებელ საშუალებებს არქაული ჟამის ადამიანი არ იცნობდა და თუ მეხთამრიდებს არ ჩავთვლით, ამ მხრივ, არც თანამედროვეები დაწინაურებულან. რა არის მეხი, რატომ არის ის უმართავი? სულხან-საბას ლექსიკონში მისი ვრცელი განმარტება გვხვდება. სახელდობრ, „რა მზის სიცხე ქვეყნიდამ ორთქლს აიღებს, აღიტაცებს ჰაერთა შინა, განცეცხლდება და გვამად-გვამად შეიქმნების. რა ქარი და ღრუბელი შეიცავს, ურთიერთს კვეთებითა განსქელდებიან და გამოვლენ წმანი ქუხილისანი; უკეთუ ერთსა კიდისაგან ეცა ქარი, განით ვერ განვალს და ქვეყნად ჩამოიჭრების და იგი არს

მეხი და რასაცა ეცემა, შესწვავს“ [ორბელიანი 1991:470]. ცნობილი ლექსიკოლოგის ფრიად გასაგები განმარტება, ქართულ ლექსიკაში გავრცელებულ წყველის ფორმულებს მოგვაგონებს, როგორიც არის: „მეხი შენ დაგეცა და შენს გაკეთებულ საქმესაცო“, ან კიდევ, „ომშიით გამოქცეულსა, მეხი დაეცეს მედგარიო“ [ფშაველას 1969:177]. მეხდაცემული არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც, მოულოდნელ, დიდ უბედურებას მოასწავებს [ქართული 1958:232]. საერთოდ, მეხი, მზისა და მთვარის დაბნელება, კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა, ძველად მოსალოდნელ უბედურებებს უკავშირდებოდა, ასეთი დამოკიდებულება, ზოგან დღესაც არსებობს.

ამრიგად, მეხი არის დედამიწაზე ატმოსფერული ელექტრონის განმუხტვა. კიდევ უფრო ზუსტად, არისტოტელე იტყვის: „რა ფრიადი სიქშო ნისლისა დაადგების ქვეყანასა, აღიღებს ქვეყანასა მიერ მტვერსა ბრპენისასა, რვალისა (კალისა), სპილენძისა, ქვისა, ოქროსა და ვეცხლისასა, რამეთუ ესე ყოველნივე ოთხთა კავშირთა (ნივთთა) მიერ არიან, ხოლო ნისლისა მას შინა თითოეული თავით თვისით ვერ დაადგრებიან არამედ ვიდრე ჰაერთა შერთვამდე შეერთდებიან და ერთ ფიცხელ გვამ იქმნებიან და რა ჰაერი ვერდარა იტვირთავს, განსქდების და ჩამოიჭრების. მეხსა მზისა მიერ ესეთი სიმხურვალე აქვს, რასაც დაეცემის, უფრორე ცეცხლისგან შესწვავს“ [ორბელიანი 1991:471]. ამ ციური ცეცხლისგან დაზარალებული ადამიანი კავკასიაში წმიდანად ითვლებოდა, „რადგან იგი ღვთაებამ აირჩია და წმიდა ცეცხლის ღირსი გახადა... მისი დატირება არ შეიძლება, ღმერთი გაწყრებოდა. ასევე, წმიდანად ითვლებოდა მეხით მოკლული ცხოველი, პირუტყვი. როგორც ადამიანის, ისე ცხოველის გარშემო ასრულებდნენ ფერხულს ცეკვა-სიმღერით, — „ანცვა რიშვა“ [ზვანბა

1982:33]. თუ სახლს მეხი დაცემოდა, ცეცხლის ჩაქრობა არ შეიძლებოდა [გატივება 1876:30]; ის ბოლომდე უნდა დამწვარიყო, როგორც ღმერთისთვის სასურველი მსხვერპლი. ითვლებოდა, რომ ღმერთი ეწვია სახლს და ეს დიდი წყალობა იყო [სიხარულიძე 2006:243]. ე. ი. მეხნაკრავი ადამიანი თუ საქონელი, მცენარეც მაგიურ ძალას იძენდა. მაგალითად, პირუტყვს იქვე, მეხის დაცემის ადგილზე მარხავდნენ, რადგან ეს წმიდა ადგილი იყო. ოსები მეხის დაცემას ზებუნებრივი ძალის რისხვას სახელდობრ, „ვაცილას“ იგივე ილია//ელიას მიაწერდნენ. მეხდაცემული ადამიანი ღვთის რჩეულად მიაჩნდათ და არ ენანებოდათ, რადგანაც მათი რწმენით, „ვაცილა“ ზეცაში წაიყვანდა. დატირების ნაცვლად, შესაბამის სიმღერასა და სარიტუალო ცეკვას ასრულებდნენ „ცოპაის“ სახელწოდებით [კავკასიის 1960:333]. მეხით გარდაცვლილის დაკრძალვა საერთო სასაფლაოზე არ შეიძლებოდა. ასეთი ადამიანის გლოვას, დატირებას აფხაზების, ადილების, ოსებისა და სხვათა რელიგიურ პრაქტიკაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. მაგალითად, აფხაზური ხალხური წარმოდგენა, ბზიფის აფხაზებში ჭექა-ჭუხილის ღვთაების – „აფის“ ტყვიებს უწოდებს იმ მეტეორულ წარმონაქმნებს, რომელიც სხვადასხვა ზომის ქვის, რკინის, თუჯის, ან სხვა მასალისაა, რომელსაც მეხის დაცემის ადგილებზე პოულობს. „აღნიშნულ ტყვიებს აფი თავის მტრებს ან იმ ურჩებს უშენს, ვისი დასჯაც სურს“ [ანთელავა 2011:136].

ამჯერად, დაწვრილებით ვეღარ შევჩერდებით იმ შეხედულებებზე, რაც მეხდაცემული ადამიანის შესახებ მოვიძიეთ, ვინაიდან მითოსური და ქრისტიანული მსოფლმხედველობის განსხვავება-მსგავსება უფრო მნიშვნელოვანია. საქმე იმაშია, რომ ყველანაირი გააზრებით, მეხი არის სადამსჯელო მოვლენა, რომელიც გაკადნიერებულ

ადამიანს ზეციური ცეცხლის სახით ევლინება. მაგალითად, მთავარანგელოზ მიქაელისადმი მიძღვნილ საგალობელში, თვალშისაცემია ფრაზა: „გიხაროდენ, რისხვის ელვისა დამცემელო დასასჯელად უგუნურად განმკიცხველთა საიდუმლოთა სარწმუნოებისათა“ [დაუჯდომელი 2002:23]. გავიხსენოთ ისიც, რომ უფლის მეორედ მოსვლა ელვას არის შედარებული – „რამეთუ ვითარცა ელვად რა ელავნ ქუეშე ცისამთვან ვიდრე ქუეშე ცისამდე ბრწყინავნ, ესრეთ იყოს ძე კაცისად დღეთა მისთა“ [ახალი 2005:140; ლუკა 17, 24]. პავლე მოციქული კი ასე გვმოძღვრავს: „რამეთუ გამოჩინებად არს რისხვად ღმრთისად ზეცით ყოველისა ზედა უღმრთოებასა და სიცრუეესა კაცთასა, რომელთა ჭეშმარიტებად სიცრუეით აქუნდა“ [ახალი 2005:298].

ამდენად, მეხი ღმერთმა ბოროტების მსახურთა საწინააღმდეგოდ განაწესა. მისი ცეცხლოვანი ისარი იქ ვარდებოდა, სადაც ბოროტება ისაღვურებდა. ამიტომ, არქაული ღროის ადამიანმა მას ე. წ. სინანულის რიტუალი დაახვედრა. მაგალითად, აფხაზის წარმოდგენით, „ცა-ღრუებლის“ ღვთაება „აფი“ მის საქონელს მეხს იმიტომ ჰკრავდა, მას (ე. ი. პატრონს) ღმრთის წინაშე რაღაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და ამიტომ სასჯელი დაიმსახურა. „დამნაშავე“ ოჯახის უფროსი ხალხის წინაშე, მეხდაცემული პირუტყვის წინ, აღთქმას დებდა, რომ დანაშაულის გამოსასყიდად, მამა-პაპათა ჩვეულებას შეასრულებდა. თან სთხოვდა ზენას – ზეცას, რომ მის ოჯახს ამიერიდან წყალობა არ მოჰკლებოდა [ჯანაშია 1897:69]. ასე იყო სამეგრელოში. XIX საუკუნის დასასრულსაც კი, ზეციური ბრალისადმი, ანუ „ზენა დიდებულისადმი“ ყოველწლიურად, დანიშნულ ღროს ზოგიერთ სამრევლოში ლოცვა იმართებოდა. ამიტომ, „სამწყსოს აგონიერებდნენ, რომ ქუხილი, ელვა და მეხი ბუნების მოვლენებია და მათი თაყვანისცემა

და მსხვერპლის შეწირვა წინააღმდეგია ღვთის მცნებისაო“ [მწყემსი 1886:10]. საქმე იმაშია, რომ რიტუალი საკრალურთან შეხების ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას წარმოადგენდა. რიტუალის შესრულების დროს, ადამიანის მოქმედება სიმბოლურ დატვირთვას იძნდა. ადამიანი აღადგენდა საკრალური მნიშვნელობის მქონე წარსულს, „დაბადების“ სიწმინდეს მისი ცხოვრების კონკრეტულ მომენტს უთანაბრებდა, რაც გარემოზე კეთილი ზეგავლენის უძლიერეს საშუალებად გაიაზრებოდა [ხიდაშელი 2005:127]. გარდა ამისა, რიტუალი ადამიანებს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად აერთიანებდა, რაც დღესაც სანიმუშოა.

ქართულ სინამდვილეში არაერთი მაგალითი გვაქვს საკვლევი საკითხის უკეთ გასააზრებლად. მაგალითად მოვიყვანთ „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთს, როდესაც წმიდა ნინომ ითხოვა კერპების შემუსვრა და ხალხისთვის ქრისტეს ნათლის მოფენა; თვალის დახამხამებაში დასავლეთიდან ქარიშხალი ამოვარდა და ქუხილმა საზარელი ხმა გამოსცა. გამოჩნდნენ საშინელების მომასწავებელი რისხეის ღრუბლები, რომელთაც „მხოლოდ იმ ადგილას მოიტანეს ლიტრის ოდენა სეტყვა“ (დაახლოებით, გირვანქას ზომის), სადაც კერპები იყო; „დაანაწევრა, შემუსრა ისინი და ჩაყარა კლდეში, ხოლო წმიდა ნინო გადარჩა უვნებელი მშვიდობით“ [ქართლის 2012:74]. ახლა „მატიანე ქართლისად“ გავიხსენოთ, „ქართლის მეფე, დემეტრეს ძის დავითის დროს, ყანის უკითხავად გამოაგზავნეს უკეთური კაცი, რომელსაც ჯერ უნდა მოეოხრებინა ვარძიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საყდარი და შემდეგ საქართველოში რაც სიმდიდრეს ნახავდა წაელო, მაგრამ მოაწია მასზე ყოვლადწმიდა ვარძიის ღვთისმშობლის რისხვა, ვინაიდან იგი მიდიოდა მის მოსაოხრებლად და პატიოსანი ჯვრის დასამხობად, ამისათვის დაეცა მას მეხი,

რომელმაც სრულიად გააცამტვერა და დაწვა ძვლიანად. ასეთი საკვირველებით დაიცვა თავისი სამყოფელი ვარძიის ღვთისმშობელმა“ [ქართლის 2012:239]. კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი, რომელიც აჭარის გამაპმადიანების დროიდან არის ცნობილი. იგი ტბეთის ეკლესიას ეხება. „თურმე, ძველებიდან სიტყვა ჰქონიათ დარჩენილი, ამ ეკლესიას ხელი არ ახლოთ, ერთი ქვაც არ დააკლოთ, ვინაიდან, იქ ჩვენი თამარ დედოფალი მარხია. ამიტომ, ოსმალებს სთხოვეს, როგორც არის, ისე დარჩეს, დაკეტილი იყოს მისი კარები, ჯამედ არ გადააკეთოთო. გადაკეთებით, იქნებ, ჩვენ ღმერთი განვარისხოთო. მაგრამ დროთა განმავლობაში ხალხს მაპმადიანობა გამოუცხადეს და ჯამეს კეთება დაიწყეს, თუმცა, გაუძნელდათ, ამიტომ ეკლესიის კარები გააღეს, მაპმადიანურად მოაწყვეს და ლოცვა დაიწყეს. მინარეთად პატარა ეკლესია გადააკეთეს. ცოტა-ხანში, ახლა, ამ ეკლესიის ზემოთ გუმბათზე მეხი დაცა. ჩვენ შევშინდით, ჯამე სხვაგან გავაკეთეთ, ამ ეკლესიას ხელი არ ვახლეთ. ამის მინარა დავაქციეთ მხოლოდ და ქვები იმ ჯამეში გამოვიყენეთ“ [ჭიჭინაძე 2018:35-36].

მიაქციეთ ყურადღება, მეხის დაცემის მერე, ახალ-მოწყობილი მინარეთიც დააქციეს, ჯამე სხვაგან გააკეთეს, ტბეთის ეკლესიას ხელი არ ახლეს. სინანული საქმით აღასრულეს. სავარაუდოდ, ასეთ შედეგს იძლეოდა ის რიტუალებიც, რომელსაც ქრისტეს ნათლის მიღებამდე ჩვენი წინაპრები მიმართავდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმიდა პეტრე მოციქულის შეგონებისამებრ, უღმერთოები და მტარვალები, რომლებმაც ჭეშმარიტებას გადაუხვიეს, რისხვის სამიზნედ იქცნენ. ასეთები მრავლად არიან, სახელდობრ, წმიდა ბარბარეს ღვიძლმა მამამ – დიოსკორემ, როგორც კი „ასულს მახვილი დასცა, იმავე წამს ზეციდან გარდმომხდარი საში-

ნელი ელვა დაატყდა თავს“ და ერთიანად დაწვა, ფერფლი კი, ამოვარდნილმა ქარმა გაფანტა. ასევე, დაისაჯა მმართველი მარტინეც, რომლის ბრძანებით წმიდა ბარბარეს თავის მოკვეთა მიესაჯა. მას სასახლეში შესვლისას, მეხი დაეცა და მისგან მტვერიც კი აღარ დარჩა.

ღვთის სამართლიანი საშსჯავრო წმირად მეხის დაცემით აღსრულებულა. მაგალითად, IV საუკუნის წმინდანების – მოწმეების ადრიანესა და ნატალიას ცხედრების დაწვა როცა მოინდომეს, საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა და ღუმელში ცეცხლი ჩაქრა. ბევრი ჯალათი ემსხვერპლა მეხს [წმიდათა 2006:180; 500]. იგივე მოხდა მცირეაზიელი წმიდა დების – მინადორა, მიტრადორა, ნიმფადორას ცხედრების დაწვისას. დანთებული კოცონის თავზე უეცრად საშინელი ქუხილის ხმა გაისმა და მეხმა „მთავარი და მისი მსახურები „დაწუნა და განანქრინნა“. შემდეგ კი, წვიმამ ცეცხლი ჩაქრო. წმიდათა უგნებლად დარჩენილი ნეშტი ქრისტინებმა პატივით მიაბარეს მიწას.

მაგალითები წმიდანთა სანიმუშო ცხოვრების შესახებ შორს წაგვიყვანს. ქუხილი, ელჭექი, მეხი, ქარიშხალი – საიდუმლო მოვლენებია, რომლებიც ქრისტეს მეორედ მოსვლამდე თანმდევი იქნება. ამიტომ, მივმართავთ „შეუწველი მაყვლის“ ღვთისმშობლის ხატს – „რაჟამს ცეცხლითა დაიწვებიან სახლი ჩუქნი და ელვისა ქუხილისა შიშითა დაცემულ ვიქებით, გამოაჩინე მოწყალე შუამდგომლობა და ყოვლადმლიერი შემწეობა შენი, რათა გვიხსნას და განგვარიდოს სასჯელებს – მძვინვარე ჭირთა, ცეცხლსა და ქუხილსა“ [ლოცვები 2001:94-95].

ზოგი რელიგიური წეს-ჩვეულება გასაოცარი მდგრადობით გამოირჩევა. ხანგრძლივი დროის მანძლზე უცვლელი რჩება მისი ფორმა და შინაარსი [ეთნოლოგიის 1995:236]. საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ

ქართველი ხალხის მიერ შექმნილ უმდიდრეს ზეპირსიტ-ყვიერებაში, ცოცხალ ყოფაში დაცულ რიტუალებსა თუ წეს-ჩვეულებებში, ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ როგორც უაღრესად არქაული, ისე მაღალგანვითარებული ფორმები და თითქმის შეუზღუდავად მოქმედებს აზროვნების ერთიანი, ხატოვანი სისტემა [ზიდაშელი 2005:168], რომელსაც ბიბლიური, ანუ მისტიკური აზროვნება ასაზრდოებს.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

სიხარულიძე 2006 – სიხარულიძე ქ., კავკასიური მოთოლოგია, თბ., 2006.

მაკალათია 1941 – მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

ორბელიანი 1991 – ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991.

ფშაველას 1969 – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.

ქართული 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5, თბ., 1958.

ზვანბა 1982 – ..,  
, .., 1982.

გატიევა 1876 – ..,  
,,  
.., 1876.

ანთელავა 2011 – ანთელავა ნ., აფხაზური მითები და რიტუალები, თბ., 2011.

დაუჯდომელი 2002 – დაუჯდომელი გალობა წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა, თბ., 2002.

ახალი 2005 – ახალი აღთქმად, თბ., 2002.

ჯანაშია 1897 – ჯანაშია ნ., აფხაზები, უურნ. „მოამბე“, 2, 1897.

მწყემსი 1886 – უურნ. „მწყემსი“, 32, 1886.

ხიდაშელი 2005 – ხიდაშელი მ., რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005.

ქართლის 2012 – ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 2012.

ჭიჭინაძე 2018 – ჭიჭინაძე ზ., ყარსის მიდამოების გამაპმადიანება, ბათუმი, 2018.

წმიდათა 2006 – წმიდათა ცხოვრება, ტ. 2, თბ. 2006.

ლოცვები 2001 – ლოცვები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის  
45 სასწაულმოქმედი ხატისადმი, თბ., 2001.

ეთნოლოგიის 1997 – ეთნოლოგიის ქრესტომათია, თბ.,  
1997.

# **FOR UNDERSTANDING OF MYSTICAL FUNCTION OF CELESTIAL IDOL OF FIRE – IDOL OF “SKY- CLOUD”**

## **Summary**

Worship of ferocious celestial powers of idol of “Sky-cloud” was universal in ritual practice of Caucasians. People tried to win weather governor’s favor since ancient times and they often got results. Thunder is completely different, that’s why Mythical and Christian understandings of its function is depicted in the work. It was established that thunder is punitive phenomenon. Insolent person is met by it as a celestial fire. That’s why damaged person prepared her so called ritual of regret because ritual was only one way for touching with sacred thing. Christian aspects of research issue is illustrated in the work.

## სარჩევი

რედაქტორისაგან	3
რა არს სახელი შენი? (ანთროპონიმის რელიგიური ასპექტები)	5
What is Thy Name? (Anthroponyms Religious Aspects) -----	18
ქართულ-აფხაზური მითოლოგიური პარალელები	19
Parallels between the Mythology of Georgia and Abkhazia -----	40
წარმართული წეს-ჩვეულებები სამურზაყანოში	41
Pagan Rules-customs in Samurzakano -----	61
საგზაო მშენებლობა სამურზაყანოში (XIX-XX) საუკუნეებში	62
Road Construction in Samurzakano (in XIX-XX Centuries) -----	75
სარიტუალო დღესასწაული სამეგრელოში (ჭიაკოკონობა)	76
Chiakokonoba Ritual in Samegrelo -----	94
ქართველთა ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ -----	95
About the Christianity of Georgians -----	110
„ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა“ (სოფელ ზემო ნიქოზის წარსულიდან)	111
“Search the Death for Christ” (From the History of the Village Zemo Nikozi) -----	141
აფხაზეთის კულტურის ძეგლები გუშინ და დღეს (ბედია და ილორი)	142
The Monuments of Intangible Culture in Samurzakhano (Bedia and Ilori) -----	158
ილორის წმიდა გიორგის ეკლესია -----	163

<b>The Church of St. George of Ilori -----</b>	<b>174</b>
წმიდაო გიორგი ილორისაო, გერისაო, ქურმუხისაო... თავზარდამცემო მტრისაო! -----	175
<b>St. George of Ilori, of Geri, of Kurmukhi...</b>	
<b>You, Who Terrify Enemy -----</b>	<b>194</b>
გიორგი XII – საქართველოს უკანასკნელი მეფის პორტრეტისათვის (პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტის“ მიხედვით) (თანაავტორი ხათუნა იოსელიანი) -----	195
<b>For the Portrait of the Last King of Georgia – Giorgi XII (According to “The Life of Giorgi XIII” by Platon Ioseliani) -----</b>	<b>214</b>
პლატონ იოსელიანი – ეროვნული ტრადიციების მკვლევარი -----	215
<b>Platon Ioseliani – Reseatcher of the National Traditions -----</b>	<b>228</b>
გლოვის და დატირების წეს-ჩვეულებები ქართველთა და ჩრდილო კავკასიელთა ყოფაში -----	229
<b>Honor for Dead People in Traditional Life of Georgians and North Caucasians -----</b>	<b>247</b>
სამეგრელოს საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში (მოგზაურ ვ. ზუევას ჩანაწერების მიხედვით) -----	248
<b>Some Problems of Megrelian Society Every-Day Life in the Second Half of the 18<sup>th</sup> Century (According to V. Zueva's Records) -----</b>	<b>259</b>
„ცა-ღრუუბლის“ – ცოური ცეცხლის ღვთაების მისტიკური ფუნქციის გაგებისათვის -----	260
<b>For Understanding of Mystical Function of Celestial Idol of Fire-Idol of “Sky-Cloud” -----</b>	<b>270</b>